ახალი გოჯოლადი

იანვარი, 2012, №75
ფასი 7 ლარი

ისტორიები
ტუსია ბერიძე, ნიკა მაჩაიძე
ნიკო ნერგაძე

ლეოს კარაქსი – დიადი ბომჟი
ზაზა ბურჭულაძე

ელისი აქ ალარ ცხოვრობს
ალექს ჩიღვინაძე

პროტესტის ისტორია
„დაიკავე უოლ სტრიტი“
ლელა მოსე

ესე
DEUS EX VAGINA
გიორგი ავალიანი, გიორგი მაისურაძე

„გთხოვთ, მოკლედ“
ვაცლავ ჰაველი

ჰიმნი N2 ნაცია
პაატა ქურდაძე

სტილი
დაფნა გინესი – სახიფათო სილამაზე
რებეკა მიდი

ფოტოპროექტი
ინტროვერსია
ლევან ხერხეულიძე

ISSN 1512-2220
9 771512 222006

PONTI

DAL 1867

ჯანმრთელობის ფორმულა

დანარჩენი ზედმეტია

ცხელი შოკოლადი

N75, იანვარი 2012

რედაქტორის სვეტი 6 მანიპულაციის ხიბლი

წარდგენა 10 ნანუკა ჩიჩუა, შოთა იათაშვილი

ღვინის კრიტიკა 12 შესავალი მეღვინეობაში. გაკვეთილი პირველი. ***თამარ კვინიკაძე***

ანონსი 14 პოპ-აპოკალიფსების TOP 5 ***ზურა ჯიშკარიანი***

22 8 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ ***დავით ბუხრიკიძე***

მიმოხილვა 26 ეს იყო ბათუმში... ეს გრძელდება მთელ ქვეყანაში ***დავით ბუხრიკიძე***

28 ფაქიზი კვერცხები, სასტიკი მეგაპოლისები ***დავით ბუხრიკიძე***

დისკუსია 32 ნორმალურები და სხვები ***ნინო ლომაძე***

საავტორო 38 ზამთარია ***ანა კორძაია-სამადაშვილი***

40 ზღაპარი, რომელიც არასდროს მთავრდება ***გაგა ნახუცრიშვილი***

42 სსრკ-ს დანგრევა ***ნინო ბექიშვილი***

44 მინდა ვიყო თქვენთან ***მაია სარიშვილი***

ისტორიები 48 *ნიკა მაჩაიძე* და *ტუსია ბერიძე*
სამურაები კავკასიის თვალუწვდენელი სტეპებიდან ***ნიკო ნერგაძე***

62 *ლეოს კარაქსი*
დიადი ბომჟი ***ზაზა ბურჭულაძე***

85 ელისი აქ აღარ ცხოვრობს ***ალექს ჩიღვინაძე***

ინტერვიუ 56 ოლეგ ტიმჩენკო ***მაშო სამადაშვილი***

თარგმანი 68 სამოქალაქო არქიპელაგი ***დევიდ რემნიკი,***
ინგლისურიდან თარგმნა თამარ სუხიშვილმა

პროტესტის ისტორია 76 „დაიკავე უოლ სტრიტი“ ***ლელა მოსე***

რეპორტაჟი 90 თეთრი, თეთრი სასახლე ***ანა კორძაია-სამადაშვილი***

ფოტორეპორტაჟი 96 ინტროვერსია ***ლევან ხერხეულიძე***

სტილი 106 მომხიბვლელობის ხელოვნება ***თამარ ალავიძე***

108 *ტენდენცია:* ბალენსიაგას გავლენა

110 *კინოკოსტიუმები:* რალფ ლორენის „დიდი გეტსბი“ – 1974-2012

116 მოდის ისტორია: თამარა გამსახურდია

120 დაფნა გინესი – სახიფათო სილამაზე
ავტორი რებეკა მიდი, ინგლისურიდან თარგმნა თამარ ალავიძემ

130 მოდა 2011

ლიტერატურა 138 ჩრიშმაშ ქარუ ***აკა მორჩილაძე***

142 Deus ex vagina ***გიორგი ავალიანი, გიორგი მაისურაძე***

148 ჰიმნი N2 ნაცია ***პაატა ქურდაძე***

158 რიმეიქი ***არჩილ ქიქოძე***

162 ნაწყვეტები ვაცლავ ჰაველის წიგნიდან „გთხოვთ, მოკლედ“

მოთხრობა 170 ტერეზა მილლიონის ანგარიში ***ლევან რამიშვილი***

მუზეუმი ჟურნალში 174 მიხეილ ჯავახიშვილის საქმე ***ლაშა ბაქრაძე***

წიგნები 176 რას კითხულობს გიგო? ***ალექს ჩიღვინაძე***

ყდა: ტუსია ბერიძე, ნიკა მაჩაიძე
ფოტო: ლელი ბლაგონრავოვა
კოსტიუმები: ნინო ჩუბინიშვილი

ნამდვილად ხმამაღალი მუსიკა

• 2MP Camera • Widget Wallpapers • Motion Sensor • Folder Protection • Stereo FM Radio

ოფიციალური პარტნიორი
საქართველოში
www.220volts.ge

220 ვოლტს

მთავარი რედაქტორი
ნინო ჯაფიაშვილი
აღმასრულებელი რედაქტორი
თამარ ბაბუაძე
„სტილის“ რედაქტორი
თამარ ალავიძე
„ლიტერატურის“ რედაქტორი
რატი ქართველიშვილი
რედაქტორების ასისტენტი
მარიამ სამადაშვილი
ვებგვერდის რედაქტორი
ელენე ასათიანი
არტრედაქტორი
არჩილ თაბუკაშვილი
ფოტორედაქტორი
გიორგი ნადირაძე
დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
კორექტორი
თამარ ღონღაძე
ნომერზე მუშაობდნენ:
ნიკო ნერგაძე, ალექს ჩიღვინაძე, ნინო ლომაძე, დავით ბუხრიკიძე, ნინო ბექიშვილი, გაგა ნახუცრიშვილი, აკა მორჩილაძე, ანა კორძაია-სამადაშვილი, ზაზა ბურჭულაძე, თამარ სუხიშვილი, ლელა მოსე, მაშო სამადაშვილი, გიორგი მაისურაძე, გიორგი ავალიანი, არჩილ ქიქოძე, ლაშა ბაქრაძე, მაია სარიშვილი, თამარ კვინიკაძე, ზურა ჯიშკარიანი
ფოტო:
ლევან ხერხეულიძე, ლელი ბლაგონრავოვა, ხათუნა ხუციშვილი, სერგი ბარისაშვილი, მაკა გოგალაძე, ბესო უზნაძე, ლევან კაკაბაძე, რაიან შუდი
ილუსტრაცია:
მურმან თაბუკაშვილი, თათია ნადარეიშვილი, გიორგი ავალიანი, ნათია კვარაცხელია, შაკო ნიკვა, რუსლან ბერიძე, ანუკ ბელუგა
ბიზნესის განვითარების მენეჯერი
რუსუდან ფურცელაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობა
ლელა შუბითიძე
კლიენტთა მომსახურების მენეჯერი
ნათია რუსაძე
პარტნიორებთან ურთიერთობის მენეჯერები:
ლევან ჯაბუა, სოფო პაპუნაშვილი, ქეთევან ქავთარაძე, ქეთევან მეგრელიძე, ელენე ხარაზაშვილი, მარიამ მიქელაშვილი, თინა ოსეფაშვილი.
დისტრიბუცია
მიხეილ გედენიძე

DEKOM MEDIA HOUSE
გამომცემლობა:
შპს „მედია ჰაუსი დეკომი“
მისამართი: თბილისი 0183, საქართველო
ჟღენტის ქ. 35, ტელ.: +995 32 2471005
სხვა გამოცემები:
„ლიბერალი“, „ბიზნესი-ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“, „დიალოგი“.
სტამბა:
„სეზანი“, თბილისი, წერეთლის 140, ტელ.: 2 357002
ჟურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან
© „მედია ჰაუსი დეკომი“ საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება გამომცემლობის ნებართვის გარეშე აკრძალულია. „ცხელი შოკოლადის“ რუბრიკის სპონსორი არ ერევა შინაარსის შექმნაში.

მანიპულაციის ხიბლი

რაც თავი მახსოვს, მეც, და თითქმის ყველა ჩემ გარშემო, ახალი წლიდან ახალ ცხოვრებას ვიწყებთ. მე პირადად, ვერასდროს შევძელი ამ დათქმული პირობის შესრულება. ჩემმა ერთი-ორმა მეგობარმა სიგარეტის მოწევას მართლაც დაანება თავი, აი, ასე, პირდაპირ 31 დეკემბრის ღამეს.

2011-ი პროტესტების წელი იყო. ყველა ყველას აუმხედრდა – ხალხი მთავრობებს, ანარქისტები კორპორაციებს, კორპორაციები დაუბანელ უსაქმურებს, მატერიალისტები მისტიკოსებს, მედია-აქტივისტები მეინსტრიმ მედიას ... ერთმანეთს ყველა ძალადობასა და მანიპულირებაში ადანაშაულებდა, ყველა შეთანხმებული თამაშის წესების ხელახალ გადაწერასა და სისტემის შეცვლას ითხოვდა.

„მე მოვიხმარ, მაშასადამე ვარსებობ – აი, კონსუმერიზმის არსი და დღევანდელი „კულტურული რეალობა“. შეძენილი ნივთით მხოლოდ კონკრეტულ საქონელს კი არ ყიდულობ, არამედ სტატუსს, მომხიბვლელობას, ბედნიერებას“ – „ცხელი შოკოლადის“ ამ ნომრის სტატიას ვკითხულობდი Adbusters-ის მიერ წამოწყებულ ამბოხზე, როდესაც სათვალეების ერთ-ერთი მაღაზიიდან საახალწლო მილოცვა მივიღე.

„ძვირფასო ნინო, დამაკვირდი, შემიგრძენი, ფიქრით შემეხე... ეს მე ვარ – შტრიხკოდების უტყვი პროზაულობიდან თავდაღწეული, ამაყი და თავისუფალი, გაზაფხულის კვირტივით აფეთქებული, მგზნებარე სათვალე, სათვალე სახელად ... (მოდელის სახელი ხელით იყო მიწერილი) სიყვარულით და შეხვედრამდე...“

თავიდან მომეჩვენა, რომ ამ ანცი სათვალის თავხედობა ყოველგვარ საზღვრებს გასცდა – არ შეიძლება ადამიანური გრძნობებით ასე მანიპულირება!

თუმცა გამეცინა, სინამდვილეში ყველა ერთმანეთით ვმანიპულირებთ: მშობლები შვილებით, როდესაც მათ მომავალს წინასწარ ვგეგმავთ და პირიქით, – ამ ანგელოზისსახიანმა ეშმაკუნებმა კარგად იციან, როგორ გვმართონ; კომპანიები – ისეთი პიარ წერილებით, როგორიც „სათვალემ“ გამომიგზავნა; მანიპულირებენ ისინი, ვინც გრანდიოზულ პოლიტიკურ პროექტებში ჭანჭიკის როლს გვანიჭებენ და ისინიც, ვინც თავისუფლების ლოზუნგით, „კანონმორჩილი ბრიყვების“ წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმას მოგვიწოდებენ. მანიპულაციების ამ უწყვეტ ჯაჭვში ყველაზე საშიში ის ვერსიაა, როდესაც ვერ ხვდები, როგორ გმართავენ. „ანცი სათვალის“ თავხედობა იმდენად ცხადია, რომ უწყინარი ხდება. როგორც კი მანიპულაციას თავის სახელს არქმევ, შეგიძლია, ის შენ სასარგებლოდ ამუშაო.

მაგალითად, სოციალური შეთანხმება – ახალი წელი საუკეთესო მომენტია რაღაც ახლის დასაწყებად – საკუთარი თავით მანიპულაციის მშვენიერი საშუალებაა. თუკი ცხოვრების შესაცვლელად მაინცდამაინც ახალი წელი გჭირდებათ, რატომაც არა? წარმატებები!

ისე კი, არ დაგავიწყდეთ, „ნებისმიერ ჩვენგანს, ხელის ერთი მოსმით შეუძლია თავისი ცხოვრებიდან ამოაგდოს ყველაფერი, რაც კი მოესურვება. ნებისმიერ მომენტში. მყისიერად“.

YOUR COURIER

WHAT
WHEN
WHER
EVER

[2 234560]

www.yourcourier.ge

"შენი კურიერი" შენი კომფორტისთვის

[საჩუქრები]

[GIFTS]

INVITATIONS

მისალოცი
ბარათები

მოსაწვევები

FLYERS

WE DELIVER
EVERYTHING
[24/7]

გიორგი ავალიანი

WORK IN PROGRESS

პროექტს ჯერჯერობით არც სათაური აქვს და არც მისი ფორმატია ზუსტად განსაზღვრული. მისი ცალკეული ნაწილები თვის დასაწყისში იწერება და თვის ბოლოს ქვეყნდება. ამით ის კალენდარსაც წააგავს, რომლის ყოველ ფურცელზე ერთი რომელიმე თვეა დასურათებული, ხოლო სურათების ქვეშ კი სხვადასხვა შინაარსის ტექსტებია განლაგებული. ყოველი ტექსტი ცალკეული ფრაგმენტისგან შედგება, რომელთაგანაც ნაწილი შინაარსობრივადაა ერთმანეთზე გადაბმული, ნაწილიც მხოლოდ ასოციაციურად. მაგრამ, კალენდრისგან განსხვავებით, მას პირველი და ბოლო გვერდები არ გააჩნია: ის არც 1 იანვარს იწყება და არც 31 დეკემბერს მთავრდება.

პროექტს არც კონკრეტული მიზანი აქვს: ის მთლიანად ვარიაციაა ერთ ან რამდენიმე თემაზე, რომლის დროსაც დამალული ან ნაკლებადცნობილი მოტივები მჟღავნდება და ზედაპირზე ამოდის. თუკი მაინც რამე მიზანზე შეიძლება ვილაპარაკოთ, ესაა ტრადიციული ისტორიების ნაკლებად ტრადიციული ფორმით მოყოლა, რომლის მეშვეობითაც თხრობის ახალი ფორმები და ენა უნდა გამომუშავდეს უკვე არსებულისა და სტერეოტიპულების დაძლევის თუ პაროდიის ხარჯზე. ასეთი ექსპერიმენტი ზოგჯერ სხვადასხვა, უკვე დამკვიდრებულ და გამყარებულ კონტექსტში შეუთავსებელი თემების სინთეზსა და გამთლიანებას გულისხმობს, რისთვისაც თავად ამ კონტექსტების რღვევა და ახლების შექმნაა საჭირო. ყველაფერი ახალი მონსტრად იბადება და რა მომენტშიც ის თავის მონსტრულობას დაკარგავს, თანდათანობით ტრივიალურ და რეაქციონულ სტერეოტიპად გადაიქცევა, – გამზადებულად რეპროდუქციისა და ეპიგონიისათვის, რომელიც მერე უკვე თავადვე საჭიროებს დამხობასა და სცენიდან ჩამობრძანებას.

Deus ex vagina

გვ. 140



ლელა მოსე

რუპერტ მერდოკს მირჩევნია ჯულიან ასანჟი.

ერინ ბარნეტს – ემი გუდმანი.

აგრესიულად აბრდღვიალებულ სავაჭრო ცენტრებში სიარულს, მიწაზე წოლა და ცის ყურება. მთრგუნავს შინაარსისგან დაცლილი, ყალბი ფორმები, რომლებშიც ვცხოვრობთ, „გლამური“ და დაუწერელი „პატერნები“, მორჩილად რომ უნდა მიჰყვე.

ჩუმი ცინიზმი ან ფსიქოდელიკებით მიღწეული „სისრულე“, ოდესღაც კარგი თავშესაფარი იყო, მაგრამ ფრუსტრაციის დაგროვებასთან ერთად, ხვდები, ალმაცერი თუ დედურ-შემწყნარებლური ღიმილი აღარ გშველის; იქ გასულს, უკან გამობრუნება გჭირდება. აღარც ონლაინ პეტიციებზე ხელის მოწერას აქვს აზრი და არც სუბვერტიულ-კრიტიკული ვიდეოების გაზიარებაა საკმარისი. შენს ირგვლივ ადამიანები, სულ უფრო და უფრო უმწეოები ხდებიან, ველარ იჯერებენ უხილავ ხელზე ჩამოკიდებულ (ვითომ უიდეოლოგიო) იდეოლოგიას. დიდი ამბოხის და დაუმორჩილებლობის დრო დგება.

როდესაც გავიგე, რომ საქართველოში „დაიკავე“-ს მსგავს აქციაზე ორმოცდაათამდე ადამიანიც კი არ შეიკრიბა, არ გამკვირვებია. იმას, რასაც დასავლეთში ეჭვქვეშ აყენებენ (ქუჩასა თუ აკადემიაში), შეცვლას ცდილობენ და უკვე ღიად ებრძვიან, საქართველოში, ჯერ კიდევ, პროგრესსა და განვითარებასთან აიგივებენ, მეტიც, იმედით მიელტვიან.

მიუხედავად ყბადაღებული გლობალიზაციისა, სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული დრო, კონტექსტი და რეალობაა, ამიტომაც მქონდა შეგრძნება, რომ ზღვაში გაშვებულ გზავნილს უფრო ვწერდი ამ საპორტო ქალაქიდან, ვიდრე პუბლიცისტურ წერილს.

ამსტერდამი, დეკემბერი, 2011

„დაიკავე უოლ სტრიტი“

გვ. 76

ალექს ჩიღვინაძე

ის შეიძლება ჰგავდეს თეთრ კურდღელს, ოქროს ვერძს, ან საქართველოს პრეზიდენტს, ტოტალური მოწყენილობის წინ რომ გარბის. მიჰყვები და ასე იწყება შენი ვარდნა ნაციის სოროში. ან სოროა ძალიან ღრმა, ან შენ ვარდები ძალიან სწრაფად, მაგრამ ვარდნა იწელება და თანდათან უფრო მოსაბეზრებელი ხდება. ვერ ხვდები, რა მომენტში იღებ იარაღს, ირგებ ჩაფხუტს და საერთოდ, როდის იწყება სროლა.

სოფიასთან – გნებავთ, ანტიკურთან და გნებავთ იმ გოგოსთან, ვისაც ეხება და ვინც ეხება ჩემს ისტორიას, სწორედ ამ პროცესების გაზიარება მაკავშირებს; კიდევ ომი, ორი სხვადასხვა – დაუმთავრებელი ომი.

როგორღაც ისე მოხდა, რომ ბავშვობიდან იმ სცენაზე გვიწევს ყოფნა, სადაც სულ ომის დეკორაციებია და არ აქვს მნიშვნელობა, რას ვთამაშობთ. იდიოტი რეჟისორის პათოსი უცვლელია – ის დარბაზის სიღრმეში ზის და გაჰკივის: შეეცადეთ ნაკლებად დამაჯერებელი იყოს ეგ სიყვარული. დამანახეთ ისტერიკა, დემოკრატია! დაიმახსოვრეთ, თქვენ-თქვენი დროშები. იყავით ის, რაც ხართ, მაგრამ დაემორჩილეთ სისხლის წყურვილის გრძნობას. დაე, ჩეხოვის მილიონობით თოფმა და ავტომატმა ერთად დაიქუხოს. ვისაც არ მოგწონთ ეს ტრაგედია, გთხოვთ, მიბრძანდეთ კულისებში, გეტოებში, ან საფლავებში.

„ჩვენნაირები ყოველთვის ყველაზე მეტად ზარალდებიან,“ – ყვირის ვენსან კასელის პერსონაჟი, ფილმში „ჩვენი დღეც დადგება“, – „ჩვენ, არც ჩვენი ქვეყანა გვაქვს, არც ჩვენი არმია, არც ჩვენი ენა“... რასაც არბალეტით შეიარაღებული წითური ფეხბურთელიც იმეორებს, როცა ცარიელ ქუჩაში, წითელი პორშეთი მიჰქრიან. მეც იგივე მინდა გავიმეორო, ხმაში შეპარული ბზარით, ოღონდ, უფრო–ამაყად და დამაჯერებლად.

ელისი აქ აღარ ცხოვრობს

გვ. 85

20%-70%

ᲙᲐᲛᲑᲘᲚᲘᲡᲢᲘ ᲤᲐᲡᲓᲐᲚᲔᲑᲐ

ᲐᲕᲔᲯᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲘᲚᲐᲛᲐᲖᲔᲑᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ

ᲐᲕᲔᲯᲘᲡ ᲡᲐᲚᲝᲜᲘ „ᲞᲐᲞᲘᲚᲝᲜᲘ“
თბილისი, აკ.ბაქრაძის 6
ბათუმი, ბაგრატიონის 109
ტელ: 2540990, ფაქსი: 2540993
www.papillon.ge

Like Us On facebook

გვ. 139

გვ. 149

გვ. 153



გვ. 159

გვ. 169

ნანუკა ჩიჩუა
მხატვარი

მხატვრობა და კოლაჟი, სკულპტურა და ვიდეო – ნანუკა ჩიჩუა შერეული მედიებით მუშაობს. უმეტეს შემთხვევაში, მისი ინსპირაცია საქართველოა. „როცა ვხატავ, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს, სახლში ვბრუნდები“, – ამბობს ნანუკა. ის ცდილობს ახლებური პერსპექტივით აღიქვას და აჩვენოს საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ტრადიციები. ნანუკა ჩიჩუას ნამუშევრებში ანტიკურ არქეტიპებსაც იპოვით და ეთნოგრაფიულ მასალასაც. მაგალითად, მისი პრინტების ერთი სერია, „ვეფხისტყაოსნის“ კითხვისას მიღებულ შთაბეჭდილებებზეა აგებული.

ნანუკა ჩიჩუას ხელოვნების ერთ-ერთი ინსტრუმენტი თვითტრანსფორმაციით ყოველდღიური თამაშია. მიზანმიმართულად ცდილობს ნამუშევრები მხოლოდ შინაგანი სამყაროს გამოხატულებად აქციოს და არა სოციალურ მოვლენებსა და გარემოდან მიღებულ გამოწვევებზე პასუხად.

ნანუკა ამბობს, რომ ინსპირაცია მისთვის ხშირად მოგზაურობა ხდება – ადგილები, „სადაც დრო სივრცეშია ტრანსფორმირებული“. ფერი, განათება, მუსიკა, ცეკვა, მეხსიერებაში ჩარჩენილი ლექსი, ადამიანები და ცხოველები, ცხოვრებისეული განცდები: განშორება, მარტოობა, მონატრება – ყველაფერი, რაც „ჰიპნოტური ენერგიით ტვირთავს“, მისთვის შთაგონებაა.

ნანუკა ჩიჩუა კალიფორნიაში, ლოს ანჯელესში ცხოვრობს. CALARTS-ის დამთავრების შემდეგ მან მუშაობა იურული ტექნოლოგიების (Museum of Jurassic Technology) მუზეუმში დაიწყო. ის მუზეუმის მეორე სართულზე განთავსებულ საგამოფენო დარბაზს, პატარა კინოთეატრსა და ქართული ჩაის ოთახს კურირებს.

ბოლო პერიოდში მისთვისაც და მუზეუმისთვისაც საეტაპო ნამუშევარი იყო 3D ფორმატის ფილმი „Seven Songs of Kartveli“ (“ქართველის შვიდი სიმღერა“), რომლის სიუჟეტიც სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“-ზეა აგებული.

„არტისტი ჯადოქარია, რომელიც თავისი ხედვით, ძალებით და ინსტრუმენტებით ნათელს ჰფენს იმას, რაც დაფარულია“, – ამბობს ნანუკა. „ცხელი შოკოლადის“ 75-ე ნომერში სწორედ მის „ჯადოსნურ“ ნამუშევრებს წარმოგიდგენთ.

ნანუკას ნამუშევრების გაცნობა მის ვებგვერდზეა შესაძლებელი: http://www.nanuka.com

შოთა იათაშვილი
პოეტი

პოეზიის ბუნება ხელოვანის ყოფასაც განაპირობებს – თითქოს, იგი ჩამოშორებულია ყოველდღიურ საზრუნავს; პასიურობა, სინამდვილეში, მალავს დიდ შრომას – უანგარო ინტერესს, მუდმივ ჩართულობას ცხოვრების (და არა – ცხოვრებისეულ) სინამდვილეში. შოთა იათაშვილი გამოცდილი ავტორია, და თუ როგორ შეიძლება გადაგვარდეს ეს მდგომარეობა, კარგად უწყის; როცა ცხოვრებისეული, წვრილმანი ინტერესები ენაცვლებიან შემოქმედებით პროცესს, იწყება „პოეტური ფესტივალი“ – სადაც შემოქმედის ცნობიერება კორუმპირებულია. ესაა ლექსის ოსტატის მიერ უშეღავათო პირდაპირობითა და ხისტი ენით გადმოცემული ირონია ლექსის ისეთ „ოსტატებზე“, რომელთაც „პატივი“ ვერ გაუყვიათ – „ლექსის წერის ოსტატები შეყარეს ერთად... / ერთად მიყავთ ნახირივით / სამვარსკვლავიან ბოსელში და კეტავენ ერთად“...

მკითხველის ცნობიერებაში დალექილი წარმოდგენებით თამაში მხატვრული გამომსახველობის მნიშვნელობით იტვირთება „ნატურმორტში“; ფრაზა „მეტაფორა არ გეგონოთ“, რომელიც რეფრენივით გასდევს ლექსს, ფლეგმატურ ატმოსფეროს განგვაცდევინებს, არა როგორც მხატვრულ გამონაგონს, რომლისგანაც დისტანცირება გაგვიადვილდებოდა, არამედ – ობიექტურ რეალობას; ხრწნის რამდენიმე, განმეორებადი ხატით ფინალისკენ ისეთი „თაიგული“ იკვრება, მკითხველს სიკვდილის ნამდვილი არომატი აბრუებს. თითქოს, აღსასრულთან ეს ბუნებრივი თანაარსებობა, ცხოვრების მონოტონურობას რომ განაპირობებს, ყოველთვისაც განცდადი იყო ჩვენთვის, მაგრამ მხოლოდ ახლაღა გახდა ხელშესახები.

რაიმე საგნის ან მოვლენის აღსასრულით გამოთავისუფლებული სიცარიელე არის კიდეც მისი რეალური მნიშვნელობა. დანაკლისსაც ხომ იქამდე ვგრძნობთ, ვიდრე ერთის დანაკარგით გამოწვეულ სიცარიელეს მეორე არ ამოავსებს – „ქარის ქროლვასავითაა: ამოვარდება, რათა „ქარი ქრის“ დაიწეროს და ჩადგება, რათა „ქარი ქრის“ წავიკითხოთ.“ შოთა იათაშვილთან, ეს, ერთი შეხედვით, ბანალური იდეა, – კვდომისა და გაჩენის „მიმოქცევა“ – საინტერესო კვეთას პოულობს სწორედ ხელოვნებასთან, რომელიც საგნებისა და მოვლენების რეალური სახის მსაზღვრელი ხდება...

შოთა იათაშვილი არაერთი წიგნის ავტორია. 2007 წელს, „სანამ დროა“, როგორც საუკეთესო პოეტური კრებული, დაჯილდოვდა ლიტერატურული პრემიით „საბა“. პოეტის ბოლო ნამუშევარი წიგნის სახით („შრამი“) გასულ წელს გამოიცა.

გვერდები: 58, 138, 158, 165, 171

creative home

SALE 20-50%

საქართველო, თბილისი
ჭავჭავაძის 34 სავაჭრო ცენტრი პიქსელი
ალ.ყაზბეგის 24 სავაჭრო ცენტრი აქსისი
ქავთარაძის 1 ჰიპერმარკეტი გუდვილი
ტელ:2312620, 2183507

შესავალი მეღვინეობაში. გაკვეთილი პირველი.

ავტორი თამარ კვინიკაძე

„ქართული ღვინის გზამკვლევის“ მიხედვით, შარშან საქართველოში 66 მილიონი ლიტრი ღვინო გაიყიდა.

ამ მასალის მომზადებისას დაილია:

1 ჭიქა ოჯალეში / 2 ჭიქა საფერავი / 3 ჭიქა მწვანე ქისი / 2 ჭიქა ხიხვი.

ახალი წლის საბაბით „დიდი სმის“ ორკვირეული რომ იწყება, მამაჩემის ფუსფუსზე ვატყობ ხოლმე. ათას გზას მაინც აკეთებს სახლსა და სარდაფს შორის, გადააქვს ღვინო ჭურჭლიდან ჭურჭელში, ახარისხებს სხვადასხვა ლიტრიან ბოთლებში – ზოგი სახლისთვის, ზოგი – მეგობრის სუფრაზე წასაღებად. მერე ნელ-ნელა დერეფანში ჩნდება უზადოდ ორგანიზებული ბოთლების მწკრივები – თეთრები – ცალკე, წითლები – ცალკე, საომრად გამზადებული ჯარისკაცებივით.

დაახლოებით ათი წლის წინ, რომელიღაც ღვინის კომპანიამ ღვინის ტურზე მიგვიწვია ჟურნალისტები. ორი ბოთლი „რქაწითელი“ ჩამოვიტანე. მამაჩემს ვუთხარი, ეს ღვინო ნახე, რა კარგია, ექსპორტზე გააქვთ და ამდენი და ამდენი დოლარი ღირს-მეთქი. დიდხანს დადიოდა შეურაცხყოფილი და სულ წამომაძახებდა ხოლმე, ჩემი ღვინით სავსე ჭიქაში უფრო მეტი ყურძნის წვენი შედის, რაც მთელ მაგ ბოთლში ასხიაო!

მამაჩემი მარტო არაა. მამაჩემს მეგობრები ჰყავს, მათ კიდევ – თავიანთი მეგობრები. ყველანი აყენებენ ღვინოს და ყველანი ეჯიბრებიან ერთმანეთს უკეთესი ღვინის კეთებაში. მათი მამებიც აკეთებდნენ ღვინოს და მათი ბაბუებიც და სწორედ იმ დროიდან მოყოლებული, მთელი 70 წელი ითვლებოდა, რომ სახლის ღვინო საუკეთესოა. საქართველო ღვინის ქვეყანა, პირველ რიგში, ალბათ ამიტომცაა: ჩვენთან დღესაც ყოველ მეორე ოჯახში ჰგონიათ, რომ თვითონ ამზადებენ საუკეთესო სასმელს.

როგორც ახლად გამოშვებულ „ქართული ღვინის გზამკვლევში“ წერია, საქართველოში წარმოებული 150-250 ათასი ტონა ყურძნიდან 50 ათასი ტონა მუშავდება ღვინის კომპანიებში, ხოლო 100 ათას ტონაზე მეტს ოჯახები ყიდულობენ და საკუთარ, სახლის ღვინოს ამზადებენ. ახლა წარმოიდგინეთ, რა ძნელია, ასეთ ქვეყანაში იყო სომელიე („მე უკეთ ვიცი, რომელი ღვინო მივაყოლ ო მწვადს!“); ანდა გქონდეს მაღაზია და ბოთლის ღვინოს ჰყიდდე.

ღესელიძის ქუჩაზე მდებარე „ვინოთეკა“ ერთ-ერთია იმ 15-იოდე მაღაზიას შორის, სადაც ქართული ღვინის კომპანიებში დაყენებული ღვინო იყიდება. როგორც ამ მაღაზიების უმრავლესობაში, „ვინოთეკას“ კლიენტებიც ძირითადად უცხოელები არიან. მათ დღესასწაული საბაბად არ სჭირდებათ, რომ ღვინო შეიძინონ. ქართველი კლიენტები კი, ძირითადად, ახალი წლის დღეებში შემოდიანო, – მითხრეს „ვინოთეკაში“. იქ „M ჯგუფის“ სომელიეს გურამ ხარშილაძეს შევხვდი. ნახევრად ტკბილი ოჯალეში ჩამომისხა ჭიქაში, თავისთვის – საფერავი დაისხა და დავიწყეთ საუბარი ღვინოზე.



მაღაზია „ვინოთეკა“

სომელიე გურამ ხარშილაძე

მეუბნება: „ღვინომ ლაპარაკი არ იცის, ამიტომ მის მაგივრად, მე ვილაპარაკებ“. გურამი ამბობს, რომ სტუმართან გასაუბრების შემდეგ, სომელიემ რამდენიმე წამში უნდა მოახერხოს, ზუსტად შეურჩიოს სასმელი კლიენტს და თან არჩევანის სისწორეშიც დაარწმუნოსო. აი, შენ ეგ ოჯალეში დაუფიქრებლად შეგირჩიე, მაგრამ რასაც ღვინოზე მიყვები, ვხვდები, რომ არომატით მდიდარი ღვინოები მოგწონს, ამიტომ ნახევრად ტკბილი წითელი – ზუსტად შეგეფერებაო.

ეს მეორედ მემართება, როცა სალაპარაკოდ შერჩეულ უსულო ნივთიერებას მისულიერებენ. ჯერ ალპინისტებისგან გავიგე: „თუ მთას არ მოეწონე, უფლებას არ მოგცემს, წვერზე მოექცე“ და ახლა – გურამი: „ქართულ ღვინოს თავისი ხასიათი აქვს, თუ მთელი გულისყურით არ მიუდექი, არ გაგეხსნება, თავის ნამდვილ გემოს არ გაგიმხელს. რამდენჯერ მოგისმენია მოქეიფე კაცისგან – ეს ღვინო დასპირტულიაო. ყველა ღვინოშია სპირტი, მთავარია, იცოდე, როგორ გამოარჩიო გემოების მრავალფეროვნება“.

თუმცა, „დასპირტული სასმელის“ შიში ჯერ კიდევ ფესვგადგმულია ქართულ კულტურაში. მსგავსი დამოკიდებულება კომპანიების მიერ ჩამოსხმული სასმელების მიმართ, შეიძლება ითქვას, საბჭოთა ინერციაა. ოცი წლის წინ, ყველამ იცოდა, რომ ქარხნის ღვინო აუცილებლად ფალსიფიცირებული იყო და ბევრს ახლაც ასე ჰგონია. თუმცა, გურამი (და არა მარტო ის) მიმტკიცებს, რომ ბოლო წლების განმავლობაში

პირველი ქართული ღვინის გზამკვლევი
უკვე იყიდება

“ლიტერატურული კაფეების” ქსელში:
“წიგნის სახლი” - პეკინის #31
“ლიტერატურული” - ბამბის რიგი #7
“ლიტერატურული” - აბაშიძის #22
“ლიტერატურული” - თარხნიშვილის #2

წიგნის მაღაზიებში:
“სანტა ესპერანსა” - სანკტ-პეტერბურგის #12
“ლიგამუსი” - ჭავჭავაძის გამზ. #32
“წიგნები ვაკეში” - ფალიაშვილის #66
“პროსპეროს ბუქსი” - რუსთაველის #34
“დიოგენე” - აფაქიძის #9

ღვინის მაღაზიებში:
“la Maison de vin” - შარდენის #18
“ვინოთეკა” - კოტე აფხაზის #33
“ღვინის სახლი”
- პეკინის #45
- ლესელიძის #55

“ხარება” - რუსთაველის #50
“ხოხბის ცრემლები” - სიღნაღი, ნიკოლოზ ბარათაშვილის #18
“ღვინის სამყარო” - ლაღიძის #2

სასტუმროებში:
“რჩეული”
- ბათუმი, ჟორდანიას #31
- სიღნაღი, აღმაშენებლის #6
- ქუთაისი, გრიგოლ ხანმთელის #21ბ
- თელავი, ჭავჭავაძის გამზ. #154

“შერატონი “
- თბილისი, თელავის #20
- ბათუმი, რუსთაველის #28

“სიტადინი” - თავისუფლების მოედანი #4

მაღაზიაში:
“შემოქმედებითი სტუდია ემელი” - თუმანიანის #15

“საქართველოს ფოსტის” ჯიხურების ქსელში

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:
ტელ: + 995 32 2471005
მედია ჰაუსი დეკომი

2012

ქართული ღვინის გზამკვლევი

Georgian Wine Guide

მალხაზ ხარბედია
Malkhaz Kharbedia

სიტუაცია შეიცვალა. დღეს უკვე ბევრი კომპანია ასხამს ხარისხიან და სუფთა ღვინოს. მეტიც, ბოლო დროს, დავიწყებული ქართული ღვინის სახეობებიც აღადგინეს, მაგალითად წლების წინ – „ხიხვს“ მარტო გლეხი ამზადებდა, ახლა კი მასობრივად შეგიძლია შეიძინო.

როგორ გამოარჩიო კარგი ღვინო ყალბისგან? „ნამდვილი საზამთროს გემო ხომ გახსოვს? – მიხსნის გურამი, – ახლა გაიხსენე, „ორბიტის“ საზამთროს საღეჭ რეზინს რა გემო აქვს. აი, ასეთივე ხელოვნური ინტენსივობით იგრძნობა ზოგიერთ, ფალსიფიცირებულ ღვინოში რომელიმე ხილის არომატი, მაგალითად, თეთრ ღვინოში – ვაშლის“.

ახლა რომ მოსვი ეგ ოჯალეში, ისეთივე გემო ჰქონდა, როგორც 5 წუთის წინ? – მეკითხება უცებ. არ დავკვირვებივარ-მეთქი, ვპასუხობ და მიხსნის: რაც უფრო დიდხანს დგას ღვინო ჭიქით, მით უფრო იცვლის ხასიათს. სასმელს ჭიქის კედლებზე რომ მოარხევ, ბუკეტი იხსნება, ყოველ მორხევაზე ახალი არომატი ამოდის ზედაპირზე, ამიტომაც შეიძლება ყოველ ყლუპს სხვადასხვა გემო ჩაატანოო.

გურამი მეუბნება, რომ ბოლო დროს, ღვინის მოყვარულები სულ უფრო ხშირად აგემოვნებენ ასე სასმელს. თუ წინათ, ძირითადად, სულერთი იყო, რას დალევდნენ და რამდენს, ახლა ზოგჯერ 1-2 ბოთლ ღვინოს უკვეთავენ, მაგრამ ძალიან კარგს და ნელ-ნელა წრუპავენ. ეს ნიშნავს, რომ ღვინის ქვეყანაში ღვინის სხვაგვარ პატივისცემასაც ვსწავლობთ.

გურამმა მითხრა, რომ ქართული ღვინო აბსოლუტურად განსხვავდება მსოფლიო ბაზარზე გატანილი ყველა სხვა ღვინისგან. ღვინის გლობალურ ინდუსტრიაში დაახლოებით 65 პროცენტი ფრანგული სტილისკენაა წასული. ე.წ. ახალი სამყაროს ღვინოებიც – კალიფორნიაში, ჩილესა თუ ახალ ზელანდიაში ჩამოსხმული სასმელიც – ფრანგული სტილისაა. ამხელა, თითქმის ერთგვაროვან ბაზარს უპირისპირდება აბსოლუტურად გამორჩეული ხასიათის მქონე ქართული ღვინოო. აი, რომ წარმოიდგინო, მთელ ევროპულ მევენახეობაში ყურძნის 100-მდე აბორიგენული ჯიშია მხოლოდ, საქართველოში კი – 500-მდეო. მათგან, რაც უფრო მეტს აღვადგენთ, მით უფრო გამრავალფეროვნდება ქართული ღვინის არომატებიცო.

რაც შეეხება ქართულ ხალხურ თრობას, გურამი „მაგარ მსმელებს“ ასე „იცავს“: თვითონ ქართულ ღვინოს აქვს ეს თვისება – ნერწყვს ახშირებს. წიპწა ღვინოს სიმწკლარტეს მატებს, რაც ნერწყვის გამოყოფას აძლიერებს და შეიძლება, ქართველები ბევრ ღვინოს ამიტომაც სვამენო. თუმცა, ეს მხოლოდ ვერსიაა, რომელიც, თავად გადაწყვიტეთ, დაიჯეროთ თუ არა. წინასაახალწლოდ ხომ მაინც არავინ დაფიქრდება თემაზე – რატომ ვსვამთ ქართველები ბევრს. არც ღირს. ამიტომ მე მაინც ისე გირჩევთ, ქალი როგორც დაწერდა, პათეტიკურად: ჩამოასხით ლამაზ ბოკალში თქვენი რჩეული თეთრი, წითელი, ან ვარდისფერი. ხელის მსუბუქი მოძრაობით მიმოავლეთ ჭიქის კედლებზე და მერე თითოეულ ყლუპში ახალი არომატის აღმოსაჩენად მოემზადეთ. შეგარგოთ.

Cafe Kala acid bar Near Opera KGB still watching you 19 nineteen ცხრამეტი

19 is one hot dining experience.
Don’t miss the heat!
Cafe 19 Nineteen: 6 Erekle II st. tel: 591 211 919

Kala group

Cafe Kala: 8/10 Erekle II str. tel: 599 799 737. **Cafe KGB:** 8/10 Erekle II str. tel: 832 2985013, 599 674 488 **Acid Bar /1/**: 3a Kazbegi Ave. tel: 599 101 238.
Acid Bar /2/: 37 Abashidze str. tel: 591 681 000 **Acid Bar /3/:** 9 Leonidze st. tel: 592 221 131. **Cafe Near Opera:** 2 Lagidze str. tel: 599 681 166

ბიზნესი

ადამიანები მეთოდები სტრატეგიები

თუ იცი და მოქმედებ – მიაღწევ!

გამოიწერეთ ჟურნალი
“ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები”
და მიიღეთ ნომრის გამოსვლის დღეს,
თქვენთვის სასურველ ადგილას.
დაგვიკავშირდით: +995 32 2471005 “მედია ჰაუსი დეკომი”

ზურა ჯიშკარიანი

პოპ-აპოკალიფსების TOP 5

"it's the end of the world as we know it and I feel fine" REM

სამყაროს აღსასრული დიდი ჩრდილივით ადგას ყველა ეპოქას, ჟონავს ადამიანთა და კულტურის ინჟინერთა სიზმრებში, წმინდა წერილებსა და ყოველდღიურობაში. ყველა ცივილიზაციას, ყველა რელიგიას აქვს აღწერილი თავისი აპოკალიფსი. მთელი ისტორიის მანძილზე ადამიანები პლანეტის სხვადასხვა ნაწილში ელოდნენ აპოკალიფსს და თითოეულს დასასრულის თავისი ვერსია ჰქონდა – თარიღები მუდმივად იცვლებოდა; აპოკალიფსი ვერცხლისწყალივით უსხლტებოდა ხელიდან მომლოდინეს.

ჩვენი, მილენიუმის ეპოქა განსაკუთრებით დახუნძლულია სამყაროს დასასრულის კონცეფციებით. გლობალიზაციასა და პლანეტარული ქსელის განვითარებასთან ერთად, აპოკალიფსის ასობით ვერსია ერთმანეთს შეერწყა და განაყოფიერდა. მეცნიერები აწყობენ კონფერენციებს, რომელზეც განიხილავენ დასასრულის ყველაზე რეალურ ვერსიებს – „ეგზისტენციალურ საფრთხეებს", როგორც თავად უწოდებენ. ჰოლივუდი ყოველ მეორე თვეს უშვებს ახალ თრეშულ ბლოკბასტერს, სადაც წინასწარ გვაჩვენებს თუ როგორ დასრულდება ადამიანური რასის არსებობა. თითქოს, ის პლანეტარული კულტურა, რომელიც იბადება ჩვენს თვალწინ, აპოკალიფსური კულტურაა.

ჩვენი ილუზორული კომფორტი ეფუძნება ბრმა რწმენას, რომ რაღაცები მუდმივად განმეორდება – ყოველ დილით ამოვა მზე, ონკანის მოშვებისას წამოვა წყალი, ომის შემთხვევაში ჩვენი არმია გადაგვარჩენს ა.შ. და ა.შ.. მაგრამ, ერთ დღეს, შეიძლება, საპირისპირო რეალობის წინაშე დავდგეთ; ჩვენი წარმოდგენა, რომ მყარ ნიადაგზე ვდგავართ, გაქრება, როგორც ეს ხშირად ემართება ფისოს „ტომი", მულტფილმიდან „ტომი და ჯერი".

2012 წლის დამდეგს, რომელიც ბევრის წარმოდგენაში არმაგედონის წელია, გთავაზობთ თანამედროვე არმაგედონების ყვითელ ტოპ ხუთეულს.

5. მეორედ მოსვლა
4. ატომური აფეთქება
3. აპოკალიფსი კოსმოსიდან
2. რობოკალიფსი
1. 2012

5. მეორედ მოსვლა

მეორედ მოსვლა აპოკალიფსური ჩარტების მუდმივი სტუმარი და ჩვენი ბავშვობის ერთ-ერთი ყველაზე საშიში, ფავორიტი აპოკალიფსია. ციური ცეცხლი, მკვდრების აღდგომა, პლანეტის ნახევარი მოსახლეობის ამოწყვეტა, ნიშნები – ცაში, გლობალური კატაკლიზმები, ანგელოზთა გამოცხადება, საშინელი სამსჯავრო, რომლის დროსაც ღმერთი თავის რჩეულებს მარჯვნივ დაიყენებს, შეძულებულებს კი – მარცხნივ; მანამდე იქნება კოსმიური ომი ჯოჯოხეთის ბოროტ და სამოთხის კეთილ არმიებს შორის. მეორედ მოსვლა ყველაზე დიდი და ორიგინალური ბლოკბასტერია, – აპოკალიფსების მატრიოშკა, ჰოლივუდამდე რამდენიმე ათასი წლით ადრე შექმნილი.

ნებისმიერი ბლოკბასტერი მხოლოდ და მხოლოდ მკრთალი ანარეკლია მოვლენების, რომელიც აღწერილია ბიბლიასა და ახალ აღთქმაში და რომელსაც, – მიუხედავად იმისა, რომ პირველივე საუკუნიდან ის ბევრჯერ დაინიშნა და გადაიდო, – მთელ მსოფლიოში მილიარდობით ადამიანი მოუთმენლად ელოდება. ბევრი იმასაც ფიქრობს, რომ აპოკალიფსი უკვე კარზეა მომდგარი.

სავარაუდო სცენარი:

2000 წლის წინ, დემიურგმა ადამიანების ცოდვებისგან დასახსნელად თავისი შვილი, იესო გამოგზავნა. უგუნურმა ადამიანებმა ის ჯვარზე გააკრეს. ამბობენ, რომ იესო მეორედ დაბრუნდება, რაც ადამიანთა განსასჯელად და ბოროტების დასამარცხებლად მოხდება. მის დაბრუნებასთან ერთად კი დასრულდება სამყაროს არსებობაც იმ ფორმით, როგორითაც მას ვიცნობთ.

დიდი ხანი ვფიქრობდი, როგორ აღმეწერა ეს დასასრული და ბოლოს, აღწერის საუკეთესო ვარიანტი ქართული ვიკიპედიიდან დავაკოპირე:

„ბიბლიის მიხედვით, მეორედ მოსვლა მოხდება მას შემდეგ, რაც ადამიანები დაივიწყებენ ჭეშმარიტ ღმერთს, გარყვნილება და სხვადასხვაგვარი ურჯულოებანი მომრავლდება; ამას მოჰყვება ცრუ ქრისტეს, ანტიქრისტეს მოსვლა დედამიწაზე. ანტიქრისტე 1290 დღეს იმეფებს. იგი აიძულებს ყველა ადამიანს, დიდსა თუ პატარას, მიიღოს მხეცის ნიშანი შუბლზე ან მარჯვენა ხელზე – ამით მოიპოვებს მსოფლიო ძალაუფლებას და კონტროლს ადამიანებზე. სავარაუდოდ, ანტიქრისტე, თითქოს, მშვიდობის დასამყარებლად მოვა, მაგრამ, რეალურად, მხოლოდ ომს, უბედურებასა და შიმშილს მოიტანს. დაახლოებით, სამწლიანი მმართველობის შემდეგ, მას დაამარცხებს წმინდა „კრავი“ და სატანას 1000 წლით დაატყვევებენ. ის ცოცხლად იქნება გეენაში, ცეცხლისა და გოგირდის ტბაში ჩაგდებული, მაგრამ ეს ქვეყანა ერთბაშად არ დაასრულებს არსებობას, – ადამიანებს კვლავ მიეცემათ 40 დღე ცოდვების მოსანანიებლად. ამ 40 დღის განმავლობაში ცაზე დარჩება გაბრწყინებული ჯვარი უფლისა, რომელიც მოუწოდებს ცოცხლად დარჩენილ ადამიანებს სინანულისაკენ.“

ქართველი დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი ამ სცენარს დამატებით ფაქტებს ამატებს. ერთ-ერთ ქადაგებაში ის ამბობს, რომ ამერიკა ჩაიძირება და იგივე ბედი ეწევა რუსეთის დიდ ნაწილსაც, ხოლო ბოლო ჟამის მოახლოების უტყუარი ნიშანი ევროკავშირის დაარსებაა, რომელიც, მისივე სიტყვებით, წმინდა ბერებმა იწინასწარმეტყველეს.

ინსტრუქცია
როგორ მოვიქცეთ „მეორედ მოსვლის“ ჟამს?

საუკეთესო ინსტრუქცია თავად ახალ აღთქმაშია: „იუდეას მყოფნი მთებს შეეფარონ. და ერდოზე მყოფი ნუ ჩამოვა ძირს, თავისი სახლიდან რაიმეს გამოსატანად. ხოლო მინდვრად მყოფი ნუ მიბრუნდება შინ, თავისი სამოსის წამოსაღებად. ილოცეთ, რათა გაქცევამ არ მოგიწიოთ ზამთარში, ანდა შაბათს. რადგან იქნება მაშინ დიდი ჭირი, რომლის მსგავსი არ ყოფილა ქვეყნის დასაბამიდან დღემდე, და არც იქნება.“

მათ, ვისაც, უბრალოდ, გადარჩენა სურს, ვერ დავამშვიდებ – აპოკალიფსის ამ ვარიანტში არ იარსებებს ბოლომდე უსაფრთხო ადგილი. ერთადერთი გამოსავალი ყველაფრის ისე მიღებაა, როგორც იქნება, ან, სხვა შემთხვევაში, აირჩიეთ თქვენი მხარე და იბრძოლეთ ანტიქრისტეს ლაშქარში ან დაუდექით მხარში უფლის ანგელოზებს.

საკითხავი ლიტერატურა:

ახალი აღთქმა, კერძოდ, – „იოანეს გამოცხადება“.
ფილმები: სტუდია „გრაალის“ მიერ გადაღებული ფილმი „ქვეყნის აღსასრული“.
ქრისტიანული აპოკალიფსის საუნდტრეკი: დაგუგლეთ შემდეგი სიტყვები — ანგელოზების გალობა.

„უკანასკნელი სამსჯავრო. ჯოჯოხეთი“, პიერონიმუს ბოსხი

4. ბირთვული ომი

ჩვენი დროის აპოკალიფსების ერთ-ერთი ლიდერი ბირთვული ომია, რომელსაც მესამე მსოფლიო ომსაც ეძახიან. მეოცე საუკუნის შუა წლებიდან სახელმწიფოებმა გამალებული შეიარაღება დაიწყეს „პატარა მზეებით“, რომლებიც ახლა, 2011 წლისთვის ისეთი რაოდენობით დაგროვდა, რომ რამდენიმეჯერ შეუძლია მთელი სიცოცხლის განადგურება ჩვენს პატარა ლურჯ პლანეტაზე. ბირთვული იარაღის ერთ-ერთმა შემქმნელმა – რობერტ ოპენჰაიმერმა, ასეთი რამ განაცხადა თავისი „შვილის“ დაბადებაზე, (ვგულისხმობ ატომური ბომბის პირველ ცდებს) : „ჩვენ ვიცოდით, სამყარო უკვე აღარასოდეს იქნებოდა ისეთივე, როგორიც აქამდე იყო.“

სავარაუდო სცენარი:

როგორც ერთი დოკუმენტური ფილმის დასაწყისშია: „ატომური ომის სცენარი მარტივია“ – რომელიმე ქვეყნის გამიზნულ ან რაიმე გაუთვალისწინებელ შეცდომას (გიჟი გენერალი გამშვებ ღილაკს ააქტიურებს, ტერორისტები ატომურ იარაღს ეუფლებიან, ქვეყნის საჰაერო დაცვის კომპიუტერულ სისტემაში შეცდომა ხდება...) მოწინააღმდეგე ქვეყანა არანაკლები ატომური ჰუკით პასუხობს. იწყება ტოტალური დაბომბვა და ქაოსი, იწყება მსოფლიო ატომური ომი. ბირთვული განთიადების თეატრი გახსნილად ცხადდება, – ცეცხლი აინთო თამაში დაიწყო.

ერთ-ერთი სცენარის მიხედვით, პირველი აფეთქებებით პლანეტის მოსახლეობის 70-90 პროცენტი განადგურდება. ტკივილს არავინ იგრძნობს – სიკვდილი იქნება მომენტალური; მაქსიმუმ, რასაც მოასწრებთ, დამაბრმავებელი სინათლის ხილვაა, რომელსაც მოჰყვება აფეთქების მძლავრი ტალღა.

თუ გადაურჩით აფეთქებას, შეიძლება, ძალიან ინანოთ, იმიტომ, რომ აპოკალიფსის „ატომური“ სცენარის კულმინაცია ის პერიოდია, რომელიც აფეთქებების შემდეგ დგება; სტიქიური და ტოტალური ხანძარი რამდენიმე დღეში მოედება მთელ მსოფლიოს, გაქრება დედამიწის მაგნიტური ველი, ცა დაიფარება ფერფლით და აღარ გაატარებს მზის სხივებს, რის შედეგადაც დადგება, მინიმუმ, ერთწლიანი ბირთვული ღამე, – უკანასკნელი დღეები მზის გარეშე. ასე დაიწყება პლანეტაზე ტოტალური ბირთვული ზამთარი. უმზეობის გამო ჰაერი გაცივდება, ტემპერატურა თანდათან მინუს 80 გრადუსამდე დაეცემა. ყველა, ვინც გადაურჩა აფეთქებებს, შემდეგ კი – ხანძრებს და ბუნებრივ კატაკლიზმებს, მარადიული ზამთრის ტყვე გახდება.

ატომური აპოკალიფსის შედარებით მსუბუქი ვერსიის მიხედვით, – ბირთვული ზამთრის ნაცვლად, ბირთვული შემოდგომა დადგება და კაცობრიობის მოსახლეობის რაღაც ნაწილი სამალავებში გადარჩება. ძირითადად, ჩვენ პატარა ჯგუფებად – ახალ ატომურ თემებად – ვიცხოვრებთ, რომ ერთად გადავიტანოთ ყველა ის საფრთხე, რომელიც გველოდება ახლო მომავალში, მათ შორის: მოწამლული წყალი, ეპიდემიები, მუტაციები და ბოროტი მუტანტები, კანიბალებისა და მარადიორების დაჯგუფებები, მუტირებული ტარაკნები, რადიაცია, რომელიც ყველაფერში ატანს და ა.შ. და ა.შ.

ინსტრუქცია
როგორ მოვიქცეთ ბირთვული აპოკალიფსის პირობებში?

პირველ რიგში, გაიქეცით, რაც შეიძლება შორს – აფეთქების ეპიცენტრიდან. ნუ დალევთ წყალს ონკანიდან. შეეცადეთ, არ ისუნთქოთ მოწამლული ჰაერი.

ძალიან კარგი იქნება, თუ ახლავე დაიწყებთ ამ დღესასწაულისთვის მზადებას – მოიწყვეთ სამალავი მიწის ქვეშ, საკვებისა და წყლის დიდი მარაგით. წინასწარ მოიფიქრეთ, როგორ გამართავთ ვენტილაციას ბირთვულ სამალავში. აუცილებლად შეიძინეთ იარაღიც – გამოგადგებათ მუტანტებისა და კანიბალებისგან თავის დასაცავად, როდესაც, ნახევარი წლის მერე, პირველად ამოხვალთ დედამიწის ზედაპირზე.

დაემშვიდობეთ ფეისბუქს და ინტერნეტს. შეეცადეთ, კარგი საკითხავი წიგნები ჩაიტანოთ სამალავში. იშოვეთ ვიდეომაგნიტოფონი, – წაიღეთ ფილმები პაციფიზმისა და კარატეს შესახებ; ბრიუს ლის კოლექცია ყველაზე კარგი ვარიანტია – უკეთესზე რაზე აღზრდით შვილს პოსტაპოკალიპტურ სამყაროში?!

საკითხავი ლიტერატურა:

Cresson H. Kearny _ Nuclear War Survival Skills [1979]

Главное управление службы местной ПВО МВД СССР _ Памятка населению по защите от атомного оружия [1954]

ფილმები: დაგუგლეთ შემდეგი სიტყვები – List of nuclear holocaust fiction.

ბირთვული აპოკალიფსის საუნდტრეკი: Coil - Fire of the Mind.

3. ᲐᲞᲝᲙᲐᲚᲘᲤᲡᲘ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘᲓᲐᲜ

არაფერია მარადიული სამყაროში – თვითონ სამყაროც კი. რაც იბადება, ის ოდესმე კვდება. აპოკალიფსის კოსმოლოგიური ვერსიები რამდენიმე პოპულარულ სცენარს შეიცავს. ეს ჩემი საყვარელი ვერსიებია თავისი ყოვლისმომცველობით და ვიზუალური ეფექტების გათვალისწინებით:

- ასტეროიდის დარტყმა
- ვარსკვლავის აფეთქება
- შავი ხვრელი ჩვენს გალაქტიკაში
- უცხოპლანეტელების შემოსევა

ᲐᲡᲢᲔᲠᲝᲘᲓᲘᲡ ᲓᲐᲠᲢᲧᲛᲐ: ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝ ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲘ

ასტეროიდი დინოზავრების ოქროს ხანის გამანადგურებელი და ჩვენი სიცოცხლის მშობელია, თუმცა ის, ასევე, შეიძლება, ჩვენი აპოკალიფსის მხედარიც გახდეს. მიუხედავად თავისი პოპულარობისა ყვითელ პრესაში, ინტერნეტსა და ბლოკბასტერებში, ასტეროიდული აპოკალიფსი საკმაოდ რეალურია. მზის სისტემაში, სადაც ჩვენი პლანეტა ტრიალებს, მეტეორებისა და ასტეროიდების ძალიან დიდი კონტინგენტი, ასტეროიდების სარტყელი არსებობს. ამ სარტყელში უამრავი ვერშემდგარი პლანეტა მოძრაობს და ერთმანეთს ეჯახება; ერთ-ერთი ასეთი შეტაკების შედეგად, რომელიმე მათგანი, შეიძლება, ჩვენი მიმართულებითაც წამოვიდეს – გვექნება რამდენიმე დღე ან საათი, მას შემდეგ, რაც მეცნიერები ციური სხეულის ტრაექტორიას გამოითვლიან.

ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐ
ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲕᲘᲥᲪᲔᲗ ᲐᲡᲢᲔᲠᲝᲘᲓᲗᲐᲜ ᲨᲔᲯᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ?

თუ ასტეროიდი პატარა ან საშუალო ზომისაა, ააშენეთ სამალავი, მაგრამ თუ ასტეროიდი დიდია, სამალავი არ გიშველით. დახედეთ საათს, გამოითვალეთ რამდენი დრო დაგრჩათ და ამის მიხედვით დაგეგმეთ თქვენი აპოკალიფსური დღესასწაული. გამოკითხვების მიხედვით, ადამიანთა უმრავლესობას ამ დროს ოჯახის წევრებთან ურჩევნია ყოფნა. თუმცა, არ დაგავიწყდეთ, რომ დაგჭირდებათ იარაღი ოჯახის დასაცავად – ყოველთვის გამოჩნდება რამდენიმე გადარეული, რომელიც აუცილებლად შეაწუხებს გარშემომყოფებს. შეგიძლიათ, მათაც შეუერთდეთ; ტეხეთ ბანკები, იჟიმავეთ ქუჩაში, იცვალეთ მანქანები, ხატეთ გრაფიტი, იარეთ ცალ-ცალი წინდით – მაინც ყველას კიდია. თქვენ, შეგეძლებათ, კაცობრიობის დასასრული საკუთარი პერვერსიული ოცნებების დღესასწაულად გადააქციოთ.

ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘᲡ ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲐ: ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝ ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲘ

თუ ერთ დღესაც, ზეცაში ორ მზეს დაინახავთ, იმისგან დამოუკიდებლად, თუ რამდენად ლამაზი იქნება ეს მოვლენა, იცოდეთ, დასასრული ახლოსაა. ეს ნიშნავს, რომ ჩვენს გალაქტიკურ სამეზობლოში ვარსკვლავი აფეთქდა. ჩვენს გალაქტიკაში, რომელიმე ვარსკვლავის აფეთქების შედეგად, სივრცეში გაიტყორცნება არანორმალური რაოდენობის გამა გამოსხივება, რომელიც სასიკვდილოა ყველა ფორმის სიცოცხლისთვის. დედამიწამდე ის რამდენიმე დღეში მოაღწევს. ასტეროიდის მძიმე დარტყმისგან განსხვავებით, ეს აპოკალიფსი დღეების მანძილზე გაგრძელდება. ცა ნელ-ნელა შეიცვლის ფერს, დაიწყება ბუნებრივი კატაკლიზმები, გამა გამოსხივების ზეწოლის ქვეშ დედამიწის ელექტრომაგნიტური საფარველი „გალღვება“.

NASA-ს ᲘᲛᲘᲯᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲚᲔᲠᲔᲘᲓᲐᲜ

ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐ
ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲕᲘᲥᲪᲔᲗ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘᲡ ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ?

თქვენ უკეთ მიხვდებით, რა გააკეთოთ, როცა დრო მოვა – მიჰყევით გულის ძახილს და დატკბით ორი მზით – ცაში; მსგავსი რამ ძალიან იშვიათად ხდება სხვა პლანეტებზეც.

ᲣᲪᲮᲝᲞᲚᲐᲜᲔᲢᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲔᲕᲐ: ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝ ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲘ

ალბათ, ბევრმა იცის, როგორი ქაოსი გამოიწვია ამერიკის ქალაქებში ორსონ უელსის რადიოპრემიერამ, – როდესაც გავრცელდა მიმართვა ამერიკელი ერისადმი, რომ დედამიწას ბოროტი მარსიანელები შემოესივნენ. ეს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სცენარია კაცობრიობის დასასრულის. ერთ დროს თეთრი ადამიანი წითელკანიან, მილიტარისტულად განუვითარებელ ამერიკას შეესია და გაანადგურა რამდენიმე ცივილიზაცია, ახლა კი ამ ადამიანს ეშინია იმის, რომ, შესაძლოა, სადმე, კოსმოსში აღმოჩნდეს მასზე უფრო ძლიერი და მასავით გულქვა ცივილიზაცია, რომელიც, ადრე თუ გვიან, მოაკითხავს, რათა დაიმონოს ან უბრალოდ გაანადგუროს. შემოსევა იქნება მყისიერი და მწყობრიდან გამოიყვანს „მსოფლიოს მთავარ სახელმწიფოს“, ჯარებს და ტექნოლოგიას; ყველა დიდ მეგაპოლისს უზარმაზარი კოსმოსური ხომალდების აჩრდილი დაადგება, სახელმწიფოები იძულებულები გახდებიან, კაპიტულაცია გამოაცხადონ. ერთადერთი იმედი უშიშარ და სასოწარკვეთილ პარტიზანულ რაზმებზე დარჩება, რომლებიც სისხლის ბოლო წვეთამდე იბრძოლებენ კაცობრიობის გადასარჩენად.

ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐ
ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲕᲘᲥᲪᲔᲗ ᲣᲪᲮᲝᲞᲚᲐᲜᲔᲢᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ?

ჩაეწერე მოხალისე პარტიზანად!

საკითხავი ლიტერატურა:

კოსმოლოგიისა და ასტრონომიის სახელმძღვანელოები. ჰერბერტ უელსი – „სამყაროთა ომი“ [1897]

ფილმები: დამოუკიდებლობის დღე [1996] , არმაგედონი [1998], თვითმარქვია [2002], სამყაროთა ომები [2005], დოკუმენტური ფილმები კოსმოლოგიურ საკითხებზე.

საუნდტრეკი კოსმო-აპოკალიფსისთვის: ყველაფერი რაც გაფიქრებთ კოსმოსზე.

2. რობოკალიფსი – ტექნოლოგიური სინგულარობა

1993 წელს კოსმოსური კვლევების ცენტრის, „ნასა“-ს მიერ ორგანიზებულ სიმპოზიუმზე „VISION-21“ მათემატიკოსმა და ფანტასტმა მწერალმა, ვერნონ ვინჯიმ განაცხადა: „ჩვენ ისეთი ცვლილებების ზღვარზე ვდგავართ, რომელიც მხოლოდ დედამიწაზე ადამიანის გაჩენას თუ შეედრება“. ტექნოლოგიური განვითარებისა და აღმოჩენების სიჩქარე ყოველწლიურად ორმაგდება და უახლოეს 30-50 წელიწადში ინფორმაციისა და პოსტ-ინდუსტრიული რევოლუციის ამ ცუნამიმ, შესაძლოა, ტექნოლოგიურ სინგულარობამდე მიგვიყვანოს. ეს ცვლილებების უკიდურესი წერტილია, რომლის იქით შეუძლებელი გახდება პლანეტარული ევოლუციის განვითარების რომელიმე ვარიანტის პროგნოზირება. ვინჯი თავის გამოსვლაში ამბობდა: „ტექნოლოგიური სინგულარობა ისეთი წერტილია, რომელშიც ჩვენი ძველი მოდელები გადასაგდები იქნება, – წერტილი, სადაც გამეფდება სრულიად ახალი რეალობა.“ ძირითადად, სინგულარობის დაწყებას ხელოვნური ინტელექტის ან სხვა ტიპის მოაზროვნე, „სპირიტუალური“ მანქანების შექმნას, კვანტურ სუპერკომპიუტერებს და ნანოტექნოლოგიებში გარღვევას უკავშირებენ, რომლის შემდეგ, შეუძლებელია ადამიანური ლოგიკით გათვალო, რას მოიმოქმედებენ ეს მანქანები.

მეცნიერებმა არ იციან, მაგრამ ურბანული მითები უკვე ჰყვებიან „მომავლის ისტორიას“. რა თქმა უნდა, მანქანები კაცობრიობის წინააღმდეგ ამხედრდებიან; გამოჩნდება „რობოტი-სპარტაკი“, რომელიც აუჯანყდება ადამიანების იმპერიალიზმსა და ბიოლოგიურ შოვინიზმს. აქ რამდენიმე ვარიანტია – ერთი მხრივ, გვაქვს ხელოვნური ინტელექტის მიერ მართული რობოტების არმია, რომელიც ებრძვის ადამიანთა კოალიციურ არმიებს და მეორე მხრივ – ქსელში აღზევებული სუპერინტელექტი, რომელიც ჩათვლის, რომ ადამიანები მავნეები არიან პლანეტის განვითარებისთვის და მიიღებს მათი განადგურების გადაწყვეტილებას. ასე იწყება რობოკალიპსი – ყველაზე მძიმე და შესაძლოა, უკანასკნელი პერიოდი ადამიანურ ისტორიაში.

სავარაუდო სცენარი

მსოფლიოს ყველა რობოტი, ყველა სათვალთვალო სისტემა, ყველა ტექნოლოგია, რომლის მონურ მომსახურებასაც დავეჩვიეთ, ჩვენი მტერი გახდება – ეს მზაკვარი მანქანები „მწყობრიდან გამოვლენ“. თქვენი ბაღის მომვლელი რობოტი დიდი ხანია ამზადებს შურისძიების გეგმებს. სამხედრო მანქანები არ დაემორჩილებიან სამხედროთა ღილაკებს და ბრძანებებს. დაიწყება ადამიანური რასის ტოტალური გენოციდი. ჩვენგან განსხვავებით, რობოტები უფრო მყარი მასალისგან შედგებიან, – თუ ჩვენ ყვავილის ეკალი გვნებს, რობოტის დაშინება და განადგურება არც ისეთი იოლი იქნება. რამდენიმე დღეში რობოტები, ჩვენ მიერ შექმნილი არსებები, რომლებსაც ინტელექტი „გაუჩნდათ“, პლანეტის ახალ ბატონ-პატრონებად მოგვევლინებიან, აქა-იქ შემორჩენილი ადამიანები კი მომაკვდავ რასად გადაიქცევიან. ეკოლოგია შეირყევა: იქ, სადაც იყო ტბა, გაჩნდება დიდი ქარხანა, რომ რობოტების ერთმა ჯგუფმა ახალი რობოტები შექმნას, ხოლო ჩვენი და ჩვენი ქალაქებისგან ნანგრევები და თავის ქალები დარჩება, რომლებიც რობოტის ნაბიჯების წნევის ქვეშ ჩიფსებივით დაიშლებიან.

„უახლოეს 30 წელიწადში ჩვენ გვექნება ტექნოლოგიური შესაძლებლობა, რომ შევქმნათ ზეადამიანური გონება. მცირე დროში ამ მოვლენიდან ადამიანური ერა დასრულდება“, – აღნიშნა იმავე გამოსვლაში ვერნონ ვინჯიმ.

ინსტრუქცია
როგორ მოვიქცეთ რობოკალიფსის შემთხვევაში?

პარადოქსია, მაგრამ მომავლის ექსპერტები ამბობენ, რომ რობოტების აპოკალიფსის შემთხვევაში ადამიანის მოდგმა შეიძლება გადაარჩინონ მისმა ისეთმა „უარყოფითმა“ თვისებებმა, როგორიცაა – ირაციონალურობა, ფარისევლობა, ემოციურობა, ალოგიკურობა და აბსურდულობა, რომლებიც საკმაოდ რთული ამოსაცნობი იქნება რკინის ლოგიკის მიმყოლი რობოტებისთვის. მეამბოხეთა არმიებმა უნდა ისწავლონ კრიტიკულ მომენტებში აბსურდის თეატრის ორგანიზება, რათა რობოტებმა ვერ გამოთვალონ ჩვენი შემდეგი ნაბიჯები. ამის გარდა, გახსოვდეთ – სიცხე, წყალი და ნესტი კიბერნეტიკული სხეულების პირველი მტერია.

ბოლო გამოსავალი კი ადამიანის გაძლიერებაა. გენეტიკური ინჟინერიისა და რობოტიკის დახმარებით შეგვიძლია გავაუმჯობესოთ ჩვენი შესაძლებლობები და ჩამოვყალიბდეთ კიბორგებად, რომლებსაც საკადრისი პასუხის გაცემა შეუძლიათ გათავხედებული რობოტებისთვის. შედეგების მიუხედავად, ადამიანი უკვე არასოდეს იარსებებს იმ ფორმით, როგორითაც მას ვიცნობთ დღეს. RIP womankind!

საკითხავი ლიტერატურა:

Willson "How to Survive a Robot Uprising: Tips on Defending Yourself Against the Coming Rebellion" [2005]

Ray Kurzweil "The Singularity is near"

ფილმები: Terminator -1,2,3,4.

საუნდტრეკი რობოკალიფსისთვის: Varèse Sarabande - Terminator 2: Judgment Day Original Motion Picture Soundtrack

1.
2012 წლის 21 დეკემბერი

2012 წლის საგა ბოლო დროის აბსოლუტური აპოკალიპტური ჰიტია. ყველა სხვა აპოკალიფსისგან განსხვავებით, ეს მითი პირდაპირ ასახელებს თარიღს, თუ როდის დადგება დედამიწის ბოლო დღე, რომელსაც, დიდი ალბათობით, თითოეული ჩვენგანი მოესწრება. მსოფლიოში მილიონობით ადამიანი ემზადება ამ მომენტის შესახვედრად. მედია და ჰოლივუდი მუდამ ატრიალებენ შესაბამის თემას კულტურის არხებზე, მსოფლიოს ყველა მისტიკოსი და ოკულტისტი დასასრულის თავის ვერსიას აყენერებს, ფეისბუქზე კი ივენთები იქმნება, საიდანაც მოსაწვევები ეგზავნებათ მსურველებს.

სავარაუდო სცენარი:

2012-თან დაკავშირებით ბოლო წლებში იმდენი ვერსია შეიქმნა, რომ ის თამამად შეგვიძლია დავასახელოთ ნომერ პირველ „ცხელ-ცხელ“ აპოკალიფსად; ამავდროულად, „2012“ თავის თავში აერთიანებს თითქმის ყველა ზემოჩამოთვლილი აპოკალიფსის სცენარს – ყველამ იცის, რომ 2012-ში რაღაც მოხდება, მაგრამ, კონკრეტულად, არავინ იცის, – რა. 2012 უკვე ჩვენს კარებზე აკაკუნებს და „ვისაც ყური აქვს, ისმინოს“.

ამ წელს მთავრდება ბრძენი ინდიელების, მაიას ტომის კალენდარი, – მთავრდება სიცოცხლის ბოლო ციკლი. იქნება პლანეტების იშვიათი აღლუმი – ერთ მწკრივში ჩადგებიან არა მხოლოდ მზის სისტემის პლანეტები, არამედ სხვა ვარსკვლავებიც ჩვენი გალაქტიკიდან. მზეზე მოხდება აფეთქებები, რომელთა მძლავრი ტალღა ძალიან მალე მოაღწევს დედამიწამდე. გაითიშება ელექტროობა, განადგურდებიან ჩვენი სატელიტები და საკომუნიკაციო სისტემები. პლანეტა ჩაიძირება ქაოსსა და ომებში. მოსალოდნელია საშინელი ბუნებრივი კატაკლიზმები. თავისი შორი „მოგზაურობიდან“ დაბრუნდება და მოგვიახლოვდება მისტიური ბნელი პლანეტა „ნიბირუ“, რომელიც, ბევრის აზრით, ჩვენი „შემქმნელებითაა“ დასახლებული.

თერენს მაკენნა თვლიდა, რომ სწორედ ამ დროს დადგება სინგულარობა ანუ იგივე „ნულოვანი დრო“: „აშკარაა, რომ თუ დღეს განვიცდით გაცილებით მეტ ცვლილებას, ვიდრე – აქამდე, მთელი ათასწლეულის განმავლობაში, ჩვენ შეგვიძლია, განვავრცოთ ეს ტენდენცია მომავალზე, რომელშიც დადგება დღე, როცა ჩვენ გადავიტანთ გაცილებით მეტ ცვლილებას ერთი საათის განმავლობაში ვიდრე გადაგვიტანია უკანასკნელი 20-30 ათასი წლის მანძილზე. ასეთი სიტუაცია წარმოუდგენელია ჩვენი გონებისთვის – ამიტომ ვეძახით მას სინგულარობას, ადგილს, სადაც მოდელირების ნორმალური წესები იმსხვრევა. თანამედროვე რელიგიები ელოდებიან ამ მომენტს და ეძახიან მას დროის დასასრულს. ტექნოლოგიური საზოგადოება ელოდება სინგულარობას, ოღონდ ოპერირებს სხვა სიტყვებით, როგორიცაა, მაგალითად, „ხელოვნური ინტელექტი“ ან რამე ამდაგვარი. რა ფორმითაც არ უნდა განხორციელდეს ეს მოვლენა, ჩვენ დავესწრებით დრამატულ ევოლუციურ ნახტომს კომპლექსურობის უფრო ღრმა დონეებში, ვიდრე ამას

უზრუნველყოფს ბიოლოგია ან ბიოლოგია და კულტურა ერთად. ჩვენ ვართ რაღაც ჭეშმარიტად ლამაზი და შეუცნობელი მოვლენების ზღურბლზე.“

ინსტრუქცია
როგორ მოვიქცეთ 2012 წლის 21 დეკემბერს?

ვერსიები იმდენად ბევრია, რომ რთულია ყველა სცენარის გათვლა, ამიტომ კონკრეტული ინსტრუქციები არ იქნება. სავარაუდოდ, ფსონი უნდა დადოთ რომელიმე აპოკალიფსზე და თუ გაგიმართლებთ და მოიგებთ ჯეკ-პოტს, თქვენ, შეიძლება, გადაიტანოთ არმაგედონი და გახდეთ ახალი, ცეცხლითა და მახვილით განწმენდილი ცივილიზაციის დამაარსებელი. იფიქრეთ, თუ როგორი იქნება თქვენი ცივილიზაცია.

არსებობს აპოკალიფსის კიდევ ბევრი პოპულარული ვერსია, რომელთა გათვალისწინებით თავისუფლად მოხერხდება საუკეთესო ოცეულის შედგენაც კი. განსაკუთრებით პატიებას ვითხოვ „ზომბი აპოკალიფსის“ მრავალრიცხოვანი ფანებისგან, მაგრამ, ჩემი აზრით, აპოკალიფსის ეს ვერსია ცალკე სტატიის თემაა.

სხვადასხვა სწავლება ამბობს, რომ აპოკალიფსები, სინამდვილეში, რაიმე კონკრეტული მოვლენის აღწერა კი არ არის, არამედ უფრო კოლექტიური, ქაოტური მეტაფორებია იმ რადიკალური ცვლილებების, რომლებიც ჩვენს თავში უნდა მოხდეს, როცა ჩვენ გადავწყვეტთ, ჩვენი ბიო-რობოტული, მატლისებური არსებობა შევცვალოთ მფრინავი პეპლების ცხოვრებით, – ხოლო ის, რაც პეპლისთვის დაბადებაა, მატლისთვის აპოკალიფსია.

საკითხავი ლიტერატურა:

ნებისმიერი თრეში, სათაურით „2012“ და რამე მსგავსი.

ფილმები: ნებისმიერი დოკუმენტური ფილმი, სათაურით „2012“.

საუნდტრეკი 2012-ისთვის: უსმინეთ მუსიკას ისე, თითქოს, მას ბოლოჯერ ისმენთ, შესაბამისად, დრო არ დაგეხარჯებათ სულელურ მუსიკაზე :]

8 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ

დავით ბუხრიკიძე

მუსიკა

ხატია ბუნიათიშვილის კონცერტი ორკესტრთან ერთად

ადგილი –*კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი*
თარიღი – *10 იანვარი, 19:00*

თუ გსურთ დარწმუნდეთ, რომ ახალგაზრდა და მომხიბვლელი ხატია ბუნიათიშვილი მართლაც ვირტუოზი და შთამაგონებელად ნიჭიერი პიანისტია (რომელიც კარგად არა მხოლოდ, ანაკლიის სარეკლამო ხიდზე უკრავს), 2012 წლის 10 იანვარს, საღამოს შვიდ საათზე კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზს ეწვიეთ. თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრის თანხლებით – დირიჟორი ჯანლუკა მარჩიანო, მორის რაველის ცნობილ საფორტეპიანო კონცერტს (G dur) შეასრულებს. ამავე საღამოს შეგიძლიათ მოისმინოთ ჰექტორ ბერლიოზის „ფანტასტიკური“ სიმფონიაც.

ხატიას კონცერტმა ზაფხულში, ანაკლიაში, მისი შემოქმედებისა და პერსონისადმი ინტერესი გაზარდა. აღარაფერს ვამბობთ ისეთ ცნობილ ტელეარხზე, როგორიცაა „მეცო“, სადაც მას კლასიკური მუსიკის მოყვარულები ლამის ისეთივე ინტენსივობით უსმენენ, როგორითაც ვთქვათ, ვირტუოზ ლანგ-ლანგს, ყოვლისმცოდნე დანიელ ბარენბოიმს, დახვეწილ ელენ გრიმოს, ან სულაც, პიანიზმის „ჯადოქრად“ აღიარებულ მარტა არგერიხს. თავად მარტა არგერიხი ასე ახასიათებს ხატია ბუნიათიშვილს: „ხატია, ექსტრაორდინარული ტალანტის მქონე პიანისტია. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა განსაკუთრებულმა პიანისტურმა ნიჭმა, ბუნებრივმა მუსიკალურობამ, წარმოსახვის უნარმა და ბრწყინვალე ვირტუოზულობამ“.

მელომანებს, რომლებსაც ამგვარი აღმატებული შეფასების დადასტურება სწადიათ, შეუძლიათ, თავად განსაჯონ... ოღონდ, კონცერტის შემდეგ. 2012 წელს ხატია ბუნიათაშვილს მსოფლიოს იმდენ ცნობილ საკონცერტო დარბაზში მოუწევს დაკვრა, რომ თბილისში მისი ხელახლა „გამოჭერა“ ძნელი იქნება.

ჰენდელის ოპერა „რადამისტო“

დირიჟორი *ჯანლუკა მარჩიანო,*
რეჟისორი *გურამ მელივა*
ადგილი – *რუსთაველის თეატრის დიდი დარბაზი*
თარიღი – *24-25 იანვარი,19:00*

გერმანელი კომპოზიტორისა და ბაროკოს დიდოსტატის – გეორგ ფრიდრიჰ ჰენდელის ოპერა „რადამისტო“ საქართველოში, კერძოდ, რუსთაველის სცენაზე, პირველად აჟღერდება. ჰენდელის სამ მოქმედებიანი ოპერის პრემიერას პუბლიკა მომავალი წლის 24-25 იანვარს იხილავს.

დირიჟორი – ჯანლუკა მარჩიანო, რეჟისორი – გურამ მელივა. წარმოდგენაში ოპერისა და ბალეტის ახალგაზრდა სოლისტები და კონსერვატორიის კურსდამთავრებულები მონაწილეობენ.

„რადამისტოს“ პრემიერა 1720 წლის 27 აპრილს, ლონდონში გაიმართა. ჰენდელის ოპერის ლიბრეტო ეყრდნობა ძველი რომაელი პოეტისა და დრამატურგის, ტაციტუსის „ისტორიას“ (Tacite,110). ოპერა თრაკიის სამეფოს უფლისწულის, რადამისტოს ამბავს გვიამბობს, რომლის მეუღლეზე, ზენობიაზე გამიჯნურებული სომხეთის მეფე ტირიდატე (ანუ ტიგრან პირველი) სიყვარულის გამო თრაკიას სამეფოსთან ომს აჩაღებს.

თეატრი

სპექტაკლი „შეშლილი სამყარო“

რეჟისორი – *ნინო ლიპარტიანი*
ადგილი – *რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტული დარბაზი*
თარიღი – *27, 28 და 29 დეკემბერი, 19:45*

რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ დარბაზში იუკიო მისიმას „მარკიზა დე სადის“ და პიტერ ვაისის „მარატ-სადის“ პიესების მიხედვით სპექტაკლ „შეშლილი სამყაროს“ პრემიერა გაიმართება. ინსცენირების ავტორი და დამდგმელი რეჟისორია ნინო ლიპარტიანი, დამდგმელი მხატვარი – თემურ ნინუა, კომპოზიტორი – მიშა მდინარაძე, ქორეოგრაფი – კახა ბაკურაძე გახლავთ. საინტერესოა, როგორ ჩაატია რეჟისორმა ერთმოქმედებიან, 75 წუთიან სპექტაკლში, ორი დიდი პიესა?! სპექტაკლში მონაწილეობენ: ნანუკა ხუსკივაძე, თათული დოლიძე, მანანა აბრამიშვილი, დარეჯან ხარშილაძე, რუსუდან მაყაშვილი, ზურა ინგოროყვა...

როგორც სპექტაკლის რეჟისორი ნინო ლიპარტიანი ამბობს, ეს ოჯახური ისტორიაა, სადაც მოვლენები ამბოხებული ქალაქის ფონზე ვითარდება. ოჯახის უფროსს, ქალბატონ დე მონტრეს, რომელიც საზოგადოებრივი აზრისა და მორალის დამცველია, ცხოვრებამ საშინელი გამოცდა მოუწყო – სიძედ „გარყვნილი ურჩხული“, მარკიზ დე სადი მოუვლინა. მონტრეს უფროსი ქალიშვილი, რენე ორ ცეცხლშუაა: რა ქნას, უერთგულოს მეუღლეს და ამით დაემორჩილოს ღვთის ნებას, თუ დადგეს მორალის დამცველი დედის გვერდით და იბრძოლოს სახელის გადასარჩენად?

პრემიერა, „რევიზორი“

რეჟისორი *გიზო ჟორდანია*
ადგილი – *მარჯანიშვილის თეატრი*
თარიღი – *25,27,29 დეკემბერი,19:00*

კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, გიზო ჟორდანია გოგოლის უკვდავი კომედიის, „რევიზორის“ საკუთარ ვერსიას დგამს. „რაც კი რამ ცუდი, უხეში და უსამართლოა რუსეთში, აქ, „რევიზორში“ მოვუყარე თავი და გადავწყვიტე, ამ მანკიერებისთვის ერთხელ და სამუდამოდ დამეცინა“ – წერდა გოგოლი. ვნახოთ, რა ახალ მოტივებს აღმოაჩენს და რას მოუ-

AHMAD TEA
LONDON
AHMAD TEA
LONDON
EARL GREY TEA
100 TEA BAGS
20
AHMAD TEA
LONDON
ICOT
ყოველთვის ჩაი ახმადი ყოფილა
ბეიმების ნაწილი ნოსტალგიის ძალა!

ყრის თავს ცნობილ კომედიაში ამ ჟანრის კარგი მცოდნე, გიზო ჟორდანია...

სპექტაკლში მონაწილეობენ: მანანა კოზაკოვა, თამუნა ბუხნიკაშვილი, ნატა ბერეჟიანი, იაკო ჭილაია, ნინო წულაძე, დათო დვალიშვილი.

გამოფენა

გალაკტიონ ტაბიძის ხელნაწერები, ფოტოები, პირადი ნივთები

ადგილი – *გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი*
თარიღი – *დეკემბრის ბოლო, თებერვალი*

გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის ორ დიდ დარბაზში, 30 დეკემბრიდან თებერვლის ბოლომდე შეგიძლიათ გალაკტიონის ნაწარმოებების ხელნაწერები, ფოტოები თუ ფანქრით შესრულებული ჩანახატები იხილოთ.

განსაკუთრებულ ინტერესს ალბათ მისი პირადი ნივთები გამოიწვევს – ზაფხულის ჩალის ქუდი, ჩონგური, პორტსიგარი, გამადიდებელი შუშა. მოკლედ, ყველაფერი, რაც ლიტერატურულ მითოლოგიას თქვენს თვალწინ რეალობად აქცევს. აღსანიშნავია, რომ ლიტერატურის მუზეუმის საცავებში დაცული ბევრი ხელნაწერი თუ ფოტო საჯაროდ პირველად იქნება წარმოდგენილი.

ლევან ხარანაული „ივრის ჭალებში გათამაშებული სცენები“

ადგილი – *გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი*
თარიღი – *25.12.2011-25.01.2012*

ლევან ხარანაულისთვის ავტოპორტრეტი უფრო ცხადი და ტევადი განცდების სამყაროა და გამოსდის კიდეც. თუ გიორგი ლეონიძის სახელობის მუზეუმს ეწვევით, სადაც მისი გამოფენა წელს, 25 დეკემბერს გაიხსნა და 2012 წლის 25 იანვრამდე გაგრძელდება, დარწმუნდებით, რომ პეიზაჟის „ენაც“ კარგად ესმის და გრაფიკაც ხელეწიფება. 40-მდე ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი, რომლებსაც ავტორი პირობითად „ივრის ჭალებში გათამაშებულ ეპიზოდებს“ უწოდებს, გვიანი შემოდგომის სევდიან განწობას კარგად ასახავს.

რამდენიმე წლის წინ მხატვარი თბილისიდან თიანეთში, მამა-პაპისეულ სახლში გადაბარგდა. იქ მთელი ზამთარი გაატარა და მერე ახალი ნამუშევრები ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზშიც გამოფინა. ახლაც, ლიტერატურის მუზეუმში წარმოდგენილი ნამუშევრები – ლევან ხარანაულის სულიერი განწყობის ერთგვარი ანარეკლი, – შემოდგომისას, ივრის ჭალებში „ხეტიალის“ ნაყოფია.

ლექცია-დისკუსია

ბრონისლავა ნიჟინსკას ბალეტი „ლურჯი მატარებელი“

ადგილი – *ევროპის სახლი*
თარიღი – *28 დეკემბერი 18:00*

28 დეკემბერს ევროპის სახლი გიწვევთ პროექტის – „ერთი და მრავალსახოვანი ევროპა მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების ბალეტის ფონზე“ – მეორე საღამოზე. ფილოსოფოსი და კრიტიკოსი, ჟურნალისტი ხათუნა მზარელუა ამჯერად წარმოადგენს ცნობილი რუსი მოცეკვავისა და ქორეოგრაფის, ბრონისლავა ნიჟინსკას ბალეტს „ლურჯი მატარებელი“, რომლის პრემიერა1924 წლის 20 ივნისს პარიზის „შანზ ელისეს“ სცენაზე გაიმართა.

დაახლოებით ნახევარი საუკუნის შემდეგ, 1992 წელს, სპექტაკლი პარიზის ნაციონალური ოპერის რეპერტუარში შევიდა. საღამოზე ნაჩვენები იქნება „ლურჯი მატარებლის“ ინტერპრეტაციის ნაწყვეტები, ასევე, პარიზის ნაციონალური ოპერის მიერ გამოგზავნილი ექსკლუზიური ვიდეომასალა. საღამო საშუალებას მოგვცემს გავიაზროთ, რატომ გამოაცხადა დიაგილევმა „ყველაზე მომხიბვლელ ბალეტად“ სწორედ „ლურჯი მატარებელი“, რომელიც კოქტოს, მილოს, პიკასოს, შანელის, ლორანსის და, სხვათა შორის, პრინც შერვაშიძის ერთობლივი მუშაობის ნაყოფია.

„ნიჟინსკამ მომავალში იმოგზაურა. ჩვენ კი წარსულში გავემგზავრებით. ცხოვრება, ეს „ლურჯი მატარებელია“, რომელიც სადგურებს შორის ივლის ევროპის სახლში, დეკემბრის სუსხიან საღამოს“ – ამბობს ამ შეხვედრის ავტორი, ხათუნა მზარელუა. „მგზავრობა“ კი 18 საათზე დაიწყება, რომელთა შორის, პუბლიკის გარდა, ასევე იქნებიან ფრანსის პიკაბია, ანდრე ბრეტონი, კარლ ლაგერფელდი...

კინო

რომან პოლანსკის „ჟლეტა“

ადგილი – *რუსთაველის კინოთეატრი, საღამოს სეანსები*
თარიღი – *დეკემბერი-იანვარი*

რომან პოლანსკის შავი თუ „სასტიკი“ კომედია, სახელწოდებით „ჟლეტა“ უკვე ეკრანზეა, თუმცა მის ირგვლივ აჟიოტაჟი კიდევ კარგა ხანს გასტანს. მისი ნახვა არა მხოლოდ დეპრესიისკენ მიდრეკილებს შეუძლიათ, არამედ ჯანსაღი და შავი იუმორის დამფასებლებს. რომ არა პოლანსკის ფილმი, ბევრს, ალბათ, არც ეცოდინებოდა, რომ სცენარი ცნობილმა ფრანგმა დრამატურგმა, იასმინა რეზამ დაწერა.

ფილმს უდავოდ ამშვენებს შესანიშნავ მსახიობთა კვარტეტი – მოულოდნელად ირონიული ქეით უინსლეტი, ცინიზმსა და დრამაში თანაბრად გაწაფული კრისტოფ ვალცი, მგრძნობიარე ჯონ სი რაილი და ცხადია, ყოველთვის ფორმაში მყოფი ჯოდი ფოსტერი. პატარა ბიჭების კონფლიქტი სკოლაში წააჩხუბებს მშობლებსაც, რომლებიც ერთმანეთს სწორედ ამ შემთხვევის შემდეგ გაიცნობენ. ეს ისტორია მოულოდნელად და თანდათან გადაიზრდება ზოგადი პრობლემების განხილვაში. მშობლები ცდილობენ ერთმანეთს პრობლემა შეუქმნან, იმის მაგივრად, რომ შვილების კონფლიქტში გაერკვნენ. სოციალური უთანასწორობა, ფემინიზმი, რასობრივი პრობლემები, ჰომოფობია... ეს ყველაფერი თანდათან ამოტივტივდება ზედაპირზე და მშობელთა თითქმის უმტკივნეულო საუბარი – შეუბრალებელ, სასტიკ ურთიერთობაში გადაიზრდება.

აჩუქეთ საკუთარ თავს
ემოციები, ზრუნვა და
სათუთი მოვლა...
organic shop
organic vanilla & shea
BODY BUTTER
organic shop
organic mango & sugar
BODY SCRUB
BODY PEELING
organic shop
MADE WITH CERTIFIED ORGANIC INGREDIENTS
0% SLS
0% PARABENS
0% SILICONES
Audrey
ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში
თბილისი 0171, კოსტავას ქ., 67/85
ტელ/ფაქსი: +995 32 221 30 96; ელ-ფოსტა: audrey@audrey.ge

ეს იყო ბათუმში... ეს გრძელდება მთელ ქვეყანაში

მუსიკალური სანახაობა „ქეთო და კოტე“, როგორც ქვეყნის ავტოპორტრეტი

ავტორი დავით ბუხრიკიძე

დიდი ნოემბრის რევოლუციის მერვე წლისთავი, ანუ 23 ნოემბერი, ხელისუფლებამ რუსთაველის თეატრში „ქეთო და კოტეთი“ აღნიშნა. მანამდე, ის ოქტომბერში, თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის დღეებშიც ვნახე. პარადოქსია, მაგრამ რეჟისორ დავით დოიაშვილის დადგმული, ქვეყნის პრეზიდენტის „შეკვეთილი“და ქვეყნის მასშტაბით ამბიციური მიუზიკლი (უფრო კი მუსიკალური სანახაობა) გაცილებით მეტ და სერიოზულ კითხვას აღძრავს, ვიდრე უბრალო წარმოდგენა.

ერთდროულად დამაბნეველი და გამომწვევი, ზერელე და რევოლუციასავით ჩქაროსნული, პოსტმოდერნისტულად აჭრელებული და საოპერო-საბალეტო ვარსკვლავებით „მოჭედილი“ – ასეთია მიუზიკლად ქცეული კომიკური ოპერა, რომელიც უფრო ჩვენი დროისა და ქვეყნის არტ-შემაჯამებელ მოვლენად მეჩვენება, ვიდრე მხოლოდ რიგით, თუნდაც მოდური თამარ კვესიტაძის კოსტიუმებით მოოჭვილ წარმოდგენად.

ოდნავ შორიდან დავიწყოთ, რათა ამ „ავლაბრული მითის“ (როგორც ერთმა ცნობილმა დრამატურგმა იხუმრა კომიკურ პირველწყაროზე, ანუ „ხანუმაზე“) უკვდავების მიზეზი ავხსნათ...

თავის დროზე „გაწყვეტილ დროთა“ კავშირი რევოლუციამ სიახლის სახელით დაარღვია და გასაგებია, რომ „წყეულმა ბედმა“ მისი შეკვრა ახალ თაობას არგუნა. მით უმეტეს, რომ სანკტ-პეტერბურგში დიდი ხნით გადაცხოვრებული თემურ ჩხეიძე და „თეატრალური ვერსალიდან“ (რუსთაველის თეატრიდან) ახლახან გამოძევებული და თვითგვემით შეპყრობილი რობერტ სტურუა ხელისშემშლელ ფაქტორად ვეღარ გამოდგებიან. მართალია, რევოლუციის შლეიფი უკვე გაცვდა, მაგრამ ის ჯერ კიდევ გამაბრუებლად შთამბეჭდავია... განსაკუთრებით, ახალგაზრდებზე ზემოქმედების თვალსაზრისით.

რევოლუცია წარმატებით იყენებს „შეუჭმელ შვილებს“ – ამ შემთხვევაში რეჟისორებს: დავით დოიაშვილს (დოი), დათო საყვარელიძეს (სუყო), ლევან წულაძეს (ჭოლა), რომელთაც ლოკალურ, ზოგჯერ საახალწლო, ზოგჯერ მოკრძალებულ-საიმპორტო და ზოგჯერ შიდა მოხმარების ბრჭყვიალა წარმოდგენებს უკვეთავს. გაცილებით ადრე და შთამბეჭდავად ამ როლს ავთანდილ ვარსიმაშვილი ასრულებდა, რომელიც, მიხეილ სააკაშვილის პირველი და ყველაზე „თეატრალიზებული“ ინაუგურაციის ავტორიცაა.

ხელისუფლების პოსტმოდერნისტულმა ახირებამ ბოლოს და ბოლოს ზუსტი არტიკულაცია გამოძებნა – ესაა 21-ე საუკუნის ჯერჯერობით ყველაზე ამბიციური პროექტი „ქეთო და კოტე“. მართალია ახალი წარმოდგენის მთავარ პერსონას, სოფო ნიჟარაძის ქეთოს, დასავლეთიდან ნაუცბათევად „ნასესხები“ ლუი ვიტონის ასლები მოსავს, ხოლო მოსკოვიდან გამოყოლილი საეჭვო ვოკალურ-მუსიკალური „სურნელი“ მთელი ორი საათის განმავლობაში არ შორდება, მაგრამ, მაინც, „ქეთო და კოტე“ მუსიკალურ ჰიბრიდს არ ჰგავს. ეს უფრო სიახლის პრეტენზიით, ვარსკვლავთა კოლექტიური შრომა-გარჯითა და ახალი დროით ნაკარნახევი წარმოდგენა-ინსპირაციაა.

ბათუმის ახალი საოპერო და საკონცერტო დარბაზი, სადაც საფუძველი ჩაეყარა ახალ „ქეთო და კოტეს“, არქიტექტურული თვალსაზრისით ეკლექტიკურია და აღმოსავლური ტკბილეულის გიგანტურ მაღაზიასა და დასავლურ კლასიკურ-საკონცერტო სივრცეს ერთდროულად აერთიანებს. შენობა, რომელსაც ნაციონალური არხები განვლილი ზაფხულის განმავლობაში 24 საათიან რეკლამას უკეთებდნენ, ასევე ახალი მითის შემადგენელი ნაწილია.

რა უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ამ სიახლე-სიანცის სულისკვეთებას უფრო უკეთესად და სიმბოლურად სწორედ „ქეთო და კოტე“ გამოხატავს, რადგან არაცნობიერად ეს

სპექტაკლი „ქეთო და კოტე“, პრემიერა

ძველ დროსთან და „ძველ“ კულტურასთან“ პაექრობას უფრო ჰგავს. თუმცა, სხვაგან და სხვა დროს ამ იდეოლოგიური შეჯიბრით ზოგადად კულტურა მოგებული რჩება ხოლმე.

ავქსენტი ცაგარელის მეცხრამეტე საუკუნის კლასიკური პიესა „ხანუმა“, ვიქტორ დოლიძემ 1919 წელს პირველ ქართულ კომიკურ ოპერად – „ქეთო და კოტედ“ აქცია. 1948 წელს გამოვიდა ვახტანგ ტაბლიაშვილის ფილმი ამავე სახელწოდებით, რომელშიც მთელი თანავარსკვლავედი თამაშობდა – 12 წლის ლეილა აბაშიძით დაწყებული, 90 წელს მიღწეული ელისაბედ ჩერქეზიშვილით დამთავრებული. აღარაფერს ვამბობთ მედეა ჯაფარიძეზე, რომელმაც ამერიკელ კრიტიკოსებს ლეგენდარული მერი პიკფორდიც კი გაახსენა. გასული საუკუნის 60-იან წლებში რობერტ სტურუას დადგმულ ელვარე და ანეკდოტურ „ხანუმაში“ რამაზ ჩხიკვაძე და ეროსი მანჯგალაძე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ იმპროვიზაციებში. მოგვიანებით, 80-იან წლებში, დირიჟორმა ჯანსუღ კახიძემ საკუთარი კორექტივები შეიტანა ვიქტორ დოლიძის მუსიკაში.

და აი, ახალი, მულტიმედიითა და ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი, ნიკა მემანიშვილის მუსიკალური რედაქტირებითა და დავით დოიაშვილის მინიმალური რეჟისურით გამორჩეული, თამარ კვესიტაძის სცენოგრაფიითა და კოსტიუმებით აღჭურვილი, პაატა ბურჭულაძის, ნანი ბრეგვაძის და ნინო ანანიაშვილის სახელებით რეკლამირებული სანახაობა! ანუ, ფაქტობრივად, ახალი კულტურული მითის შექმნის მცდელობა, რაც თავისთავად ცუდი ფაქტი სულაც არ არის...

ახალი „ქეთო და კოტე“ ტურისტულ-კურორტული სეზონისთვის ზედგამოჭრილი სანახაობაა, რომელშიც ნაციონალური კულტურა და გლობალისტური თემები თვალისმომჭრელ სითეთრეშია გაზავებული. სცენის მიღმა, სარკეები გამოსახულებას აირეკლავს და ცეკვა-თამაშსა თუ ასევე თეთრ ნიღბებს გვაზიარებს. გამოკრთება ჯაზიც და ელექტრონული მუსიკაც (სიკოსა და ნიკოს ცნობილი კუპლეტები), ხოლო თამარ კვესიტაძის უცნაურ კოსტიუმებს საგრძნობლად შემცირებულ სცენაზე, ილიკო სუხიშვილის ალერსიანად კასტრირებული თეთრსამოსიანი ყარაჩოღელები, უგრძნობი, მაგრამ სანიმუშო სიმეტრიით ავსებენ...

ევროპაში მრავლად მოიპოვება ასეთი საზაფხულო-სეზონური სანახაობანი. მსგავსი სპექტაკლები ყოველთვის შთამბეჭდავია და მათთვის უამრავ სპეციფექტს იყენებენ: ცეცხლისა თუ წყლის სტიქიებს, ფერად და თვალისთვის საამო კოსტიუმებს, ცეკვებს, განათებას... რაც გათვლილია ტურისტებზე და, გარკვეული თვალსაზრისით, კარგი სატყუარაცაა. მით უმეტეს, როცა წარმოდგენაში ვარსკვლავებიც მონაწილეობენ. „ქეთო და კოტე“, პირველ რიგში, სწორედ სანახაობაა. სიახლის პრეტენზიით დადგმული, საკმაოდ ხარისხიანი, „ტურისტული“ სანახაობა, რომელიც ჟანრობრივად არც კომიკურ ოპერასთანაა ახლო და არც მიუზიკლის ესთეტიკასთან.

ვიქტორ დოლიძის ოპერამ, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის ჟამს, 1919 წელს დაიწერა, სცადა ეროვნული კულტურის იდენტობა ევროპულთან მიმართებაში გაეაზრებინა. მან, ფაქტობრივად, ახალ ჟანრსა და ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი. თუმცა, ელვარე მელოდიებისა და ცნობილი სიუჟეტის მიუხედავად, „ქეთო და კოტე“ მაინც კლასიკური ფორმის ნაწარმოებად დარჩა, რომლის დამკვიდრება და ეროვნული კულტურის მითად ქცევა შეუძლებელი აღმოჩნდა.

მოგვიანებით, ვახტანგ ტაბლიაშვილის ფილმი „ქეთო და კოტე“ ახალი მითის შექმნის მცდელობა იყო, რომელსაც მეორე მსოფლიო ომიდან მოუშუშებელი იარები და 30-იანი წლების რეპრესიები ჰოლივუდის მასშტაბის ფილმით უნდა გაენელებინა. და ეს შეძლო კიდეც – ვიქტორ დოლიძისა და არჩილ კერესელიძის მუსიკა, იოსებ სუმბათაშვილის მხატვრობა და ფარნაოზ ლაპიაშვილის კოსტიუმები... და ცხადია, ქართველ კინოვარსკვლავთა მთელი ამქარი.

21-საუკუნის კულტურული მითის შემთხზველად „ვარდების რევოლუცია“ მოგვევლინა, რომელმაც დავით დოიაშვილის მიუზიკლით „ქეთო და კოტე“ საკუთარი ავტოპორტრეტი შექმნა! გარკვეული თვალსაზრისით მიუზიკლი ჩვენი ხელისუფლების პიარ-ღონისძიების გაგრძელებას ჰგავს – ეფექტური და ფორმალისტური, სანახაობრივი, მაგრამ შინაგანად ცარიელი, ახალი ტექნოლოგიით გამართულ-მოპირკეთებული, მაგრამ ლამის ბანალურობამდე უშინაარსო. როგორც იტყვიან, მუსიკალური ეფექტურობიდან დრამატულ დეფექტურობამდე ერთი ნაბიჯია...

ეჭვი მაქვს, რომ უცნაურ და მოუხერხებელ ჟოლოსფერ კოსტიუმში გამოწყობილი ანანიაშვილის მარდი ფეხგასმა, ან ავტონომიურად მითიური ნანი ბრეგვაძის (ხანუმას) დაპატენტებული ვოკალი, მომავალ ზაფხულში კარგად გაიყიდება. ბოლოს და ბოლოს, „ქეთო და კოტეც“ ხომ ტურისტული პროდუქტია ბათუმშიც და მთელ ქვეყანაშიც.

ფაქიზი კვერცხები, სასტიკი მეგაპოლისები

„როტასიული“ ქანდაკებები და სკულპტურები, როგორც დროის ცვლილების ნიშანი

ავტორი დავით ბუხრიკიძე



„ცხოვრება ისეთი სათუთია, როგორც კვერცხებზე სიარული“, ლილი ფანტოსი

„მიმინო“, ზურაბ წერეთელი

მინდოდა, ახალი არქიტექტურის, ქანდაკებების და სკულპტურების თემა, ლამის მშობლიური ფრანგი მოქანდაკის და სკულპტორის, ლილი ფანტოცის (ფანტოზის) ფანტაზიით შექმნილი – „ფაქიზ კვერცხებზე“ შემოდებული რეზინის ქოშებით დამეწყო. თუმცა, ამგვარ პოსტმოდერნულ სიხალისეს, მაინც, ბოდრიარის აპოკალიფსური შესავალი ვარჩიე.

მისი ტექსტი – „ქალაქი და სიძულვილი“ ნამდვილი მოთქმაა ურჩხულებად ქცეულ თანამედროვე ქალაქების არქიტექტურაზე:. „ჩვენი არქიტექტურული მეგაპოლისები, ჩვენი კოსმოპოლიტური ქალაქები ერთგვარი აბსცესებია, რომლებიც აჭიანურებენ უფრო დიდი ჩირქ-გროვების გაჩენას. არქიტექტურა და ქალაქმშენებლობა ყველგან აფათურებს თავის ამბიციურ საცეცებს და მხოლოდ მონსტრებს შობს.

მეგაპოლისების გარეგნული მომხიბვლელობა თითქოს იმისთვის შეიქმნა, რომ ტურისტი გააოგნოს, მათი ფუნქცია კი საყოველთაო კომუნიკაციის ცენტრისას წააგავს (აეროპორტი, მეტრო, დიდი სუპერმარკეტი); ანუ ესაა ადგილი, სადაც ადამიანები თავიანთ მოქალაქეობას, თავიანთ ტერიტორიებს კარგავენ.

როცა ასეთი ქანდაკებები თუ არქიტექტურული ანსამბლები კულტურული მიზნებით იქმნება, ისინი რადიაციის ცენტრებად კი არა, შთანთქმისა და გამოყოფის ცენტრებად იქცევიან. ისინი მხოლოდ ნაკადთა გარდამქმნელები არიან – შესასვლელითა და გასასვლელით აღჭურვილი მექანიზმები. ისინი ჩვენი საზოგადოების განვითარების კოსმოპოლიტურ და დეზორგანიზებულ ხასიათზე მეტყველებენ.“

ჩვენს „აბსცესიან მეგაპოლისებში“ – გლდანსა თუ ფონიჭალაში, მოქალაქეებს პროტესტი სათანადოდ ჯერ არ დაუფლებია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ბათუმში, „რედისონის“ წინ აღმართული მადამ ფანტოცის „კვერცხებით“, ან თბილისში, „ვარდების მოედანზე“, ტროტუარზე მიყუდებული, მუსიე ჟან დიუპის გიგანტური ველოსიპედით თავიანთი უსახური არქიტექტურული სივრცის ტრანსფორმაციას შეეცდებოდნენ.

„სახიფათოდ თქვენი“ – ასე ეწოდება ნამუშევარს, რომელიც წარმოვადგინე სკულპტურული მინიატურის სახით. „ეს არის კვერცხებზე შემდგარი წყვილი კედი, სიმბოლო იმ საშიში გზისა, რომელიც საქართველომ გაიარა განვითარებისა და რეკონსტრუქციის თვალსაზრისით“ – ამბობს ლილი ფანტოცი ერთ-ერთი ფრანგული გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში.

ბათუმში, „რადისონის“ წინ კვერცხებზე „ამხედრებული“ კედების ნაცვლად, რეზინის ქოში ანუ „შლოპანცი“ ვიხილეთ. რაც უდავოდ, საზაფხულო-ტურისტული ფანტაზიის ნაყოფია. თუმცა ინტრიგა ამით არ დასრულებულა. მას შემდეგ, რაც პრესაში დიდი მითქმა-მოთქმა ატყდა, „კვერცხები“ აიღეს და სავარაუდოდ ახალ ბულვარში უპირებენ დადგმას. შესაძლოა, ეს ძეგლის „დისლოკაციის“ ბოლო პუნქტი არ არის... ბათუმის მერიის განცხადებით, ფანტოცის ნამუშევარი 160 ათასი დოლარი დაჯდა. ხელოვნების ამ ძვირადღირებულ ნიმუშს ზოგი „ფაქიზ“, მაგრამ საშიშ არტად მიიჩნევს, ზოგი მილიტარიზმის გამოვლინებად, ზოგიც კი თავხედურ პროვოკაციად.

2011 წელს ვენეციის ბიენალეზე საქართველო სკულპტორმა თამარ კვესიტაძემ წარმოადგინა. მისი „ილუმინაცია“ (ნიღაბივით თეთრი, მოძრავი და „მსუნთქავი“ სახე გამომეტყველებას იცვლის და სხვადასხვა ემოციურ მდგომარეობას გამოსახავს) კურატორთა ყურადღების ცენტრში მოექცა, მაგრამ ყველაზე თამამი მაინც საქართველოს პრეზიდენტი აღმოჩნდა, რომელმაც თამარ კვესიტაძეს „გენიოსი“ უწოდა. მისივე პირადი შეხედულებით გადაწყდა, რომ „ილუმინაცია“ ქუთაისში ახალი პარლამენტის კედლებს დაამშვენებს, „რათა პარლამენტარებმა, ზურგს უკან, მუდმივად იგრძნონ ადამიანების სუნთქვა“.

თამარ კვესიტაძის მეორე ნამუშევარი „როტაცია“, „ალისა და ნინოს“ მსგავსად, მოძრავი იქნება და ბათუმში, იუსტიციის სახლის წინ აღიმართება.

ლითონისა და შუშის ქანდაკებისთვის, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ბათუმის მერიას საკმაოდ მსუყე თანხა ორჯერ გამოეყო – ჯერ 450 ათასი და მოგვიანებით, 400 ათასი ლარი. ამბობენ, რომ „როტაცია“ ბათუმში გაზაფხულზე უნდა დაიდგას.

მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ ტაბუ საშვილიშვილოდ დაარღვია და სასტუმრო „ივერიის“ წინ მდებარე ცხენოსანი „დავით აღმაშენებელი“ დიღომში, გზაჯვარედინზე გადაიტანა, თითქოს მრავალწლიან ისტორიულ საიდუმლოს

„პროცესები, რომლებიც ახლა თანამედროვე ქართულ არქიტექტურასა და ვიზუალურ ხელოვნებაში ჩნდება, ტიპური „პოსტტოტალიტარული პოსტმოდერნიზმია“. ქაოსი და კიჩი, წარსულის ნანგრევები და აწმყოს დეკონსტრუქციის წყურვილი, რეაქციონიზმი და პოსტმოდერნული გარღვევა, ეს ყველაფერი თითქოს ერთ განზომილებაში მოექცა“.

„თავისუფლების მონუმენტი“, ზურაბ წერეთლი

ბეჭედი აეხსნა! ცხენიანი მეფეებისა და ხმლიანი „ქართლის დედის“ კომპლექსი მან, ერთდროულად – თამამად, მაგრამ მაინც „ჩუმად და მორცხვად“ დაძლია. ამის მაგალითია, 2010 წლის ზაფხულში, ღამის 3 საათზე გორის ცენტრიდან სტალინის ძეგლის გაქრობა, რაც, მოგვიანებით, საბჭოთა არქეტიპებთან ბრძოლის სიმბოლოდ გამოცხადდა.

თუმცა, იმავე არქეტიპებთან ბრძოლის ერთგვარ პაროდიად იქცა თამარ მეფის ხიდთან, „პრომეთეს“ მოულოდნელი დემონტაჟი და მისი კონსპირაციული გადატანა ბორჯომის პარკში. ძეგლის ავტორმა, დევი ხმალაძემ თავად არ იცის, რატომ გადაიტანეს საქართველოსა და პოლონეთის პრეზიდენტების მიერ, 2007 წლის 23 ნოემბერს, საზეიმოდ გახსნილი „პრომეთე“ 2010 წელს ბორჯომში. ძეგლის გახსნის ცერემონიაზე მიხეილ სააკაშვილმა თქვა, რომ „პრომეთე, როგორც წმინდა გიორგი, საქართველოს სიმბოლოა და სწორედ ამიტომ დაიდგა დედაქალაქის ცენტრში მითიური გმირის ძეგლი“ (?!).

ამავე „მითიური“ მიზეზით დაიდგა თავისუფლების მოედანზე ზურაბ წერეთლის „წმინდა გიორგის“ ქანდაკება, რომელიც ტიპური მონუმენტური საბჭოთა კიჩია და არაფრით ჩამოუვარდება 1989 წლამდე, ამავე ადგილზე მშვიდად მდგარ „ლენინის“ მხატვრულ ხარისხს. წერეთლის ერთ-ერთი საყვარელი ხერხია – ზუსტად და ვითომ ამაღლებულად მოარგოს კლიშეები ტრადიციულ ფორმას. ის ისე „კოხტად“ ერითმება და ერწყმის რეალიზმს, იმდენად პროგნოზირებადი და გაცვეთილია, რომ მხატვარზე წერისას რაიმე ახლის მოგონება აღარ გჭირდებათ – ისედაც ყველაფერი ცხადია... და თუ პრეზიდენტი თამარ კვესიტაძეს გენიოსს უწოდებს, ბრჭყვიალა და ოქროსფერ „წმინდა გიორგის“ როგორღა ეგუება?

ზურაბ წერეთელი შორსაა ისეთი მახვილგონივრული პროვოკატორობისაგან, როგორებიც, მაგალითად, ჯაკომეტი ან მური არიან. არც ზემოხსენებული, ახალგაზრდა ლილი ფანტოცის მსგავსად ცდილობს ფარული სექსუალური მოტივებით ჩვენს მანიპულირებას. 86 წელს გადაცილებულმა, ფრანგმა მოქანდაკემ და არქიტექტორმა ჟან დიუპმა, ტიპური ფუნქციურ-არქიტექტურული ობიექტი შექმნა. ეს არის დაახლოებით 12 მეტრიანი ველოსიპედი, რომლის ბორბლებზე დამონტაჟებული მიკრო-ტურბინები, ქარის წყალობით, დაახლოებით 4 კილოვატ ენერგიას გამოიმუშავებენ. მისი „მარგი ქმედების კოეფიციენტი“ ზუსტად იმდენივეა, რაც მისსავე განათებას სჭირდება.

„ახალი ძეგლები თუ მოდერნული ფორმები უფრო ტრადიციული ქვეყნის ახალი იმიჯის შექმნის მცდელობაა. ხელისუფლების მიზანია, ჯერ ერთი, ევროპას წარუდგინოს კარგად „შეფუთული“, წარმატებული და დემოკრატიული საქართველო, მეორე – აღადგინოს ტრადიცია, რომელიც მეცხრამეტე საუკუნეში არსებობდა, როცა თბილისის არქიტექტორებად სწორედ ევროპელები – ძირითადად, იტალიელები და გერმანელები გვევლინებოდნენ; მესამე – დაამკვიდროს „არქიტექტურულ სივრცეზე“ დომინაცია, რომ სწორედ ის განკარგავს, როგორც ფორმალურ-არქიტექტურულ, ისე სასიცოცხლო სივრცეს.

რონალდ რეიგანის ქანდაკება, ავთანდილ მონასელიძე

„გიგანტური ველოსიპედი“, ჟან დიუპი



„ალი და ნინო“, თამარ კვესიტაძე

და ბოლოს, ახალი არქიტექტურული პროექტები ისე დაამტკიცოს, რომ ის საჯარო განხილვის საგანი არ გახდეს. თითქოს ძეგლები და შენობები სოციალური გარემოს ნაწილი არ არის და მასზე უფლება მხოლოდ გარკვეული ჯგუფების პრივილეგიაა – მიიჩნევს არქიტექტორი ლევან ასაბაშვილი.

რატომ დგამენ კვესიტაძისა და ფანტოცის პარალელურად, მოსკოვში დაწუნებულ და იქიდან, წერეთლის მიერ გამოგზავნილ ბრინჯაოს „ამანათს“ – „მიმინოს“ პერსონაჟების კომპლექსურ ძეგლს, რომელიც, მხატვრული თვალსაზრისით, ძლივს მოშთობილი სტალინის მონუმენტის იდენტურია?

არტ-კრიტიკოსი და კურატორი ხათუნა ხაბულიანი ამბობს: „პროცესები, რომლებიც ახლა თანამედროვე ქართულ არქიტექტურასა და ვიზუალურ ხელოვნებაში ჩნდება, ტიპური „პოსტტოტალიტარული პოსტმოდერნიზმია“ და ეს დამახასიათებელია, არამარტო საქართველოსთვის, არამედ ყველა პოსტ-საბჭოთა ქვეყნისათვის. ქაოსი და კიჩი, წარსულის ნანგრევები და აწმყოს დეკონსტრუქციის წყურვილი, რეაქციონიზმი და პოსტმოდერნული გარღვევა, ეს ყველაფერი თითქოს ერთ განზომილებაში მოექცა. რის გამოც შეფასებები სულ უფრო რთული და პარადოქსულია.

კიდევ ერთი, ცინცხალი და უცნაური დეტალი – ახლახან ავთანდილ მონასელიძის მიერ ბრინჯაოში „უკვდავყოფილი“ რეიგანის ძეგლი რიყეზე. თუ პოსტრევოლუციური დროის ზოგიერთ ქანდაკებასა და სკულპტურებში ფარული ან გაცხადებული პოლიტიკური აზრი მაინც დევს, რომ ევროპული ფასეულობების მატარებელი ქვეყანა ვართ, რა ფასეულობებს ემსახურება რიყის პარკში ჩამომჯდარი რეიგანი?

ძნელია აღმოაჩინო ლოგიკა, როცა, ერთი მხრივ, ჩვენი ქვეყნის ქალაქებში „კვერცხების“, „ველოსიპედისა“ თუ „ალისა და ნინოს“ ობიექტები ჩნდება და, მეორე მხრივ, რეიგანის ბრინჯაოს ძეგლი ან თუნდაც „პრომეთეს“ კვაზი-კლასიცისტური და „მიმინოს“ კომპლექსის მსგავსი ქანდაკებები. ყველაზე არსებითი ისაა, რომ მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ რესტავრაციისა თუ ახალი არქიტექტურული პროექტებისათვის გამოყოფილი თანხები, სინამდვილეში, გრძელვადიანი სესხია და მისი გრანტების სახით დარიგება მხოლოდ ფულის ფლანგვაა.

ისევ იქ მივედით, საიდანაც დავიწყეთ: „ფაქიზი კვერცხები“ რეზინის „შლოპანცებითურთ“ თუ, ამჯერად, დასავლეთისკენ მომზირალი დავით აღმაშენებლი? პროვოკატორი ლილი ფანტოცი თუ აკადემიური ელგუჯა ამაშუკელი, საფრანგეთის მოდერნისტულ არტს ჩვეული ჟან დიუპი თუ იქ, უცხო ტურისტად მავალი, აკადემიკოსი ზურაბ წერეთელი! მოკლედ, არქიტექტურის „პიკანტური კვერცხები“ თუ მონუმენტალიზმის რკინის კუნთები?!

ძეგლების „როტაცია“ კიდევ დიდხანს გაგრძელდება და დარწმუნებული ვარ, მაშინაც არ დასრულდება, როცა თამარ კვესიტაძის „მსუნთქავი“ თეთრი სახეები ახალი არქიტექტურით „გაპატიოსნებულ“ და უმანკო ქართველ პარლამენტარებს ხალხის მოსმენას შთააგონებენ!

დისკუსია
ნორმალურები და სხვები

მოდერატორი ნინო ლომაძე

ილუსტრაცია: რუსლან ბერიძე

მონაწილეები:

თამარ თანდაშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფსიქოლოგი

ნინო აბრამიშვილი
მე-6 საავტორო სკოლის მასწავლებელი

ნატო ზაზაშვილი
ბავშვთა ფსიქოლოგი

როგორ ვაწესრიგებთ წინასწარ იმ დროს, რომელშიც მომავალი თაობები იცხოვრებენ? ვის ვითვალისწინებთ, ვის ვგულისხმობთ იმ დროში და ვინ რჩება მის მიღმა? რა იქნება მომავალი ნორმა? როდის ხდება „სხვა“ ნორმალურებისთვის საფრთხე, ვინ, და რა არის ამის მიზეზი, – როგორ შეიძლება საფრთხის განეიტრალება? ახალი საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც ათიდან თვრამეტ წლამდე დევიანტური ქცევის მოზარდების სპეციალიზირებულ სააღმზრდელო დაწესებულებაში გადაყვანას ითვალისწინებს, კიდევ ერთხელ წამოჭრის ამ კითხვებს. პარლამენტმა კანონპროექტი ერთი მოსმენით უკვე მიიღო, „ცხელი შოკოლადის“ დისკუსიაზე საკანონმდებლო ინიციატივის ავტორებიც მოვიწვიეთ, თუმცა, პარლამენტარებმა განაცხადეს, რომ ამ თემაზე მრგვალ მაგიდაში მონაწილეობისთვის ჯერ არ არიან მზად.

ვინ არიან დევიანტური და რთული ქცევის მოზარდები?

ნატო ზაზაშვილი: რთული ქცევა საკმაოდ ფართო გაგებაა და მასში ყოველთვის არ იგულისხმება კანონსაწინააღმდეგო ქმედება. მარტივად რომ ვთქვათ, დევიანტური ქცევა ნორმიდან გადახრას ნიშნავს. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, თმის მწვანედ შეღებვა, სვირინგი.

თმის მწვანედ შეღებვა და სვირინგი ნორმიდან გადახრაა?

ნატო ზაზაშვილი: საზოგადოებისთვის ნორმაა ის, რაც გავრცელებულია. თუკი საზოგადოებაში ასეთი ქცევა არ არის გავრცელებული, ეს ნორმიდან გადახრად მიიჩნევა. თუმცა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მხოლოდ ასეთი „უცნაურობების“ გამო ბავშვი საფრთხედ აღვიქვათ. სწორედ ამიტომ, უნდა დაკონკრეტდეს ტერმინები, რადგან რაც მეტი ბუნდოვანება იქნება კანონში, მით უფრო მეტად იქნება მისი აღსრულება დამოკიდებული ჩვენს სუბიექტურ აღქმაზე. ძალიან ზუსტად უნდა ჩამოყალიბდეს იმ ბავშვის პორტრეტი, რომელიც სპეციალურ სკოლაში გადაყვანას ექვემდებარება.

ნინო აბრამიშვილი: სკოლაში ასეთ ბავშვებს ძნელად აღსაზრდელებს ვეძახდით. ამ მხრივ, ჩემი მაგალითი შეიძლება არ გამოგადგეთ, რადგან ჩვენთან, მე-6 და 49-ე საჯარო სკოლებში პრობლემები შედარებით იოლად გვარდებოდა. მასწავლებლები ბავშვებს კი არ ვებრძოდით და ვუპირისპირდებოდით, არამედ ველაპარაკებოდით თანაგანმცდელის პოზიციიდან. ვაჩვენებდით, რომ ჩვენ მათ გაგებას, დახმარებას ვცდილობდით და ეს უმეტეს შემთხვევაში მუშაობდა.

ალბათ, იმასაც გააჩნია, რამდენად „რთულია“ ბავშვის ქცევა.

ნინო აბრამიშვილი: რასაკვირველია, ყველა პრობლემა ერთი გასაუბრებით არ გვარდება. ეს პროცესია, რომელიც შესაძლოა, დროში გაგრძელდეს, განმეორდეს ბევრჯერ. გააჩნია ქცევის სირთულესაც – თუ ბავშვმა იარაღი იხმარა და თანასკოლელი დაჭრა, აქ უკვე მხოლოდ მასწავლებლის შეგონებები აღარ არის საკმარისი და სხვა მიდგომაა საჭირო.

თქვენი მასწავლებლობის მანძილზე თუ გქონიათ ასეთ შემთხვევასთან საქმე?

ნინო აბრამიშვილი: არა, საბედნიეროდ, პირადად მე, არ მქონია, მაგრამ გვქონია სკოლაში. და ეს პრობლემა სკოლას თვითონ გადაუჭრია.

არსებობს თუ არა მეთოდოლოგია, რომელსაც შეუძლია კრიმინალის ჩადენამდე დაადგინოს – იქცევა თუ არა მოზარდი მოძალადედ მომავალში? შესაძლებელია „აშკარა საფრთხის“ დანახვა ძალადობის ფაქტამდე?

თამარ თანდაშვილი: წინასწარ გათვლა მართლაც რთულია. ნინო, თქვენგან განსხვავებით, მე ცოტა სხვანაირი, უფრო სამწუხარო გამოცდილება მაქვს. და თანაც, რამდენიმე. ვმუშაობდი რვა წლის ბავშვთან, რომლის ინტეგრაციასაც ვცდილობდი სკოლაში. ჩემი მცდელობა დამთავრდა იმით, რომ ამ ბავშვმა ისე სცემა თანასკოლელი, რომ ძლივს გადაარჩინეს. ამ ინციდენტამდე ცოტა ხნით ადრე, მან ცხოველის დახრჩობა სცადა. ასეთი ქცევა ძალიან ცუდი სიმპტომია. სოციოპათიის პირველი ანამნეზი ცხოველების დახოცვაა. ასეთი ბავშვები კლავენ იმას, ვისაც ერევიან. არა აქვთ არანაირი თანაგანცდა, ემპათია. თუმცა, სოციოპათიის დიაგნოზს თვრამეტ წლამდე მაინც არ სვამენ, რადგან, ვიდრე ბავშვი ზრდასრულ ასაკს არ მიაღწევს, მისი შეცვლის შანსი ყოველთვის არსებობს. ვერავინ ვერ გეტყვით წინასწარ ბავშვისგან დადგება თუ არა კრიმინალი. შეიძლება გარკვეული მინიშნებები იყოს და გარემოდან გამომდინარე, პროგნოზირებაც შეძლო, მაგრამ წინასწარ და გადაჭრით იმის მტკიცება, რომ მისგან აუცილებლად სოციოპათი ჩამოყალიბდება, შეუძლებელია.

ის ბავშვი, რომლის ისტორიაც თქვენ მოჰყევით, არ წარმოადგენს აშკარა საფრთხეს გარშემომყოფთათვის?

თამარ თანდაშვილი: წარმოადგენს, რასაკვირველია. ჩვენ, უფროსებს გვაქვს უნარი შევაფასოთ საფრთხე და განვერიდოთ მას. ბავშვებს ასეთი უნარი არ აქვთ. მათი სამყარო ძალიან შემოსაზღვრულია. საკუთარი ცხოვრებისგან დისტანცირების, შეფასებისა და განჭვრეტის უნარს ადამიანი გვიან იძენს. ამიტომ, დევიანტთან ერთად სხვა ბავშვების ყოფნა მუდმივი რისკია. დევიანტები ძალიან ხშირად ამცირებენ გარშემომყოფებს. ძალადობა არ არის აუცილებელი მაინცდამაინც ფიზიკური იყოს, რომ მძიმე შედეგი მოიტანოს. ფსიქოლოგიური ძალადობა ძალიან გავრცელებულია მოზარდებს შორის. ხშირია შეურაცხყოფა ფიზიკური ნიშნის გამო, რაც ბავშვებისთვის სტიგმად იქცევა – ბავშვი მკვიდრდება კლასში როგორც „სქელა“, „ოთხთვალა“ და მეტი არავინ. შეიძლება მან გამოხატოს წუხილი ამის გამო, შეიძლება –ა რა, მაგრამ კვალი აუცილებლად დარჩება. სკოლებში, სადაც პიროვნების თავისუფლების ღირებულებებს პატივს სცემენ, ასეთ პრობლემებს არასდროს უგულებელყოფენ. ბავშვია და იხუმრა – ამ კატეგორიაში ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტებს არასდროს განიხილავენ. რა თქმა უნდა, ეს პრობლემა შეიძლება გადაიჭრას, მაგრამ მხოლოდ – მშობელი, მასწავლებელი, თავად ბავშვი, თანაკლასელები – ყველა რგოლთან მუშაობის შედეგად.

პუბერტატის ასაკში, ანუ იმ დროს, როდესაც თავის დამკვიდრების პრობლემა მძაფრდება, ეს ყველაფერი, კიდევ უფრო რთულ ფორმებს იძენს. ხშირია თვითმკვლელობის მცდელობები, ჩვენი გადასახედიდან ისეთი ბანალური მიზეზების გამო, როგორიცაა, მაგალითად: მე უშნო ვარ. თუ ბავშვს ლიდერი ამცირებს, ამას ძალიან მძიმე შედეგი შეიძლება ჰქონდეს. თუ-

მცა, ასეთი ისტორიები შემთხვევით არ იწყება. ყველაფერს აქვს განვითარების ეტაპები. ჯგუფში შეიძლება იყოს ერთი, – დევიანტური ლიდერი, რომელიც ავტორიტეტით სარგებლობს. თუკი მის ლიდერობას სხვამ წყალი არ შეუყენა, შეუძლია ჯგუფი აქციოს ბრბოდ. სოციალური ფსიქოლოგიის თეორიები ცხადყოფს, რომ ეს ძალიან ადვილი გასაკეთებელია. განსაკუთრებით იმ ასაკის ბავშვებში, სადაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კუთვნილების განცდას სოციუმისადმი. მე მიმაჩნია, რომ სკოლაში თავიდანვე უნდა იყოს მუშაობა, ქცევის რაღაც ფორმის დარღვევაზე. სკოლას აქვს დისციპლინარული ნორმები, – ძალიან ჰუმანური, კანონიერი ზომები, რომელიც შეუძლია რომ გამოიყენოს. ეს აუცილებლად უნდა განხორციელდეს, თუნდაც იმის საჩვენებლად, რომ გარკვეულ ქცევას აუცილებლად მოჰყვება რეაგირება – ეს ბავშვებმა უნდა იცოდნენ.

ამდენად, კანონპროექტში უსაფრთხოების ხსენება ძალიან კარგია, მაგრამ გაუგებარია რას გულისხმობენ „აშკარა საფრთხეში". საფრთხე მრავალგვარია – ფსიქოლოგიურიც და ფიზიკურიც. ფიზიკური ძალადობა იმდენად აშკარაა, რომ ამაზე ბუნებრივად ჩნდება რეაგირების მოთხოვნა. ამ დროს ფსიქოლოგიური ძალადობაც არანაკლებ ამაზრზენი და ზიანის მომტანია, და შესაძლოა პერსპექტივაში გაცილებით მძიმე შედეგი ჰქონდეს. ჩვენს საზოგადოებაში ფსიქოლოგიურ ძალადობას დიდ მნიშვენლობას არ ანიჭებენ, არადა, ეს ძალადობის ერთ-ერთი ინტენსიური ფორმაა, ძალიან ძლიერი ზემოქმედება

ნატო ზაზაშვილი

მე ამ ინიციატივას, ზოგადად, პოზიტიურად ვუყურებ, მაგრამ მაქვს წინადადებები და შენიშვნები. დავუშვათ გამოვიყვანეთ ბავშვი ოჯახიდან და წავიყვანეთ ამ სპეციალურ სკოლა-პანსიონში, სადაც არაჩვეულებრივი მიდგომები და პირობები აქვთ. არაჩვეულებრივი შედეგი მივიღეთ და 6 თვის შემდეგ ბავშვი ბრუნდება ალკოჰოლიკების ოჯახში. რა შედეგი შეიძლება ამას ჰქონდეს? ამ კანონის, იცით, რა მომწონს? იძულებულს გაგვხდის საზოგადოებას, რომ ძალიან მალე შემდეგ ნაბიჯებზე ფიქრი დავიწყოთ, იმიტომ, რომ ბევრი ასეთი დაფარული პრობლემა წამოვა წინა პლანზე.

აქვს და საქართველოში უაღრესად გავრცელებულია. კანონპროექტში არ ჩანს მისი ავტორები ფსიქოლოგიურ ძალადობასაც ასეთივე საფრთხედ მიიჩნევენ თუ არა.

ნინო აბრამიშვილი: ამ კანონპროექტის წაკითხვის შემდეგ, მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ სკოლას აღარ უნდა მუშაობა ბავშვთან. ის იხსნის პასუხისმგებლობას, თავიდან იშორებს პრობლემას, რომელთან გამკლავებაც არ შეუძლია.

თამარ თანდაშვილი: მეც მეჩვენება, რომ კანონპროექტი გასაფერადებელი ნახატივითაა: მოცემულია კონტურები, შიგთავსი კი ვიღაცამ უნდა გააფერადოს. ჩამოყრილია საკითხები, რომლებიც არ ვიცით როგორ უნდა გადაიჭრას. პირველ რიგში, არ ვიცით რა პროცედურულ ნორმებს მიმართავენ, როგორ მუშაობენ ბავშვთან, მის პედაგოგთან, თანაკლასელებთან, მშობლებთან, სოციალურ მუშაკთან... უნდა არსებობდეს ძალიან დეტალურად გაწერილი ბავშვის სამომავლო განვითარების გეგმა, რომ შესაძლებელი იყოს მონიტორინგიც – რას ველოდებით მისგან გარკვეული დროის შემდეგ. მაგალითად, რა ჩაითვლება წარმატებად სამი თვის შემდეგ? თუ არავინ მოკლა, ეს წარმატებად უნდა ჩაითვალოს? კანონპროექტს, იმ სახით, რა სახითაც ჩვენ მას ვიცნობთ, მხოლოდ ლოკალური, სკოლაში დისციპლინის აღდგენის მიზანი აქვს. სხვა მხრივ არაფერი შეიცვლება – საზოგადოება ისევ ისეთ დევიანტს მიიღებს, უბრალოდ, ამ დევიანტს კარგად ეცოდინება, სად შეუძლია მოიქცეს ასე და სად არა.

თქვენი აზრით, არ არსებობს შემთხვევა, როდესაც გამართლებულია მოზარდის სკოლა-პანსიონში გადაყვანა?

ნატო ზაზაშვილი: კი. მე ამ ინიციატივას, ზოგადად, პოზიტიურად ვუყურებ. ეს შეიძლება იყოს კიდევ ერთი მცდელობა გაუმჯობესდეს ბავშვთა მდგომარეობა, მაგრამ მაქვს წინადადებები და შენიშვნები. მაგალითად, კანონპროექტში წერია, რომ ბავშვის ქცევის კორექცია ხდება სპეციალური პროგრამების ფარგლებში და სპეციალიზირებულ სკოლა-პანსიონებში. როდის მიმართავენ მათ და რას გულისხმობენ სპეციალურ პროგრამებში, ეს არ წერია. კანონპროექტის მიხედვით, სკოლა-პანსიონში ბავშვის გადაყვანის გადაწყვეტილებას იღებს სპეციალური კომისია, რომელიც ეყრდნობა ბიოფსიქოსოციალური გამოკვლევის შედეგებს. ძალიან კარგი, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, კონკრეტულად რომელ გამოკვლევებს გულისხმობენ ბიოფსიქოსოციალურ შეფასებაში. ამ დროს ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ჩემი შემდეგი შენიშვნა ბავშვის ასაკს ეხება. 10 წლის ასაკში, ბავშვის ოჯახს მოცილება არ შეიძლება. ამ ასაკში ბავშვს მშობელთან, ჯერ კიდევ ძლიერი მიჯაჭვულობა აქვს. მისი ოჯახიდან მოცილება უნდა იყოს უკიდურესი, ხაზს ვუსვამ, უკიდურესი ფორმა, გამონაკლისი შემთხვევა და არა ნორმა, – თავად ბავშვის სიცოცხლის საფრთხესთან დაკავშირებული.

დავუშვათ გამოვიყვანეთ ბავშვი ოჯახიდან და წავიყვანეთ ამ სპეციალურ სკოლა-პანსიონში, სადაც არაჩვეულებრივი მიდგომები და პირობები აქვთ; არაჩვეულებრივი შედეგი მივიღეთ და 6 თვის შემდეგ ბავშვი ბრუნდება ალკოჰოლიკების ოჯახში. რა შედეგი შეიძლება ამას ჰქონდეს? – მხოლოდ ძალიან ხანმოკლე და ზედაპირული. ამ კანონის, იცით რა მომწონს? იძულებულს გაგვხდის საზოგადოებას, რომ ძალიან მალე, შემდეგ ნაბიჯებზე ფიქრი დავიწყოთ, იმიტომ, რომ ბევრი ასეთი დაფარული

პრობლემა წამოვა წინა პლანზე. მაგალითად, ვიფიქროთ იმაზე, რომ ბავშვის მხოლოდ სკოლა-პანსიონში გაშვება კი არ არის პრობლემის გადაჭრა, არამედ, სახელმწიფომ, პარალელურად, ოჯახებთანაც უნდა დაიწყოს მუშაობა, რომ ბავშვი ისევ პრობლემურ ოჯახში არ დაბრუნდეს.

მაშინ რა დანიშნულება აქვს მხოლოდ სკოლა-პანსიონებს, როგორ შეიძლება ქცევის კორექცია ამ ახალ ინსტიტუციაში?

თამარ თანდაშვილი: ჩემი აზრით, ქცევის კორექცია, ამ ე.წ. პანსიონებში გამორიცხულია. ჩვენ ჯერ არ ვიცით რას ეძახიან პანსიონებს. როგორც ეს კანონპროექტიდან ჩანს, ეს არის ადგილი, სადაც მულტიდისციპლინარული ჯგუფი უშვებს 10-18 წლამდე მოზარდებს, იმიტომ, რომ ასკვნის – ისინი სკოლაში ვერ ივარგებენ, საზოგადოებაში თავის დამკვიდრების შანსი აღარ აქვთ და გარემოსთვის საფრთხეს წარმოადგენენ. ასე ჩვენ ვიღებთ ახალ ალკატრასს არასრულწლოვანებისთვის. მე თქვენ მოგიყევით ერთი ბავშვის ისტორია, ახლა კი, წარმოიდგინეთ, ოცი და ოცდაათი ასეთი, ერთად რომ მოხვდება. იქ იქნება მგლური კანონები, მე ვერც კი წარმომიდგენია, რა გამოსწორებაზე შეიძლება ასეთ გარემოში იყოს საუბარი. გამოსწორება კი არა, იქ ფიზიკურ გადარჩენაზეა საზრუნავი. ამიტომ, ვთვლი, რომ ასეთ დაწესებულებას (დღესაც არსებობს ასეთები, მაგალითად – შეერთებულ შტატებში) ყოველთვის ჰქონდა ერთადერთი მიზანი – ეს ბავშვები, რომელსაც საზოგადოება მიიჩნევს საფრთხედ, რომელსაც „პოტენციურ დამნაშავეებს“ ეძახის, მოარიდოს იმ სივრცეს, სადაც თვითონ ცხოვრობს და გამოკეტოს ერთ ადგილას. უბრალოდ, დაივიწყოს მათი არსებობა. წარმოუდგენელია რამემ შეცვალოს მათი ქცევა, როდესაც გარშემო ჰყავთ ზუსტად ისეთი ქცევის მქონე მოზარდები, როგორებიც თვითონ არიან. მეტ-ნაკლებად ერთი ტიპის ოჯახებიდან. ოჯახებიდან, რომელთაც ძალიან დიდი პრობლემები აქვთ. ისინი, იქ განსხვავებულს ვერავის ხედავენ. თუკი მაინცდამაინც ხოცვა მოუნდებათ, ერთმანეთი ხოცონ, ოღონდ გარეთ, ჩვენკენ არ გამოუშვან – ესაა ჩვენი მიზანი? ნატოს დავეთანხმები იმაში, რომ თუკი სახელმწიფომ მხოლოდ დევიანტ ბავშვთან იმუშავა, ამას ისეთივე შედეგი ექნება, როგორც კუჭის წყლულის დიაგნოზით სახის კანის თერაპიას – მთავარია სახეზე არაფერი გეტყობოდეს. თუ პრობლემის გადაჭრა გვინდა, პირველ წყაროს უნდა მივხედოთ.

ნატო, თქვენ ასე არ ფიქრობთ, არა?

ნატო ზაზაშვილი: ასეთი კატეგორიული ვერ ვიქნები. თუკი მე არ ვიცი ასეთი პროგრამა, ეს არ ნიშნავს, რომ ის არ შეიძლება არსებობდეს. მით უმეტეს, ვიცი კიდევაც. ჩვენი ორგანიზაცია მრავალი წელია მუშაობს არასრულწლოვანთა კოლონიაში, ბევრად უფრო დახურულ სივრცეში და არაჩვეულებრივი შედეგიც გვაქვს. ამერიკის შეერთებულ შტატებშიც ვიყავი და ვნახე ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრები, რომელიც სინამდვილეში არის ის, რასაც ჩვენ კოლონიას ვეძახით. არაჩვეულებრივი პროგრამები აქვთ და ძალიან ეფექტიანად მუშაობენ. ამ დაწესებულებას აქვს რამდენიმე ბინა თავის მფლობელობაში და გარკვეული ასაკის მიღწევის შემდეგ, მოზარდებს ასწავლიან ცხოვრებისეულ უნარ-ჩვევებს და დამოუკიდებლად ცხოვრებას. ცენტრიდან გამოსულ მოზარდს ჰყავს დამხმარე, რომელიც ახალი ცხოვრების წესთან ადაპტაციაში ეხმარება. მე სკოლა-პასნიონშიც ვხედავ ასეთ მიდგომებს.

თამარ თანდაშვილი

ქცევის კორექცია ამ ე.წ. პანსიონებში გამორიცხულია. ეს არის ადგილი, სადაც უშვებენ 10-18 წლამდე მოზარდებს იმიტომ, რომ „ისინი სკოლაში ვერ ივარგებენ, საზოგადოებაში თავის დამკვიდრების შანსი აღარ აქვთ და გარემოსთვის საფრთხეს წარმოადგენენ“. ასე ჩვენ ვიღებთ ახალ ალკატრასს არასრულწლოვნებისთვის. ასეთ დაწესებულებებს ყოველთვის ჰქონდა ერთადერთი მიზანი - ეს ბავშვები, რომელსაც საზოგადოება მიიჩნევს საფრთხედ, რომელსაც „პოტენციურ დამნაშავეებს“ ეძახის, მოარიდოს იმ სივრცეს, სადაც თვითონ ცხოვრობს და გამოკეტოს ერთ ადგილას. უბრალოდ, დაივიწყოს მათი არსებობა.

თამარ თანდაშვილი: თუკი ჩვენი მიზანია ამ ბავშვის რეაბილიტაცია, რატომ არ შეიძლება იმის მაგივრად, რომ შეიქმნას სკოლა-პანსიონი, ამუშავდეს შვილობილობის (ფოსტერი) პროგრამა? ფოსტერის პროგრამა საქართველოში უკვე არსებობს და წარმატებითაც მუშაობს. ასეთ ოჯახებში ხვდებიან ბავშვები, რომლებიც რაღაც მიზეზის გამო მოკლებულნი არიან მზრუნველობას. მაგრამ არსებობს პროგრამები სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც სპეციალურად გაწვრთნილი ფოსტერები, დევიანტური ქცევის მოზარდებზე ზრუნავენ. ჩემი აზრით, ეს ყველაზე სწორი მიდგომაა, რადგან ძალიან ხშირად პრობლემა მოდის ოჯახიდან, მისი უშუალო გარემოცვიდან, არა? ქცევის შაბლონებს ის ამ გარემოდან იღებს. ერთადერთი საშუალება ბავშვს ალტერნატიული გზა აჩვენო, ცხოვრების განსხვავებული ტრაექტორია დაანახო, ისაა, რომ გამოიყვანო იმ გარემოდან, რომლის იქითაც ვერაფერს ხედავს. იყოს შვილობილობაში, მოწყდეს იმ საზოგადოებას, რომელიც იცი, რომ ხელს უშლის მის განვითარებას. დევიანტი ბავშვების მიმართ ასეთი პროგრამაც შეიძლება განხორციელდეს. აუცილებელი არ არის, რომ ყველა დევიანტი ერთად გამოკეტო.

უცნაურია, რომ პარლამენტი განიხილავს ახალი ინსტიტუციის შექმნის ინიციატივას, როდესაც ქვეყნის პრიორიტეტი, ბოლო წლები დეინსტიტუციონალიზაცია იყო. დღეს, ერთი

სპეციალიზირებული სკოლის გარდა, საქართველოში აღარ არსებობს დიდი ინსტიტუცია. ეს იმას ნიშნავს, რომ გაჩნდა პრობლემის მოგვარების ალტერნატიული გზა. ამ შედეგებს ძალიან ამაყად ვაფრიალებთ ადამიანის უფლებების დამცველების წინაშე. თუ ბავშვების იზოლაცია ისევ მიგვაჩნია ერთადერთ გამოსავლად, ასეც უნდა ვთქვათ – რომ ვუბრუნდებით ინსტიტუციონალიზაციას, ვქმნით პრეციხე-პანსიონს, რომელიც განკუთვნილია მოზარდებისთვის, რომელთა იზოლაცია აუცილებელია საზოგადოების უსაფრთხოებისათვის.

ნატო ზაზაშვილი: ორი წლის წინ, ასეთი სიტუაცია გვქონდა – მოზარდი ან პრობაციონერი ხდებოდა, ან მიდიოდა კოლონიაში. გეთანხმებით, რომ ბევრი ალტერნატივა უნდა არსებობდეს, მაგრამ სკოლა-პანსიონიც შეიძლება იყოს ერთ-ერთი ალტერნატივა. აი, დღეს ვინც კოლონიაშია, მათ 70%-ს ასეთ სკოლა-პანსიონში მოვათავსებდი. არ არის იმ ბავშვების ადგილი იქ. შარშან იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით მედიაციის და განრიდების პროგრამით დაიწყო ახალი ეტაპი. ეს პროგრამა გულისხმობს მსუბუქი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მოზარდის განრიდებას სასჯელაღსრულების სისტემისგან. თუ ტრადიციული სისხლის სამართლის სისტემა დამსჯელობითი ხასიათისაა, ეს პროგრამა არის მზრუნველობითი. რაც უფრო მეტი ალტერნატივა გვექნება პრობლემასთან გასამკლავებლად, მით უკეთესი. ვიცი, რომ განრიდების და მედიაციის პროგრამა, ისევე როგორც, უფროსი მეგობრის პროგრამა, კარგად მუშაობს. ეს, არ ვიცით ჯერ, როგორ იმუშავებს, იმიტომ, რომ არ ვიცით „ეს“ საერთოდ რა არის.

ნინო აბრამიშვილი

ჩემი აზრით, ძალიან დიდი საფრთხეც იმალება. რა სიკეთეებსაც არ უნდა გულისხმობდნენ ახალ კანონში, დღევანდელი სკოლა არ არის მზად მის მისაღებად. ბევრი სკოლა ისარგებლებს ამ ინიციატივით და თავიდან მოიშორებს ბავშვებს, რომლებიც უბრალოდ ხელს უშლიან. მასწავლებლები დღესაც სარგებლობენ სამტრედიის სკოლით, აშინებენ ბავშვებს: ა, შენ დღეს არ წაგიყვანეს? აი, ხვალ მოვლენ და წაგიყვანენ. შეიძლება ამას ბავშვები ვერ გამოხატავენ, მაგრამ ეს შიში ნამდვილად არსებობს.

ნინო აბრამიშვილი: ჩემი აზრით, ძალიან დიდი საფრთხეც იმალება. რა სიკეთეებსაც უნდა გულისხმობდნენ ახალ კანონში, დღევანდელი სკოლა არ არის მზად მის მისაღებად. ბევრი სკოლა ისარგებლებს ამ კანონით და თავიდან მოიშორებს ბავშვებს, რომლებიც უბრალოდ ხელს უშლიან. როგორც კი ასეთი ბავშვის საკითხს კომისია, თუ მულტიდისციპლინარული ჯგუფი განიხილავს, სულ რომ მისთვის სასიკეთო, სკოლაში დატოვების გადაწყვეტილება მიიღონ, ბავშვის ავტორიტეტი შეილახება. და ასეთი ბავშვი ძალიან ბევრი იქნება. მასწავლებლები დღესაც აშინებენ ბავშვებს სამტრედიის სკოლით: ა, შენ დღეს არ წაგიყვანეს? აი, ხვალ მოვლენ და წაგიყვანენ. შეიძლება ამას ბავშვები ვერ გამოხატავენ, მაგრამ ეს შიში, ნამდვილად არსებობს.

ნატო ზაზაშვილი: არ მიხსენებია ადგილობრივი კულტურული თავისებურებები, აღზრდის სტილი, რაც სინამდვილეში განსაზღვრავს ქცევას. მე მინიმუმ ორი კვლევა ვიცი, რომელიც ადასტურებს, რომ საქართველოში აღზრდის სტილი საკმაოდ ძალადობრივია. ეს ორი კვლევა არის ბავშვთა და ქალთა მიმართ ძალადობის შემსწავლელი. 70%-ზე მეტი ბავშვი ამბობს, რომ ამა თუ იმ სახის – ფიზიკური დასჯის ფორმა მათ ოჯახში არსებობს. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია მასშტაბური პირველადი პრევენციის პროგრამების ამოქმედება.

ცნობილი ციხის ექსპერიმენტის ავტორი, სტენდფორდის პროფესორი, ფსიქოლოგი ფილიპ ზიმბარდი ამბობს, რომ მთელმა კაცობრიობამ უნდა გადახედოს იმ აღზრდის სტილს, რომლითაც თაობები იზრდება. რომ დავფიქრდეთ, რა არის ყველაზე მეტად წახალისებული? მორჩილება, არა? ოჯახს უხარია თუ მორჩილი, დამჯერი შვილი ჰყავს. სკოლასაც უხარია მორჩილი მოსწავლე, ნაკლებ პრობლემას უქმნის. უხარია სახელმწიფოსაც.

მორჩილი ადამიანი არ არის უკვე ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი?

ნატო ზაზაშვილი: არის, სწორედ ამ თემაზე მინდა ამერიკაში ერთი ექსპერიმენტის შესახებ გიამბოთ. ექსპერიმენტის მიზანი იყო გამოეკვლიათ როგორი გავლენა აქვს ადამიანზე ავტორიტეტს და როგორი წინააღმდეგობის გაწევის უნარი აქვს. ექიმი რეკავს მედდასთან და ეუბნება, რომ დღეიდან პაციენტი X-ის ექიმი ის არის. მედდას დანიშნულებაში უწერია, რომ საღამოს, პაციენტს ერთი აბი წამალი უნდა მისცეს. ახალი ექიმი უცვლის ჩვენებას და ეუბნება, რომ დღეს, საღამოს, მისცეს ერთის მაგვირად ოცი აბი წამალი. ათი მედდიდან ექიმს მხოლოდ ორი უწევს წინააღმდეგობას და ეუბნება, რომ ეს დაუშვებელია. რვა თანახმაა სასიკვდილოდ გასწიროს პაციენტი, მხოლოდ იმიტომ, რომ მას, ექიმმა უთხრა ასე. ზიმბარდი ამბობს, რომ ჩვენ უნდა წავახალისოთ სიჯიუტე, წინააღმდეგობა – ადრეული ასაკიდან. ბავშვი არც მშობელს უნდა ეთანხმებოდეს, არც მასწავლებელს, სწორედ ესაა, რაც უნდა გვინდოდეს მათგან. ჩემთან ხშირად მოდიან პრობლემით, რა ვუყოთ ჯიუტ ბავშვებს? მე სულ ვეუბნები, რომ სიჯიუტე უნდა უხაროდეთ, რომ ეს ძალიან კარგია და არავითარ შემთხვევაში სამი წლის ასაკში ბავშვი არ უნდა „მოვტეხოთ“, მისი სიჯიუტე არ უნდა დავთრგუნოთ, რისი გაკეთებაც ძალიან ადვილია. იმიტომ, რომ თუ ამას გააკეთებ, მიიღებ მორჩილ შვილს, მოსწავლეს... და მედდას, რომელიც თანახმაა, მხოლოდ იმიტომ, რომ ექიმი ამას ეუბნება, პაციენტი მოკლას.

ფიგურონატი

დაემშვიდობეთ ზედმეტ წონას...

- მხოლოდ სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული;
- მოქმედი ნივთიერებების მაღალი შემცველობა;
- ეფექტურობა;
- სასიამოვნო გემო და არომატი;
- მოხმარების პრაქტიკულობა.

ჩვენება: გამოიყენება **სიმსუქნის**, ყაბზობის და სწორი ნაწლავის ატონიის შემთხვევაში.

- არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას აწესრიგებს ლიპიდურ ცვლას და ამცირებს სისხლში ქოლესტერინის დონეს;
- ზრდის კუჭის წვენის სეკრეციას;
- ასტიმულირებს მსხვილი ნაწლავის პერისტალტიკას და ტონუსს;
- ხელს უწყობს საჭმლის მონელებას;
- არ იწვევს შეჩვევას.

გამოშვების ფორმა: 50 გრ. გრანული მოთავსებული ქილაში მუყაოს შეფუთვით. გაიცემა რეცეპტის გარეშე.

ნასუიფასიმი

გილოცავთ შობა - ახალ წელს!

ევკალიპტის ფოთოლი
ანტისეპტიკური და ანთების საწინააღმდეგო საშუალება.

ვირისტერფას ფოთოლი
ამოსახველებელი საშუალება.

ცაცხვის ყვავილი
ანთების საწინააღმდეგო და სპაზმოპლიზური საშუალება.

კულმუხოს ფესვები და ფესურები
ამოსახველებელი საშუალება.

ძირტკბილას ფესვები და ფესურები
ამოსახველებელი საშუალება.

ბრონქონატი
ამოსახველებელი, ანთების საწინააღმდეგო საშუალება.

ზამთარია

ძალიან ადრე და ზამთრდა. უაღრესად ორიგინალური დასაწყისია, მაგრამ რა ვქნა, ასეა. და იმის გათვალისწინებით, რომ ზამთარი, ზოგადად, მძულს, მაინცდამაინც აღტაცებული არა ვარ.

ანა კორძაია-სამადაშვილი

მრავალი ჩემი მეგობარი არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობს, და მათი წყალობით სრულიად განსაცვიფრებელი კითხვარები მაქვს ნანახი, ზოგი – შევსებულიც. ყოველთვის მხიბლავდა კონფორმიზმის გამარჯვება – სავარაუდო პასუხები: „კი“, „არა“, „უფრო კი, ვიდრე არა“, „უფრო არა, ვიდრე კი“.

მე არ ვარ ფრეკენ ბოკი და არ მიმაჩნია, რომ ნებისმიერ კითხვაზე შეიძლება პასუხი „კი“ ან „არა“ იყოს – ხომ გახსოვთ, შესანიშნავ რამეს ეკითხება კარლსონი: „დილდილობით ისევ ურტყამ კონიაკს?“ გასაგებია, რომ შავის და თეთრის გარდა, სხვა ფერებიც არსებობს, მაგრამ ერთი, მითხარით, რა პასუხი უნდა გასცეთ კითხვაზე; „გქონიათ სექსი ფულის სანაცვლოდ?“ რომელ პასუხს შემოხაზავდით – „უფრო კი, ვიდრე არა“ თუ „უფრო არა, ვიდრე კი?“

ზამთართან დაკავშირებითაც ზუსტად ვიცი: არა. არ მიყვარს, არ მომწონს და მისი ხიბლი არ მესმის. ვერც ვერავინ გამაგებინა.

არანაირად არ მსიამოვნებს, „აი, თბილად რომ ჩაიცვამ და...“ „აი, გარეთ რომ ცივა და სახლში რომ თბილა...“ „აი, სიცივეში რა, თბილად ჩაიცვამ, და რომ დაგცხება, რა უნდა ქნა?“

რა – რა უნდა ქნა?! უნდა გაიხადო! მიეფიცხო მზეს! ჩახტე წყალში! მოიკიდო ზურგჩანთა და მთაში მოუსვა!

მე არ მომწონს საახალწლოდ განათებულ ქუჩებში ხეტიალი – მირჩევნია, გვიან ბნელდებოდეს. არ მომწონს, რომ დილით სომნამბულასავით მივეხეტები სამსახურში. არანაირად არ მახარებს, რომ მაცვია ჩექმა, პალტო, თავზე მახურავს კუნკულა – ჰა, რა სიტყვაა? – და სულ მემუქრება საფრთხე, რომ პერიფერიული მხედველობა მიღალატებს და სახლისხელა ჯიპის საჭესთან მჯდომი აღგზნებული გოგონა გადამივლის.

ეს ჩემი პრობლემებია – გეთანხმებით. რის შესახებაც ახლა გიამბობთ, ის სხვისი პრობლემაა, რომელთან შედარებითაც მე არამცთუ არაფერი მიშავს, საერთოდ, ვარდის ბუჩქში ვზივარ. გიამბობთ:

კინოში ვიყავი, „რუსთაველში“. ვნახე ფილმი, რომელიც უფრო არ მომეწონა, ვიდრე მომეწონა, და გავბრაზდი, რომ 14 ლარი და ჩემი არაჩვეულებრივი ცხოვრების უძვირფასესი საათნახევარი სხვათა ნევროზებს შევწირე. იქიდან გამოსულმა გადავწყვიტე, რომ საკუთარი თავისთვის პატივი უნდა მეცა, და მეგობრებთან ერთად სავახშმოდ გავეშურე.

გზად თავისუფლების მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელი უნდა გამევლო. ჩასულხართ მიწის ქვეშ, თერთმეტის მერე? ცოტა შეგეშინდებათ, მაგრამ საშიში არაფერია – იმ ადამიანებს, რომლებიც იქ სხედან, თქვენთვის არ სცხელათ. მათ, საერთოდ, არ სცხელათ, იყინებიან, რადგან „აი, თბილად რომ ჩაიცვამ“ და „აი, გარეთ რომ ცივა და სახლში რომ თბილა“ მათ არ ეხებათ. ისინი უსახლკაროები არიან და ძონძებში გამოხვეულები სხედან ყუთებზე, თავისუფლების მოედანზე, მიწისქვეშა გადასასვლელში. იცით, რა უცნაური რამაა – ბრჭყვიალებს წმინდა გიორგი, ციმციმებს „მერიოტი“, მალე ახალი წელი დადგება, ვაშა! ქვემოთ კი დუმილია. ისინი არ ლაპარაკობენ. ალბათ, დაღლილები არიან და უკვე სძინავთ, ან სალაპარაკო არაფერი აქვთ, არ ვიცი.

ერთმა ბრძენმა კაცმა ერთხელ მითხრა: ვიღაცა ძალიან რომ გესაზიზღრება, გაიხსენე, რომ პატარა როცა იყო და ცუდ სიზმარს ხედავდა, ვინმეს – დედას ან ბებოს – ლოგინში გადაუგორდებოდა, დამშვიდდებოდა და გაღიმებული იძინებდაო.

თქვენ ასე არასოდეს მოქცეულხართ? კი, კი, როგორ არა...

მაშ, ასე – მოგწონთ ზამთარი? შემოხაზეთ:

კი
არა
უფრო კი, ვიდრე არა
უფრო არა, ვიდრე კი

მერცის სპეციალური დრაჟე

დღეში მხოლოდ 2 დრაჟე!

"უზადოდ ჯიიაღა ჯანი"

მერცის სპეციალური დრაჟეს ფორმულა B-ვიტამინების კომპლექსით და B-კაროტინით, განაპირობებს ჯანის უჯრედების ყოველდღიურ აღდგენა-განახლებას.

"ჯანსაღი, მბზინავი თმა"

მერცის სპეციალური დრაჟე შეიცავს ვიტამინ A-ს, კალციუმის პანთოთენატს და ფოლის მჟავას, რაც უზრუნველყოფს თმის ძირების კვებას და თმის სტრუქტურის აღდგენას.

"ღამაზი, მტკიცე ფრჩხილები"

მერცის სპეციალურ დრაჟეში შემავალი ბიოტინი, ჩაინასთანდა ამინომჟავებთან კომბინაციაში განაპირობებს ფრჩხილების სწრაფ ზრდას, ზედაპირის სიგლუვეს და იცავს მათ განშრევებისაგან.

გამოამჟღავნეთ თქვენი სილამაზე

MERZ ღამზადებულია გერმანიაში

www.abc-pharm.com tel: 2 911 900

პატენტექს ოვალი®

არაჰორმონული ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალება

უსაფრთხო კონტაცეპტივი ქალებისათვის, რომლებიც:

- იჩენენ საიმედო კონტრაცეპციას
- არ სურთ ჰორმონული კონტაცეპტივების ხანგრძლივად გამოყენება
- სურთ კონტრაცეპტივის გამოყენება მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში
- არ შეუძლიათ ჰორმონული კონტაცეპტივების მიღება

MERZ ღამზადებულია გერმანიაში

ABC PHARMACIA ABC PHARMACIA
www.abc-pharm.com tel: 2 911 900

ზღაპარი, რომელიც არასდროს მთავრდება

გაგა ნახუცრიშვილი

არსებობს წიგნები, რომლებიც გვცვლის. წაიკითხავ და ხვდები, მანამდე სხვანაირი ყოფილხარ. ბევრ რამეს ვერ ამჩნევდი, არ გესმოდა, ვერ გრძნობდი. სამყარო უფრო ფერმკრთალი იყო და მოსაწყენი. ადამიანებსაც სხვაგვარად უყურებდი. თითქოს, ზედმეტად მკაცრად, ხისტად, უგულოდ. ყველასგან ძალიან ბევრს ითხოვდი. მოკლედ, კარგი ყეყეჩი ვინმე იყავი. საკუთარ თავთან განმარტოებისაც გეშინოდა, ან, უბრალოდ, არ გინდოდა, ან გეგონა, საკუთარ „დიად“ პერსონას ზედმეტად კარგად იცნობდი. სიზმრებსაც ერთფეროვანს ხედავდი. სიზმარშიც გეშინოდა ცვლილების. დაღლილი იღვიძებდი და ყოველდღიურობის მორევს უბრუნდებოდი. მაგრამ, კიდევ კარგი... არსებობს წიგნები, რომლებიც გვცვლის.

„ვანო და ნიკო“. ეს უცნაური ზღაპარი არასდროს მთავრდება. მუდამ თან გდევს, როგორც ჰემინგუეის თავისი „პარიზული დღესასწაული“. შეუმჩნევლად და უანგაროდ გეხმარება მძიმე წუთებში. მერე უჩინრად მიდის, მაგრამ არ გტოვებს. იქვე, შენს შორიახლოს ტრიალებს, გაჭირვების ჟამს რომ ისევ გაგიმართოს ხელი. და ის ახლაც ჩემთან არის. ახლაც, როცა ჩემი მეორმოცე ახალი წელი მოდის.

როგორ გვანან ავტორები საკუთარ წიგნებს... ერლომ ახვლედიანი „ვანოს და ნიკოს“, როგორც ეგზიუპერი „პატარა პრინცს“. ერლომიც ხომ „დაფრინავს“ მთელი ცხოვრება. დაფრინავს, სადღაც, დაუჯერებლად კეთილ სამყაროში. იქიდან კი, ჩვენ გვეხმარება. სანტა-კლაუსივით გვიგზავნის საჩუქრებს, ოღონდ, არა ნივთიერს, – უხილავს, მხოლოდ სულისთვის საჭიროს; ხშირად უნებურად, უცაბედად, რადგან სხვანაირად, არსებობა არ შეუძლია. ის ყოველთვის ხალისიანია, ამასთანავე, სევდიანიც... როგორც ახალი წელი.

...ახალწლის ღამე ახლოვდებოდა. მეოცე საუკუნე მთავრდებოდა. მთავრდებოდა თავის ორი მსოფლიო ომითა და გამორჩეული ხელოვნებით. ერლომი და მე, მყუდრო დუქანში ვისხედით და ზომიერად ტანინიან ღვინოს ვწრუპავდით. მახსოვს, ჭიქა ჩვეული სისათუთით ასწია, გაჩერდა, და მერე დინჯად, დაბალი ხმით მითხრა:

– იცი, შეიძლება ბრიყვი ვარ, მაგრამ, მგონია, რომ ცუდი ადამიანები არ არსებობენ, – ეშმაკურად გაიღიმა, – ყველანი კარგები ვართ. უბრალოდ, ხშირად გვიჭირს, ერთმანეთს გავუგოთ.

– კი, – უმალ დავეთანხმე მეც, – თქვენს ნათქვამზე (ყოველთვის მეჩხუბება, როდესაც თქვენობით მივმართავ) ალბერ კამიუ გამახსენდა, – „ადრე ადამინებში ცუდი მაკვირვებდა, ახლა კი კარგი მიკვირს“-ო, წერდა.

– არა, – გამაწყვეტინა ერლომმა, – მე სხვა რამე გითხარი. მჯერა, რომ ადამიანში ცუდი არ არსებობს – მხოლოდ მოჩვენებითია... ვოცნებობ, რომ ისეთი საუკუნე დადგეს... უბრალოდ, ერთმანეთს გავუგოთ.

ახალი წლის შესახვედრად სახლებში ვბრუნდებოდით. ფეხით გამოვუყევით. ცას ავხედე. გამჭვირვალე იყო და ნაცრისფერი. არასდროს მინახავს ასეთი ნათელი ნაცრისფერი. თურმე, ნაცრისფერსაც შეუძლია გაანათოს. და რატომ არ შეიძლება, ერთხელაც, დადგეს ისეთი წელი, როდესაც ყველანი ერთმანეთს გავუგებთ... რა მარტივია, არა? ბანალურიც კი.

მერე, თოვლი წამოვიდა...

Love your body

bodyline
AESTHETIC CLINIC

ესთეტიკური მედიცინის
ცენტრი

ლაზერული ეპილაცია

ლაზერული ეპილაცია მთელს მსოფლიოში „ოქროს სტანდარტადაა“ მიჩნეული ჭარბთმიანობის მკურნალობაში. Bodyline–ში ვმუშაობთ უახლესი თაობის ინტელექტუალური ალექსანდრიტის ლაზერით. აპარატს, რომლითაც კლინიკა bodyline–ში ვმუშაობთ, გარდა იმ უპირატესობებისა, რომლებიც გააჩნია ალექსანდრიტის ლაზერის აპარატს, აქვს ერთი განსაკუთრებული უპირატესობა: მისი გაგრილების სისტემა მუშაობს გამოხდილ წყალზე. ეს იმას ნიშნავს, რომ პროცედურა სრულიად უსაფრთხოა ჯანმრთელობისთვის. ბოდილაინში ისევე, როგორც მთელს მსოფლიოში, არის ფიქსირებული ფასები ზონების მიხედვით. ფიქსირებული ფასი ნიშნავს, იმას, რომ ჩვენ ორიენტირებული ვართ შედეგზე, განვკურნოთ პაციენტი ჭარბი თმისგან. ფიქსირებული ფასების გარდა ყოველ მომდევნო ვიზიტს აკლდება 10%, მეექვსე ვიზიტი კი სრულიად უფასოა.

Velashape II

Velashape II არის ცელულიტის მკურნალობისა და სხეულის ფორმის კორექციის ერთადეთი მსოფლიოში აღიარებული არაქირურგიული მეთოდი, რომელიც ლიცენზირებულია ამერიკის სახელმწიფო სააგენტოს FDS–ს მიერ. ის არა მარტო ამცირებს სხეულის გარშემოწერილობას, არამედ ეფექტური საშუალებაა ცელულიტის სამკურნალოდაც. Velashape II – ის მთავარი მიზანი არის სხეულის გარშემოწერილობის შემცირება, ცელულიტის მკურნალობა და ცხიმოვანი ქსოვილის გადაგვარების ალაგება. Velashape II–ის პროცედურა არის სასიამოვნო, ნაზი მასაჟი. ნებისმიერი პროცედურის დასრულების შემდეგ ექიმი ადარებს თქვენს პირვანდელ და პროცედურის შედეგად ფორმირებულ ზომებს. განსხვავება პირველივე ჯერზე 1–დან 3 სანტიმეტრამდეა. ჩვენს კლინიკაში თქვენ გაქვთ შესაძლებლობა ჩაიტაროთ Velashape II –ის პროცედურები.

South Seas სპრეი გარუჯვა

სპრეი გარუჯვა არის პროფესიონალების მიერ აღიარებული საშუალება, რომლის მეშვეობითად შეგიძლიათ სასურველი ფერი სულ რაღაც 10 წუთში მიიღოთ. ეს მეთოდი დიდი პოპულარობით სარგებლობს ამერიკაში. რუჯი მომენტალურად შრება კანზე, არ არის წებოვანი და იღებთ სრულიად ბუნებრივი ფერს. აპარატი ლიცენზირებულია ამერიკის სახელმწიფო სააგენტოს FDS–ს მიერ. გარუჯვა არის სრულიად უსაფრთხო, ვინაიდან ხსნარი მზადდება მცენარეებზე. რუჯის ხანგრძლივობა არის 7–დან 10 დღემდე. თქვენ გაქვთ შესაძლებლობა, მობრძანდეთ bodyline –ში და სულ რაღაც 10 წუთში მიიღოთ სასურველი ფერი.

კოსმეტოლოგია

Bodyline–ში თქვენ შეგიძლიათ ჩაიტაროთ ნებისმიერი სახის კოსმეტოლოგირი მომსახურება: სახის ზედაპირული და ღრმა წმენდა, სხვადასხვა კოქტეილების შეყვანა ულტრაბგერითი აპარატით, მეზოთერაპია, შემავსებლები, ბოტოქსი, ტუჩის კორექცია, ბიორევიტალიზაცია, ბრაშინგი, სხვადასხვა სახის პილინგი. ჩვენს კლინიკაში თქვენ ასევე გელით მიკროდენური თერაპია, ეს არის სახის გაახალგაზრდავება უახლესი ამერიკული ტექნოლოგიით Beautiful Image. ეს არის წამყანი მეთოდი მსოფლიოში. აუმკობესებს სისხლის მიმოქცევას, ააქტიურებს კოლაგენის გამოყოფას, ასწორებს ზედაპირულ ნაოჭებსა და აუმჯობესებს სახის კანის სტუქტურას.

კეკელიძის 2
ყაზბეგის გამზ. 41
აღმაშენებლის გამზ. 110
პეკინის 25
ტელ: 2 306 306

სსრკ-ს დანგრევა

ჯერ კიდევ პატარაობისას გავაცნობიერე, რომ ირგვლივ ყველაფერი ისე არ იყო, როგორც უნდა ყოფილიყო.

ნინო ბექიშვილი

1970-1977 წლებში სოლოლაკში, მახარაძის ქუჩაზე ვცხოვრობდით. დედაჩემი წარმოშობით ოზურგეთიდანაა, ოზურგეთს მაშინ მახარაძე ერქვა და იქ ხშირად დავდიოდით. ჰოდა, ერთხელაც ვიკითხე, ვინ იყო ეს ფილიპე მახარაძე, ვისი სახელიც ქუჩასაც ერქვა და პატარა ქალაქსაც. ველოდი, მეტყოდნენ, პოეტიაო, მაგრამ დაუჯერებელი პასუხი მივიღე – „ბანდიტი, გათახსირებული კომუნისტი და საქართველოს დამაქცევარი!“ მგონი, მამაჩემი მთვრალი იყო და ასე პირდაპირ იმიტომ მითხრა.

მახარაძის 13-ში სულ ერთი ოთახი გვქონდა და ძალაუნებურად, რასაც უფროსები ლაპარაკობდნენ, ყველაფერი მესმოდა. ბევრ ისეთ რამეს ვისმენდი და ვიმახსოვრებდი, რაც ალბათ სჯობდა, უფრო მოზრდილს გამეგო. მერე ეს ამბები სულ მაფიქრებდა და რაღაცების ერთმანეთთან დაკავშირება მიჭირდა.

თუმცა, ამ ამბებიდან ერთი, როგორც მაშინ მეგონა, მთავარი იყო. მამაჩემის მეგობარი გვესტუმრა, რომელიც ძალიან მიყვარდა – მეთამაშებოდა ხოლმე, ბერძნულ მითებს მიყვებოდა და თუ რამეს დავაშავებდი, მშობლების კი არა, ჩემი მხარე ეჭირა. მამა ჯერ არ იყო შინ, მაგრამ გიგლა ბიძიამ რაღაც ნაბეჭდი ფურცლები ამოიღო და დედაჩემს დაუწყო ახსნა, რომ საბჭოთა კავშირი აუცილებლად დაინგრეოდა. ეს უტყუარი ფაქტი, აი, იმ ფურცლებზე იყო დადასტურებული. ფურცლებიც მახსოვს, რაღაცნაირი ყვითელი და უხარისხო. მერე მამაც მოვიდა. ისხდნენ, სვამდნენ ჩაის და საუბრობდნენ იმაზე, რომ ეს კაცი, ამ ნაშრომის ავტორი, ზუსტ გათვლებს აკეთებდა და საბჭოთა კავშირი 1984 წლისთვის აუცილებლად დაინგრეოდა. მაგალითად, ჩინეთთან ომს ვერ გაუძლებდა. არ ვიცი, გამაფრთხილეს თუ არა, მაგრამ მესმოდა, რომ ასეთ რაღაცებზე ეზოს ბავშვებთან და საერთოდ, გარეთ არ უნდა მელაპარაკა.

ეს ორი ამბავი, მახარაძისა და საბჭოთა კავშირის დანგრევისა, არ ვიცი, რატომ, მაგრამ ერთმანეთს დავუკავშირე. ვიცოდი, რომ ქვეყნად უსამართლობები ხდებოდა და ისიც ვიცოდი, რომ ეს უსამართლობა ერთ დღეს, 1984 წელს დამთავრდებოდა.

ერთი კარგი მწერლის პერიფრაზი რომ გავაკეთო, შვიდი წლის ბავშვს მეტი არც მოეთხოვება.

1991 წლის დეკემბერში, როცა საბჭოთა კავშირი, ოფიციალურად დაშლილად გამოაცხადეს, საქართველოსთვის უკვე კარგა ხნის დაშლილ-დანგრეული იყო. ეს ამბავი მაშინ, მგონი, არც გაგვიგია. ყოველ შემთხვევაში, არ აღგვინიშნავს, არც შამპანური გაგვიხსნია და არც მაშხალები გვისვრია! ნამდვილი ტყვიების წუილში სად იყო მაშხალების დრო!

ყინავდა, რუსთაველზე ომი იყო, სასოწარკვეთილი გურამ პეტრიაშვილი ტელევიზორის ყუთიდან იმუქრებოდა, მოგელანდებითო. ყველანი მოწყვეტილები დავიარებოდით და ვიგებდით საშინელზე საშინელ ამბებს – ვინ მოკლეს, ვის სახლი დაუწვეს, ვინ გამოვიდა ციხიდან, ვინ-ვის ესროდა ქაშუეთიდან ბომბებს და ასე.

დაზაფრულები ვიყავით, მაგრამ, მგონი, ბოლომდე მაინც ვერ ვაცნობიერებდით, რა უბედურება ტრიალებდა ჩვენს თავს. ბრძოლის ველი რომ დაგვენახა, დურბინდმომარჯვებულები მთაწმინდაზე სპეციალურად ავდიოდით. ეგ კი არა, ერთხელ იმელის სახურავზეც ავძვერით და იქიდან ვუყურებდით ომს. ჭკუა სად გვქონდა? რა ვიცი აბა, ახალგაზრდები ვიყავით!

ამასობაში, მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფო რუკიდან გაქრა. ჩვენ გავთავისუფლდით და საკუთარი თავის წინაშე მარტო დარჩენილებმა რაც ვაკეთეთ, ყველას გვახსოვს.

„იარსებებს თუ არა საბჭოთა კავშირი 1984 წლამდე?“ ასე ერქვა იმ წიგნს და ძალიან გვიან, უკვე ინტერნეტის ეპოქაში წავიკითხე. ჰო, ბოლოს იმის თქმაც მინდა, რომ ამ წიგნის ავტორი, რუსი დისიდენტი ანდრეი ამარლიკი საბჭოთა კავშირის დაშლას ვერ მოესწრო, 1980 წელს ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

ავერსი
AVERSI

20%

-40%

-40%

-20%

ავერსი გილოცავთ შობა - ახალ წელს და გთავაზობთ ავერსის აფთიაქებში 20%-დან 40%-მდე ფასდაკლებით ენვიტას, ჩიკოვიტას, აჰავას, დოლივას, ალგასანს, საუგელას, და ლაკალუტის პროდუქციას

გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!

დავით აღმაშენებლის 148/2

☎ 2-967 227

WWW.AVERSI.GE

მინდა ვიყო თქვენთან

ხმაურით, ფერად-ფერადად ზეიმობდნენ, მე კი ბავშვობიდან ჩემი შავ-თეთრი ახალი წელი მქონდა: უბრალო, სევდიანი, თბილი, ჩუმი და ამით დავდიოდი. იქნებ, არცაა საჭირო ამაზე ყველასთან ლაპარაკი, მაგრამ ამ ერთხელაც ვიქნები გულწრფელი და მერე დიდხანს აღარ...

მაია სარიშვილი

მარტო ახალი წელი კი არა, როცა კარგად ვარ, ყველაფერი შავ-თეთრია, ცუდად ყოფნის დროს კი სხვა ფერებიც მიბრუნდებიან და ეს საშინლად მქანცავს. წარმოდგენა არა მაქვს, რატომ და როდის დამემართა ეს... აი, აბსოლუტურად უფერებო კადრებად მახსოვს, როგორ მინვენდნენ გულზე ახალგაჩენილ შვილებს. დედაჩემის კუბოსთან მჯდარს კი სიჭრელე მაგიჟებდა, ყვავილების დამაბრმავებელი ფერები. მთელი შარშანდელი წელიც ფერადი იყო. ანუ, ძნელი, დაძაბული. თითქოს ბავშვებმა გადამარჩინეს – კვირაში ერთხელ ჩემს ყოფილ მოსწავლეებს ვხვდებოდი, რაღაცებს ვუკითხავდი, მაგრამ აქაც არ იყო შვება. ბავშვები ერთმანეთთანაც და ჩემთანაც გაუცხოებულები იყვნენ. თითო ცივი სხივი ყველას ჰქონდა და ერთმანეთს ჩხვლეტდნენ. უკვე მეხუთეკლასელები, სხვადასხვა სკოლებში გაფანტულები, კვირაში ორი საათით ხვდებოდნენ ერთმანეთს და იმ სიყვარულის მიღმა, რომელიც შემორჩენოდათ, მაინც მყარად ედგათ ყინულის პატარა კედლები, რომლებიც ღონე არ მეყო და ვერ გავალღვე... როცა ესენი გავიცანი, ექვსი წლისანი იყვნენ. სამი წელი ზღაპარში ვიცხოვრეთ. მერე მეც წამოვედი სკოლიდან და ესენიც სხვადასხვა სკოლებში გაიფანტნენ... შარშანდელმა წელმა კი, ბავშვებისა და მათი მშობლების თხოვნით, ჩვენი ურთიერთობის აღდგენის მცდელობაში ჩაიარა, მაგრამ ჩემი მიზეზით, მაინც ვერ შედგა... ახლა, ყური მოვკარი, თურმე, ზოგიერთ მათგანს, მეგობრების შერჩევა იმის მიხედვით დაუწყია, ვის მშობელს რომელი მარკის მანქანა ჰყავს და ვის როგორი ავეჯი უდგას შინ. თუ ეს მართლაც ასეა, მე ჩავთვლი, რომ დავმარცხდი იმის წინაშე, რასაც გარემო ასე უმოწყალოდ გახვევთ თავს, ბავშვებო... ხან ვფიქრობ, მესამე წელია, რაც თქვენთან აღარ ვარ, ვინ მეკითხება, როგორ და როგორები ხართ-მეთქი, მაგრამ ვერაფრით გამომდის, სულერთნი გახდეთ ჩემთვის. ასე საქვეყნოდ, აბა, რას გეტყვით? როგორმე გულებში ჩაიხედეთ და ყველანი ნახავთ იქ სათქვენო სიტყვებს, რომლებიც იმხელა სიყვარულით ჩავრგე, შეუძლებელია ბოლო ფესვამდის გადამხმარიყო... ასეა, რთული წელი მქონდა, მაგრამ მაინც უწამლებოდ გამოვძვერი, ყოველგვარი ფსიქოტროპული, უსულო აბების გარეშე. არ მინდოდა, ეს, რეცეპტებზე მინდობითა და შტერი აბებით მოტანილი პლასტმასის „კარგად ყოფნა“. ამბები, რომლებმაც დამანგრიეს, ლექსებადაც არ მიქცევია, არაფრად არ უნდა აქციო ასეთი დღეები, რომ კვლავ არ გაცოცხლდნენ. მეც დიდი წვალებით, მაგრამ მაინც წავშალე... თუმცა, ეს ყალბი სიჭრელე ბოლომდის მაინც ვერ ჩავუქრე დღეებს. იქნებ, მთელი წელი, ამიტომაც ვერ დავწერე ვერაფერი. ჯერ ხომ ის აღმოვაჩინე, რომ არაა მასწავლებლობა ჩემი საქმე, მერე იმაშიც დავრწმუნდი, რომ, თურმე - არც წერა... ასეთ ფერად დღეებში არაფრად ვარგივარ...ვიცი, ბავშვებს უნდათ ყველასნაირი დედა ჰყავდეთ. მეც ვცდილობ. მხოლოდ ახლა კი არა, რაც დავიბადე, მას მერე ვცდილობ. ძალიან კარგადაც გამომდის. უბრალოდ, ზოგჯერ ვიღლები თამაშით და ვწვები ლოგინში დღეობით. აღარ მინდა. ისევ კეთილ, მშვიდ ნიღაბში მირჩევნია. ასეთი, არავის ვაფრთხობ, და ყველას, ვინც სიგიჟის გამო დავკარგე, ისევ ვიბრუნებ. გამომდის ჯერ. მეც თქვენთან მინდა, ჭკვიანებო, ზომიერებო, თავაზიანებო, საქმიანებო, ჯანმრთელებო! არაა ეს ჩემთვის ძნელი. ვიდრე შემიძლია, არასოდეს გავალ თქვენი ველიდან, და თუ კიდევ დავიღალე, აღარ შევიმალები საბნის ქვეშ, არც არსად. მშვიდად ვიქნები და ვერავინ გაიგებთ, მეც კი ვერ გავიგებ, როგორ ჩამომეშლება ნამდვილი სახე ჩამოუხსნელი ნიღბის ქვეშ... მორჩა, მეტს ვეღარაფერს დავწერ. მინდა, ამ დღეებში მაინც დამტოვოს სიჭრელემ და როცა ირგვლივ ხმაურითა და ბრდღვიალა ფერებით იზეიმებენ ახალ წელსა და შობას, ჩემთან ისევ ის შავ-თეთრი სიხარული დაბრუნდეს: ნამდვილი, თბილი, ჩუმი და მთელი მომდევნი წელი ამ უბრალო და მშვიდი სიხარულით დავდიოდე...

Stelzen Haus

SH

ბავარიული სახლი

The old Bavarian beer Weihenstephan in the world. Pork knuckles spare ribs and other delicious dishes from a German chef.

მსოფლიოში უძველესი ბავარიული ლუდი ვაინშტეფანი. კანჭი, ნეკნი და სხვა უგემრიელესი კერძები გერმანელი შეფმზარეულისგან.

ერეკლე II-ს 8/10

8/10, Erekle II

KUGA-ს ოთხივე საბურავის დამოუკიდებელი მოჭიდება რელიეფზე, გაძლევთ მართვის შეუდარებელ განცდას.

ერთწლიანი უპროცენტო განვადება!
გარანტია: 2 წელი არალიმიტირებული გარბენით!
Trade in – ჩააბარე ძველი, გაიყვანე ახალი!
მოქნილი პირობები, მაღალი ხარისხის მომსახურება!
FORD **KUGA**

www.ford.com.ge

Ford

Feel the difference

დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი. ტელ: 259 50 00; 259 67 96
E-mail: info@ford.com.ge

ცხელი
შოკოლადი

ისტორიები







ისტორია
ნიკა მაჩაიძე, ტუსია ბერიძე

ინტერვიუ
ოლეგ ტიმჩენკო

ისტორია
ლეოს კარაქსი

თარგმანი
სამოქალაქო არქიპელაგი

პროტესტის ისტორია
„დაიკავე უოლ სტრიტი“

სამურაები
კავკასიის თვალუწვდენელი სტეპებიდან

ავტორი ნიკო ნერგაძე
ფოტო ლელი ბლაგონრავოვა
კოსტიუმები ნინო ჩუბინიშვილი

ბინა მაღლაა, ვერაზე. მისაღებ ოთახს ერთი ფანჯარა აქვს, რომელიც პირდაპირ ფუნიკულიორს უყურებს. რომ გაიხედავ, მარტო ეშმაკის ბორბალი ჩანს. როდესაც დაღამდება, მთელ ოთახს ბორბლის ციმციმი ავსებს.

ნისლის დროს განსაკუთრებით მაგარია, – ამბობს ნიკა, – შეგიძლია უბრალოდ იჯდე და უყურო. ელესდესავითაა, გაყავხარ სადღაც.

ტელევიზორი ოთახში არ დგას.

ვიდრე ინტერვიუს „ოფიციალურ“ ნაწილს დავიწყებდეთ, ქვეყნის ამბებზე ვლაპარაკობთ – ქანდაკებებზე და ივანიშვილზე და ჯეოსტარზე და ეგეთებზე.

ტუსია ამ დროს მეორე ოთახშია გასული და შუა ლაპარაკში შემოდის. ნიკა განათლების სისტემას განიხილავს

ტუსია კითხულობს – შაშკინი ვინ არის?

– აი, ის, ბლანჟეიანი რომაა – უხსნის ნიკა.

– არ ვიცი.

– მინისტრი, რა.

– შაშკინი?

– ხო.

– მოიცა, რუსია? – უკვირს ტუსიას.

ახალ ამბებს საერთოდ არ უყურებთ? – ვეკითხები.

– არა. ომის დროს მეტისმეტი მოგვივიდა და პერედოზიროვკა გვაქვს.

– აბა, რას უყურებთ?

– ნისლი თუ არის, ეშმაკის ბორბალს.

* * *

ნიკამ და ტუსიამ ეს ბინა ორიოდე კვირის წინ იქირავეს, თუმცა, ერთი შეხედვით ამას ვერ მიხვდებოდი. უკვე სათავისოდ აქვთ გადაკეთებული. კარგა ხნის ნაცხოვრებს ჰგავს. ყველა კედელი მორთულია, ერთგან იაპონური ნახატების პოსტერი კიდია. მეორე კედელზე თაროებია, სადაც გრეის ჯოუნსის ფირფიტა Island Life დევს. გვერდით Depeche Mode-ის დისკია მიყუდებული. მეორე თაროზე წიგნები აწყვია. ერთ-ერთის გარეკანზე ნიკა მაჩაიძეა გამოსახული. შავ-თეთრი პორტრეტია. კარგი ფოტოა, ეფექტური. ნიკას ნიკაპზე უკიდია ხელი და ჩაფიქრებული სადღაც, ქვევითკენ იცქირება. წიგნს სათაური ივრითზე აწერია.

– წიგნი დაწერეს შენზე?

ისრაელში გამოცემული რაღაც თრილერი ყოფილა. ნიკა ზედ უბრალოდ სილამაზისთვისაა. ფოტო უნახავს სადღაც გამომცემელს და მოსწონებია. მერე სააგენტოსგან იყიდა და წიგნის გარეკანზე დასვა.

ნიკას და ტუსიას ფოტოებს და მუსიკას ყოვლად უცნაურ ადგილებში შეხვდები ადამიანი.

ცოცხალი

ნიკა მაჩაიძის და ნატალია ბერიძის მუსიკა მსმენელთან მისვლამდე ზუსტად ისეთივე გზას გადის, როგორსაც მცირე ზომის ევროპული ლეიბლების ასობით სხვა მუსიკოსის.

მუსიკას ორივე მთლიანად კომპიუტერში, პროგრამა Fruity Loops-ში აწყობს (ტუსია მღერის, ნიკა – არა.). როდესაც ალბომისათვის საკმარისი მასალა დაგროვდება, მას ხმის ჩამწერი სტუდია გამოსცემს (კომპაქტ დისკის ან ვინილის სახით). პატარა ლეიბლების მუსიკოსებს დიდი ტირაჟი ვერასოდეს ექნებათ – ძალიან, ძალიან კარგ შემთხვევაში 20 ათასი გაიყიდება. ცხადია, ტრეკების შეძენა ინტერნეტითაც შეიძლება.

შემდეგ ლეიბლი ალბომებს სხვადასხვა ჟურნალებს უგზავნის – შესაფასებლად. თან მცირე ახსნასაც მიაყოლებენ, თუ ვინ არიან ეს მუსიკოსები და რა გაუკეთებიათ მანამდე. უხსნიან, მაგალითად, რომ ნიკა მაჩაიძე ნიკა მაჩაიძეც არის, ნიკაკოიც და ერასტიც. ნატალია ბერიძე კი, პირველ რიგში, TBA-ს სახელითაა ცნობილი, მაგრამ ის ასევე ნატალი ბერიძეც არის, ტუსია ბერიძეც და, იშვიათად, ნეიტ ფიშერიც.

ნიკას და ტუსიას ალბომებზე ყოველთვის კარგს ან ძალიან კარგს წერენ ხოლმე. სასიამოვნოა, მაგრამ მეტიც არაფერი – ფულზე არ აისახება. დისკების გაყიდვები კი იმატებს, მაგრამ მცირედით და ცოტა ხნით. ამასთან, გაყიდვებით თავს მაინც ვერ შეინახავ...

ლეიბლი მუშაობას აქ არ ამთავრებს. ისინი დისკებს სხვადასხვა პროდიუსერებსა და პრომოუტერებს უგზავნიან. თუ ვინმეს რომელიმე ტრეკი მოეწონა და კომპილაციაში ჩასვა, ეს მუსიკოსისათვის დამატებითი, არცთუ ურიგო შემოსავალია.

უფრო მთავარი კი ისაა, რომ კლუბების, თეატრებისა და ფესტივალების მესვეურებმა შენიშნონ. მუსიკოსისთვის თავის რჩენის ყველაზე კარგი გზა დაკვრაა. აქ კი, ნიკაც და ტუსიაც, ევროპელებთან შედარებით წამგებიან მდგომარეობაში არიან.

ნიკა მაჩაიძე: ინტერესი ბევრსა აქვს ხოლმე, მაგრამ როგორც კი ესმით, რომ თბილისიდან უნდა ჩახვიდე, მაშინვე ყოყმანს იწყებენ. იქ რომ ცხოვრობ, გაცილებით უფრო ადვილია. გერმანიაში რომ ვიყავი, მაშინ ყოველ კვირას მქონდა ლაივები. ყველა პარასკევი და შაბათი დაკავებული მქონდა. ფულიც ბლომად შემოდიოდა.

– გენატრება ეგ დრო?

– არა, რას ამბობ. მაგარი დამღლელია. დაფრინავ ძალიან ბევრს. მერე ერთი კვირა გჭირდება, რომ აზრზე მოხვიდე და მერე იგივე იწყება თავიდან. მე საერთოდ აღარ ვუკრავ.

დაკვრა აი, რას ჰქვია – ნიკას კომპიუტერში ის პროგრამა აქვს გახსნი-

კადრები ფილმიდან „Ulayah Saba"

ნიკა მაჩაიძე ფილმზე მუშაობს, ფილმის პერსონაჟები კომპიუტერულ თამაშში მოხვდებიან, საიდანაც თავი უნდა დააღწიონ. თამაშს შვიდი სხვადასხვა დონე აქვს და ყველა ეს დონე განსხვავებული სამყაროა. ამ ეტაპზე შინაარსს მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს. უფრო საინტერესო ფილმის ვიზუალური მხარეა. ანიმე არ არის, მაგრამ შთაგონების წყარო აშკარად იაპონური მულტფილმებია.

ლი, სადაც მუსიკას აკეთებს. ერთ ტრეკს უშვებს და ამ დროს იქვე, ცოცხლად ამზადებს შემდეგი კომპოზიციის ვარიაციებს – ან რიტმს ცვლის, ან რამე ეგეთს – იმპროვიზაციას აკეთებს.

სანახავად დიდი არაფერია, – ამბობს ნიკა – უნდა უყურო ტიპი როგორ დგას ლეპტოპთან. მოსაწყენია. ზოგი ამ დროს ცდილობს, რომ ლაივი დამატებითი მოძრაობებით გაახალისოს – იქ ღილაკს თითს დააჭერს, რაღაცას აუწევს, რაღაცას ჩაუწევს. რომ აი, მუშაობს. მე ეგრე არ გამომდის, ამიტომ ჩემთვის მთავარი მუღამი იყო აუდიტორიის განწყობა შემეფასებინა და შესაბამისი მუსიკა გამეშვა.

ტუსია მღერის. შესაბამისად, მის ლაივებზე სანახავი ცოტა მეტია. თუმცა, მისთვის სანახაობაზე უფრო მნიშვნელოვანი განწყობაა.

– უფრო ინტიმური სახის კონცერტებს ვაწყობ ხოლმე. პატარა განათება მაქვს. კუთხეში ვიკავებ ადგილს და ისე ვმღერი. ვართ მე, ჩემი მიკროფონი და კომპიუტერი. ყველაზე კარგი გამოდის, როდესაც ეგეთი, ინტიმური განწყობა იქმნება. სხედან და გისმენენ.

TBILISI DEAD

– თბილისში უკრავ ხოლმე?

– არა, ნამდვილი ლაივი თბილისში არასოდეს დამიკრავს. ნიკას ჰქონია ერთი-ორჯერ. მე – არა.

– რატომ? პუბლიკა არ არის?

– არც ვიცი პუბლიკა არის თუ არა. აქ, ძირითადად, კლუბები გიწვევენ ხოლმე. უნდათ, რომ ხალხი აცეკვო. სხვანაირი შემოთავაზება არც მქონია. მე კიდევ ეგეთი მუსიკა არა მაქვს – მაგისი ადგილი კლუბში არ არის. არც ვგრძნობ თავს კომფორტულად. იდეაში კი გავაკეთებდი რაღაცას, მაგრამ მაგას ფულიც მეტი სჭირდება – სცენა რომ გააკეთო შესაბამისი, კონტექსტი რომ ჰქონდეს, რაღაცა რომ მოიფიქრო....

– თუ არც კონცერტები გაქვთ მაინცდამაინც და გაყიდვებითაც ფული არ შემოდის, თავს რითი ირჩენთ?

ნატალია ბერიძე: მე ამ წუთას ზაზა რუსაძის ფილმის საუნდტრეკზე ვმუშაობ. ეგ სასიამოვნო საქმე უფროა, ვიდრე შემოსავლიანი. თავის სარჩენი საქმეები ეხლა ძირითადად ნიკას აქვს. რეკლამის მუსიკა, ეგეთები...

ის, რომ ვერც ერთი და ვერც მეორე თავისი მუსიკით ფულს ვერ შოულობს, ნაწილობრივ სისტემის ბრალია, ნაწილობრივ კი თავისიც.

ნიკა მაჩაიძე: ჩემს მუსიკას „ფეშენ ტივი“ კარგა ხანს, ლამის ყოველდღე იყენებდა. მარტო ჩემსას კი არა, ტუსიასასაც, გოგი ძოძუაშვილისასაც... კიდევ „ევროსპორტზეც“ ედო ჩემი მუსიკა რაღაც რეკლამას ორი წლის განმავლობაში. მანდედან კაპიკი არ მინახავს.

– ეგრე შეიძლება?

– კი. ეგენი ყოველთვე უგზავნიან ხოლმე GEMA-ს (მუსიკოსების საავტორო უფლებების დაცვის გერმანული ორგანიზაციაა) სიას, თუ რა ნაწარმოები გამოიყენეს და რაღაც თანხას რიცხავენ. მერე ამ ფულს ეს ორგანიზაცია ანაწილებს. მე კიდევ მაშინ მაგათი წევრი არ ვიყავი და, შესაბამისად, არც არაფერი მხვდებოდა.

ადრე ნიკა ჰყვებოდა, რომ ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო გრძნობა მაშინ დაეუფლა, როდესაც „გარბუშკაზე“, დისკების მოსკოვურ ბაზრობაზე, პირველად გადააწყდა საკუთარ ნაპირატალ დისკს. ალბათ, ნამდვილ მუსიკოსად თავს ვერ იგრძნობ, ვიდრე შენს დისკს მეკობრეები არ გაყიდიან. მაგრამ, ეგ კარგა ხნის წინ იყო („გარბუშკა“ 2001 წელს დახურეს). ისიც, შენს ნამუშევარს პირატულად რომ ყიდიან, სულ აღარ არის სასიამოვნო.

მით უმეტეს, როდესაც შენს მუსიკას ვიღაც ფანი კი არ ქაჩავს მეკობრული საიტიდან, არამედ ტელევიზია იყენებს თავის პრომოში (ამას, ცხადია მარტო „ევროსპორტი“ არ აკეთებს. ქართულ ტელევიზიებშიც ბევრ რამეს ადევს ნიკას მუსიკა).

ნიკა მაჩაიძე: ეგ კიდე რა უბედურებაა, ქართულ რეკლამებში რომ უცხოურ სიმღერებს იყენებენ. ზოგს „ბითლზი“ ადევს, ზოგს „ქუინი“... გეგონება უფლება ჰქონდეთ. ეგ რომ აეკრძალოთ, მოუწევთ ხოლმე, რომ ქართველ მუსიკოსებს დაუკვეთონ უფრო ხშირად და ამათაც, შემოსავალი მეტი ექნებათ...

– შენც მეტი საქმე გექნება, არა?

ნიკას ცოტა უკვირს.

– მე რა. მე ისედაც სულ მიკვეთავენ.

ULAYAH SABA

„ცხელი შოკოლადის“ 7 წლის წინანდელ ნომერში ნიკა იხსენებდა, “ჩემზე ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ეფექტი იმან მოახდინა, პირველად რომ გავაკეთე ტრეკი, რომელიც ხარისხით Warp-ის პროდუქციის (Warp ბრიტანული ლეიბლია, რომელიც თანამედროვე ელექტრონული მუსიკის მამების – Aphex Twin-ის, Autechre-ის, რიჩი ჰოტინის და სხვების სახლი იყო.) იდენტური იყო და მივხვდი, რომ ამაში განსაკუთრებული არაფერიაო“. შეიძლება თავის ქებად მოგეჩვენოთ, მაგრამ არ არის. უფრო ფაქტის კონსტატაციაა.

როგორც ჩანს, შემდეგი სამიზნეა Studio Ghibli. ეს იაპონური ანიმაციის და კინოს სტუდიაა, რომლის დამზადებულიცაა მსოფლიოს საუკეთესო ანიმეები (იაპონური ანიმაციური ფილმები) – მათ შორის, ჰაიაო მიაზაკის Spirited Away („სულების მიერ გატაცებული“) და „პრინცესა მონონოკე“. თუმცა ამ სამიზნის მიღწევა გაცილებით უფრო რთული იქნება. ამას ნიჭისა და ცოდნის გარდა, ფული და რესურსებიც სჭირდება.

ნიკა მაჩაიძე ფილმზე მუშაობს, რომელსაც თავდაპირველად „თამაში“ უნდა რქმეოდა, ახლა კი – Ulayah Saba (სუაჰილიზე, შვიდ ქვეყანას ნიშნავს) ჰქვია. ეს ანიმაციური და მხატვრული ფილმის ერთგვარი ნაზავია – ფილმის პერსონაჟები კინოკამერით, მწვანე ეკრანის წინ გადაიღეს (ეს ეტაპი დასრულებულია). შემდეგ ეს მასალა სპეციალური როტოსკოპიული ტექნიკით უნდა დამუშავდეს და ანიმაციად გარდაიქმნას.

შინაარსი ასეთია – ფილმის პერსონაჟები კომპიუტერულ თამაშში მოხვდებიან, საიდანაც თავი უნდა დააღწიონ. თამაშს შვიდი სხვადასხვა დონე აქვს და ყველა ეს დონე განსხვავებული სამყაროა. ამ ეტაპზე შინაარსს მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს. უფრო საინტერესო ფილმის ვიზუალური მხარეა. ანიმე არ არის, მაგრამ შთაგონების წყარო აშკარად იაპონური მულტფილმებია.

ნიკამ, იმის საჩვენებლად, თუ როგორი გამოვა დასრულებული ფილმი, საილუსტრაციო ერთნუთიანი კლიპი გააკეთა. ვიდეოკლიპის დასაწყისში კამერა ქალაქის უცნაურ ხედს გვაჩვენებს. ერთი შეხედვით, თბილისსაც ჰგავს, რომსაც და დისტოპიურ იაპონურ სოფელსაც. ქალაქში რამდენიმე ხიდი დგას. ხიდებზე მატარებლები მოძრაობენ. წინა ფონზე ლიანდაგია, რომელზეც უცნაური რაღაც მიცოცავს – ორთქმავლის, სამბორბლიანი მოტოციკლის და ბოთლის ნაჯვარი. ქალაქის შუაგულში ბაობაბები დგას. სახლის კედლებზე უზარმაზარი სოკოები ამოსულა. ვიღაცას საარეცხი აქვს გაფენილი – ეს ყველაფერი ათიოდე წამის განმავლობაში ჩანს. ნიკას კი 100 ასეთი წუთი აქვს გასაკეთებელი.

– ფილმი კი გადავიღე, მაგრამ მთავარი საქმე პოსტპროდუქციაა. ახლა ვცდილობ ვინმე დავაინტერესო, რომ ფული ჩადოს. ეს კლიპიც მაგიტომ გავაკეთე – შთაბეჭდილება რომ შეექმნათ, თუ რა გამოვა.

კლიპი მართლაც შთამბეჭდავია. თუ ნიკამ დასამთავრებლად ფული იშოვა და ეგეთი საათნახევარი გააკეთა, ვინძლო მართლა გამოვიდეს Studio Ghibli-ს პროდუქციის დონისა. მაგაზე კი ვერავინ იტყვის, განსაკუთრებული არაფერიაო.

(თუ კლიპის ნახვა მოგინდა, www.vimeo.com-ზე შედი და Ulayah Saba ჩაწერე).

საქართველოს უკიდეგანო სტეპები

ნიკაზე ან ტუსიაზე წერისას უცხოური გამოცემები (დიდი, სახელიანი ალტერნატიული მუსიკის ჟურნალებიც და მცირე ზომის ბლოგებიც) ხშირად აღნიშნავენ, თუ როგორ იგრძნობა მათ მუსიკაში მათი ქვეყნის კულტურა. ოღონდ, ის, თუ როგორია ეს კულტურა, სულ სხვადასხვაგვარად წარმოუდგენიათ. ზოგი სულ სხვაგანაა.

ერთი მიმომხილველი, მაგალითად, წერს, რომ ნიკაკოის მოსმენისას თვალწინ წარმოუდგება „კავკასიის მთებს შორის არსებული მელანქოლიური ჰორიზონტები და ცარიელი სტეპები". „ნამდვილი სტეპების მუსიკას" უწოდებს ნიკაკოის Sestrichka-ს ჟურნალი Stylus-იც. ალბათ, კავკასია და ტიან-შანი ერევათ ერთმანეთში. ეს ჟურნალი, სხვათა შორის, იმასაც მოაყოლებს – „საუცხოო ტრეკია „ორუდილა", რომელიც იღებს, როგორც ჩანს, ტრადიციულ რუსულ მუსიკას და მას ბრეიკბიტის მანქანაში ატარებსო." ეს მაგალითები გეოგრაფიის უცოდინარი მუსიკის კრიტიკოსების გამოსაჭენებლად კი არაა... უფრო იმის საჩვენებლადაა, თუ რამხელა როლი აქვს წინასწარგანწყობას მუსიკის აღქმაში. როცა გგონია, რომ მუსიკის უკან ასეთი გეოგრაფია დგას, მაშინ ეგეთივეს დაინახავ.

სხვაგან ეს მუსიკა უფრო ომისგან გათანგული ქვეყნის გამოძახილად მიაჩნიათ (ნიკაზეც წერენ ამას და ტუსიაზეც). კიდევ სხვები აზიურ კვალს ხედავენ... მოკლედ, ყოველი მეორე უცხოური რეცენზია და სტატია ხაზს უსვამს, თუ როგორ განსაზღვრავს ამ მუსიკოსების ქართველობა მათ შემოქმედებას. ოღონდ, როგორები არიან ქართველები, ამ სტატიების ავტორებმა მაინცდამაინც არც იციან.

მართლა ჩანს ამ მუსიკაში ქართული კულტურა, თუ ეჩვენებათ?

ნატალია ბერიძე: რამდენად ქართველი მუსიკოსი ვარ? ჩემთვის ეს უფრო გეოგრაფიული ასპექტია, ვიდრე კულტურული. ანუ, არ ვიცი. მე თვითონ მგონია, რომ არა მაქვს ეს ქართული კულტურული ელემენტები. ინგლისურად ვმღერი. იგივე, ფოლკლორის ელემენტები არა მაქვს... ისე ქართულ მუსიკას არც ვუსმენ ხოლმე... ალბათ, ჩემი გაგების მიღმა ეგ აუცილებლად დევს, მაგრამ მე თვითონ ამას ვერ ვაცნობიერებ.

ნიკა მაჩაიძე: მსმენელი გრძნობს, ალბათ, ამას.

ნატალია ბერიძე: კი, მაგრამ არავის არასდროს უთქვამს ჩემთვის, რომ აი, ქართული დავინახე შიგნით რამეო. მეტიც, უფრო შეიძლება, რუსული – საბჭოთა ან კლასიკური გავლენა იყოს შიგნით, ვიდრე ქართული.

(კავშირი ძველ რუსულ სიმღერებსა და ტუსიას მუსიკას შორის ზედაპირზე არ დევს, მაგრამ მისი დანახვა მაინც შესაძლებელია. განსაკუთრებით კარგად ეს ტუსიას ადრე გაკეთებულ ქავერში ჩანს. ის, გოგი ძოძუაშვილთან ერთად, „აკვარიუმის" „გოროდ ზოლოტოის" მღერის (ტუსიას ვერსიას უბრალოდ „გოროდ" ჰქვია). სრულიად საუცხოო ვერსიაა. იუტუბზე შეგიძლია ნახო).

თუმცა, საქართველოსა და რუსეთზე ახლოს ორივესთან, ალბათ, იაპონია დგას. არა როგორც ქვეყანა, არამედ, უფრო, როგორც სიმბოლო – თავისი სამურაის კოდექსით და ცათამბჯენებით და ანიმეთი და საკამოტოთი. ტუსიას პირველ ალბომს პირდაპირ ასე ჰქვია – Georgia is Like Spiritual Tokyo (საქართველო სულიერ ტოკიოს ჰგავს). მართალია, დღეს ნატალია ბერიძე საქართველოს უფრო Spiritual Singapour-ს ამსგავსებს, მაგრამ მუსიკაზე ეგ არ აისახება.

– ქართული მუსიკა არ გიყვარს?

ნატალია ბერიძე: არა, როგორ არ მიყვარს. უბრალოდ, ხშირად არ ვუსმენ ხოლმე. საერთოდ ემოციური მუსიკა მიყვარს და მგონია, რომ ამ მხრივ ქართული ფოლკი ერთ-ერთი ყველაზე გენიალური რამეა. ამას გარდა, ასევე, საერთოდ მსოფლიო მუსიკაში ერთ-ერთ ყველაზე მაგარი რამე, რაც არსებობს, არის „ცისფერი ტრიო", იმიტომ, რომ აბსოლუტურად ავთენტურია და არ არის რაღაც ისა...

დიმპიტაური

„რაღაც იმასთან", ანუ ქართულ პოპ-კულტურასთან შეხება ნიკა მაჩაიძეს უფრო აქვს. ოღონდ ის თანამედროვე ქართულ პოპს თუ ესტრადას თანამედროვე დიმპიტაურებს ამჯობინებს. „ორუდილა" უკვე ვახსენეთ – Stylus-ის დეგენერატ ავტორს რომ რუსული ფოლკლორი ეგონა (მაქსიმუმ 2 წუთის გუგლაობა უნდოდა. მოკლავდა?). გადასარევი ტრეკია, რომლისთვისაც სემპლი ნიკას რომელიმე კარგი ფოლკლორული ანსამბლისგან კი არ აუღია, არამედ ბაზრობაზე ნაყიდი კასეტიდან ამოჭრა.

ამას გარდა, ნიკას, Erast-ის სახელით მთელი ალბომი აქვს ჩაწერილი, რომელსაც Weddings (ქორწილები) ჰქვია (ნიკა ვედინგებს ეძახის). „ვედინგები" ალბომად ოფიციალურად არ გამოსულა, ამიტომ მას ვერც ნიკაკოის დისკოგრაფიაში ნახავთ და ვერც ერასტისაში. ისე კი იუტუბზე ამასაც მშვენივრად მოისმენთ.

აქ შესული ყველა ტრეკი საქორწილო, ტაშტაშტაშტარამტარამ სიმღერების რემიქსია. უფრო სწორად, რემიქსი კი არა – დეკონსტრუქცია. სხვადასხვაგვარი დიმპიტაურებიდან ნიკას ერთი ან ორი ელემენტი აქვს დატოვებული და შემდეგ თავისებურად გაკეთებული. ყველა ტრეკს მსგავსი სახელი ჰქვია – ერთი ჟუჟუნას ვედინგია, მეორე ნაილის, მესამე ნაირასი...

საინტერესო კი ისაა, რომ ეს „საღადაო" პროექტი არ არის. თითოეული კომპოზიცია ყოველგვარი ირონიის გარეშე (ნუ, კარგი, ცოტა თვალის ჩაკვრით. მაგრამ მაინც...) გულით, სიყვარულით და საქმის ცოდნით არის დამუშავებული. თან მხიარულია, თან საცეკვაო (განსაკუთრებით ნატაშას ვედინგი აგითამაშებს ფეხებს), თან ნიკაკოური.

ნიკა მაჩაიძე: რეალურად როგორც გართობა, ისე დავიწყე. მერე და მერე რაღაცები მართლა დავამუღამე. განსაკუთრებით – რიტმი. საბოლოოდ კარგად ჩაჯდა და საცეკვაოც გამოვიდა. პრინციპში, ეგ ჩემი ვედინგები არის ქართულის ფეიკი. „საქორწილოები" და, ზოგადად, ეგ მუსიკა, „არ დაიდარდოს" სიმღერებს რომ ეძახიან, მე მგონია, რომ არის ყველაზე გულწრფელი რამე ქართულ პოპ-კულტურაში. ნაღდია. ეგ ევასებათ და მაგას მღერიან. შეიძლება „რაღაც დონისა" არ არის, მაგრამ თავის პლასტში აბსოლუტურად გულწრფელია. ჰოდა, რაც გავაკეთე, პაროდიის პონტში არ მიქნია. გადავამუშავე. იმიტომ გავაკეთე, რომ ჩემს გარშემო ვინცაა, იმან მოუსმინოს. ისე არ მოუსმენენ...

– ისე, როგორ იცი, ცეკვავს ხალხი შენს ვედინგებზე?

– ეგენი დავუკარი თელ-ავივში, ტოკიოში, ბერლინში და თბილისში. ყველგან, პირველივე ბიტი რომ გაისმებოდა, გიჟდებოდნენ. ცეკვავდნენ, ხტუნვას იწყებდნენ, ბარზე ხტებოდნენ... ყველგან ეგრე იყო, ბერლინის გარდა. იქ ბერლინის ბიენალეს დროს დავუკარი. ჰოდა, მთელი ეს ჩამოსული არტისტები იდგნენ და მისმენდნენ სასმელებით ხელში. ბოლომდე დარჩნენ, მაგრამ არც განძრეულან. აი, ასე მომისმინეს – ჭიქებით ხელში.

– ნერვები არ მოგეშალა?

– არა, მაგრამ გამიკვირდა. უცნაური ხალხია გერმანელები.

ტუსიას, რომელიც ამ ამბავს პირველად არ ისმენს, თავისი აზრი აქვს ამაზე. გერმანია კი არ არის შუაშიო – ამბობს, არამედ ის, რომ ეგ კონცერტი ბიენალეს ფარგლებში იყოო.

– ეს არტისტები აროგანტული ხალხია. ცდილობენ, რომ თავი სულ აკონტროლონ. მაგიტომ იდგნენ წყნარად. თორემ, ბერლინში რომ ხალხი ცეკვავს ხოლმე...

ნიკა ეთანხმება, მაგრამ უგულოდ. ტუსია აშკარად მართალია, მაგრამ ნიკასეული მონათხრობი, საქორწილო დიმპიტაურებზე რატომღაც არმოცეკვავე გერმანელების შესახებ, აშკარად უფრო საინტერესოა.

მისი წლევანდელი ალბომი, FORGET'FULNESS ერთ-ერთი საუკეთესო ქართული დისკია, რომელიც კი არ მოგისმენიათ. ყველას მოსწონს. ტუსიას გარეგნობაც ხელს უწყობს. მართალია, ისეთ მუსიკას არ აკეთებს, სადაც მომღერლის სილამაზეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ მაინც... აბა, ვისთვის შეუშლია ხელი სილამაზეს?

სახელები

ნიკა მაჩაიძის მუსიკას ყველაზე ხშირად Aphex Twin-ისას ადარებენ. უკიდურესად ზარმაცი და ზედაპირული შედარებაა. რამდენიმე ტრეკი მართლაც წააგავს (ისე, თუ მაინცდამაინც, Plaid-ს უფრო ჰგავს, მაგრამ ეგ, ალბათ, არ გაინტერესებთ), მაგრამ დანარჩენს რა ვუყოთ? დანარჩენი სულ სხვანაირია.

მსგავს მუსიკას (არასაკლუბო ელექტრონიკას) რამდენიმე წლის წინ IDM-ს ანუ Intelligent Dance Music-ს ეძახდნენ. ახლაც ეძახიან ხოლმე, მაგრამ უფრო იშვიათად – ეგ სახელი მოდაში აღარ არის. ძალიანაც კარგი. რა უბედურებაა ჭკვიანური ცეკვა!

მაშ, რა დავარქვათ ამ მუსიკას?

ნიკა მაჩაიძე: წარმოდგენა არა მაქვს. მე ამას ვეძახი ახალ მუსიკას, რასაც მე ვაკეთებ, რასაც ტუსია აკეთებს და რაც ჩვენს გარშემო კეთდება. არანაირი კონკრეტული ჟანრის მიმდევარი არ მინდა ვიყო. ვცდილობ, უბრალოდ კარგი მუსიკა ვაკეთო. მაგ ჟანრებში საერთოდ ვერ ვერკვევი. ტექნოს ვხვდები, რომ ტექნოა და ჰაუსს ვხვდები, რომ ჰაუსია. ვსიო. მერე იქ ასეთი ჰაუსია, მინიმალია თუ სხვანაირი, აზრზე არა ვარ.

ნატალია ბერიძე: ეგ სახელების დარქმევა ისტორიკოსების და მუსიკის კრიტიკოსების საქმეა. მუსიკა იმდენად დიდია, რომ არანაირ შეზღუდვაში არ უნდა ჯდებოდეს. ჩემს ალბომს რომ მოუსმინო, უამრავი სხვადასხვა სტილის ქლეშია. იქ არის კლასიკური მუსიკის ელემენტებიც, შეიძლება პოპიც იყოს, ტექნოც... მაინცდამაინც არც ის მგონია, რომ ელექტრონულ მუსიკას ვაკეთებ. კი, კომპიუტერულია, მაგრამ მარტო იმიტომ, რომ ამის შექმნა კომპიუტერზე ხდება. შეიძლებოდა ზუსტად იგივე კომპიუტერის გარეშეც გამეკეთებინა. უბრალოდ, ასე უფრო ადვილია.

* * *

– რა არის თქვენთვის ყველაზე მთავარი თქვენს მუსიკაში? რა უნდა დაამუღამოს, პირველ რიგში, ადამიანმა? ფაქტურა, რიტმი, სტრუქტურა თუ რა?

ნატალია ბერიძე: ეგ, მე მგონი, ინდივიდუალურია. გააჩნია ადამიანს, არა?

ნიკა მაჩაიძე: ჩემთვის მაგ ყველაფერზე უფრო მთავარი ემოციაა. მთავარი ეგაა.

ნატალია ბერიძე: მე ყველაზე დიდ ყურადღებას ჰარმონიას ვაქცევ. ან, შეიძლება პირიქით – ჰარმონიის ნაკლებობას, თუ განგებ ვაკეთებ ეგეთ მუსიკას. მაგრამ, ისე, როგორც წესი, ჰარმონიულ მუსიკას ვწერ.

– ერთად ხშირად მუშაობთ ხოლმე?

ნიკა მაჩაიძე: არა, ძალიან იშვიათად.

ნატალია ბერიძე: სულ ვგეგმავთ ხოლმე მაგრამ, როგორც წესი, არ გამოგვდის.

ტბა

ტუსიას წლევანდელი ალბომი, Forget'fulness ერთ-ერთი საუკეთესო ქართული დისკია, რომელიც კი არ მოგისმენიათ. ყველას მოსწონს – ბრიტანული ავანგარდული მუსიკის გავლენიან ჟურნალ The Wire-საც და ყველასათვის უცნობ ონლაინ ჟურნალ – Kicking Against The Pricks-საც. ამ უკანასკნელმა ტუსიას ეს დისკი წლის საუკეთესო ალბომად დაასახელა. თითქოს ხომ არაფერი – პატარა, სნობური საიტია, რომელსაც რამდენიმე შეფილდელი ახალგაზრდა გამოსცემს. მაგრამ, მეორე მხრივ, როგორ არაფერი – ეს ონლაინ ჟურნალი აშკარად გემოვნებიანი ხალხის გაკეთებულია, რომლებიც, სხვათა შორის, კარგად წერენ.

ამ დისკის პოპულარობას ისიც უწყობს ხელს, რომ ორი სრულიად საუცხოო კლიპი ახლავს თან. ორივე, ცხადია, ნიკა მაჩაიძის გადაღებუ-

ლია. ერთს ჰქვია What About Things Like Bullets, მეორეს კი – In the White. ამ მეორე კლიპს იუტუბზე ერთი კომენტარი აქვს, რომელიც მთლიანად გამოისყიდის „უკიდეგანო სტეპებს“. კომენტატორი წერს: „რა კარგია! მაგარია, რომ საქართველოში ქულ მუსიკა კეთდება. მე ბულგარელი ვარ. ჩვენ 4 წელია ევროკავშირის წევრები ვართ, მაგრამ ჩვენთან მსგავსი არაფერი მინახავს. გილოცავთ!“

კლიპი მართლაც ძალიან ეფექტურია. უხდება მუსიკას. თოვლი მოდის და ტუსიას კოსმონავტის ტანსაცმელი აცვია. დაფრინავს აქეთ-იქით. მერე კი, კორპუსები ჩანს. დიდ დიღომს ჰგავს. ან, იქნებ, ჩვეულებრივ, საშუალო დიღომს. ოღონდ სიზმარივითაა – თოვლშია ჩაფლული, ლამპიონების წინ კი, თავზე ცეცხლმოკიდებული კაცი დგას.

ტუსიას გარეგნობაც ხელს უწყობს. მართალია, ისეთ მუსიკას არ აკეთებს, სადაც მომღერლის სილამაზეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ მაინც... აბა, ვისთვის შეუშლია ხელი სილამაზეს?

აი, ვთქვათ, იუტუბის ერთ-ერთ ვიდეოში ტუსიას მუსიკას მისი ფოტო ადევს. ფოტოზე თეთრი პერანგი აცვია და ფანჯრის რაფაზე ზის. ფეხები შიშველი აქვს. ქვევით კი ერთადერთი კომენტარია – „ნატალია, რას მიშვები?“ შევამოწმე, სხვა კომენტარი ამის ავტორს არსად დაუწერია. მგონი, მარტო მაგისათვის დარეგისტრირდა...

სექსი ლექსი

რადგან ტუსიას ფანებს შევეხეთ...

ყოფილა ასეთი შოტლანდიელი პოეტი – დონ პატერსონი. არაერთი ფესტივალის ლაურეატი და მრავალი პრიზის მფლობელი. 2008 წელს, მაგალითად, მიუღია პრესტიჟული Forward Prize ერთი ლექსისათვის და ჯილდო – ათასი ფუნტი სტერლინგი. რა ერქვა ლექსს?

Love Poem for Natalie 'Tusja' Beridze

ყოვლად მაზალო რამაა. აი, ასე იწყება: (პოეტურ თარგმანს არ ელოდეთ. უბრალოდ აზრია გადმოცემული.)

ო ნატალი, ო ტბა, ო ტუსია: დიდი ხანია გადაწყვეტილი მქონდა, რომ ტერორისტის ბალაკლავა, რომლითაც Annule-ს გარეკანზე ჩანხარ და რომელიც, დიდი ხნის განმავლობაში ერთადერთი შენი გამოსახულება იყო, რომელსაც ვფლობდი – იმისათვის იყო, რომ დაემალა რაიმე სიმახინჯე ან დეფორმაცია ან იქნებ უბრალოდ მეტყველებდა იმაზე, (აქ კი ვიმედოვნებდი, თუმცა კი არ მჯეროდა), რომ ახალგაზრდა ქალი ებრძოდა დამადამბლებელ სიმორცხვეს. რაოდენ სავსედ დამიდასტურა ეს უკანასკნელი თეორია ჩემმა გუგლაობამ!

აჰა, ორიგინალიც. ინგლისურის მცოდნეებისათვის:

O Natalie, O TBA, O Tusja: I had long assumed the terrorists balaclava that you sport on the cover of Annule which was, for too long, the only image of you I possesed - was there to conceal some ugliness or deformity or perhaps merely spoke (and here, I hoped against hope) of a young woman struggling with a crippling shyness. How richly this latter theory has been confirmed by my Googling!

კარგა გრძელი ლექსია. ასევე გრძელდება – ავტორი ტუსიას შავბნელ ანგელოზს უწოდებს, განიხილავს მის დაუმორჩილებელ სლავურ წარბებს, ლოცავს მის VST პლაგინებს, საქმეებს ურჩევს – Sleepwalker-ში დილან ტომასის Do Not Go Gentle Into That Good Night-ს ცუდად კითხულობ და ეგ ლექსი ისედაც არ ვარგაო, მაგრამ გპატიობ და გისურვებ ყველაზე საოცარ ინსტრუმენტს, ორ გიგაჰერციან ორბირთვიან ინტელის პროცესორს (ლექსი 2008 წელსაა დაწერილი) და იმდენ DDR2 RAM-ს, პროცესორის ყველაზე უფრო დამტვირთავ პროცესებსაც რომ ეყოსო...

ხომ გითხარით, მაზალო ლექსია მეთქი.

მაქსი

მაქსიმე მაჩაიძე საოცრად ჰგავს მამას – როგორც გარეგნობით, ხმით და მეტყველების მანერით, ასევე მრავალმხრივი ნიჭიერებითაც (ამაში ნიკასაც ჰგავს და დედას – მაია სუმბაძესაც). ჯერ სკოლა არ დაუმთავრებია და უკვე სკეიტბორდისტიცაა, ლექსებსაც წერს და მაისურების დიზაინსაც აკეთებს. თუმცა, პირველ რიგში, რეპერია (თვითონ ამბობს რეპერი არა ვარ, ემსი ვარო.)

– მაქსის ვეშჩი შევიდა „ტაბულა არტის“ 2011 წლის ტოპ 25 კომპოზიციაში. ერთი კი არა, ორი – ერთი Kung Fu Junkie-სთან ერთად რომ რეპავს და მეორე – ცალკე – ნიკას ვითომ გაკვირვებული ხმა აქვს. სინამდვილეში უფრო გახარებულია და ამაყი.

– იმ დღეს ვიყავით Kung Fu Junkie-ს კონცერტზე, მემანიშვილის დარბაზში. მაქსის პირველი გამოსვლა იყო. აუ, რა ხდებოდა, იცი? მეშინოდა რომ ჩაინგრეოდა იქაურობა – ისე ყანყალებდა. ხელებაწეულები იდგნენ ყველანი. მერე სულ მოდიოდნენ ჩემთან ვიღაცეები, პატარები, – მოგწონთ? – მეკითხებოდნენ.

– მერე, მოგეწონა?

– კი, კაი იყო.

– ეხმარები? მუსიკა რომ გაუკეთო, ან რამე ეგეთი.

– ნაკლებად. აი, ეგ სიმღერა, 25-ეულში რომ მოხვდა (Common Depression) აქ ჩაწერა. ვოკალი ავიღე და მერე მე გავაკეთე პროდაქშენი.

– მოეწონა?

– კი.

*

– მოგეწონა?

მაქსიმე მაჩაიძე: კი, საკაიფო გამოვიდა. ისე, მუსიკის კეთება ნიკამ მასწავლა. სულ პატარა რომ ვიყავი, თორმეტის, ცოტ-ცოტა რაღაცეებს მიხსნიდა ხოლმე. თავიდან უმეტესობაში, რასაც ვაკეთებდი, მეხმარებოდა ხოლმე ნიკა. ეხლა უკვე ბოლო ვეშჩები ყველაფერი მე თვითონ გავაკეთე – ბიტიც, ტექსტიც. ნიკამ, უბრალოდ, ხმა ჩამაწერინა, იმიტომ, რომ კარგი მიკროფონი აქვს.

* * *

ეს კარგი მიკროფონი „სამუშაო ოთახში“ დევს. ნიკა და ტუსია დროის ძირითად ნაწილს აქ ატარებენ. პატარა ოთახია, კედლები ფოტოებითაა დაფარული. ცენტრალური ადგილი კი ორ, გვერდიგვერდ განთავსებულ კომპიუტერს უჭირავს. ეს სამუშაო კომპიუტერებია. მესამე – ლეპტოპი – ინტერნეტისთვისაა და კიდევ ლაივებზე წასაღებად.

– გასართობი რამე გაქვთ?

ნიკა მაჩაიძე: ეგრე არა, რომ რამით ვერთობოდეთ. ჩვენს საქმეს ვაკეთებთ და ეგაა ჩვენი გართობა.

ნატალია ბერიძე: საქართველოში ჩემთვის ერთადერთი გამოსავალი და გადარჩენის ერთადერთი წყარო ეგაა, რომ ჩაიკეტო და შენი საქმე აკეთო. რომ გამოხვიდე და გაერიო სოციალურ ამბებში – ეგრევე დაგაკლდება ცხოვრების ათი წელი.

ამ „სამუშაო ოთახში“ შექმნილი პროდუქციის ნაწილს ტელევიზორში, რეკლამის ყურებისას მოისმენ. ნაწილს – კინოში, რომელიმე ფილმის საუნდტრეკად. საუკეთესო პროდუქტი კი ევროპაში წავა.

მერე, ნაკლებად ცნობილი, კარგი მუსიკის ვინმე დამფასებელი წაიკითხავს რომელიმე ანდერგრაუნდულ ბლოგზე – „ბოლო TBA ან Nikakoi მოისმინე – კარგიაო“. ისიც მოისმენს და მოეწონება. ვინ იცის – წამოწვეს, ყურსაცვამები გაიკეთოს, მუსიკას აუწიოს და კავკასიის თვალუწვდენელ სტეპებზე იოცნებოს.

ოლეგ ტიმჩენკო

პარაზიტის ჯადოსნური სამყარო

ავტორი მაშო სამადაშვილი
ფოტო ლევან ხერხეულიძე

თქვენი ბოლო გამოფენა, „პრიალა“, არტისტერიუმზე ვნახეთ. ხუთივე ნამუშევარში მეგობარ ქალებთან ერთად, ყველაზე გლამურული ჟურნალის, VOGUE-ს გარეკანზე იყავით გამოსახული. რატომ მაინცდამაინც VOGUE და რატომ ასეთი მხატვრული გადაწყვეტა?

დაკვირვებული ვარ, ყველაფერი კარგი მოულოდნელად კეთდება. „პრიალაც“ დაუგეგმავად გამოვიდა. ნიუ-იორკში გამოსაფენ სერიაზე ვმუშაობდი, რომლის ძირითადი თემაც სიყვარული და ადამიანის სივრცეში მოძრაობა და რაღაცისკენ სწრაფვა იყო. სწორედ ამ სერიისთვის მინდოდა ერთი რეალისტური, ყველასგან განსხვავებული სურათი გამეკეთებინა. ადრე, მე და გალერისტმა დედიკა ბულიამ ჩვენი კოცნა გადავიღეთ, სწორედ ეს დავხატე და ვიფიქრე, სხვა ნამუშევრებთან ერთად ამერიკაში გამეგზავნა. იდეა ჩემთვის ძალიან მიმზიდველი იყო, მიდგომის თვალსაზრისით – ახალი, რადგან მასალად ფოტოს ვიყენებდი. საბოლოოდ, სურათი ჟურნალის ყდას დაემსგავსა. მივხვდი, რომ წარწერა სჭირდებოდა, და ასე გაჩნდა ნახატზე წარწერა VOGUE . სამუშაო პროცესში ბევრი რამ იცვლება: ფერი, მასშტაბი. როცა დასრულებული ნამუშევარი დედიკას ვაჩვენე, იმდენად მოეწონა, გაგზავნა გადამაფიქრებინა და თავისთვის დაიტოვა. ამასობაში არტისტერიუმიც მოახლოვდა, ამ სურათს კიდევ ოთხი დავამატე და „პრიალა“ შედგა. ეს სერია პოპ-არტია, ჟურნალზე დიდი პოპ-არტი კი, მგონი, არ არსებობს. შემეძლო, ეს იდეა კომპიუტერულად დამემუშავებინა, მაგრამ მინდოდა, მასში ჩემი განცდა – რომანტიზმიც ჩამედო, რაც, საბოლოოდ, სერიის მთავარ ხაზად იქცა.

VOGUE-ის ლოგომ ამ ფერწერულ ნამუშევარს დიზაინის ელემენტები შესძინა. თვლით თუ არა, რომ ასეთი ელემენტები არა მარტო თქვენს ნამუშევრებში, არამედ ზოგადად, ფერწერაში შეიჭრა?

ბოლო დროს დიზაინი მართლაც გახდა ხელოვნების ნაწილი, და სულ უფრო რთულია არტისტის, მხატვრის და დიზაინერის გამიჯვნა. ხელოვნება ვითარდება და ეს ძალიან სასიამოვნოა, მე არც პოპ-არტის წინააღმდეგი ვარ, პირიქით, მიყვარს. მაგრამ, პარალელურად, ხელოვნება ყველასთვის მისაღწევი გახდა, ნებისმიერ მსურველს შეუძლია, იყოს არტისტი. ახალი ტექნოლოგიები ყველას აძლევს საშუალებას, სურვილი რეალობად აქციოს. შეიძლება საინტერესო ფორმა გამოიყენო, ლაქა დასვა და დიზაინის გაგებით სიახლეს მიაგნო, ეს ნამუშევარი სახლში ინტერიერის გასაფორმებლად დაიკიდო, მაგრამ საქმე ისაა, რამდენად არის ეს ხელოვნება, რამდენად პასუხობს ეს ნამუშევარი არტის მიერ დასმულ ამოცანებს. მხოლოდ ის, რომ საზოგადოება შოკში ჩააგდო და აალაპარაკო, არაფერს ნიშნავს. ამიტომაც გავაკეთე „პრიალას“ სერია ფერწერაში. როცა მხატვარი გქვია, ხატვაც უნდა იცოდე.

ნიუ-იორკის გამოფენა ახსენეთ. ამ გამოფენის შესახებ არც ისე ბევრი ვიცით. რა სერია წარადგინეთ და რა გამოხმაურება მიიღეთ?

ნიუ-იორკის „In Art gallery“-დან დამირეკეს და გამოფენის მოწყობა მთხოვეს. სრული თავისუფლება მომცეს, და მეც სტილისტურად და მანერულად მრავალფეროვანი სერია გავაკეთე, რომელიც იდეურად გავაერთიანე – ყველა ნამუშევარი პოზიტიური, დინამიური და ფერადია, მსუბუქი, სახალისო თემატიკაა. როგორც კი იდეა მომივიდოდა, მაშინვე ვხატავდი. ერთი ნახატი მეორეს მკარნახობდა. საბოლოოდ ოცდარვა სურათი დავხატე. ოთხი ნამუშევარი გახსნაზევე გაიყიდა.

ნიუ-იორკში უამრავი გალერეაა, ბევრი დაკეტილია, ნახატები არ იყიდება, ხალხი გამოფენებზე არ დადის. მე ბედნიერი ვარ, რომ ჩემთან სულ მოდიოდნენ, ცოცხალი ინტერესი იყო, მონატრებული აქვთ ფერწერა, თუ რა ხდება, არ ვიცი. თბილისში მიცნობენ და გამოფენებზე შეიძლება პატივისცემის გამოც მოდიან, ის, რომ არავინ მიცნობდა და მაინც დაინტერესათ ჩემმა შემოქმედებამ, და ის, რომ ჩემი ნამუშევრები ამ კოსმოპოლიტური ქალაქის კონტექსტში ჩაჯდა, ძალიან მახარებს.

თქვენს შემოქმედებაზე რეცენზიების კითხვისას აღმოვაჩინე, რომ ძირითადად რთულ, ტერმინოლოგიით დატვირთულ ტექსტებს წერენ, რაც ხელოვნების მოყვარულისთვის შესაძლებელია ნაკლებად გასაგები იყოს. თქვენ თვითონ როგორ აღწერდით თქვენს შემოქმედებას, როგორია ის: მასობრივია თუ მხოლოდ ვიწრო, ხელოვნებაში კარგად გარკვეული წრისთვისაა განკუთვნილი?

მგონია, რომ ხელოვნება ყველას უნდა ეხებოდეს. შეიძლება ნიუანსებში არ ერკვეოდე, მაგრამ კარგი და ცუდი ნამუშევრის გარჩევა უნდა შეგეძლოს. დღეს პრობლემა ისაა, რომ ადამიანებს ცუდი ხელოვნება მოსწონთ.

მე დამთვალიერებელს ჩემს შინაგან სამყაროს ვთავაზობ, რომელიც სტილისტიკით, მიდგომით, თემებით – განსხვავებულია. მიმაჩნია, რომ ყველაზე ფასეული მხატვარში მისი სამყაროა. არ აქვს მნიშვნელობა, მოგწონს თუ არ მოგწონს, კარგია თუ ცუდი, მთავარია, არ იტყუებოდეს, რასაც ფიქრობს, ის ხატოს. მე საზოგადოებას სურათებს კი არა, ჩემს სამყაროს ვთავაზობ, და თუ ეს სამყარო მისთვის მისაღებია, სურათიც მოეწონება.

თქვენ ამბობთ, რომ დრამატიზმი ჟანრია. თავს დრამატულ მხატვრად მიიჩნევთ?

ხელოვნება დრამის გარეშე არ არსებობს. მგონია, რომ აუცილებელი არაა, დრამა მძიმე იყოს. მთავარია, ადამიანს შეეხო. დრამას შეუძლია, დაგაფიქროს, აგატიროს. აი, შექსპირი ყველაზე დიდი შემოქმედია, და მისი შემოქმედება მუდმივი დრამაა. თავად განსაჯეთ: ლიტერატურა, თუნდაც, ოპერა – ყველგან დრამაა. სხვაგვარად რეალობასთან ახლოს ვერ იქნები. ცხოვრებაში ყველაფერი ლამაზი და ნათელი ვერ იქნება. დრამაშიც შეიძლება იყოს სინათლე და პოზიტივი. მე ნამდვილად დრამატული მხატვარი ვარ.

1990 წელს ლენინგრადის ბიენალეზე ერთადერთი ნახატი გაიყიდა – თქვენი. მისი მფლობელი გახდა ვოლფგანგ ფლაცი, გერმანელი მხატვარი, რომელმაც მოგვიანებით დათვალიერების გარეშე იყიდა თქვენი ნამუშევრების მთელი სერია. და მასაც კი არ მიჰყიდეთ „მკვდარი ბეღურა“... რატომ არ ყიდით ამ ნამუშევარს, რა არის მასში ასეთი განსაკუთრებული?

ეს იყო პირველი ფერწერული ნამუშევარი, რომელიც აკადემიის დამთავრებიდან ერთწლიანი პაუზის შემდეგ დავხატე. „მკვდარმა ბეღურამ“ ხატვასთან დამაბრუნა. არ ვყიდი, არა იმიტომ, რომ საუკეთესოა, არამედ იმიტომ, რომ ჩემი პირველი შემოქმედებითი და კონცეპტუალური, დრამატული ნამუშევარია. ჩემი ნამუშევრები გაფერადდა, სხვა სტილშიც ვხატავ, სხვა სამყაროებს ვეძებ, მაგრამ ყველა შემდგომ ნამუშევარს ამ „ბეღურის“ გავლენა ეტყობა.

ვინაა თქვენი ნამუშევრების მუდმივი მყიდველი, ვინც თემის, სტილის და მხა-

მიმოქცევა

ეს ზღვის მიმოქცევას ჰგავდა:
ისინი იღლებოდნენ, რათა დაესვენათ
და ისვენებდნენ, რათა დაღლილიყვნენ.
ზღვაც მიიქცეოდა, რათა დაეხრჩო დამსვენებლები და
მოიქცეოდა, რათა დამხრჩვალები გამოერიყა,
რაც მეტემფსიქოზს ჰგავდა:
კვდებოდნენ, რათა დაბადებულიყვნენ
და იბადებოდნენ, რათა მომკვდარიყვნენ.
ეს კი ქარის ქროლვასავით იყო:
ამოვარდებოდა, რათა „ქარი ქრის“ დაწერილიყო.
და ჩადგებოდა, რათა „ქარი ქრის“ წაეკითხათ.
პოეზიას ჰგავდა მერე ეს:
მათი დაღლა,
მათი დასვენება,
მათი სიკვდილი,
მათი დაბადება,
მათი ჟრიამული,
მათი სევდა... ქარი...
პოეზიას ჰგავდა ეს და არქმევდნენ ცხოვრებას.
ხან კი ცხოვრებას ჰგავდა და პოეზიას არქმევდნენ.

შოთა იათაშვილი, 2011 წელი

ტვრული შესრულების მიუხედავად, ყოველთვის ყიდულობს თქვენს ნამუშევრებს?

სულ იყვნენ ასეთი ადამიანები, სხვადასხვა პერიოდში – სხვადასხვა. ჩემი ნამუშევრების ყველაზე დიდი კოლექცია დედიკა ბულიას აქვს, „გალა გალერეაში“. არჩილ დარჩიას აქვს ჩემი მეათე სართულის (1990-იან წლებში მამუკა ცეცხლაძე, კარლო კაჭარავა, ნინო ცეცხლაძე, მამუკა ჯაფარიძე და ოლეგ ტიმჩენკო სამხატვრო აკადემიის სახურავზე განთავსებულ სახელოსნში მუშაობდნენ.) პერიოდის ნამუშევრები. ძალიან მნიშვნელოვანია, ვინ არის პირველი. ჩემთვის ასეთი ადამიანი სერგო ფარაჯანოვი იყო, რომელიც ჩემს ნამუშევრებს ყიდულობდა და ამით ძალიან მეხმარებოდა. 300 მანეთი კომუნისტების დროს მთელი თვის ხელფასი იყო, 24 წლის ასაკში ერთ სურათში რომ ორი თვის ხელფასს გიხდიან, ძალიან დიდი სიხარულია. თუმცა, ფასის დასახელება მუდმივად მიჭირდა, რაღაცნაირად, მრცხვენოდა.

როცა შენს სურათებს ყიდულობენ, დიდი სტიმულია, ეს ნიშნავს, რომ არამარტო მოსწონთ შენი ნახატები, არამედ იმდენად მოსწონთ, რომ ყიდულობენ. თუ ნახატები არა და არ იყიდება, შეიძლება, თავი გენიოსად ჩათვალო და იფიქრო, რომ შენი არ ესმით, მაგრამ ეს ეიფორია მალე გადის, სტიმული კი ძველებურად გჭირდება.

ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ იდეის განცდა ყოველთვის უფრო სრულყოფილია, ვიდრე ტილოზე გადატანილი ეს იდეა. რომელი მედია იძლევა იმის საშუალებას, რომ ჩაფიქრებული იდეა ოპტიმალურად სრულყოფილად შეასრულოთ, ან რომელ კონკრეტულ ნამუშევარში მოახერხეთ ასეთი სინთეზის გაკეთება?

ალბათ, პოეზიაში.

მხატვრობას ეს შანსი არ აქვს?

აქვს, როგორ არა, მაგრამ იშვიათად. მაქვს ორი-სამი სურათი, რომელშიც ზუსტად ის გავაკეთე, რაც მინდოდა, მაგალითად „ყვავები“. უფრო ხშირად კი ის, რაც წარმოდგენილი გაქვს, ტილოზე გადატანის პროცესში იცვლება, რადგან ამ დროს უკვე ხატვის კანონზომიერებები ერთვება. ზოგჯერ კი, საერთოდ, იმის შესრულება, რაც წარმოდგენაში გაქვს, თითქმის შეუძლებელია. ამიტომ, ხანდახან საჭიროა, ერთგვარ კომპრომისზე წახვიდე საკუთარ თავთან და იდეა მხოლოდ წარმოდგენად დატოვო.

ანუ იდეაზე საერთოდ უარი თქვა?

არა, ეს არ შეიძლება, რადგან ერთი ნამუშევარი მეორეს ბადებს. ზუსტად ისე, როგორც ერთი ტალღა ზრდის მეორეს და ბოლოს ყველაზე დიდი ტალღა მოდის. მეტსაც გეტყვით: არ შეიძლება, იდეები აგროვო და არაფერი აკეთო. სანამ ერთი არ გაკეთდება, მეორე არ გამოვა.

თქვენ ამბობთ, რომ მხატვარი ყველა მედიისათვის ღია უნდა იყოს. თავადაც შერეული მედიით მუშაობთ. რას გაძლევთ ეს მიდგომა?

ადრე, როცა მხოლოდ ვხატავდი, სულ მქონდა უკმაყოფილების გრძნობა, რომ რაღაც არ ვიცი. არადა, ყველაფერი უნდა მოსინჯო, მოგეწონება თუ არ მოგეწონება, ამას მერე გადაწყვეტ. როცა მე დავიწყე მუშაობა, ყველა პირობა მქონდა: დიდი სივრცე, დიდი ტილოები, მრავალფეროვანი მასალა. აბსტრაქცია, ნონ-ფიგურატიული ხელოვნება მოვსინჯე, ობიექტამდე მივედი, რკინაში მუშაობა დავიწყე, სკულპტურა ვცადე, მერე პერფორმანსში და ვიდეო-არტში გადავედი. შეიძლება ბოლოს არცერთი მათგანი აღარ გააგრძელო, მაგრამ ის მაინც გეცოდინება, რომ შეგიძლია ამის კეთება. ასე უფრო კომფორტულად ვგრძნობ თავს – მე არ ვარ მხატვარი, პერფორმერი და ვიდეო-არტისტი, არა. უბრალოდ, ვიცი, თუ დამჭირდება ამ მედიებში მუშაობა, შევძლებ. მხოლოდ რომ მეხატა, ძალიან უკმაყოფილო ვიქნებოდი, და ერთ მანერაში რომ მეხატა, ხომ მოწყენილობისგან მოვკვდებოდი.

ვინ არის არტისტი, რომელმაც, თქვენი აზრით, დაგასწროთ? მაგალითად, გინახავთ ნამუშევარი და გითქვამთ: ეს ხომ მე უნდა გამეკეთებინა?

პირიქით, მქონია განცდა, რომ დავასწარი. ახლა რომ ატყდა ამბავი, „ჯოკონდა“ თვითონ ლეონარდოს პორტრეტიაო... სტუ-

დენტი ვიყავი, როცა კოლაჟი გავაკეთე – ჯოკონდას თავისი სახე, როგორც ნიღაბი, ხელში ეჭირა, ხოლო სახის ადგილზე ლეონარდოს ცნობილი გრაფიკა მქონდა ჩასმული. კიდევ ერთი მქონდა: რეპინის „ბურლაკები ვოლგაზე“. კომუნისტების დროს ამ კოლაჟს ვმალავდი, რადგან შეიძლებოდა პოლიტიკურზე დავეჭირე. ორიგინალში დატანჯული ხალხი ნავს მიათრევს, მე კი ამ ნავზე ლენინის ძეგლი მქონდა დასმული. წლების შემდეგ ერთი მოსკოველი, ძალიან ცნობილი არტისტის გამოფენაზე ვნახე კომპიუტერულად აწყობილი იგივე ნახატი. უბრალოდ, მასთან „ყინულმჭრელი ლენინი“ იყო ჩასმული. პლაგიატია მიუღებელი, თორემ როცა იდეები ემთხვევა, ძალიან სასიამოვნოა, არტისტები თითქოს ერთიანდებიან.

თუ ყოფილა პერიოდი, როცა გინანიათ, რომ მხატვარი ხართ და ალტერნატიულ პროფესიაზე გიფიქრიათ?

ახლა რომ ვთქვა, რომ ჩემს არჩევანს ვნანობ, სირცხვილი იქნება. ამაზე ლაპარაკი გვიანაა, და არც მაქვს პროფესიის შეცვლის სურვილი. აკადემიის დამთავრების შემდეგ ვფიქრობდი, საერთოდ გამეგრძელებინა თუ არა ხატვა, ცალი თვალი სულ ВГИК -ზე (რუსეთის კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტი) მეჭირა. რეჟისორობა მინდოდა, მაგრამ მერე ქვეყანა აირია. თანაც მოსკოვში ჩაბარება ძალიან რთული იყო. რეჟისორობა მომავლისთვის გადავდე, გადადებული საქმე კი არასოდეს გამოდის და ოცნებად რჩება – ჩემდა სამწუხაროდ, ან საბედნიეროდ, რადგან ბევრ რამეზე ყურადღების და ენერგიის გაფანტვა დაგაბნევს. რაღაცაზე უარი უნდა თქვა.

ორი წელი სამხატვრო აკადემიაში დამამთავრებელ ჯგუფს ასწავლიდით. ვიცნობ თქვენს ყოფილ სტუდენტებს. ერთ-ერთი მათგანი ამბობს, რომ თქვენ მათ სრულ თავისუფლებას აძლევდით, თუმცა, ისინი არამარტო მხატვრული ხელწერით, არამედ, აზროვნებითაც გგვანან. ამაზე მიზანმიმართულად მუშაობდით თუ შემთხვევით მიიღეთ ეს შედეგი?

როცა გია ბუღაძემ აკადემიაში მუშაობა შემომთავაზა, თავიდან ფეხს ვითრევდი, რადგან ვიცოდი, ეს დიდ დროს მოითხოვდა. თან, როგორც პედაგოგს, გამოცდილება არ მქონდა. არ ვიცოდი, ჩემს მუშაობას რა შედეგი მოჰყვებოდა.

გამიმართლა, რომ ძალიან მონდომებული ჯგუფი შემხვდა. როცა მივედი, ბევრი რამ არ იცოდნენ, მაშინვე მივეცი წიგნების სია, ვუთხარი, რა უნდა წაეკითხათ. ხელოვნების ისტორია უნდა იცოდე, რომ რამე ახალი შექმნა და უკვე არსებული არ გაიმეორო. ძალიან დიდი ინტერესით წამომყვნენ, არ ზარმაცობდნენ. თავიდან ცოტა დაიბნნენ, მაგრამ თანდათან მუშაობას მიეჩვივნენ და ექსპერიმენტების ჩატარება თვითონ დაიწყეს.

სწავლა ორმხრივი პროცესია, ცოცხალი კონტაქტი აუცილებელია, სტუდენტების დამოკიდებულება მნიშვნელოვანია: შენ რომ ასწავლი, მანაც უნდა ისწავლოს. ჩემი სტუდენტები ხატვას ისედაც სწავლობდნენ. მე მათ აზროვნებას, მიდგომას ვასწავლიდი, არჩევანის თავისუფლებას ვაძლევდი. სულ ვეუბნებოდი, რომ არსებობს მხატვრობა და არსებობს ხელოვნება. თუ არტისტს გახსნილი გონება და რაღაცის კეთების სურვილი აქვს, აუცილებლად მიაგნებს რამე საინტერესოს. გამზადებული რეცეპტები არ არსებობს. ყველაფერი ადამიანის გამოცდილებაზე და ინტერესებზეა დამოკიდებული.

თქვით, რომ სწავლა ორმხრივი პროცესია. ეს ნიშნავს, რომ თქვენც ისწავლეთ სტუდენტებისგან.

რა თქმა უნდა. მათთან ურთიერთობისას ბევრი რამ გამახსენდა, რასაც წლების მანძილზე არ ვეხებოდი. შინაგანად გავახალგაზრდავდი, გამოფენების მოწყობის სტიმული მომეცა, რაც იქ მისვლამდე აღარ მაინტერესებდა და მხოლოდ ჩემთვის ვხატავდი. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ჩაკეტილი არ უნდა იყო, არ უნდა გაჩერდე. ბავშვებმა ძალიან დიდი ენერგია მომცეს.

თუ პედაგოგის ეს „ალტერნატიული პროფესია“ თქვენთვის ასეთი საინტერესო იყო, რატომ წამოხვედით აკადემიიდან?

ძალიან მარტივი მიზეზის გამო. დრო აღარ მქონდა. წინა ჯგუფმა დაამთავრა, წელს ახალი ჯგუფი უნდა ამეყვანა, და იმის გასარკვევად, რა უნდათ ბავშვებს, რას ფიქრობენ, აკადემიაში ყოველდღე უნდა მევლო. ყველას ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება. ამ დროს ამერიკაში ჩემი გამოფენა იგეგმებოდა, ისედეც, ბევრი საქმე მქონდა და ვერაფერს მოვასწრებდი. გიას ავუხსენი და გამიგო. არ უნდოდა, რომ წამოვსულიყავი, მაგრამ სხვანაირად არ გამოდიოდა.

სხვა საქმე რომ არ მქონდეს, სიხარულით ვიქნებოდი პედაგოგი. თავისუფალი დრო თუ მექნება, ისედაც მივალ აკადემიაში და ვნახავ, რას აკეთებენ ბავშვები.

ერთ-ერთ ინტერვიუში თქვით, რომ ხატვა სხვადასხვა სამყაროებში მოგზაურობის შესაძლებლობას იძლევა. ანუ არსებობს რამე, რისი განცდაც მხოლოდ მხატვრებს შეუძლიათ?

არსებობს. არა ფერების შეზავება, არამედ არაფრისგან სასწაულის შექმნა, ის რაც იდეის მატერიალიზაციისას ხდება. მე მქონია ასეთი შეგრძნება, როცა იხატება ის, რაც არ დამიგეგმავს, რაზეც არც კი მიფიქრია. ამ დროს რა ხდება, არ ვიცი. ამ დროს გიჟი ხარ. ღმერთმა არ ქნას, რაც მიზნად დაისახე, არ გამოგივიდეს: არ დაიძინებ, არ შეჭამ, შეიძლება დეპრესიაში ჩავარდე... როცა ახალ რაღაცას აღმოაჩენ და მის რეალიზებას ვერ ახდენ, ბრძოლა იწყება, ბრძოლა საკუთარ თავსა და შენსავე ამოჩემებასთან. ეს ძალიან სახიფათო ბრძოლაა, რომელიც აუცილებლად უნდა მოიგო.

ყოფილა შემთხვევა, როცა ვერ გაგიგიათ, თქვენს ჯადოსნურ სამყაროში ხართ თუ რეალურში?

შეიძლება, მხოლოდ ზედმეტი სიმთვრალისას, როცა სულერთია სად ხარ, იქ თუ აქ...

ინსპირაცია როგორ მოდის? უცბად ჩნდება იდეა თუ მნიშვნელოვანი სოციალური მოვლენები ხდება შთაგონება?

ასეც მომხდარა და ისეც. ხან იდეა მოდის და ფიქრობ, რა ფორმა მისცე მას, ხანაც გამზადებულ ნახატს ხედავ. რთულია, როცა არაფრისგან ქმნი რაღაცას, როცა მხოლოდ სურვილის ამარა ხარ. ასეთი ექსპერიმენტები „მეათე სართულის“ პერიოდში უხვად მქონდა.

როცა საღებავებს და სუფთა ტილოს ხედავ, შეიძლება მანამდე ასჯერ ნანახი წითელი სულ სხვანაირად ჟღერდეს. იცი, რას ჰგავს? გემრიელ საჭმელს რომ დაინახავ და რომც არ გშიოდეს, გასინჯვა რომ გინდება. მუშაობას იწყებ, ათი იდეა მოდის ერთად და არჩევანის წინაშე დგები, ათიდან რომელი აირჩიო, თან დროზე... ძალიან რთული პროცესია.

როგორია ყველაზე სასურველი გარემო სამუშაოდ, დღე-ღამის რომელ მონაკვეთში ხატავთ? ვიცი, რომ მუსიკა გიყვართ, უსმენთ ხატვისას, თუ სიჩუმეს არჩევთ?

მეშინია, ისე არ მოხდეს, რაღაცის მხატვარი დამარქვან. მე თვითონ არ ვიცი, რას ვხატავ. პორტრეტისტი ან ინფანტების მხატვარი იყო, ან მარტო პერფორმერიო, რომ თქვან, ცუდი შეფასება იქნება. მე წყნარად ვარ, რადგან არ მრცხვენია იმისი, რაც გამიკეთებია.

მთლად სიჩუმე არ მიყვარს, რამე უნდა ხმაურობდეს: ტელევიზორი, მუსიკა თუ ვინმეს საუბარი – სულერთია, მთავარია, ფონი იქმნებოდეს. თან, ღამით მიყვარს ხატვა და სრულ სიჩუმეში მუშაობა „ჟუდკია“. სახელოსნოში მუშაობისას მარტო უნდა ვიყო. თუმცა, მარჯანიშვილის თეატრის სხვენში მოწყობილ სახელოსნოში რომ ვიყავით, მარტო ყოფნის შემთხვევაში, შეიძლება ხატვის სურვილი საერთოდ არ გამჩენოდა, რადგან იქ მაშინ, ხუთნი ვმუშაობდით. მახსენდება, მაკედონიაში ერთ ვორკშოპზე ვიყავი, სადაც უზარმაზარი, საერთო სახელოსნო იყო. ოთხი ნახატი უნდა დამეხატა და დამეტოვებინა. თავიდან არ მინდოდა იქ მუშაობა, მაგრამ ნელ-ნელა ისე ჩავერთე, რომ პუბლიკაც მსიამოვნებდა, რომელიც მოდიოდა და გვიყურებდა, როგორ ვხატავდით.

უმბერტო ეკო ამბობდა, იმას კი არ ვწერ, რაც საზოგადოებას უნდა, არამედ იმას, რაც მინდა, რომ უნდოდეთო. თქვენ ერთხელ აღნიშნეთ, რომ დაკვეთით ხატვა თქვენთვის მისაღებია. ზღუდავს ეს თქვენს შემოქმედებით თავისუფლებას თუ მაინც საზოგადოების „მანიპულატორად“ რჩებით?

საბედნიეროდ, ჩემი დამკვეთები, იშვიათი გამონაკლისების გარდა, სრულ თავისუფლებას მაძლევდნენ. მხოლოდ ორჯერ მომიწია იმის გაკეთება, რაც არ მომწონდა: ერთხელ – ფული მჭირდებოდა, მეორედ – ძალიან მთხოვეს და უარი ვერ ვთქვი. ძირითადად, მეუბნებიან: „რამე დამიხატე“, მხოლოდ თემას და ზომას მაძლევენ, დანარჩენს სურვილისამებრ ვაკეთებ. ახლა რომ ინფანტას ან ჯუჯას დახატვა შემიკვეთონ, არ დავხატავ. ახლა სხვა იდეებით ვცხოვრობ.

დაკვეთით ხატვა ვადებსაც გულისხმობს, რომელთა დაცვაც აუცილებელია. ხომ არ აძლევს ეს თქვენს მუშაობას „ქარხნულ“ იერს?

არა, საფრთხე არაა და იცით, რატომ? ზოგჯერ ნამუშევარს დიდხანს რომ ხატავ, ფუჭდება. დროზე უნდა გაჩერდე. კარგი ნამუშევარი, შეიძლება ძალიან სწრაფად შექმნა, და ის, ერთ თვეზე გაწელილ, მკვდარ ნახატს აჯობებს.

თქვენზე თქვეს, რომ თანამედროვეობის ფიროსმანი ხართ. არადა, არსებობს 2010 წელს გამოცემული მხატვართა სარეიტინგო ცნობარი, რომელშიც ფიროსმანს „გენიოსის“ წოდება აქვს მინიჭებული, თქვენ კი მოხსენიებული ხართ, როგორც პროფესიონალი მხატვარი, რომელსაც დიდი შემოქმედებითი პოტენციალი აქვს. აქვს ასეთ კლიშეებს თქვენთვის მნიშვნელობა?

ჩემთვის ეს სისულელეა. ყველას თავისი გემოვნება აქვს. ვინ დაალაგა ეს რეიტინგი, ეს ხომ სპორტი არაა, სადაც შედეგი სახეზეა – თუ ერთი წაიქცევა, მეორე გაიმარჯვებს. ხელოვნებაში მხოლოდ ზოგადი შეფასება შეიძლება, რადგან ერთადერთი რეალური კრიტერიუმი დროა. და ფიროსმანი რომ პირველია, ამას თქმა რად უნდა.

როგორ ფიქრობთ, ორი-სამი საუკუნის შემდეგ რას იტყვიან ოლეგ ტიმჩენკოს მხატვრობაზე?

არ ვიცი. გააჩნია, რომელი ნახატები დარჩება. მეშინია, ისე არ მოხდეს, რაღაცის მხატვარი დამარქვან. მე თვითონ არ ვიცი, რას ვხატავ. პორტრეტისტი ან ინფანტების მხატვარი იყო, ან მარტო პერფორმერიო, რომ თქვან, ცუდი შეფასება იქნება. მე წყნარად ვარ, რადგან არ მრცხვენია იმისი, რაც გამიკეთებია.

მუშაობის დაწყებისას, წინასწარ თუ გიფიქრიათ ან დაგიგეგმავთ ისეთი ეპატაჟური ნამუშევრის შექმნა, რომელიც შემდეგ ხალხს აალაპარაკებდა?

ზოგჯერ წინასწარ მაინტერესებს რეაქცია. აი, „ოლიგარქის“ შემთხვევაში რეაქციას, რა თქმა უნდა, ველოდი – მოულოდნელობისგან გაოცებას. ძალიან მიყვარს ასეთ ავანტიურაზე წასვლა. როცა დროის, სივრცისა და იდეის თანხვედრა ხდება, შედეგი ყოველთვის მიიღება. მეც მივაღწიე ჩემს მიზანს. ფაქტია, ინტერესი გაჩნდა, ამაზე ალაპარაკდნენ და დაფიქრდნენ, რომ მხოლოდ ხატვით არ შემოვიფარგლები.

„ოლიგარქი“ არ იყო პერფორმანსი „არტისტერიუმის“ ფარგლებში. დიდი ხნით ადრე ჩავიფიქრე, რომელიმე გამოფენაზე დაცვით მივსულიყავი. ის გამოფენა კარგი შანსი იყო, ვიცოდი, ბევრი ხალხი მოვიდოდა. ჩემ გარდა ყველაფერი ნამდვილი იყო: დაცვაც, მანქანაც, ფულიც გადახდილი მქონდა, რამე რომ მომხდარიყო, მართლა დამიცავდნენ.

ანგელოზების ვრცელი სერია გაქვთ, ახლა რომ ხატავდეთ საკუთარ თავს, როგორი იქნებოდა ანგელოზი-ტიმჩენკო?

ჩემი ანგელოზები ადამიანთან ახლოს დგანან. არავინ იცის, სინამდვილეში როგორია ანგელოზი. მეტწილად ფრესკებიდან გვაქვს წარმოდგენა შექმნილი. ეს კი ჩემი ვერსიაა. მე ახლა არალამაზი ანგელოზი ვიქნებოდი. არა მგონია, რომ სილამაზე სიწმინდის განმსაზღვრელია, მე მგონი, პირიქით.

ვფიქრობ, ყველაზე კარგია, ადამიანს მისცე სიხარული, სინათლე...

მე კი ცხოვრების ღორი ვარ, პარაზიტი, მინდა, ცხოვრებისგან მაქსიმუმი მივიღო.

ერთ-ერთ ინტერვიუში გკითხეს, ერთი კითხვის დასმა რომ შეგეძლოთ საკუთარი თავისთვის, რა იქნებოდა ეს შეკითხვაო, რაზეც თქვენ უპასუხეთ: მერე რა იქნება? ახლა კითხვას მე შეგიბრუნებთ: მერე რა იქნება?

არ ვიცი, რა იქნება სიკვდილის შემდეგ. რომ ვიცოდე, არ დავხატავდი. სჯობს, წინასწარ არაფერი იცოდე. გარშემო უამრავი საინტერესო რამ ხდება, იმდენი იდუმალება და მისტიკაა, მირჩევნია, რაც მომეცა, ჯერ იმაში გავერკვე, რადგან ამის უარყოფა და პირდაპირ სულიერებაში გადასვლა არ შეიძლება. ამაზე რომ ვფიქრობდე, ბერი ან იოგი ვიქნებოდი და არა მხატვარი.

ლეოს კარაქსი

დიადი ბომჟი

ავტორი ზაზა ბურჭულაძე

ფოტო: ალეკო ხუსიშვილი

დღეს, როცა ვიკიპედიის წყალობით ყველა და ყველაფერი განჯადოებულია, და ყველამ ყველაზე ყველაფერი იცის, იგივე ვიკიპედია ლეოს კარაქსზე მშრალი ქრონიკის გარდა, ბევრს არაფერს გვამცნობს:

ალექს ოსკარ დიუპონი დაიბადა 1960 წლის 22 ნოემბერს სიურენში (პარიზის გარეუბანი); ლეოს კარაქსი ალექს ოსკარის ანაგრამაა; გადაღებული აქვს 5 სრულმეტრაჟიანი ფილმი, თუმცა სარეჟისორო განათლება არ მიუღია; მისი ყველა ფილმი იწყება ამა თუ იმ ციტატით მსოფლიო კინოს არსენალიდან – ჩაპლინიდან გოდარამდე; როგორც მსახიობმა, შეასრულა რამდენიმე კინოროლი (მათ შორის, იმავე გოდარის „მეფე ლირში“); ოთხმოციანებში ფრანგ რეჟისორთა სამეულს (ჟან-ჟაკ ბენეკსი, ლუკ ბესონი, ლეოს კარაქსი) ფრანგული „ახალი ახალი ტალღის“ ან „ახალი ბაროკოს“ წარმომადგენლებს უწოდებდნენ, და ა.შ.

– მწირი ინფორმაციის მიზეზი ადვილი გასაგებია. კარაქსი არც ბომონდურ „ტუსოვკებში“ ტრიალებს და ინტერვიუსაც ძალიან იშვიათად იძლევა. საერთოდაც, მას ბომჟებთან უფრო მეტი აქვს საერთო, ვიდრე ბომონდთან. მისი მუდამ აჩეჩილი თმა და გაცრეცილი ტანსაცმელი ამის დასტური უფროა, ვიდრე არტისტული პოზა. ამის მიუხედავად, კარაქსის ორბიტაზე მუდამ ტრიალებდნენ ცნობილი ქალები. ჟულიეტ ბინოშისა და კარლა ბრუნის ქართველ ფანებს, ალბათ, დაინტერესებთ ის ფაქტი, რომ ორივე ეს ქალბატონი თავის დროზე,

კადრი ფილმიდან „შეყვარებულები ხიდზე“

კადრი ფილმიდან „Merde“

კადრი ფილმიდან „ბიჭი ხვდება გოგოს“

ანუ მათ „გაფუჭებამდე“ მისი საყვარლები იყვნენ. ეს ქალები რამ „გააფუჭა“, ცალკე საუბრის თემაა. იმავე ბინოშმა კარაქსის ორ ფილმში ქალის მთავარი როლი შეასრულა: „ცუდი სისხლი“ (1986) და „შეყვარებულები ხიდზე“ (1991). რეჟისორის უკანასკნელი მუზა და მეგობარი მსახიობი კატერინა გოლუბევა გახლდათ, რომელიც ოთხმოცდაათიანებისა და ნულოვანი წლების ევროპული არტჰაუზ კინოს სიმბოლოდ ითვლებოდა – 2011 წლის 14 აგვისტოს გარდაიცვალა.

კარაქსის ახალ ფილმში „წმინდა ძრავები“, რომლის გადაღებაც სულ ახლახან დასრულდა და ჯერ კიდევ მონტაჟდება, დენი ლავანისა და მიშელ პიკოლის გარდა, ევა მენდესი და კაილი მინოუგიც თამაშობენ. ჟულიეტ ბინოში კი, რომელსაც იმედი ქონდა, რომელსაც თავდაპირველად მონაწილეობა უნდა მიეღო ფილმში, საბოლოოდ როლის გარეშე დარჩა. „წმინდა ძრავები“ ეკრანებზე 2012 წელს გამოვა. გასაგებ მიზეზთა გამო, ფილმის დეტალებს აქ ვერ მოვყვები. მხოლოდ

გავამხელ, რომ ერთ-ერთ ეპიზოდში დენი ლავანი ევა მენდესს თითებს აჭამს. ლავანი, რომელსაც ბევრი კარაქსის ალტერ ეგოდ თვლის, რამდენადაც მის თითქმის ყველა ფილმში მთავარ როლს ასრულებს, ამჯერად რამდენიმე განსხვავებულ პერსონაჟს ანსახიერებს, მათ შორის – მისტერ მერდეს, ანუ ბატონ განავალსაც (Merde – ფრანგულად განავალს ნიშნავს).

2007 წელს ფილმში „ტოკიო!" ლავანმა სწორედ მერდეს როლი შეასრულა. „ტოკიო!" სამი დამოუკიდებელი ფილმისგან შედგება: „ინტერიერის დიზაინი" (რეჟ. მიშელ გონდრი), „მერდე" (რეჟ. ლეოს კარაქსი), „ტოკიორყევა" (რეჟ. პონ ჯუნჰო). გონდრის და ჯუნჰოს ფილმები დიდი ვერაფერია. სამაგიეროდ „მერდე" – ესაა ფილმი-მანიფესტი, უსახლკაროს ჰიმნი და ბომჟის საგალობელი. სანამ ჩვენთან ჯერ კიდევ შესაძლებელია პირატულად ფილმების ჩამოტვირთვა ქართული ტორენტებიდან, გირჩევთ, აუცილებლად ნახოთ „ტოკიო!". ეს ფილმი კიდევ იმითაც საგულისხმოა, რომ, თუკი აქამდე ყველა თავის ნამუშევარში კარაქსი სიყვარულის თემას უტრიალებდა და ბავშვური გულმოდგინებით ამუშავებდა – მიაქციეთ ყურადღება, ყოველგვარი პოეზიისა და ფილოსოფიის გარეშე (ფილმის „შეყვარებულები ხიდზე" ნახევარზე მეტი ბიუჯეტი მხოლოდ ერთი სცენის ფოიერვერკზე დაიხარჯა, სადაც ლავანი და ბინოში ღამით გატაცებული კატერით სენაზე სეირნობენ), „მერდეში" ეს თემა მოულოდნელად სადღაც ქრება. მეტიც, „მერდეს" ატმოსფერო სრულიად განსხვავებულია კარაქსის წინა ფილმებისგან, სადაც ყველაზე ტრივიალური და ურბანისტული გარემოც კი ხშირად სიყვარულით იყო გაჟღენთილი, ზოგჯერ ზედმეტადაც. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ მისი ეს „სიყვარულობანა" არასდროს ყოფილა თვითმიზნური, ამაში კარაქსის სულიერი მდგომარეობის კონსტატაცია უფრო იკითხებოდა. ყვავილებისა და ყოველგვარი ფოიერვერკის მიუხედავად, მის ყველაზე პრეტენზიულ და ერთი შეხედვით გაპრანჭულ, ღამის მელოდრამაში გადაზრდილ დრამაშიც კი რეჟისორის შინაგანი ფორიაქი და ამოუცნობი ნერვოზულობა, რაღაც ძალიან პირადული ჩანს.

„ტოკიომდე" მის ყველა ფილმში მდორე და ჩამქრალი რიტმი მოულოდნელად ფეთქებადი და ისტერიული კადრებით იცვლება – ხან პროკოფიევის მუსიკით გაფორმებული, ხან – დევიდ ბოუის სიმღერით. ცალკე საუბრის თემაა მისი თითოეული ფილმის დომინანტი ფერები. მსხვილი მონასმებით შესრულებულ ტილოს მიმსგავსებულ სტატიკურ კადრებს უცბად სინკოპირებული მონტაჟი ენაცვლება და მთქნარების მოგვრამდე დინჯი სცენები ხანმოკლე, თავბრუდამხვევ კარნავალში გადაიზრდება ხოლმე. აქ შეიძლება ქართველი კინომცოდნეები შემომედავონ, მაგრამ, მგონი, კარაქსი არასდროს აწყობს ერთგვარ ცრემლსაწურს; რამდენად გადატვირთულიც უნდა იყოს მისი ფილმები ვიზუალური გამომსახველობითი ხერხებით, ფერთა თამაშითა და დიალოგებით, იგი არასდროს იპრანჭება და, რაც მთავარია, არასდროს ცდილობს მაყურებლის გულის აჩვილებას. რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, იგი იმდენად სუბიექტურ კინოს იღებს, რომ პირველ ყოვლისა, სწორედ გაპრანჭულობა და მაყურებლით მანიპულირება შეიძლება დააბრალო. მუდამ სიგარეტის კვამლში გახვეულს, სულ ისე აცვია, საკუთარი ფილმის გმირებისგან, და შესაბამისად, უსახლკარო მაწანწალისგან ვერ გაარჩევ.

რაც შეეხება „ტოკიოს" – ბატონი მერდე მწვანე დაძონძილ კოსტიუმში გამოწყობილი მობომჟო-მოსალოსო ტიპის გაუგებარი არსებაა, აჩეჩილი წითური თმით, მოღრეცილი წვერითა და ცალი თვალის ნაცვლად დიდი, დაჭყეტილი თეთრონით, ფეხებსა და ხელებზე მსხვილი, ბრჭყალისებრ მოკაკვული ფრჩხილებით, რომელიც დროდადრო საკანალიზაციო ლუკიდან ძვრება და ტოკიოელებს ატერორებს. თან ფეხშველა დაეხეტება და ფულის ბანკნოტებითა და ყვავილებით იკვებება. მისი ენა მსოფლიოში ერთადერთ ადამიანს – პარიზელ ადვოკატ მუსიე ვოლანდს ესმის. ვოლანდის როლს ფრანგული თეატრისა და კინოს კლასიკოსი ჟან-ფრანსუა ბალმერი ასრულებს. ფილმში ბალმერსაც თვალის ნაცვლად დაჭყეტილი თეთრონი და მოღრეცილი, წამახული წითური წვერი აქვს. მერდის თქმით, იგი სხვა ცივილიზაციის წარმომადგენელია. მისი მიზანი იაპონელთა განადგურებაა, რადგან „ისინი ყველაზე ამაზრზენები არიან ადამიანთა შორის".

ალექს ოსკარ დიუპონმა ლეოს კარაქსი 13 წლისამ დაირქვა, რომ საკუთარ ოჯახთან კავშირი სამუდამოდ გაეწყვიტა. პრინციპში, დიუპონების ოჯახი აღარც არსებობდა. ალექს ოსკარმა სახელი მას მერე შეიცვალა, რაც მამამ ოჯახი მიატოვა, დედა ფსიქიკურად შეიშალა და შესაბამის დაწესებულებაში მოათავსეს, მალე კი მისი და გარდაიცვალა. ტანმორჩილობის მიუხედავად, ალექს ოსკარი სკოლაში არა მარტო თანატოლების, უფროსკლასელთა ლიდერიც იყო, მაგრამ აქტიურმა ბიჭმა სკოლა მალე მიატოვა საკუთარი ცხოვრების ვექტორის მკვეთრად შესაცვლელად.

თავის პირველ სრულმეტრაჟიან ფილმამდე „ბიჭი ხვდება გოგოს" (დენი ლავანისა და მირეი პერიეს მონაწილეობით) ლეოს კარაქსად ტრანსფორმირებული ალექს ოსკარი ზოგჯერ აფიშებს აკრავდა, უფრო ხშირად შიმშილობდა, ბევრს კითხულობდა, უამრავ ფილმს უყურებდა და კინოზე კრიტიკულ წერილებსაც აქვეყნებდა ფრანგულ პრესაში. აფიშების გაკვრას და წერილების წერას დიდი ხანია შეეშვა (მით უფრო, რომ, მისივე თქმით, წერა არ ეხერხება), თუმცა უმუშევრად და სრულიად უფულოდ დღესაც ხშირად უწევს ყოფნა – ახლა უკვე თავის 7 წლის გოგონასთან ერთად, რომელსაც შინ არყოფნისას სკაიპით ან მობილურით ხშირად ელაპარაკება.

შენს ახალ ფილმში ისევ დენი ლავანია მთავარ როლში...

სცენარი პირდაპირ დენისთვის დავწერე. ფილმში ის ათ სხვადასხვა პერსონაჟს თამაშობს, სხვადასხვა ასაკის კაცებს, ქალებსაც კი. მსახიობების ძებნით და კასტინგით რომ დავიღალე, გადავწყვიტე, მარტო დენისთვის დამეწერა პატარა როლები. ვიცოდი, დამთანხმდებოდა. სხვა მსახიობები კასტინგით ავარჩიე, ზოგიც შემთხვევით მოხვდა ფილმში. პიკოლის ნაცვლად თვითონ უნდა მეთამაშა, მაგრამ არ მინდოდა. როლი, რომელსაც ევა მენდესი ასრულებს, თავდაპირველად კეიტ მოსისთვის დავწერე, მაგრამ ის ამასობაში გათხოვდა და ყველაფერი ფეხებზე დაიკიდა. კაილი მინოუგის როლზე თავიდან ჟულიეტი (ბინოში) იყო დამტკიცებული, მაგრამ საბოლოოდ მას უარი ვუთხარი. გადასაღებ მოედანზე რომ მოვიდა და ვნახე, საკუთარი თავის პრომოუშენით ისეა დაკავებული, რომ აღარ დამაინტერესა და როლზე უარი ვუთხარი. კაილი მინოუგს 6 თვის წინ არც ვიცნობდი. ერთმა პარიზელმა რეჟისორმა მითხრა მის შესახებ. მგონი, შესანიშნავად გაართვა თავი როლს. უცნაური ფილმია. არასდროს მიმუშავია ამდენ ადამიანთან ერთად. მთავარი გმირი ხუთ სხვადასხვა ქალს ხვდება. მეც ვთამაშობ ერთ ეპიზოდში, ჩემი ქალიშვილიც... თუმცა ფილმი შეიძლება ნეხვი გამოვიდეს. არ ვიცი. გადაღებულ მასალას რომ გადავხედე, ნეხვად მომეჩვენა. ისე, როგორც წესი, თავიდან ასე ჩანს ხოლმე. მერე შეიძლება რამე ეშველოს.

ხშირად წერენ, ლავანი კარაქსის ალტერ ეგოაო.

თავის დროზე, დენი რომ არ მეპოვნა, სხვანაირ ფილმებს გადავიღებდი. თუმცა ის ჩემი მეგობარი არ არის. წესიერად არც კი ვიცნობ. ეგაა, რომ ერთი ასაკის და სიმაღლის ვართ. ესაა და ეს. მგონი, ჩემგან ძალიან განსხვავდება. ჩემს პირველ ფილმში „ბიჭი ხვდება გოგოს“ მამაკაცის როლის შემსრულებელს ვეძებდი. შევხვდი ახალგაზრდა მსახიობებს, მუსიკოსებს, როკ ჯგუფებს. ბოლოს უმუშევარ მსახიობთა სააგენტოში მივედი. ფოტოების თვალიერებისას შევნიშნე მისი უცნაური სახე და მალევე შევხვდი კიდეც. დღეს უმეტესად თეატრში მუშაობს. არასდროს ჩერდება. თეატრი, პოეზია, ხანდახან ფილმები. მთელი რუსეთი მოიარა, სცენიდან ლექსებს კითხულობდა. ძალიან შეიცვალა. დღეს ბევრად უკეთესი მსახიობია. ყოველთვის შესანიშნავი იყო, მაგრამ ადრე დიალოგები უჭირდა, სასიყვარულო სცენებიც რთულად გამოსდიოდა. ახალ ფილმში კი 80 წლის მომაკვდავ კაცს შეუდარებლად თამაშობს. არადა, სცენარზე მუშაობისას მეგონა, რომ ვერ მოახერხებდა. ადრე, როცა ჩემს „შეყვარებულებს“ ვიღებდი ფილმებში, დენისთვის რთული იყო თამაში. ფილმში ის ჩემს შეყვარებულში უნდა ყოფილიყო შეყვარებული.

როგორ მუშაობ, მკაცრად გეგმის მიხედვით თუ გადაღებისას ცვლი სცენარს?

ვცვლი იმის მიხედვით, თუ რამდენად დაღლილი ვარ, რამდენად ინსპირირებული, როგორია დეკორაცია, როგორები არიან მსახიობები, როგორია განათება. ზოგჯერ ძალიან ცოტა რამ იცვლება, ზოგჯერ მთელი ეპიზოდები თავიდან იწერება. ხან – როგორ, ხან – როგორ. ზოგჯერ დღისით ვწერ და ღამით ვიღებთ.

3.5 მილიონი ევრო „წმინდა ძრავებისთვის“ საკმარისი იყო?

არა, რადგან რეალური ბიუჯეტი 5 მილიონი იყო. დიდი დაფინანსება მქონდა იაპონიიდან და გერმანიიდან, მაგრამ, ჟულიეტი რომ აღარ ვათამაშე, იაპონელებმა უკან წაიღეს თავისი ფული. ისე, ამას თუ არ ჩავთვლით, სხვა მხრივ, გაგვიმართლა – ძვირადღირებულ ადგილებში იაფად გადავიღეთ. მენდესის და მინოუგის ჩამოფრენაც საკმაოდ ძვირი დაჯდა, მაგრამ მათთვის ჰონორარი არ გადაგვიხდია.

რთულია შენთვის ფილმისთვის ფულის შოვნა?

განსაკუთრებით – ჩემთვის. თუმცა გააჩნია პროექტს. კასტინგზეც ბევრია დამოკიდებული. თუ პროდიუსერებმა იციან, რომ მენდესი თამაშობს ფილმში, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს მენდესის ფილმი იქნება. ასე რომ, ოდნავ უფრო მეტს გაძლევენ, მაგრამ ბევრსაც არა.

რა უფრო მნიშვნელოვანია შენთვის – პროცესი თუ შედეგი?

ორივე თავისებურად. მთავარი მაინც ფიქრია. თავიდან ბრმად, შეგრძნებებით იწყებ. ცდილობ ფილმის წარმოდგენას. მთხრობელი თუ არ ხარ, სულ ფიქრობ, როგორ იმოძრაო ერთი ადგილიდან ან ერთი ფერიდან მეორისკენ. მთხრობელი უფრო იოლად აკეთებს ამას. მე კი არ ვარ მთხრობელი. ხანდახან მინდება, რომ შემეძლოს თხრობა, მაგრამ... ამიტომ ჩემს ფილმებში ამბავი ნაკლებადაა. შეიძლება „ცუდ სისხლში“ არის რაღაც ამბავივით. თვითონ გადაღების პროცესი ზოგჯერ ექსტაზივითაა, ზოგჯერ – სიქის გამძვრელი და რუტინული. ყველაზე დიდი დრო „ხიდის“ გადაღებებმა წაიღო – 52 კვირა. დიდი ქაოსი იყო ეს ფილმი. თითქმის მთელი ფული დეკორაციას დასჭირდა. ახალი ხიდის ასლი პარიზის გარეთ გაკეთდა. ერთხელ სიცილის გადაღებას მთელი ღამე ვცდილობდით. ძალიან რთულია ბუნებრივად სიცილი. ნარკოტიკებიც ვცადეთ. თან ყინავდა. არ ვიცი, ზოგი როგორ ახერხებს ყოველ წელს ახალი ფილმის გადაღებას. სულ რამდენიმე ფილმი გადავიღე. ძალიან დამღლელი პროცესია. უკვე გადაღების დაწყებამდე მკვდარი ვარ ხოლმე. არაფერს ვამბობ დილის ხუთზე სიცივეში ადგომასა და თვეების განმავლობაში კონცენტრირებულობაზე. ცხოვრებაში ჩვეულებრივ მარტო ვარ ხოლმე. ნაცნობებს იშვიათად ვნახულობ. გადაღებისას კი ერთდროულად ათეულობით ადამიანთან გიწევს მუშაობა. მძიმეა ამდენი ხალხი...

რთულია მათი ორგანიზება, ლიდერობა?

სულ თავიდან, ახალგაზრდა რომ ვიყავი, ყველაფერი ავანტიურა და ბლეფი იყო, და მეც უფრო თავისუფლად შემეძლო რაღაცების კეთება. როცა ვილაცები გენდობიან, კამერასთან დგახარ და გადამღები ჯგუფი შემოგყურებს, იძულებული ხარ, თავი ისე მოაჩვენო, თითქოს იცი, რასაც აკეთებ. თუ გაგიმართლა, იგრძნობ, რომ ეს საშენო ადგილია, მაგრამ ყოველთვის ასე არ ხდება. ერთხელ, „ტოკიოზე“ მუშაობისას, გადასაღებ მოედანზე ჩემი ქალიშვილი მოვიდა. მაშინ ძალიან პატარა იყო. მანამდე არ იცოდა, რას

იყო დრო, როცა ფილმებს ვუყურებდი. მაგრამ როგორც კი თვითონ იწყებ ფილმების გადაღებას, ყველაფერი სხვაგვარად ხდება. დღეს ფილმების ყურება ისეთი მნიშვნელოვანი აღარაა ჩემთვის. კარგად მახსოვს ის, რაც ნანახი მაქვს. ფილმები აღარასდროს იქნება ჩემთვის ისეთი მნიშვნელოვანი, ახალგაზრდობაში რომ მეგონა.



ვსაქმიანობდი. ძალიან გაუკვირდა. დაიჩემა, უფროსი ხარ, უფროსი ხარო. მანამდე სხვებთან არასდროს ვენახე. მოედანზე ხალხს ჩემზე ეკითხებოდა, კარგი უფროსიაო?

ლავანის გარდა, „ტოკიოში“ ჟან-ფრანსუა ბალმერიც თამაშობს...

ის ახალ ფილმშიც მყავს, მაგრამ ამჯერად სხვა როლი აქვს. „ტოკიოში“ როგორ აღმოჩნდა, კარგად არც მახსოვს. თავდაპირველად სცენარში მისი როლი არ მქონდა გათვალისწინებული. მერე ვიფიქრე, ვიღაცამ ხომ უნდა გაიგოს ბატონ მერდეს ენა-მეთქი.

„წმინდა მოტორებში“ როლი პირადად მისთვის დაწერე?

არა, მასზე არასდროს მიფიქრია. ბალმერი კარგი მსახიობია, მაგრამ არასდროს მეგონა, რომ მასთან ერთად ფილმს გავაკეთებდი. იგი ჩემი სამყაროდან არაა. მაგრამ კარგია ზოგჯერ ისეთი ვინმეს ჩასმა ფილმში, ვინც სხვა სამყაროდანაა.

ამიტომ ხომ არ ითანამშრომლე „პოლა იქსში“ სკოტ უოკერთან?

ნაწილობრივ ასეა. „პოლა“ ჩემი ერთადერთი ფილმია, რომლის მუსიკაც კომპოზიტორთან ერთად გავაკეთე. ყოველთვის მინდოდა, კომპოზიტორთან თანამშრომლობა. ბევრს შევხვდი, მაგრამ უშედეგოდ. მუსიკა ისეთი არასდროს გამოდიოდა, როგორიც მინდოდა. „პოლაში“ ბენდს რაც შეეხება, თავიდანვე ვიცოდი, რომ ბევრი გიტარა მინდოდა. ფილმის ეს ნაწილი გერმანიაში გადავიღეთ. ქარხნის სცენაშიც გერმანელი მუსიკოსები თამაშობენ.

ცხოვრებაში რა მუსიკას უსმენ?

რასაც ბავშვობაში, ახლაც იმას ვუსმენ; ძირითადად, – რამდენიმე ფრანგ მომღერალს, „როლინგ სტოუნზს“ და ბოუის. დღევანდელ მუსიკაში, რაც აქეთ-იქიდან მესმის – რეპით და ეთნოთი დაწყებული, ჯაზით და კლასიკით დამთავრებული, ის ენერგია აღარაა, რაც ადრე იყო. ფილმების გადაღება რაც დავიწყე, მუსიკასთან მჭიდრო კავშირი აღარ მაქვს. ასე რომ, კარგად არ ვიცი, რა მოხდა ოთხმოციანების შემდეგ. ადრე მინდოდა, მუსიკოსი გავმხდარიყავი. მაგრამ, ნიჭი არ მქონდა. კარგია, თუკი შეგიძლია შექმნა მუსიკა, იმოგზაურო, გიტარაზე დაუკრა, ნებისმიერ ადგილას იმღერო.

რას კითხულობ, გყავს გამორჩეული ავტორები?

მთელი ცხოვრება ვკითხულობ. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ავტორები მელვილი, დოსტოევსკი და ანდრეი პლატონოვი არიან. პლატონოვის მოთხრობები მიყვარს განსაკუთრებით. მისი „ჯანის“ (Джан) მიხედვით სცენარიც კი დავწერე, მაგრამ ამ ფილმს არავინ დააფინანსებს. არიან კიდევ შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი მწერლებიც, მაგალითად, – პატრისია ჰაისმითი. ტრილერებს წერდა. მისი პირველი წიგნის მიხედვით ჰიჩკოკმა ფილმი გადაიღო – „უცნობები მატარებელში“. კიდევ ერთი ვენდერსმაც, კლოდ შაბროლმაც. ფანტასტიკური ქალი იყო, ამერიკელი ლესბი ანტისემიტი. მისი ყველაფერი წაკითხული მაქვს. ფრანგებიდან სელინს გამოვყოფ. ბევრი მწერალი იყო ჩემთვის სხვადასხვა დროს მნიშვნელოვანი; განსაკუთრებით – დოსტოევსკი. ათ წელიწადში ერთხელ ხელახლა ვკითხულობ.

ნარკოტიკებზე რას იტყვი, ყოფილხარ მათზე დამოკიდებული?

ყველაფერი გამისინჯავს, მაგრამ დამოკიდებული მარტო სიგარეტზე ვარ. ნარკოტიკის მიღება ჩვევაში არასდროს გადამსვლია. თავის დროზე ოპიუმს ვიღებდი. ჩემი უახლოესი მეგობარი, ჩემი პირველი სამი ფილმის ოპერატორი, აზიასა და ყველაფერ აზიურზე გიჟდებოდა. ფილმებზე მუშაობისას ოპიუმი მუდამ თან ქონდა. ვეწეოდით, ან ვყლაპავდით. პარიზში თეირანის საელჩოში ვყიდულობდით ხოლმე, შავ ხიზილალასთან ერთად. ერთი საინტერესო ქალი იყო კიდევ, შვეიცარიელი გერმანელი. მაღალი კლასის ბოზები ყავდა; მაგალითად, – გოგონები ბოუისთვის, იგი პოპისთვის და მთელი როკერებისთვის პარიზში. ციცქნა ქალი იყო, ნამდვილი გიჟი, ძალიან საინტერესო და სასიამოვნო. მოვწონდი და ყოველთვის მამარაგებდა ოპიუმით. როგორც ვიცი, ისიც ირანის საელჩოში შოულობდა.

დეპრესიული ხარ?

ხდება ხოლმე. ზოგჯერ ძალიან შემომიტევს. განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში კლინიკებშიც ვწოლილვარ. ომის დროს სარაევოში წავედი. არა საომრად. უბრალოდ, ვიყავი იქ, როცა ქალაქს ბომბავდნენ. ალბათ, უფრო შოკური თერაპიისთვის.

ანტიდეპრესანტებს იღებ?

კი. თუმცა ვცდილობ, შევეშვა. შევეშვები, მერე თავიდან ვიწყებ ხოლმე მიღებას. არადა მათ უმეტესობას ეფექტი არ აქვს. ამ დროს ძალიან საინტერესოა პლაცებოს ეფექტი. გგონია, რომ დეპრესიის საწინააღმდეგო პრეპარატს იღებ, არადა, სინამდვილეში შაქარს ყლაპავ. თავისუფლად შეიძლება პლაცებომ ისევე იმოქმედოს, როგორს ნამდვილმა წამალმა. ასე რომ, ვალიუმს და შაქარს თანაბარი შანსები აქვთ. ადრე უამრავ აბს ვიღებდი. მეტიც, მოვითხოვდი აბებს, ვინმე კი არ მაიძულებდა. მეგონა, მოვკვდებოდი, აბი რომ არ მიმეღო. სამი წელი საწოლში რომ გაატარებ კანკალით, ძალიან გინდა, ამ მდგომარეობიდან როგორმე გამოძვრე.

რა არის ამის სათავე?

შიში. საშინელი, აუტანელი შიში და შფოთვა. შეიძლება ცოტა ნარკოტიკის ბრალიც იყო. პატარები რომ ვიყავით, ოპიუმი და სოკო გართობა გვეგონა, ჰაშიში სულაც არაფრად მიგვაჩნდა.

უფრო ინტროვერტი ხარ თუ ექსტროვერტი?

ვიტყოდი, თანაბრად. ფილმების კეთება მაინცდამაინც ინტროვერტული არაა. ფილმების გადაღება რომ დავიწყე, ყველაზე ახალგაზრდა ვიყავი, დენის გარდა, რომელიც ჩემზე რამდენიმე თვით უმცროსია. მაგრამ ბოლო ფილმში ყველაზე ხცოვანი ვიყავი გადამღებ ჯგუფში. ვფიქრობ, დღეს ხალხი საკმაოდ პასიურია. ან მე მეჩვენება ასე. როგორც რეჟისორს, გადასაღებ მოედანზე დიდი ძალაუფლება მაქვს. მაგრამ, მგონი, ლმობიერი ვარ მსახიობებისა და გადამღები ჯგუფის მიმართ. ტოკიოში ცოტა სხვაგვარად იყო. ირგვლივ სულ იაპონელები იყვნენ. უცნაური ხალხია. ერთადერთი ერია, სადაც უცხოდ ვგრძნობ თავს. გადაღებისას ბრძანებებს რომ ვიძლეოდი, დიქტატორი ვეგონე, მგონი.

რამდენად ადევნებ თვალს თანამედროვე კინოში მიმდინარე პროცესებს?

იყო დრო, როცა ფილმებს ვუყურებდი. მაგრამ როგორც კი თვითონ იწყებ ფილმების გადაღებას, ყველაფერი სხვაგვარად ხდება. დღეს ფილმების ყურება ისეთი მნიშვნელოვანი აღარაა ჩემთვის. კარგად მახსოვს ის, რაც ნანახი მაქვს. ბევრი ფილმი ვნახე 8 წლის განმავლობაში – 18-დან 24 წლამდე, მას შემდეგ საკუთარი ფილმები მქონდა გასაკეთებელი. ფილმები აღარასდროს იქნება ჩემთვის ისეთი მნიშვნელოვანი, ახალგაზრდობაში რომ მეგონა. შთაბეჭდილება დღესაც შეიძლება რამე ფილმმა მოახდინოს

ჩემზე, მაგრამ არა ისეთი, როგორსაც ადრე ახდენდა. ესეც იმიტომ, რომ თავად ვაკეთებ ფილმებს. ფილმმა, რომელიც დღეს აღმაფრთოვანა, შეიძლება საშინელ დეპრესიაში ჩამაგდოს, რადგან საკუთარი ფილმები არ მომწონს. ბოლოს სოკუროვის „ფაუსტი“ ვნახე. ყოველთვის მინდოდა ფაუსტზე ფილმი გამეკეთებინა. რატომღაც მეგონა, ისეთი მაგარი იქნებოდა, რომ საკუთარს ვეღარ დავამთავრებდი და მივაგდებდი. მაგრამ ამოვისუნთქე, რადგან ფილმი არ მომეწონა. ეს არ იყო კარგი სოკუროვი. ასე რომ, შემიძლია სამონტაჟოს დავუბრუნდე და ჩემს საკუთარ ნეხვის ნაკუწს მივხედო.

გელაპარაკებიან ხოლმე შენი მეგობრები შენს ფილმებზე?

საერთოდ, არ მიყვარს ფილმებზე ლაპარაკი. ვცდილობ, არც რეჟისორებს ვესაუბრო. მეგობრებს რაც შეეხება, მთელ ცხოვრებაში სულ ორი მყავდა: ჩემი ფილმების ოპერატორი – ჟან-ივ ესკოფიე, რომელიც 2004 წელს გარდაიცვალა და კიდევ ერთი, არა კინოსამყაროდან, რომელსაც რამდენიმე წლის წინ დავშორდი.

გოდართან კონფლიქტის მიზეზი რა იყო?

სისულელე. ფული. ჩემი მართებდა, თუმცა ისე იქცეოდა, თითქოს არ ემართა. თავიდან მის ფილმში თამაშისთვის თანხა შემომთავაზა. მერე კი ისე იქცეოდა, თითქოს არ ემართა ჩემი. ბოლოს გადამიხადა, მაგრამ არ უნდოდა. როგორც ვიცი, სხვა მსახიობებისთვის ბოლომდე არ გადაუხდია.

რითი ცხოვრობ, საიდან გაქვს შემოსავალი?

უმეტესად ჩემი ფილმებიდან. მათ ჯერ კიდევ აჩვენებენ ტელევიზიით, ან DVD დისტრიბუციიდან. ჩემი პირველი ორი ფილმის უფლებებს თვითონ ვფლობ. დანარჩენების საავტორო უფლებებიც მაქვს. მაგრამ ამით ცოტა ხანს შემიძლია ვიცხოვრო. ისე კი სულ პრობლემებია. ზოგჯერ მუსიკალურ ვიდეოებსაც ვაკეთებ, ან სიმღერებს ვწერ. ხშირად ისეთ პროექტზე გადაუხდიათ ჩემთვის, რაც არ დამისრულებია.

კომერციულ ფილმებს არ იღებ. თვითონ როგორ ფიქრობ, რას და ვისთვის აკეთებ?

აზრზე არ ვარ. ადრე მეგონა, ჩემი ფილმები იოლი საყურებელი იყო. მეგონა, ყველას მოუნდებოდა მათი ნახვა. გვიან მივხვდი, რომ ვცდებოდი. თუმცა, მოგზაურობისას ხშირად ვხვდები ადამიანებს, ვინც ჩემს ფილმებს უყურებს. 80-იანებში ჩემი მეგობარი იყო ჩინეთში – ზუსტად მაშინ პეკინში სტუდენტები დახოცეს მოედანზე. მას ჩინელი გოგო შეუყვარდა. საშიშროების თავიდან ასაცილებლად იმ გოგომ ჩემი მეგობარი სოფელში წაიყვანა. იქ ისეთი ქარბუქი იყო, 3 დღე სახლიდან ვერ გადიოდნენ. გოგომ ჩემს მეგობარს უთხრა, საყვარელ ფილმს გაჩვენებო და ვიდეოკასეტა გამოიღო ჩემი რომელიღაც ფილმით. ასე რომ, როცა ვფიქრობ, რომ პატარა ჩინელ გოგოს, სადღაც სოფელში, კასეტაზე ჩაეწერა ჩემი ფილმი, სავარაუდოდ საშინელი ხარისხით...

რისი გეშინია ცხოვრებაში?

შეგრძნება მაქვს, რომ ჩემი ცხოვრება დამთავრდა. ოღონდ, ამის არ მეშინია, ეს ფაქტია. ქალიშვილი მყავს, ასე რომ, მასზე უნდა ვიზრუნო და ვინერვიულო. ვფიქრობ, ყველაფერს შევეშვა, ბინა გავყიდო და ჩემს გოგონასთან ერთად პარიზიდან სხვაგან გადავიდე საცხოვრებლად, სადმე, ზღვასთან ახლოს.

უფრო ფილოსოფოსი ხარ თუ პოეტი?

ალბათ, უფრო ბავშვი ვარ. არ ვიცი, ეს რამდენად კარგია. თან ეს არცაა არჩევანი. ბავშვი თუ ხარ, ამას ვეღარ შეცვლი. შეიძლება, დაბერდე, მაგრამ – ბავშვად დარჩე.

p.s. *დავით გარეჯისკენ გზაზე უცნობი დავიმგზავრეთ. კაცი სოფელ უდაბნოში მიდიოდა. სვანი იყო. სტიქიის შემდეგ სოფელი აქეთ გადმოუსახლებიათ. ყვითელი თოვლი მოვიდაო, კაცი იხსენებდა. ისეთი მკვრივი იყო, რომ ზედ ტრაქტორი თავისუფლად დადიოდაო. უდაბნოში კაცმა შინ შეგვიპატიჟა. პატარა სახლის გვერდით, გაუქმებულ აბანოს შენობაში რამდენიმე ძროხა თივას ცოხნიდა. საიდანღაც უჯიშო ძაღლი გამოტყვრა, კუდის ქიცინით შემოგვეგება. ჯერ ყველას ფეხებზე დაგვყნოსა, ბოლოს კი, კარაქსს პირაღმა გაუწვა. ისიც ჩაიკუზა, ძაღლს მუცელზე მიეფერა. თვითონაც რამდენიმე უჯიშო ძაღლი ყავს შინ.*

წელს თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე ლეოს კარაქსის ფილმების რეტროსპექტივა შედგა, თუმცა თვითონ ჩვენებებს არ დასწრებია. გადაღების და მონტაჟის შემდეგ საკუთარ ფილმებს აღარ უყურებს.

კარაქსთან დამშვიდობების შემდეგ, მისი სუსტი მხრებისა და ზურგის შემყურეს, რატომღაც პლატონოვის „ჩევენგურიდან“ გამახსენდა ერთი ციტატა: „ღმერთი მიდიოდა უგზო-უკვლოდ, მისი საჭმელი იყო მიწა, იმედი კი – ოცნება“.

შეგრძნება მაქვს, რომ ჩემი ცხოვრება დამთავრდა. ოღონდ, ამის არ მეშინია, ეს ფაქტია. ქალიშვილი მყავს, ასე რომ, მასზე უნდა ვიზრუნო და ვინერვიულო. ვფიქრობ, ყველაფერს შევეშვა, ბინა გავყიდო და ჩემს გოგონასთან ერთად პარიზიდან სხვაგან გადავიდე საცხოვრებლად, სადმე, ზღვასთან ახლოს.

სამოქალაქო არქიპელაგი

სადამდე გაუწევენ პუტინს წინააღმდეგობას?

ავტორი დევიდ რემნიკი

პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ნიუ-იორკერში“, 19 დეკემბერი, 2011
ინგლისურიდან თარგმნა თამარ სუხიშვილმა

20 ნოემბრის ღამით, სახელმწიფო დუმის არჩევნებამდე ორი კვირით ადრე, ვლადიმირ პუტინმა კრემლის პრობლემები გვერდზე გადადო და სპორტულ კომპლექს „ოლიმპიისკის“ მიაშურა, სადაც კრივის ფინალური შეხვედრა უნდა გამართულიყო. ეს იყო „ბრძოლა წესების გარეშე“. მძიმე წონის კატეგორიაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ რუსი ციკლოპი ფიოდორ იემელიანენკო (უკანასკნელი იმპერატორი) და ანარქისტი ჯეფ მონსონი (თოვლის კაცი) ვაშინგტონიდან. შერკინება ტელევიზიითაც გადაიცემოდა, სახელმწიფო სატელევიზიო არხით „როსია-2“. პუტინს ლურჯი პიჯაკი ეცვა, ჰალსტუხი არ ეკეთა. უყვარს ეს პოზა: „მუჟიკი“, მაჩო, ნამდვილი მამაკაცი. ასეთი ბევრი ფოტო აქვს გადაღებული: ცხენზე ჯირითის დროს, ვეფხვებთან, ვეშაპზე ნადირობისას... სხვაგან სამხედრო თვითმფრინავს მართავს, ციმბირის მდინარეში ცურავს ან ფორმულა ერთის მანქანის საჭესთან ზის. ერთხელ სახელმწიფო ტელევიზიით აჩვენეს, როგორ სცადა მოეღუნა ტაფა შიშველი ხელებით. მართალია, ეს მაინცადამაინც დიდი წარმატებით ვერ მოახერხა, მაგრამ მისი მცდელობა დაფასდა და ახლა ის ფინალურ ბრძოლას ესწრება: 20 ათასკაციანი ბრბო, ყველა ნასვამი, ზოგი წარმატებული, ზოგიც წარუმატებელი, ეს ადამიანები მისი საკუთრებაა, პუტინის ხალხი.

იემელიანენკო და მონსონი – ორი თავგადაპარსული, უხეში, მთასავით კაცი ერთმანეთს ერკინება. მონსონს კისრიდან მთელ ტანზე დაჰყვება სვირინგები. ორი წარწერა კირილიცათია გაკეთებული: „სვობოდა“ და „სოლიდარნოსტი“. რუსმა ფალავანმა თავიდანვე მოიპოვა უპირატესობა. მონსონი დასისხლიანებულია, ბრბო – აღტაცებული. ძნელია იმის თქმა, კმაყოფილია თუ არა პუტინი. კამერა პუტინის სახეს გვაჩვენებს. ძლივძლივობით იღიმება. ბოტოქსით გადასწორებული სახე (ასე ამბობენ) ახლა უფრო მეტადაა საიდუმლოებით მოცული, ვიდრე ოდესმე. არადა, დიდი სადარდებელი ჰქონდა. მან იცოდა, რომ მიუხედავად არჩევნებში მისი დამქაშების თავდაუზოგავი მცდელობისა, კრემლის პარტია „იედინაია როსიას“ ძირი ჰქონდა გამოთხრილი.

ბრძოლის შემდეგ პრემიერ-მინისტრი რინგზე გავიდა. პუტინს მონსონისთვის კეთილი სიტყვა ჰქონდა გამზადებული: „ნამდვილი მამაკაცი“, იემელიანენკო კი რუსული ვაჟკაცობის დიდი კომპლიმენტით შეამკო: „ნასტოიაშჩი რუსკი ბოგატირ“. როცა პუტინი ლაპარაკობდა, დარბაზში დამცინავი სიტყვები გაისმა, დაუსტვინეს. ასეთი რამ პუტინს არასოდეს დამართნია.

როცა Youtube-ზე ეს ვიდეო ვნახე, 21 წლის წინანდელი პირველი მაისის პარადი გამახსენდა. წითელ მოედანზე ვიდექი და ვუყურებდი, როგორ შეწყვიტა მარში ათასობით ადამიანმა. გაჩერდნენ და მრისხანე მზერით შეხედეს გორბაჩოვსა და სხვა ლიდერებს. „გადადექი!“ დაიყვირა ვიღაცამ. „გრცხვენოდეს!“ პლაკატები გაშალეს: „ძირს იმპერია და წითელი ფაშიზმი! კომუნისტებო, კმარა ილუზიები, თქვენ დამარცხდით!“ ფრიალებდა ბალტიის ქვეყნების დროშები. სსრკ-ს დროშებიც ჰქონდათ, რომლებზეც ნამგალი და ურო იყო ამოჭრილი. „მიხაილ სერგეევიჩ, ქრისტე აღდგა!“ – დაიძახა რუსმა მღვდელმა. ბინოკლით კარგად დავინახე გორბაჩოვისა და სხვა ლიდერების გამომეტყველება. ისინი შოკში იყვნენ. მაშინ მოსკოვში ბოტოქსი არ „იშოვებოდა“ და ამ ადამიანებს სახეზე შეშფოთება ეწერათ. ეს აშკარა იყო. ოც წუთზე მეტი გავიდა და ხალხი ადგილიდან არ იძვროდა. გორბაჩოვმა მთავრობის წევრებს ნიშანი მისცა და მათ კრემლს შეაფარეს თავი.

80-90-იან წლებში სახელმწიფო ტელევიზია იყო დამუხტული არგუმენტებით, სიმართლით, ირონიით, ისტერიითა და სკანდალით. პუტინის ხელისუფლების დროს სატელევიზიო ინფორმაციას აკონტროლებენ. პრესის, რადიოს, ინტერნეტის საშუალებით შეგიძლია შენი სათქმელის თქმა, მაგრამ მთავარი მაინც ტელევიზიაა. ბიუროკრატებმა, რომლებიც „როსია-2“-ს მართავენ, თავიანთი საქმე კარგად იციან. სატელევიზიო სიუჟეტი გაასუფთავეს და სტვენის ხმაც წაშალეს. პუტინის მხარდამჭერი ახალგაზრდული გუნდის – „ნაშის“ წევრებმა განაცხადეს, ეს ფანების სტვენა იყო, მეტი არაფერიო. ოპოზიციონერმა ბლოგერმა ალექსეი ნავალნიმ ამ თემას მიუძღვნა პოსტი სათაურით: „ეპოქის დასასრული“.

ეს არ არის ეპოქის დასასრული. ნაჩქარევი იქნებოდა ასეთი შეფასებაც: დასასრულის დასაწყისი. 1990 წლის მაისის მოვლენებთან შედარება უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ დღეს მილიონობით რუსი აპოლიტიკურია, თავისთვისაა; ისწავლეს იმ სისტემაში ცხოვრება, სადაც თითქმის არაა სამართლებრივი გარანტიები, მაგრამ სამაგიეროდ არის ეკონომიკური წინსვლა. თუმცა დუმას არჩევნებამდე რაღაც მაინც იყო გარკვეული. მიუხედავად პუტინის მაღალი რეიტინგისა, რუს ხალხს აღარ შეუძლია ასეთი ყოფა – უმოქმედო, აპათიური, სტაბილურობით ანესთეზირებული.

სტვენას „ოლიმპიისკის“ არენაზე ბევრი მიზეზი ჰქონდა. სექტემბერში პუტინმა განაცხადა, რომ მარტში პრეზიდენტობისთვის კენჭისყრას აპირებს. იგულისხმა, რომ მედვედევს კიდევ უფრო ღრმად ჩაიტენის ჯიბეში, ის პრემიერ-მინისტრი გახდება. როგორც ჩანს, ხალხი ამას ვერ დაუშვებს. კემეროვოში „მაშინა ვრემენის“ კონცერტზე ფანებმა ღონისძიების მხარდამჭერი „იედინაია როსიას“ სახელის ხსენებაზე სტვენა ატეხეს. ჩელიაბინსკში ჰოკეის ფანებმა კაპიტანს დაუყვირეს, როცა მან „იედინაია როსიას“ მხარდამჭერი განცხადება წაიკითხა. რუსულენოვანი ვებგვერდები სავსეა ამგვარი ფაქტებით.

„ოლიმპიისკის“ არენის ინციდენტის შემდეგ პუტინის სპიკერს, დიმიტრი პესკოვს

დავურეკე. პესკოვი ნამდვილი პუტინის კაცია: კარგად ინფორმირებული, ენაწყლიანი, პროფესიონალი, დახვეწილი პირქუში გამომეტყველებით. როცა იტყუება, იცის, რომ შენ ამას ხვდები და შენც იცი, რომ მან ეს იცის. მისი ღიმილი კიდევ ერთხელ შეახსენებს უცხოელ სტუმრებს: ჰო, ჩვენ ცინიკოსები ვართ. თქვენ რა, არა?

როდესაც პესკოვს ამ ინციდენტის შესახებ ვკითხე, მიპასუხა, რომ მაყურებელი მაშინ უსტვენს ხოლმე, როცა დამარცხებული არენას ტოვებს, ამაში გასაკვირი არაფერია. მერე კი პესკოვი, რომელიც ისეთივე გონიერი და თანამედროვეა, როგორც ის რეჟიმი, რომელსაც ემსახურება, აბსურდული პასუხიდან სიმართლეზე გადავიდა: „რამდენჯერმე შეძახილიც გავიგონე, სამი თუ ოთხი კაცი მართლაც ყვიროდა: პუტინ, წადი!“

„რატომ ჩაახშო ტელევიზიამ ეს ხმა?“ – ვკითხე. „ხმაური ჩაახშეს,“ – მიპასუხა. „კი მაგრამ, რატომ?“ „ეს ზუსტად არ ვიცი, რედაქტორმა ასე გადაწყვიტა“, – პესკოვს თავის პასუხზე თვითონვე გაეცინა.

ამასწინათ სამოქალაქო უფლებების დამცველი ჯგუფის – „მემორიალის“ შტაბს ჩავუარე. ჯგუფი 1987 წლიდან არსებობს. ეს პერიოდი „გლასნოსტის“ დასაწყისია, როდესაც ასპარეზზე არაფორმალები გამოჩნდნენ. „მემორიალის“ დამფუძნებლებს, რომელთა ერთი ნაწილიც ყოფილი დისიდენტები და პოლიტიკური პატიმრები იყვნენ, სჯეროდათ, რომ პროგრესი მხოლოდ საბჭოური წარსულის საშინელებების გახსენებისა და გააზრების საფუძველზე იქნებოდა შესაძლებელი. ისინი ამ იდეით მოვიდნენ. „მემორიალის“ აქტივისტებმა შეადგინეს პეტიცია, რომელიც მოითხოვდა სტალინის დროს „უკანონო რეპრესიების მსხვერპლთა“ მემორიალის აგებას. ათეულობით ათასი ხელმოწერა შეგროვდა. იყო ბევრი დემონსტრაცია, კონვენცია, შეხვედრები კრემლის ხელმძღვანელობასთან. „მემორიალმა“ თავისი ქსელი გააფართოვა და პროვინციებშიც დაიწყო მუშაობა.

გორბაჩოვი მიხვდა, რომ ქვეყანაში რეფორმის გასატარებლად ინტელექტუალურ კლასზე გამარჯვება უნდა მოეპოვებინა. 1988 წელს კომპარტიის ყრილობაზე მან მონუმენტის აგების გეგმა დაამტკიცა. თუმცა გორბაჩოვს თავად „მემორიალის“ არსებობის ფაქტის მიმართ ჰქონდა ამბივალენტური დამოკიდებულება. მართალიც იყო. ამ ორგანიზაციაში ის უფრო ძლიერი ოპოზიციის ჩანასახს ხედავდა, რომელიც საბოლოოდ თავად სისტემას მოუღებდა ბოლოს. „უნდა ვეცადოთ, რომ „მემორიალის“ აქტიურობა მოვადუნოთ,“ – განაცხადა მან პოლიტბიუროს სხდომაზე. ჯგუფს რეგისტრირების საშუალება არ მისცეს. ეს იყო ბიროკრატიული მანევრი, რომელმაც ხელი შეუშალა ორგანიზაციის მუშაობას, დაბრკოლება შეუქმნა ფონდების მოძიებას. 1989 წელს ანდრეი სახაროვის დაკრძალვაზე გორბაჩოვს სახაროვის მეუღლისთვის, ელენა ბონერისთვის უკითხავს, რა შემიძლია თქვენთვის გავაკეთოო. „მემორიალი“ დაარეგისტრირეთო, – იყო პასუხი.

„მემორიალი გადარჩა“, საბჭოთა კავშირი – ვერა. „მემორიალის“ ახალ შტაბში ის ბიბლიოთეკა და არქივები დავათვალიერე, სადაც ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ასობით პუბლიკაცია დაიწერა საბჭოთა წარსულის შესახებ. არქივის თანამშრომელმა მაჩვენა გულაგის ტყვეების მიერ დამზადებული ხელნაკეთი ნივთები. მერე ფილატელისტის – ვლადიმერ ლევიცკის საქმეს გავეცანი. 1932 წელს დააპატიმრეს მარკების შეგროვებისთვის. მარკების კოლექციონერებს საიდუმლო ნიშნებისა და კოდების გავრცელებაში ედებოდათ ბრალი. 1937 წელს ლევიცკი კრასნოიარსკის მახლობლად ოლხოვკაში მოკლეს, შრომა-გასწორების კოლონიაში.

„მემორიალის“ ქსელი სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა: კვლევითი ცენტრი, ბიბლიოთეკა, არქივები... აქ ჩამოყალიბდა ადამიანთა უფლებების შემსწავლელი ცენტრიც. პერიოდულად ორგანიზაცია ოფიციოზის ზეწოლას განიცდის: 2008 წელს პოლიციამ დაარბია „მემორიალის“ სანკტ-პეტერბურგის ოფისი და 12 მყარი დისკი წაიღო, მათ შორის იყო სტალინის არქივიც.

ისტორიკოსი არსენი როგინსკი „მემორიალის“ ერთ-ერთი დამფუძნებელია. მამამისი სტალინის დროს დააპატიმრეს და ციხეში გარდაიცვალა. ოთხმოციანების დასაწყისში როგინსკიმ საბჭოთა რეპრესიების შესახებ მასალების შეგროვება დაიწყო და ამის გამო ოთხი წელი ციხეში გაატარა. როგინსკის აზრით, კრემლი იმდენად ზღუდავს ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს, მედიას, არასამთავრობო სექტორს, რომ შეუძლებელია ნამდვილი სამოქალაქო საზოგადოების შექმნა. ეს ორგანიზაციები კუნძულების არქიპელაგს ჰგავს ღია ზღვაში და სრულიად იგნორირებულია პოლიტიკური ელიტის მიერ.

„ჩვენ გვაქვს მეტი სახელმწიფო და ნაკლები სამოქალაქო საზოგადოება. ჩვენი ამოცანაა, რომ გვქონდეს მეტი საზოგადოება და ნაკლები სახელმწიფო,“ – ამბობს როგინსკი.

ჩეჩნეთის ომის დროს „მემორიალი“ ადამიანის უფლებების დარღვევების შესახებ ინფორმაციას აგროვებდა. „მემორიალის“ ინფორმაციას ხშირად იყენებდა თავის საინფორმაციო წყაროდ ანა პოლიტკოვსკაია, რუსული ოპიზიციური გაზეთის – „ნოვაია გაზეტას“ ჟურნალისტი. „შენ მტერი ხარ და უნდა მოკვდე,“ – უთხრა მას ჩეჩნეთის პრეზიდენტმა რამზან კადიროვმა 2004 წელს. ორი წლის შემდეგ ჟურნალისტი მოსკოვში მოკლეს.

პოლიტკოვსკაიას სიკვდილის შემდეგ ნიუ-იორკში მისი ხსოვნის საღამო მოეწყო. საღამოზე მისი მეგობარი, „მემორიალის“ წევრი ნატალია ესტემიროვაც ჩამოვიდა. ინტერვიუ ჩამოვართვი. ის ჩეჩნეთის ომზე ისეთ ამბებს ჰყვებოდა, თმა ყალყზე დაგიდგებოდათ. მაშინ ესტემიროვა შინ, გროზნოში, დაბრუნებასა და მემორიალისთვის მუშაობის გაგრძელებას აპირებდა. რუსული სამხედროებისა და კადიროვის ჯარისკაცების მიერ ადამიანთა გატაცებისა და უკანონო დახვრეტის საქმეებს იძიებდა. 2009 წელს ნატალია ესტემიროვა გროზნოში გაიტაცეს. მოგვიანებით მისი გვამი ინგუშეთში იპოვეს, მკერდსა და თავში ჰქონდა ნასროლი. ეს მკვლელობები არ გამოუძიებიათ.

„მემორიალის“ წევრმა ოლეგ ორლოვმა ესტემიროვას მკვლელობაში საჯაროდ დაადანაშაულა კადიროვი. როგორც ის ჰყვება, სწორედ ამის შემდეგ დაიწყო მისი დევნა.

2007 წელს ინგუშეთის პროტესტის დროს ორლოვი ნაზრანში წავიდა. „ქალაქი ჯარითა და პოლიციით იყო გადავსებული. ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის ოჯახს შევხვდი და, როგორც ჩანს, იქ დამადგნენ კვალზე. სასტუმრო „ასაში“, ჩემს ნომერში ვიყავი და ვბეჭდავდი. კარზე დააკაკუნეს. გავაღე. სამმა ნიღბოსანმა ავტომატის ლულა მომაბჯინა. მეცნენ და ძირს დამაგდეს. ჯერ გავაპროტესტე, მეგონა მეამბოხეებს ეძებდნენ, მერე მივხვდი, რომ შეცდომა არ ყოფილა. ეს გატაცება იყო. ყველაფერი სქემის მიხედვით მიდიოდა. ასეთ ამბებზე ბევრი დამიწერია და ბევრიც წამიკითხავს. თავზე რაღაცას ჩამოგამხობენ, ფეხშიშველი ხარ, მანქანაში ჩაგაგდებენ. მერე გეტყვიან: ყველაფერი კარგად იქნება, დაგკითხავენ და გამოგიშვებენო. თან გაფრთხილებენ: იცოდე, წყნარად იყავიო. ჩემთან ერთად მანქანაში სამი ტელეჟურნალისტიც ჩააგდეს. მერე ვიღაცამ თქვა: სასტუმროს წმენდა დამთავრდა. და მანქანაც დაიძრა.

სწორი გზიდან გადავუხვიეთ. ჯაყჯაყით მივდიოდით. ვიცოდი, რომ ჩვენს დაკითხვას არც აპირებდნენ. ალბათ, სადმე სარდაფში ჩაგვყრიან-მეთქი, ვფიქრობდი. რუსულად ლაპარაკობდნენ, ცოტას, მაგრამ სრულიად უაქცენტოდ. მანქანა გაჩერდა. ამას მოჰყვა დაძაბული წუთები და უცებ შვების განცდა. მუჯლუგუნებს გვირტყამდნენ. ჩვენი დახოცვა რომ სდომებოდათ, ცემას აღარ დაგვიწყებდნენ. ორი კაცი განსაკუთრებით მაგრად სცემეს. ბოლოს გვითხრეს, ინგუშეთში აღარ დაგინახოთ, თუ დაბრუნდებით, რაც მოხდება, თქვენს თავს დააბრალეთო."

გასულ წელს, ჩეჩნეთის ტელევიზიით გამოსვლის დროს, კადიროვმა ორლოვსა და მემორიალის წევრებს ბრალი დასდო: „მათ უღალატეს სამშობლოსა და ერის იდეას. ისინი ინტერნეტით ავრცელებენ საშინელ ინფორმაციას ჩეჩნეთის შესახებ და ამას ფულის გულისთვის აკეთებენ. ისინი ჩემი მოწინააღმდეგენი არ არიან. ისინი არიან ხალხის მტრები, მტრები კანონისა და სახელმწიფოსი". ორლოვმა კომპიუტერში მაჩვენა ეს ტექსტი და ხმამაღლა ჩამიკითხა. ხალხის მტრები – ეს სტალინის ფრაზა იყო.

რამდენიმე წლის შემდეგ ნიუ-იორკში შევხვდი ჩრდილოკავკასიელ ჟურნალისტს – ნადირა ისაევას. მან მოკრძალებით მიიღო ჯილდო ჟურნალისტური გამბედაობისათვის და გვიამბო თავისი საქმიანობის შესახებ დაღესტანში. ისაევა გაზეთ „ჩერნოვიკისთვის" მუშაობდა. 2008 წელს ის და მისი კოლეგები „სიძულვილის გაღვივებაში" და რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის ცილისწამებაში დაადანაშაულეს.

„დაღესტანი ჩეჩნეთზე ნაკლებ სასტიკია, – ერთხელ მითხრა ისაევამ, – ჩეჩნეთში შენი სიცოცხლე საფრთხეშია, დაღესტანში კი ხელისუფლება ცდილობს, ინტერნეტით გაავრცელოს შენს შესახებ საზიანო ჭორები."

ისაევას მსგავს ჟურნალისტებს პროფესიული პასუხისმგებლობის გრძნობა ამოძრავებთ; მათ იციან, რომ გარკვეული მისია აკისრიათ. თუმცა პუტინის რუსეთში ისეთ ადამიანებსაც შეხვდებით, რომლებიც სრულიად შემთხვევით აღმოჩნდნენ პოლიტიკური მოვლენების შუაგულში. აი, ერთი ასეთი ამბავი: 2007 წლის ზაფხულში ბიზნესმენი ევგენია ჩირიკოვა თავის მეუღლესთან ერთად ხიმკის ტყეში სეირნობდა, შერემეტიევოს აეროპორტის სიახლოვეს. სეირნობის დროს შეამჩნია, რომ ხეები წითელი საღებავით იყო დანიშნული. შინ რომ დაბრუნდა, გაარკვია, რომ ამ ასწლოვანი მუხების გაჩეხვასა და ამ ადგილას ავტომაგისტრალის გაყვანას აპირებდნენ, რომელიც მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგს დააკავშირებდა ერთმანეთთან.

ჩირიკოვა პოლიტიკით დაინტერესებული არასდროს ყოფილა. მისი საზრუნავი თავისი პატარა საინჟინრო კომპანია და ოჯახი იყო; უყვარდა ხიმკის ტყეში სეირნობა.

ჩირიკოვა ქარიზმატულ სამოქალაქო ლიდერად გადაიქცა. მისი გამოსვლები შთამბეჭდავია, აქვს ვებგვერდი, რომელიც ძალიან აქტიურად მუშაობს. ის სათავეში ჩაუდგა ხიმკის ტყეში გამართულ დემონსტრაციებსა და დაუმორჩილებლობის აქციებს. ჩირიკოვას გუნდის წევრები ტყეში, კარვებში ცხოვრობდნენ, მუდმივად ელოდებოდნენ წინ ბულდოზერებს, მათ იჭერდნენ, სცემდნენ. ჩირიკოვამ გაარკვია, რომ ამ პროექტის უკან იდგა ოლიგარქი არკადი როტენბერგი, პუტინის მეგობარი და ძიუდოს მწვრთნელი.

კამერა პუტინის სახეს გვაჩვენებს. ძლივძლივობით იღიმება. ბოტოქსით გადასწორებული სახე ახლა უფრო მეტადაა საიდუმლოებით მოცული, ვიდრე ოდესმე. არადა, დიდი სადარდებელი ჰქონდა. მან იცოდა, რომ მიუხედავად არჩევნებში მისი დამქაშების თავდაუზოგავი მცდელობისა, კრემლის პარტია „იედინაია როსიას" ძირი ჰქონდა გამოთხრილი.

მიხაილ ბეკეტოვმა, ადგილობრივი გაზეთის – „ხიმკინსკაია პრავდას" რედაქტორმა არაერთი სვეტი მიუძღვნა ამ თემას, ადგილობრივი ხელისუფლების კორუფციასა და ავტომაგისტრალის პროექტს. მისი მანქანა ააფეთქეს. მერე კი ისე სცემეს, რომ რამდენიმე კვირის განმავლობაში კომაში იყო. ცოცხალი გადარჩა, მაგრამ ლაპარაკის უნარი დაკარგა და სიარულიც აღარ შეუძლია.

ამ გაზაფხულზე ჩირიკოვას დედობის უფლების საკითხი დააყენეს ეჭვქვეშ. „ხელისუფლების წარმომადგენლები მოვიდნენ ჩემს სახლში და მაჩვენეს ანონიმური საჩივარი, როგორც სტალინის დროს, სადაც წერია, რომ შვილებს ვცემ, საჭმელს არ ვაჭმევ. ვიცოდი, რომ ჩემი ციხეში ჩასმა და ბავშვების წართმევა შეეძლოთ. არ ვიცოდი, ვისთვის მიმემართა. შემდეგ მივხვდი, რომ მხოლოდ ხალხის დახმარების იმედი უნდა მქონოდა. ვიდეომიმართვა ჩავწერე და ვებგვერდზე განვათავსე." ის ადამიანებიც კი, ვისაც ეკოლოგიური პრობლემები დიდად არ აღელვებდა, დიდი თანაგრძნობით განეწყვნენ იმ ქალის მიმართ, რომელიც ბავშვების წართმევით დააშინეს.

ჩირიკოვა რომ ვნახე, ერთი მიტინგიდან მეორეზე გარბოდა. თუმცა ილუზიები არ ჰქონია. ხეებსაც გაჩეხავენ, მაგისტრალსაც გაიყვანენ, ფულსაც გააკეთებენ. მაგრამ მთავარია, რომ მოძრაობა არსებობს და ის თავის სათქმელს ამბობს. „სამოქალაქო საზოგადოება ახალგაზრდაა, – ამბობს ჩირიკოვა, – ხიმკის ტყის მოძრაობამ სრულიად განსხვავებული ადამიანები გააერთიანა. ეს ადამიანები საკუთარი უფლებების დასაცავად გამოვიდნენ. ეს ყველაფერი სხვებზეც ახდენს გავლენას".

ჩირიკოვა 4 დეკემბრის არჩევნებამდეც გრძნობდა, რომ პუტინ-მედვედევის ტანდემში ყველაფერი წესრიგში არ იყო. „ხელისუფლებამ მშვენივრად იცის, რომ ქურდია, ამიტომაც ეშინია ნებისმიერი სახის პროტესტის. შარშან, აგვისტოში ათასობით ადამიანი გამოვედით კრემლის წინ. ამის ყველაზე მეტად ეშინიათ. რას არ გააკეთებენ, ოღონდ ხალხი ქუჩაში არ გამოვიდეს."

ქუჩები, ბულვარები, ავტომაგისტრალები პუტინის რუსეთში სამოქალაქო პროტესტის ყველაზე არასასურველი ფორმაა.

როცა მოძრაობა გადატვირთულია, მთავრობის წევრები და მათთან დაახლოებული პირები მანქანებზე ლურჯ ციმციმას – „მიგალკას" დააყენებენ და შემხვედრ მანქანებს აიძულებენ, გზიდან ჩამოეცალონ. სრული განუკითხაობაა. ამაზე ინტერნეტში ბევრი იწერება. „მიგალკიანი" მანქანისათვის ცნობილი რეჟისორი ნიკიტა მიხალკოვიც გააკრიტიკეს.

26 წლის ივან ალექსეევი, ჰიპ-ჰოპის პოპულარული შემსრულებელი, ვლადივოსტოკში გასტროლებზე იყო ჩასული, როდესაც მოსკოვში, გაგარინის მოედანზე

მომხდარი ავარიის შესახებ შეატყობინეს. მერსედესი, რომელშიც „ლუკოილის“ ვიცე-პრეზიდენტი იჯდა, სიტროენს დაეჯახა. ორი ქალი დაიღუპა, ერთ-ერთი ალექსეის მეგობრის და იყო. პოლიციამ სიტროენის მძღოლი დაადანაშაულა, მაგრამ თვითმხილველებმა თქვეს, რომ „ლუკოილის“ მანქანა სხვის ხაზზე მოძრაობდა.

იმ ღამით ალექსეევს თვალი არ მოუხუჭავს, მთელი ბოლმა სიმღერაში გადმოანთხია. სიმღერას „მერსედეს S666“ ჰქვია. მისი კლიპი ჰიტი გახდა ინტერნეტში. „პარტიებმა ეს სიმღერა მაშინვე გამოიყენეს საკუთარი მიზნებისათვის, – მითხრა ალექსეევმა, – თითქოს ყოველთვის უნდა აირჩიო, ან ერთი, ან მეორე, მე კი არ მინდა არჩევანის გაკეთება.“

ალექსეევი თავის სიმღერებში დასცინის რუს სკინჰედებსა და პუტინის ახალგაზრდული გუნდის – „ნაშის“ წევრებს. „მოწიე ბამბუკი“ – ასე ერქვა მის სიმღერას, რომელიც გასული წლის ივლისში ვოლგოგრადში გამართულ კონცერტზე შეასრულა და რომელიც კორუმპირებულ პოლიციას მიუძღვნა. სცენაზე მომღერალმა ისიც თქვა, ვოლგოგრადის პოლიცია ძალიან აგრესიულიაო. „გულწრფელად რომ გითხრათ, ძალიან კარგად არ მოვქცეულვარ, მაგრამ მათი რეაქცია უარესი იყო.“ ალექსეევი დაატიმრეს და ათი დღით ჩასვეს.

რუსეთში ყველაზე ცნობილი პატიმარი მიხაილ ხოდორკოვსკია, ნავთობის ბარონი, ოდესღაც ყველაზე მდიდარი კაცი ქვეყანაში, რომელმაც პუტინის გაფრთხილებების მიუხედავად, გაბედა და პოლიტიკაში ჩაება. 2003 წელს ხოდორკოვსკის დაპატიმრება პუტინის ძალის დემონსტრირების ყველაზე ხმაურიანი მაგალითი იყო. პუტინის ეპოქის ავტორიტარული კოდი მოითხოვს რეჟიმისადმი ერთგულებას და დათმობაზე წასვლას კორუმპირებულ აღმასრულებელ ხელისუფალთა სასარგებლოდ. პროტესტის მცირედი გამოხატულება გამოიწვევს საგადასახადო ინსპექციის მოულოდნელ სტუმრობებს, დაშინებას, ქონების ჩამორთმევას და ბოლოს კრიმინალურ ბრალდებებსაც.

ოთხშაბათობით ქალაქის ცენტრში, ერთ-ერთ კაფეში ასე ორმოცდაათამდე კაცი იკრიბება. ამ დაჯგუფების სახელია „რუს სიდიაშჩიაია“. მისი ლიდერია ოლგა რომანოვა, REN-TV-ს ყოფილი ჟურნალისტი. ახლა ის „ნოვაია გაზეტასთვის“ წერს. ამ ჯგუფის წევრებიდან ზოგი ნაციხარია, ზოგს ნათესავი ჰყავს ციხეში, ზოგიც სადღაც იმალება. „ყველა მათგანს სჭირდება მხარდაჭერა და ინფორმაცია, – მითხრა რომანოვამ, – ეს უსამართლო სისტემაში დაკარგული ადამიანები არიან.“ რომანოვას მეუღლე, ახალგაზრდა ბიზნესმენი ალექსეი კოზლოვი სამი წლის წინ დააკავეს, ჯერ ბუტირკაში ჰყავდათ, მოსკოვის ერთ-ერთ ყველაზე სახელგატეხილ ციხეში, მერე პერმის რეგიონში გადაიყვანეს, ურალის მთებში.

„ნოვაია გაზეტაში“ დაბეჭდილ სტატიაში რომანოვა თავისი ქმრის დაპატიმრების მიზეზებზე საუბრობდა. სავარაუდოდ, მიზეზი ის კრიტიკული სტატია უნდა ყოფილიყო, რომელიც მან ერთი მოსკოველი ოლიგარქის შესახებ დაწერა ჟურნალ „ნიუ ტაიმისისთვის“. ამ სტატიის გამოქვეყნების შემდეგ კოზლოვის ბიზნესპარტნიორმა ვლადიმირ სლუცკერმა, რომელიც ოლიგარქის მეგობარი იყო, კოზლოვი გააფრთხილა, ან ცოლს გაშორდები, ან პარტნიორები აღარ ვიქნებითო. კოზლოვი ბიზნესპარტნიორს დაშორდა. ამის მერე დიდი ხანი არ იყო გასული, რომ 2008 წლის ივნისში კოზლოვი დაიჭირეს, ფულის გათეთრება და თაღლითობა დასწამეს. რომანოვასა და კოზლოვს სჯერათ, რომ ეს ყველაფერი სლუცკერმა მოაწყო.

როცა დააკავეს, კოზლოვმა მოახერხა და ცოლს დაურეკა; სთხოვა, უჯრაში შენახული კონვერტი გაეხსნა. კონვერტში მთავრობის მაღალი ეშელონების წარმომადგენლის ბიზნესბარათი იდო. ეს კაცი კოზლოვს, დაპატიმრების შემთხვევაში, პროკურორთან შუამავლობას დაჰპირდა. წერილში ამის საფასურიც იყო მითითებუ-

ლი: ერთნახევარი მილიონი დოლარი. კოზლოვი საფრთხეს გრძნობდა და იპოთეკაში თავისი აგარაკი ჩადო. როცა რომანოვა ამ კაცს შეხვდა, მან თანხა გააორმაგა. რომანოვამ 30 მეგობრისგან ისესხა ფული, მაგრამ მოულოდნელად გაზეთის ფურცლებიდან შეიტყო, რომ კაცი ბიზნესბარათით სამსახურიდან წავიდა და საერთოდაც გაუჩინარდა.

მოსკოვი, საპროტესტო მიტინგი ჭაობის მოედანზე, დეკემბერი 2011

რომანოვა დიდ ქრთამებს აძლევდა ყველას და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ქმრის მდგომარეობა რამენაირად შეემსუბუქებინა. ციხის ეკლესიის მღვდელიც კი მოქრთამა: „ჩემი ქმარი ამბობდა, რომ აღსარებაზე მიდიოდა; მე კი ბუტირკის ციხის ეკლესიის მგალობელთა გუნდის წევრის საშვი მქონდა“.

რომანოვამ დიდი რისკის ფასად მოახერხა მეუღლის დაპატიმრების ფაქტის გახმაურება. ის ქმარს ონლაინ ციხის დღიურის გაკეთებაში დაეხმარა. „მათთვის, ვინც ციხეში არ მჯდარა, ძნელია ამის გაგება“, – ამბობს კოზლოვი. კოზლოვი შემოდგომაზე გამოუშვეს. თუმცა მისი მხარდამჭერი ჯგუფი ისევ არსებობს. „ასე იქმნება სამოქალაქო საზოგადოება. ის შენგან, შენი შინაგანი სამყაროდან უნდა მოდიოდეს,“ – ამბობს რომანოვა.

ამ თვეში რუსები საყოველთაო დუმილით გაიხსენებენ საბჭოთა კავშირის დანგრევის 20 წლისთავს. უკრაინელები, ბალტიის ქვეყნების მცხოვრებნი, ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები და თვით ყველაზე მეტად დათრგუნული ცენტრალური აზიის რესპუბლიკები აღნიშნავენ საბჭოური მონობიდან გათავისუფლების თარიღს. მაგრამ რუსეთში, სადაც ნაციონალისტები, კომუნისტები, ლიბერალები და სხვა მოქალაქეები არ იზიარებენ მათ სულისკვეთებას და სადაც 1991 წელი, როგორც წესი, დამარცხებად აღიქმება, არ იქნება არც დღესასწაული, არც პარადი, არც მისასალმებელი სიტყვები, მხოლოდ რუსული მედიის ყველაზე უმართავი გამოშვებები კიდევ ერთხელ დაიწყებენ საუბარს იმ უთვალავ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ თუ სოციალურ ფაქტორზე, რამაც გამოიწვია საბჭოთა კავშირის დაშლა. თანამედროვე რუსული სახელმწიფო საყოველთაო ღირებულებებზე არ აშენებულა. ის დაარსდა ნგრევის, ამბოხის, იმპროვიზაციისა და შემთხვევითობის დაძაბულ ატმოსფეროში.

ასეთი იყო საბჭოთა კავშირის უკანასკნელი დღეები. უკვე ბევრი დაიწერა ამის შესახებ. ეპოქის პოლიტიკურ ფიგურათა მემუარებიც გვაქვს, მათ შორის, გორბაჩოვის სანჩო პანსას – ანატოლი ჩერნიაევის დღიურები ორ ტომად. ჩერნიაევის ჩანაწერები 1991 წელს განვითარებული დრამის შესახებ, რომელიც გორბაჩოვსა და ელცინს შორის ძალაუფლებისათვის ბრძოლაზე მოგვითხრობს, შექსპირის თემაა, ოღონდ ვოდკით, ღვთის გმობითა და ბირთვული კოდით გაჯერებული.

3 დეკემბერს გორბაჩოვმა ელცინს დაურეკა, – იხსენებს ჩერნიაევი, – რამდენიმე დღეში ელცინი ბელორუსიაში მიემგზავრებოდა შუშკევიჩთან და კრავჩუკთან შესახვედრად. ელცინი შეზარხოშებული ლაპარაკობდა ოთხწევრიანი კონფედერაციის შექმნაზე, რომელშიც შევიდოდნენ: ბელორუსია, უკრაინა, რუსეთი და ყაზახეთი. გორბაჩოვი ხვდებოდა, რომ ეს კონფედერაცია საბჭოთა კავშირისა და მისი პოლიტიკური კარიერის დასასრულს მოასწავებდა. „მაშინ მე გადავდგები“, – თქვა გორბაჩოვმა.

7 დეკემბერს ელცინი ბელორუსიაში ჩავიდა. გორბაჩოვის ძალისხმევის მიუხედავად, საბჭოთა კავშირი უკვე იქსაქსებოდა.

სადილზე ელცინმა გორბაჩოვის მიერ მომზადებული დოკუმენტი ააფრიალა, რომელიც ახალ საყოველთაო კავშირს უჭერდა მხარს. „თუ თქვენ მოაწერთ ხელს, მეც მოვაწერ“, – განაცხადა მან. სწორედ ისეთი პასუხი მიიღო, როგორიც უნდოდა. არავის გამოუთქვამს სურვილი კავშირის ნაწილი ყოფილიყო.

რამდენჯერმე დალიეს ერთმანეთის სადღეგრძელო და თავიანთი გაბედულების აღსანიშნავად აბანოში წავიდნენ. მათ თანაშემწეებს კი საქმე მიეცათ, ახალი შეთანხმება უნდა ჩამოეყალიბებინათ: „ჩვენ – 1922 წლის ტრაქტატის საფუძველზე, სსრკ-ის დამფუძნებლები, ბელორუსიის, რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის ხალხები, ვადასტურებთ, რომ სსრკ, როგორც საერთაშორისო კანონმდებლობისა და გეოგრაფიული რეალობის სუბიექტი, წყვეტს არსებობას“.

დილას ელცინმა, კრავჩუკმა და შუშკევიჩმა ერბოკვერცხითა და შავი პურით ისაუზმეს, სწორედ ამ დროს ევგენია პატეიჩუკმა, ადგილობრივი კაგებეს მიერ დაქირავებულმა მდივანმა, ბეჭდვა დაასრულა. ამას მოჰყვა ხელმოწერის ცერემონიალი. ვალერი დროზდოვმა, გაზეთ „ნაროდნაია ვოლიას“ რედაქტორის მოადგილემ, აღწერა, თუ როგორ მოაწერა ხელი სამმა ლიდერმა საბჭოთა კავშირის სიკვდილის მოწმობას: დღის 2 საათი და 17 წუთი, კვირა, 1991 წლის 8 დეკემბერი. შამპანური შემოიტანეს. შემდეგ კი ელცინმა თავის დღიურებში დაწერა: „კარგად მახსოვს, როგორ დამიარა თავისუფლებისა და სიმსუბუქის გრძნობამ.“ მბეჭდავი პატეიჩუკი იგონებს, რომ მხოლოდ რამდენიმე დღის მერე მიხვდა, რაც მოხდა. „ქალი, რომელმაც დაანგრია საბჭოთა კავშირი“, – ასე მოიხსენია პატეიჩუკი ერთმა ირლანდიელმა ჟურნალისტმა.

სანამ გორბაჩოვს შეაწუხებდა და ეპოქალურ ახალ ამბავს ამცნობდა, ელცინმა ბუშს დაურეკა; გორბაჩოვთან დარეკვა ახალგაზრდა პარტნიორს, შუშკევიჩს მიანდო. გორბაჩოვმა განრისხებულმა იკითხა: მე რა მომივა? ეს უკვე აშკარა იყო. შობა ღამეს ის გადადგა. კრემლის თავზე აღმართული წითელი დროშა დაეშვა. 2005 წელს პუტინმა აღნიშნა: „უწინარეს ყოვლისა, უნდა ვაღიაროთ, რომ სსრკ-ის დაშლა საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა იყო. რუსი ხალხისთვის ის ნამდვილ ტრაგედიად იქცა“.

მართალია, პუტინი ელცინის მიერ იყო დანიშნული, მაგრამ ის მაინც დაჟინებით ამტკიცებდა, რომ 1999 წელს ყველგან ქაოსი იყო და რომ რუსები მადლიერები უნდა იყვნენ იმის გამო, რომ ბოლო ათწლეულში სტაბილურობა და ეკონომიკური დინამიზმი დამყარდა.

პუტინისა და მისი ხელქვეითების აზრით, პუტინი სახელმწიფოს აღმშენებელ პოლიტიკოსთა კატეგორიას მიეკუთვნება, ისევე როგორც ფრანკლინ რუზველტი, ჰელმუტ კოლი და ლი კვან იუ, რომელიც სინგაპურს 30 წელზე მეტხანს მართავდა. ეს პარალელები პუტინის მმართველობის ხანგრძლივობასაც ამართლებს. რუსეთის ისტორიული გმირებიდან პუტინი საკუთარ თავს პეტრე დიდს კი არა, პიოტრ სტოლიპინს ადარებს, რევოლუციამდელი პერიოდის რეფორმატორს. „მომეცით 20-წლიანი სიმშვიდე და მე ავაყვავებ რუსეთს“, – ეს სტოლიპინის სიტყვებია, – „თქვენ გინდათ დიდი გადატრიალებები, ჩვენ გვინდა დიდი რუსეთი.“ მაშა ლიპმანი, მოსკოვის კარნეგის ცენტრის ანალიტიკოსი, ამბობს: პუტინმა მართლაც მოითხოვა სტაბილურობა, მაგრამ სადაა რეფორმები? მან ისიც გაიხსენა, რომ საბჭოთა პერიოდის სკოლიდან სტოლიპინი ძირითადად „სტოლიპინის ვაგონებით“ ახსოვთ, რომლებსაც პოლიტპატიმრები ციმბირისკენ მიჰყავდა და კარგად ახსოვთ „სტოლიპინის მარყუჟიც“ – ესეც პოლიტპატიმრების ჩამოსახრჩობად.

პუტინის ეპოქა თავისი ავტორიტარული ხასიათით არ ჰგავს ცარიზმისა და საბჭოთა პერიოდს. „დღევანდელი ხელისუფლება ძალიან რაციონალურია, – ამბობს არსენი როგინსკი მემორიალიდან, – ყველას არ აჩუმებენ. აზრის გამოხატვისა და სიტყვის თავისუფლებაც არის. წიგნის მაღაზიებში იყიდება წიგნები, რომლებიც არ ერიდება პუტინის კრიტიკას. ეს უკვე აღარაა მე-18 საუკუნე. ათასტირაჟიანი წიგნი ამ სახელმწიფოს ვეღარ შეარყევს.“ დღეისათვის საკმარისია ძლიერ ხელს ეკავოს სახელმწიფო ტელევიზია. სტაბილურობის არსებული სისტემა, რომელშიც იგნორირებულია ავთენტური პოლიტიკა, არის საგანგებოდ დამუშავებული, კარგად მორგებული და უაღრესად ცინიკური სისტემა ვერტიკალური ძალაუფლებისა; უშიშროების სამსახურის ყოფილი აგენტი პუტინი კი მის პერსონიფიკაციას წარმოადგენს.

პუტინიზმის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებლებია: რთული მედია სტრუქტურა, პარტია „იედინაია როსია“ და ჯიბის ოპოზიცია, ერთგული ახალგაზრდული ჯგუფები. ამ ყველაფრის არქიტექტორი ძველი ბოჰემა, ბანკირი და ბიზნესმენი ვლადისლავ სურკოვია. თავის გამოსვლებში სურკოვი მხარს უჭერს „სუვერენულ“ და „სამთავრობო“ დემოკრატიას, პოსტმოდერნულ სისტემას, რომელიც მოიცავს ავტოკრატიის, დემოკრატიისა და დაუფარავი სისასტიკის ელემენტებს. სურკოვს არ აინტერესებს „ჰომო სოვიეტიკუსი“. ოფისში თუფაქის, ბროდსკისა და ჩე გევარას პორტრეტები უკიდია. ხოდორკოვსკისთანაც მუშაობდა. სიმღერებს უწერდა გოთიკურ როკ-ჯგუფს – „აგატა კრისტის“. ამბობენ, რომ მისი დაწერილია ფსევდონიმით გამოცემული რომანი „თითქმის ნული“. ეს რომანი 80-იანების ბოჰემაზე მოგვითხრობს, რომელიც კორუმპირებული „პიარშჩიკი“ გახდება (ავტორი ნათან დუბოვიცკია, სურკოვის ცოლის სახელია ნატალია დუბოვიცკაია).

თუ პუტინიზმს იდეოლოგიური მანიფესტი აქვს, მაშინ ეს სურკოვის ლექცია იქნება, რომელიც მან 2007 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში წაიკითხა. ლექციის სახელწოდება იყო: „რუსეთის პოლიტიკური კულტურა: უტოპიური ხედვა“. სურკოვი ამბობს, რომ არ არსებობს უნივერსალური დემოკრატია. რუსეთი უსაზღვროდ დიდი ქვეყანაა და მას ცენტრალიზებული ხელისუფლება ესაჭიროება. დემოკრატიას მთელ მსოფლიოში ოფიციოზი მართავს. ეს მხოლოდ თვალთმაქცობაა, რეალური თავისუფლების ილუზიის შექმნის მცდელობა. პუტინის მსგავსად, ის ამტკიცებს, რომ დასავლეთმა უნდა შეწყვიტოს ლექციების კითხვა თავისუფლებასა და ადამიანის უფლებებზე. „ისინი გვესაუბრებიან დემოკრატიის შესახებ, და ამ დროს ჩვენს ნახშირწყალბადზე ფიქრობენ“, – თქვა მან მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე. სურკოვი შეახსენებს ლიბერალებს, რომ მათსა და უკომპრომისო ნაციონალისტებს შორის მხოლოდ რეჟიმი დგას.

პუტინის რუსეთი თავისი არსით დემოკრატია არ არის, არც სუვერენული სახელმწიფოა. ეს არის ძალაუფლება ძალაუფლებისათვის; მთავარი სიმდიდრის დაგროვებაა და ეს სიმდიდრე სხვადასხვა „კლანებისა“ და კრემლის მეგობრების ხელშია. მთავრობასთან დაახლოებული და რეჟიმის ერთგული თუ არა ხარ, მოსკოვის გარეუბანში უზარმაზარ სასახლეებს ვერ იყიდი.

პუტინის სპიკერს – დიმიტრი პესკოვს შევეკითხე, ნუთუ არ ადარდებს პრემიერ-მინისტრს, რას ფიქრობენ მასზე დასავლეთში? პესკოვმა მიპასუხა: „არა მგონია, დასავლეთის აზრი აინტერესებდეს“. „და არც ის აინტერესებს, რომ ოპოზიცია სახელმწიფო ტელევიზიას დასცინის კრემლის მონური ერთგულების გამო?“ „ცეკვავს ის, ვინც მუსიკას უკვეთავს,“ – განაცხადა პესკოვმა.

პუტინი და სურკოვი ქარაგმებს ვერ ეგუებიან. გადაკრულ ნათქვამს მაშინვე კრიტიკად აღიქვამენ, ამერიკისა და ევროპის მხრიდან უხეშ ჩარევად. დუმას არ-

ჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე მთავრობამ ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული საარჩევნო მონიტორინგის ორგანიზაციის – „გოლოსის“ შევიწროება დაიწყო. როდესაც ამ საკითხზე ჩამოვარდა საუბარი, პესკოვმა ლაპარაკის ხალისი დაკარგა: „ჩვენ გვყავს სპეცსამსახურები და გვაქვს ინფორმაცია იმ არასამთავრობო ორგანიზაციათა შესახებ, რომელთაც უცხოეთი აფინანსებს.“

პუტინს არ უყვარს, ლექციებს რომ უკითხავენ, არა? – ვკითხე.

სპიკერს სახეზე ღიმილი გადაეფინა: „აქ რომ მოვდიოდი, მანქანაში რადიოს ვუსმენდი. იცით, რა იყო პირველი ინფორმაცია? აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი შეშფოთებას გამოთქვამდა რუსეთში ჰომოსექსუალების შევიწროების გამო. გამეცინა: რას აკეთებს სახელმწიფო დეპარტამენტი? სახელმწიფო ვალით, დაქცეული ეკონომიკით, ავღანეთისა და ერაყის კოშმარით, გლობალური ეკონომიკის კატასტროფით... და მათ ძალიან აწუხებთ ჰომოსექსუალების მდგომარეობა რუსეთში. ჰაჰა! მაგარ ხასიათზე დავდექი.“

არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე ლიუდმილა ალექსეევას შევხვდი, მოსკოვის ჰელსინკის ჯუფის თავმჯდომარეს, ადამიანთა უფლებების მოძრაობის ერთ-ერთ ვეტერანს. ეს ქალბატონი 84 წლისაა, ინტერნეტის აქტიური მომხმარებელია, დღემდე აგროვებს ინფორმაციას ქვეყანაში ადამიანთა უფლებების დამცველი ჯგუფების საქმიანობის შესახებ სოციალური ქსელების გამოყენებით. ეს ამბები ტელევიზიას არ აინტერესებს, მაგრამ ისინი ინტერნეტში ცხოვრობენ, ჩვენს აღფრთოვანებას იწვევენ და იმედს გვაძლევენ.

შარშან თებერვალში, თაჰრირის მოედანზე ამბოხების დროს, პრემიერ-მინისტრის მოადგილემ იგორ სეჩინმა კრემლის უკმაყოფილება გამოხატა ინტერნეტთან დაკავშირებით: „შეხედეთ, რა გააკეთა ამან ეგვიპტეში,“ – უთხრა მან ჟურნალისტებს. ხელისუფლებამ იცის, რომ 40 მილიონი რუსი უკვე ინტერნეტის აქტიური მომხმარებელია და მათ რიცხვს რამდენიმე ათი მილიონი კიდევ დაემატება. არჩევნების დღეს ოპოზიციური ვებგვერდებზე იერიში მიიტანეს და გვერდები დაიხურა.

საშასა და მაშასთან ერთად ვსაუბრობდი. ამ ახალგაზრდებმა დააარსეს ანონიმური ბლოგი ტვიტერზე KremlinRussia, მედვედევის ტვიტერის პაროდია. ისინი დასცინიან მედვედევის გონებაჩლუნგობასა და რუსეთის მთელ სისტემას, რომელიც ცდილობს, ჰქონდეს თანამედროვე, მაგრამ უკიდურესად კორუმპირებული ავტორიტარიზმი.

საშამ და მაშამ მთხოვეს, არ დამესახელებინა მათი ვინაობა. ბიჭი საზოგადოებრივი ურთიერთობის სპეციალისტია, გოგონა – ფინანსისტია. კარგი ხელფასი აქვთ, კარგადაც აცვიათ, მოგზაურობენ, ამბობენ, რომ ორმაგი ცხოვრებით ცხოვრობენ. ისიც კარგად იციან, რომ მათ პროფესიულ ცხოვრებაში ხელისუფლებასთან სიახლოვეს დიდი მნიშვნელობა აქვს, სისტემის ღია კრიტიკა კი იმას ნიშნავს, რომ ეს ყველაფერი უნდა დაკარგონ.

კვირა, 1991 წლის 8 დეკემბერი. შამპანური შემოიტანეს. შემდეგ კი ელცინმა თავის დღიურებში დაწერა: „კარგად მახსოვს როგორ დამიარა თავისუფლებისა და სიმსუბუქის გრძნობამ.“ მბეჭდავი პატეიჩუკი იგონებს, რომ მხოლოდ რამდენიმე დღის მერე მიხვდა, რაც მოხდა. „ქალი, რომელმაც დაანგრია საბჭოთა კავშირი“, – ასე მოიხსენია პატეიჩუკი ერთმა ირლანდიელმა ჟურნალისტმა.

KremlinRussia კარგად გამოხატავს სამოქალაქო საზოგადოების არსს, – მაგრამ ის ძალიან იზოლირებულია,“ – ამბობენ ისინი. საშა და მაშა შიშობენ, რომ მარტის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პუტინი უფრო მეტ ზეწოლას განახორციელებს სამოქალაქო ორგანიზაციებსა და ინტერნეტზე. გაღიზიანებული პუტინისგან კარგი არაფერია მოსალოდნელი...

დუმას არჩევნების შედეგმა კრემლს იმედები გაუცრუა. არჩევნების გაყალბებას ეფექტი და დამაჯერებლობა აკლდა. ღამით, კენჭისყრის შემდეგ, 5 ათასზე მეტი ადამიანი გამოვიდა მოსკოვის ცენტრში სიმღერით: „პუტინი ქურდია!“ „რუსეთი პუტინის გარეშე!“ პოლიციამ ასობით დემონსტრანტი დაიკავა, მათ შორის ბლოგერი და აქტივისტი ალექსეი ნავალნი. გამოსვლები სამი დღის განმავლობაში გრძელდებოდა.

რა თქმა უნდა, ეს არ ჰგავდა თაჰრირის მოედანს. რუსეთში ასეთი ამბოხის მოწყობა ბევრად უფრო ძნელია, გეოგრაფიული პირობების, რეჟიმის სიმტკიცისა და კიდევ არაერთი ფაქტორის გამო. მოსახლეობის საშუალო ფენის დიდი ნაწილი უფრო მეტადაა დაინტერესებული საკუთარი კეთილდღეობით, ვიდრე სამართლითა თუ დემოკრატიით. ელცინის პერიოდის გახსენება ბევრი რუსისთვის ძალიან მძიმეა: უკანონობა, ეკონომიკური არასტაბილურობა, ველური პრივატიზაცია. იმედგაცრუება ისეთი დიდი იყო, რომ მათ დაივიწყეს ის, რაც მოიპოვეს, ახალი თავისუფლება. ოთხმოცდაათიანების პერიოდს დღეს დემოკრატიას კი არა, „დერმოკრატიას“ უწოდებენ. და მაინც ახლა რაღაც ნამდვილად იცვლებოდა: იყო აშკარა ცვლილება განწყობაში.

„მემორიალში“ შევხვდი სერგეი კოვალიოვს, ბიოფიზიკოსს, რომელიც სახაროვის პროტეჟე იყო ადამიანის უფლებათა მოძრაობაში. კოვალიოვი ყოფილი პოლიტპატიმარია, ცოტა ხნით ელცინის მრჩეველიც იყო, მაგრამ ჩეჩნეთის ომის საკითხზე ვერ შეთანხმდნენ. 81 წლის კოვალიოვმა იცის, რომ დასავლეთისთვის მისი აზრები მიამიტურია: „ბებერი სოფლელი იდიოტი, რომელიც ფიქრობს, რომ შესაძლებელია დაიცვა ადამიანის უფლებები და არ იცრუო პოლიტიკაში; კაცი, რომელსაც სჯერა, რომ კანონი კი არ არის პოლიტიკის იარაღი, არამედ პირიქით.“

არსებული სიტუაცია, მიუხედავად იმისა, რომ დროდადრო ყველაფერი სრულიად უიმედოდ გვეჩვენება, კოვალიოვში ასეთ ასოციაციას იწვევს: რაც არ უნდა ცივი იყოს წყალი, ის მაინც სითხეა, მაგრამ საკმარისია ერთი კრისტალის დამატება, რომ წყალი ფორმას იცვლის, ყინულად გადაიქცევა.

„ტრანზიციის ფაზა ძალიან მალე დადგება, – თქვა კოვალიოვმა, – ბუნებრივია, იკითხავთ: როდის? მე წინასწარმეტყველი არ ვარ. ასე ვამბობდი ხოლმე: დაელოდეთ კიდევ ერთი თხუთმეტიოდე წელი. მაგრამ ახლა თხუთმეტმა წელმა უკვე გაიარა. ტრანზიციის ფაზა კი ჯერ ისევ არ ჩანს.“



„დაიკავე“
პარტიზანული სემიოტიკიდან გლობალურ მოძრაობამდე

ავტორი ლელა მოსე

„ჩვენ არაფერს ვამხობთ, არამედ მხოლოდ მოწმენი ვართ, როგორ ინადგურებს თავს სისტემა. როგორც „ტომი და ჯერის“ კლასიკურ სცენაშია – კატა მიდის, მიდის, საყრდენის გამოცლის შემდეგაც აგრძელებს სვლას, მაგრამ უცებ ძირს იხედება და ზუსტად მაშინ ეცემა. იგივეს ვაკეთებთ ჩვენც – მათ, უბრალოდ, ვეუბნებით „ჰეი, უოლ სტრიტელებო, ძირს დაიხედეთ!“

სლავოი ჟიჟეკი
„დაიკავე“ უოლ სტრიტის აქციაზე, 9 ოქტომბერი, 2011

წლის ადამიანი: დემონსტრანტი

ჟურნალ „თაიმის“ წლის ადამიანის დასახელება ყოველთვის ხდება ხოლმე იმ ერთი დღის მთავარი ამბავი და შეიძლება, აქტუალობა მომდევნო კვირასაც შეინარჩუნოს, თუკი, სხვა რამ უფრო მასშტაბურმა მოვლენამ არ გადაფარა, ანდა თუკი, თვითონ „თაიმის“ არჩევანი არ გახდა ცხარე კამათის საბაბი.

წელს ჟურნალის წითელ გარეკანზე გამოჩნდა ნიღაბაფარებული უცნობი ქალი, ნაქსოვი ქუდითა და ღრმა, დაჟინებული მზერით. ფოტოზე დიდი ასოებით წერია: „წლის ადამიანი – დემონსტრანტი: არაბული გაზაფხულიდან, ათენამდე, დაიკავე უოლ სტრიტიდან – მოსკოვამდე“. ეს უცნობი იმ დემონსტრანტების სახეა, რომლებიც 2011-ში დიდხანს იდგნენ ტუნისის ქუჩებში კორუმპირებული ხელისუფლების დასამხობად, ასევე კაიროში, თაჰრირის მოედანზე; იდგნენ მადრიდში, ათენში, ლონდონში და ამერიკის თითქმის ყველა დიდ ქალაქში.

დაუმორჩილებლობის ისტორიას ყოველთვის ცვლილებებისთვის მებრძოლი აქტივისტები ქმნიდნენ. „1960-იანი წლების ამერიკაში ადამიანები აპროტესტებდნენ ვიეტნამის ომს... 1980-იანებში იბრძოდნენ ბირთვული იარაღის წინააღმდეგ... პროტესტი პოლიტიკის ბუნებრივად თანმდევი ნაწილი იყო. თუმცა, შემდეგ დადგა ეტაპი, როდესაც „ისტორია დამთავრდა“ და გლობალური ტრიუმფი იზეიმა „დასავლურმა ლიბერალიზმმა... მთელი მომდევნო წლების მანძილზე, მასობრივი და ეფექტური ქუჩის პროტესტი გლობალური ოქსიმორონი გახდა. ასე გაგრძელდა მანამ, ვიდრე მოულოდნელად, ყველაფერი თავიდან არ დაიწყო. ზუსტად ერთი წლის წინ სიტყვა „პროტესტმა“ სრულიად ახალი მნიშვნელობა შეიძინა. დემონსტრანტი დღეს ისევ ქმნის ისტორიას“, – ასე იწყება „თაიმის“ მთავარი სტატია, რომელიც წლის ადამიანს – დემონსტრანტს – ეძღვნება.

1928 წლიდან მოყოლებული, „წლის ადამიანის“ არჩევისას ჟურნალის რედაქციის გადაწყვეტილება ყოფილა პოლიტკორექტულიც, პროვოკაციულიც, საკამათოც, პათეტიკურიც და შთაგონების აღმძვრელიც. როდესაც, წლევანდელი არჩევანი გავიგე, სულ რაღაც ორი კვირით ადრე რედაქციის ირგვლივ ატეხილი კრიტიკა გამახსენდა. 5 დეკემბერს „თაიმი“ ამერიკული და საერთაშორისო ბაზრისთვის განსხვავებული გარეკანებით გამოვიდა. ამერიკულ გამოცემაზე, ნეიტრალურ ფონზე თეთრი კაცუნა იყო გამოხატული, წარწერით: „რატომ არის შფოთვა კარგი ჯანმრთელობისათვის“, ევროპისა და აზიის ქვეყნებისთვის განკუთვნილ ვერსიაზე კი ეგვიპტეში გადაღებული დემონსტრანტის ფოტო იყო გამოსახული, მინაწერით: „რევოლუცია ბრუნდება“. ბევრმა ჟურნალის ამერიკული რედაქცია მიკერძოებულობაში დაადანაშაულა.

ჩემთვის, ეს ვითომ უმნიშვნელო განსხვავება, ამერიკული „მეინსტრიმ“ მედიის მუშაობაზე მეტყველებს, რომელიც, განსაკუთრებული ყურადღებით აშუქებდა „არაბულ გაზაფხულს“, მაგრამ მსგავსი მასშტაბის საპროტესტო მოძრაობას საკუთარ ქვეყანაში გაცილებით მცირე დროს უთმობდა. მეტიც, კორპორატიული მედია მიზანმიმართულად აქილიკებდა „დაიკავე“-ს მოძრაობას, რომელშიც ამერიკის სხვადასხვა ქალაქში ათასობით ადამიანი ჩაერთო. ქუჩაში გამოსულ დემონსტრანტებს „ფოქსი“ „პლანის მწეველ უსაქმურებს“, „კომუნისტებს“, „ანარქისტებსა“ და „დაუბანელ ჰიპებს“ უწოდებდა.

მშვიდობიანი აქცია „დაიკავე“, რომელიც უკვე საერთაშორისო საპროტესტო პლატფორმად იქცა, ბევრისთვის ტუნისსა და ეგვიპტეში განვითარებული რევოლუციების ლოგიკური გაგრძელებაა. მეტიც, ის ახალი საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური მოძრაობაა. ამ აქციის მონაწილეები, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არიან გაფანტულები, უპირისპირდებიან კორპორატიული ინტერესებით კორუმპირებულ დემოკრატიას; სისტემას, რომელშიც დემოკრატია და არჩევანის თავისუფლება, მხოლოდ ლოზუნგი გახდა და არა მართვის რეალური მექანიზმი.

გლობალური მოძრაობა 17 ოქტომბერს დაიწყო, თუმცა, იდეა – „დაიკავე უოლ სტრიტი“, უფრო ადრე, ალტერნატიული ჟურნალის Adbusters-ის ფურცლებზე გამოჩნდა.

პარტიზანული სემიოტიკა

1989 წელს კანადის პატარა ქალაქ ვანკუვერში გარემოს დამცველმა აქტივისტებმა, კალე ლასნმა და ბილ შმალცმა მედიაფონდი (Adbusters Media Foundation) დააარსეს. მათი მიზანი კონსუმერიზმის, როგორც იდეის, ცხოვრების წესის წინააღმდეგ ბრძოლა იყო, „კულტურის

ჩახშობით“, პარტიზანული სემიოტიკითა და აქტივისტთა ქსელის შექმნით.

მათი იდეების პლატფორმა ჟურნალი გახდა, რომელიც უკვე 22 წელია, გამოდის და კორპორატიული სტატუს ქვოს დამხობას კრიტიკული პუბლიცისტიკითა და აქტივისტთა წერილებით ცდილობს. გენმოდიფიცირებული საკვები, გარემოს დაბინძურება, კორპორატიული რეკლამა, კონსუმერიზმი – ეს მხოლოდ ნაწილია იმ თემების, რაზეც ჟურნალი უკვე წლებია, წერს. Adbusters-ს მსოფლიოს მასშტაბით 90 ათასი ხელმომწერი ჰყავს. ის უარს ამბობს რეკლამაზე და მხოლოდ მკითხველთა შეწირულობებისგან მიღებული თანხით არსებობს. უფრო მეტიც, ჟურნალი რეკლამას (როგორც მედიის შემოსავლისა და კონსუმერიზმის წყაროს) რეკლამითვე ებრძვის და პოპულარულ სარეკლამო იმიჯებს ახალ კონტრკულტურულ ტექსტებად გარდაქმნის. ერთ-ერთი, ყველაზე სუბვერსიული ტრანსფორმაცია ცნობილმა ლოგოებმა, სლოგანებმა თუ სხვა კომერციულმა არტეფაქტებმა სწორედ Adbusters-ის გვერდებზე განიცადეს. მაგალითად, ამ ჟურნალს ეკუთვნის ცნობილი პლაკატი, რომელზეც გამოსახულია დედის მკერდზე მიხუტებული შიშველი ჩვილი, მთლიანად კორპორატიული ლოგოებით დაფარული. მსგავს პარტიზანულ სემიოტიკას, ანუ მასობრივი კულტურის გავლენის შემცირებას Adbusters-ის გარდა ბევრი სხვა აქტივისტი და არტისტიც ცდილობს, მაგალითად, ცნობილი ბრიტანელი გრაფიტის მხატვარი ბენკსი.

69 წლის, წარმოშობით ესტონელი კალე ლასნი, ჟურნალის დაარსების დღიდან მისი უცვლელი რედაქტორია და ოჯახთან ერთად, ვანკუვერთან ახლოს, ფერმაში ცხოვრობს. იგი ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე სწორედ იმ სისტემის ნაწილი იყო, რასაც უკვე ორი ათწლეულია ებრძვის. სარეკლამო ბუმის პერიოდში ლასნი იაპონიაში საკუთარ მარკეტინგულ კომპანიას ხელმძღვანელობდა. როგორც ერთ-ერთ ინტერვიუში იგონებს, ამ ბიზნესში მუშაობამ ის მორალურ ეპიფანიამდე მიიყვანა: „აღმოვაჩინე, რომ მორალურად ნეიტრალურ ადამიანებს შორის ვიყავი, ეთიკურად ნეიტრალურ ბიზნესში, სადაც არავინ ღელავდა იმაზე, თუ რას ჰყიდდა, სიგარეტს, ალკოჰოლს თუ პეპსი-კოლას. მთავარი იყო დიდი თამაში და არა ამ თამაშის სოციალური შედეგი“ .

2003 წელს ფონდმა სპორტული ფეხსაცმლის „ბლექსფოთის“ გამოშვება დაიწყო, რომელიც დღემდე იყიდება მათი ვებგვერდის საშუალებით. ფეხსაცმელი ე.წ. „სამართლიანი ვაჭრობის“ (fair-trade) პრინციპით პატარა საამქროებში მზადდება, სადაც მუშათა უფლებები და ხელფასის მინიმუმი დაცულია. გარდა ამისა, ჟურნალი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც სოციალური კამპანია Buy Nothing Day (არაფრის შეძენის დღე) წამოიწყო; „სთარბაქსის“ წინააღმდეგ ბოიკოტს ჩაუდგა სათავეში (იმ მოტივით, რომ ამ

ADBUSTERS–ი უარს ამბობს რეკლამაზე და მხოლოდ მკითხველთა შეწირულობებისგან მიღებული თანხით არსებობს. უფრო მეტიც, ჟურნალი რეკლამას (როგორც მედიის შემოსავლისა და კონსუმერიზმის წყაროს) რეკლამითვე ებრძვის და პოპულარულ სარეკლამო იმიჯებს ახალ კონტრკულტურულ ტექსტებად გარდაქმნის.

უზარმაზარმა კომპანიამ ადგილობრივი ბიზნესი ჩაკლა) და საპროტესტო აქცია გააჩაღა „ჰაფინგტონ პოსტის“ წინააღმდეგაც (ეს ონლაინ გამოცემა, რომლის კონტენტის მნიშვნლოვან ნაწილსაც ბლოგერები უფასოდ ქმნიდნენ, დამფუძნებელმა, არიანა ჰაფინგტონმა კომპანია AOL-მა 315 მილიონ დოლარად მიჰყიდა).

უკვე ივნისში კი Adbusters-მა გაავრცელა პოსტერი, რომელზეც უოლ სტრიტზე მდგარი და კაპიტალიზმის სიმბოლოდ მიჩნეული, გამძვინვარებული ხარის ბრინჯაოს სკულპტურაზე მოცეკვავე ბალერინა დგას. უკანა ფონზე ცრემლსადენი გაზის კვამლით გაჟღენთილ ჰაერში დემონსტრანტების სილუეტები და აირწინაღიანი სახეები იკვეთება. „რა არის ჩვენი ერთადერთი მოთხოვნა?“ – წერია პოსტერზე. „დაიკავე უოლ სტრიტი. თან იქონიე კარავი!“

„დაიკავე უოლ სტრიტი“ ეს ლაკონურად ჩამოყალიბებული დევიზი კალე ლასნისა და მისი ჟურნალის თანარედაქტორის, მიკა უაიტის მიმოწერის შედეგია. თანარედაქტორები ერთმანეთს უკვე 4 წელია, პირისპირ არ შეხვედრიან. ერთი ვანუკვერშია, მეორე ბერკლიში და ონლაინ თანხმდებიან იმაზე, თუ რა უნდა იყოს მიმდინარე ნომრის მთავარი თემა. აღარ ახსოვთ, პირველს რომელს გაუჩნდა ქვედა მანჰეტენის დაკავების იდეა, მაგრამ ფაქტია, რომ ივნისის დასაწყისში ჟურნალმა თავის ხელმომწერებს იმეილი დაუგზავნა, რომელშიც ეწერა: „ამერიკას საკუთარი თაჰრირი სჭირდება“.

მემს, რომელიც ჟურნალ Adbusters-ის ფურცლებიდან გავრცელდა, სულ რამდენიმე კვირა დასჭირდა იმისთვის, რომ გლობალურ მოძრაობად ქცეულიყო. „დაიკავე“-ს მოძრაობა სამ თვეში 82 ქვეყანას მოედო. ოქტომბრიდან მოყოლებული, სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებმა სხვადასხვა ეროვნებისა და მსოფლმხედველობის ადამიანებმა 3000-მდე ქალაქის „დაკავება“ შეძლეს.

შესაბამისად, როდესაც 17 ნოემბერს, მანჰეტენზე, პოლიცია ზუკოტის პარკში („დაიკავე უოლ სტრიტის“ ეპიცენტრი ნიუ იორკში) შეიჭრა და იქაურობა დემონსტრანტებისგან გაწმინდა „აუტანელი ანტისანიტარიისა და სახიფათო კრიმინალური სიტუაციის“ მოტივით, საერთაშორისო მედიამ კითხვის ნიშნებით სავსე მზერა კალე ლასნსა და Adbusters-ს მიაპყრო. თუმცა, შეცდომით. Adbusters-მა პასუხისმგებლობა მთლიანად მოიხსნა. ლასნი და უაიტი განზე გადგნენ არა იმიტომ, რომ მოძრაობას არ თანაუგრძნობდნენ, არამედ იმიტომ, რომ „დაიკავე“-ს პროტესტის მთელი იდეა სწორედ ულიდერობასა და „სახალხოობაშია“.

ნიუ-იორკში, ზუკოტის პარკის ძალისმიერი დაშლა თავისთავად იქცა გარდამტეხ მომენტად. ლასნმა, რომელიც შორიდან ადევნებდა მოძრაობას თვალს, ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ზუკოტის პარკის დარბევა ისეთივე „რევოლუციურ მომენტად“ იქცეოდა დემონსტრანტთათვის, როგორიც ხილით მოვაჭრე ბიჭის საჯარო თვითმკვლელობა იყო ტუნისში.

ასე გამოიკვეთა თავიდანვე „დაიკავე“-ს მთავარი ძალა – ულიდერობა. ის პირ-

ველი, ჰორიზონტალური საპროტესტო მოძრაობა გახდა, რომლის შიგნითაც გადაწყვეტილებები დემოკრატიული თანასწორობის პრინციპით მიიღება, მასში არ არსებობენ გამოკვეთილი ლიდერები და იდეური წინამძღოლები.

კონსუმერიზმი და ამერიკული „ოცნების“ რეალობა

„ამ მოძრაობაში მხარეები არ არის, აქ ყველა ჩვენგანი სვამს კითხვას: რა ხდება, რა დაემართა სისტემას – დემოკრატიულ-კაპიტალისტურ წყობას, რომელიც ჩვენ ვიცოდით, რომ მუშაობდა? ამბობენ, ეს ადამიანის ხარბი ბუნების ბრალია, მაგრამ არა, ადამიანის ბუნება არაფერ შუაშია, ეს სისტემისა და კანონის პრობლემაა, რომელიც არ იცავს მათ, ვისაც უნდა იცავდეს“.

ტომ იორკი, Radiohead-ის სოლისტი

„დაიკავე“ ლონდონის მხარდამჭერი კონცერტი, 6 დეკემბერი, 2011 წ.

ერთი ჟურნალიდან გლობალურ აქციებამდე კავშირის გავლება რთულია, ისევე როგორც ძნელია აღიქვა სისტემა, რომლის შეცვლასაც მოძრაობა „დაიკავე“ ცდილობს; ძნელია, რადგან ის მოცემული „რეალობაა“. ცხოვრების წესი, რომელიც აღარ განიხილება. ყველაზე ეფექტური იდეოლოგია ხომ სწორედ ის არის, რომელსაც ხალხი „რეალობად“ აღიქვამს. თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული კაპიტალიზმი დღეს დასავლეთში არა ერთ-ერთი ეკონომიკური მოდელი, არამედ ჰეგემონიური იდეოლოგიაა, რომლის აღქმა მხოლოდ მისი გამოვლინებების დეკონსტრუქციით შეგიძლია. ერთ-ერთი ასეთი გარეგნული ფასადი კონსუმერიზმია.

მე მოვიხმარ (ვხარჯავ, ვყიდულობ), მაშასადამე, ვარსებობ – აი, კონსუმერიზმის არსი და დღევანდელი კულტურული „რეალობა“. დღეს, განვითარებული ქვეყნების მოსახლეობა და არა მხოლოდ, კონსუმერულ ტრანსში იმყოფება. როდესაც „შავი პარასკევის“ (დიდი საშობაო ფასდაკლების დღე) კადრებს უყურებ, როგორ განწირული კივილით შერბიან სავაჭრო ცენტრში ადამიანები, რათა 25 თუ 50 პროცენტიანი ფასდაკლებით ნივთები შეიძინონ, ძნელია, არ დაითრგუნო და უიმედობამ არ მოგიცვას.

კონსუმერიზმი სისტემის ნაწილია, რომელიც აერთიანებს არა მხოლოდ სხვადასხვა სოციალურ კლასს, არამედ სხვა-



ბენსი

TOWN FAIR TIRE
PRICES!
Eat Me
ATMs (OURS & THEIRS)
WebsterBank.com/Expectle
T YOUR ENGINES
FIERY FOOTLONG
SUBWAY
$1 ANY SIZE
BE SEEN.
BE HEARD.
RULE THE AIR
TOYS
Speed
1.2

AT&T covers 97%
of all Americans.
Red Roof inn
$55
Ex
MAPLE CHEDDAR, OH YES!
LIMITED TIME, OH NO!
PEPSI
SAVE MONEY
GEICO
DUNKIN' DONUTS
TRUCK CHECKPOINT AHEAD
BE PREPARED TO STOP
BE INSPIRED.
TOYS R US
STAPLES
McDonald's
Audi
GIVE HEA
COL
SHOUL
DOW J 11,150.84
NASDAQ
AAPL
GOOG
YHOO
SONY
guarantee
your money
back!

დასხვა პოლიტიკური (თუ სექსუალური) ორიენტაციის, ტრადიციის, რელიგიის წარმომადგენელ ადამიანებს.

1920-იანი წლების ამერიკის შეერთებულ შტატებში, როდესაც ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპის შესანარჩუნებლად მოსახლეობის ცნობიერების შეცვლა გახდა საჭირო (ინდივიდი, როგორც პროდუქტიული მუშაკი და ბედნიერი მყიდველი), იქმნებოდა სარეკლამო კამპანიები, რომელთაც არა მხოლოდ კონკრეტული საქონელი უნდა გაეყიდათ, არამედ ახალი სურვილები, მოთხოვნილებები და ჩვევები დაენერგათ. აქცენტი ჯერ „საქონლის ყიდვით“ მოპოვებულ სოციალურ სტატუსზე კეთდებოდა, შემდეგ კი – ამ პროცესით მიღებულ სიამოვნებაზე (მეტიც ნეტარებაზე). წლების შემდეგ ეს ყველაფერი იმდენად ჩაიბეჭდა საზოგადოების ცნობიერებაში, რომ დღეს ბევრი ადამიანი გულწრფელად ფიქრობს, რომ „შოპინგი“ სიამოვნების წყარო და თავისუფალი დროის გატარების ყველაზე სასურველი საშუალებაა. ადამიანები შეძენილი ნივთებით მარტო კონკრეტულ საქონელს კი არ ყიდულობენ, არამედ სტატუსს, მომხიბვლელობას, ბედნიერებას, თვითშეფასებას. სწორედ ამაში ჩანს კომერციული რიტორიკის (არა ერთი კონკრეტული რეკლამის, არამედ მათი ნაკადის მთლიანობისა და უწყვეტობის) შედეგი კონსუმერის ცნობიერებაზე.

სისტემის ამ გამოვლინებასთან ერთად ბევრი სხვა მანკიერი მხარეც არსებობს, მათგან ორი, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკისა და ეკონომიკის გათიშვა და მედიის (ჟურნალისტიკის) დიდ ბიზნესად გადაქცევაა.

პოლიტიკა დემოსს, ეკონომიკა მითოსს

დემოკრატია დღესაც ექსკლუზიურად პოლიტიკის ნაწილია – მოქალაქეებს არჩევნების გზით (თეორიულად მაინც) აქვთ ბერკეტი, აკონტროლონ ქვეყნის პოლიტიკური კურსი, მაგრამ ეკონომიკა ხელშეუხებელ სივრცედ იქცა. დამკვიდრებული მოდელი თავისუფალი საბაზრო ეკონომიკაა, მაგრამ მას არა მოქალაქეები, არამედ „ბაზრის უხილავი ხელი“ მართავს, რომელიც უხილავი მხოლოდ რიგითი ადამიანებისათვის არის, რეალურად კი კონკრეტული ჯგუფის ინტერესებს ემსახურება.

„ბოლო 50 წლის განმავლობაში კაპიტალიზმი ტაბუდადებული თემაა. ამერიკელები კამათობდნენ, განიხილავდნენ ყველაფერს: განათლების, დაზღვევის, ტრანსპორტის სისტემასაც კი, აკრიტიკებდნენ და ამით აუმჯობესებდნენ მათ. რატომ არის ეს ერთადერთი ინსტიტუტი ტაბუდადებული?! რატომ არ შეიძლება მისი ეჭვქვეშ დაყენება და კრიტიკა?! ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლია უკეთესი სისტემა შექმნას“, – განაცხადა იელის უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორმა, რიჩარდ ვულფმა „დაიკავე“ ნიუ-იორკის აქციაზე.

„ამ მოძრაობაში მხარეები არ არის, აქ ყველა ჩვენგანი სვამს კითხვას: რა ხდება, რა დაემართა სისტემას – დემოკრატიულ–კაპიტალისტურ წყობას, რომელიც ჩვენ ვიცოდით, რომ მუშაობდა? ამბობენ, ეს ადამიანის ხარბი ბუნების ბრალია, მაგრამ არა, ადამიანის ბუნება არაფერ შუაშია, ეს სისტემისა და კანონის პრობლემაა, რომელიც არ იცავს მათ, ვისაც უნდა იცავდეს“.

საკითხავია, ასეთ დემოკრატიულ, თავისუფალ და „ნანატრ“ სახელმწიფოში, როგორ მივიღეთ ამგვარი სტატუს ქვო?

როდესაც ამერიკის „დამფუძნებელმა მამებმა“ დამოუკიდებლობა მოიპოვეს, ისინი ბრიტანული კომპანიებისგანაც გათავისუფლდნენ და პირველი ასწლეულის განმავლობაში მკაცრი საზოგადოებრივი კონტროლით მართავდნენ საკუთარ კორპორაციებს. შტატების მთავრობა კორპორაციებს ქარტიას ანიჭებდა, ანუ განსაზღვრული დროით, კონკრეტული საქმიანობის (დამოუკიდებლად) წარმართვის უფლებას აძლევდა (მაგალითად, ქვეყნის მასშტაბით ლიანდაგების დაგებისათვის). მაშინდელ კორპორაციებს არ შეეძლოთ პოლიტიკური მიზნებისათვის ფინანსური კონტრიბუცია (მაგალითად, კანდიდატის ან კანონპროექტის დაფინანსება), არც საკუთრების ქონა (გარდა იმისა, რაც საჭირო იყო ქარტიით გათვალისწინებული საქმიანობისთვის) და არც სხვა ბიზნესის წამოწყება.

ყველაფერი ერთმა, თითქოს უმნიშვნელო გადაწყვეტილებამ შეცვალა, როდესაც 1886 წელს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ამ ორგანიზაციებს „კორპორატიული პირის“ (Corporate personhood) სტატუსი მიენიჭათ, რომელიც იურიდიული პირისაგან განსხვავებულია და ნიშნავს, რომ კორპორაციებზეც ვრცელდება ყველა ის უფლება და პრივილეგია, რასაც კონსტიტუციის პირველი დამატება (the Bill of Rights) ამერიკის მოქალაქეებს ანიჭებს.

კერძო ორგანიზაცია პერსონიფიცირდა, ფაქტობრივად, კორპორაციები (მეტა) ფიზიკური პირები გახდნენ, რომლებიც სარგებლობდნენ, მაგალითად, სიტყვის თავისუფლებით და სარეკლამო რიტორიკას ამ კონტექსტში ათავსებდნენ, მაგრამ, მოქალაქეებისაგან განსხვავებით, მათ ბუნებრივი სიკვდილი არ ემუქრებოდათ, ანუ შესაძლებელი გახდა მათი „უსასრულო“ არსებობა.

კომპანიებს მიეცათ კანდიდატებისა და კანონპროექტების დაფინანსების უფლებაც, მათთვის დასაშვები გახდა საკუთრების აკუმულირება და ასე, წარმოუდგენლად დიდი კაპიტალის დაგროვება. მაგალითად, სტივ ჯობსის კომპანიას 2011 წელს უფრო მეტი ნაღდი ფული (76 მილიარდი დოლარი) ჰქონდა, ვიდრე – ამერიკის შეერთებული შტატების ხაზინას (74 მილიარდი) მაშინ, როცა რეალურად, „ეპლი“ ფორბსის სიაში მხოლოდ 35-ე ადგილზეა ამერიკულ კომპანიებს შორის.

„გვეუბნებიან, რომ კრიზისია, მაგრამ ვისთვის არის კრიზისი? ბოლო სამი წლის განმავლობაში მილიონერების რიცხვი 30%-ით გაიზრდა. ეს არ არის მხოლოდ ქონების და შემოსავლის უთანასწორობა, ეს პოლიტიკური ძალის უთანასწორობაა“, – განაცხადა ანთროპოლოგიის პროფესორმა დევიდ ჰარვეიმ „დაიკავე“-ს ლონდონის აქციაზე ნოემბერში.

ფული ძალის ერთეულია და, რაც არ უნდა ნაივურად ჟღერდეს ეს მარტივი ფრაზა, რეალობაა. მაგალითად, შეერთებულ შტატებში თვისობრივი განსხვავება დემოკრატიული და რესპუბლიკური პარ-

ტიების ეკონომიკურ ხედვას შორის აღარ დარჩა, ისინი მხოლოდ საზოგადოებისათვის ამაღელვებელ დეტალებში ედავებიან ერთმანეთს, როგორიცაა აბორტი, ომი ერაყსა თუ ავღანეთში, ჰომოსექსუალების ქორწინება და სხვა მსგავსი საკითხები.

საკმარისია, შეხედო საარჩევნო კამპანიისთვის გაცემულ თანხებს, ან ლობიზმზე დახარჯულ ფინანსებს, ნათელი ხდება – მაკკეინსა თუ ობამას მხოლოდ შეზღუდული მოქმედების არეალი გააჩნიათ, რადგან ორივე მათგანი ვალშია (როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით) „უოლ სტრიტის“ პარტიასთან. მაგალითად, ობამას ერთ-ერთი ყველაზე დიდი კონტრიბუტორი 2008 წლის საარჩევნო კამპანიის დროს საინვესტიციო ბანკი „გოლდმან საქსი“ იყო, რომლისგანაც ახლანდელ პრეზიდენტს 1,013.091 დოლარი ერგო (ამ ბანკის სახელი დღეს ბევრმა იცის, თუმცა მისი როლი ფინანსურ კრიზისში ფართო საზოგადოებისათვის მაინც ბურუსით არის მოცული, რაც არა მოქალაქეების, არამედ თანამედროვე ჟურნალისტიკის პრობლემა უფრო არის).

მიუხედავად იმისა, რომ ეს ინფორმაცია არსებობს და ხელმისაწვდომია, ის არასოდეს გამხდარა მთავარი ახალი ამბავი, რადგან თანამედროვე მეინსტრიმ მედიაც დიდი ბიზნესის ნაწილია და ლოგიკა, რითაც ის იმართება, არის მოგების ძიება და არა იმ ღირებულებების გატარება, რასაც ჟურნალისტიკის სკოლებში დღემდე ასწავლიან.

მედია, დიდი ბიზნესი და „კორპორატიული ხმა“

მედია მკვლევრები, განურჩევლად პოლიტიკურ-იდეოლოგიური ორიენტაციისა, თანხმდებიან, რომ მედიის ძალაუფლება სულ უფრო და უფრო კონსოლიდირებული ხდება, მაგალითად, ნახევარი საუკუნის წინ ამერიკული მასმედიის 90 პროცენტს 50 კომპანია ფლობდა, დღეს ასეთი სულ ხუთია. მაყურებელი ძირითადად იცნობს ბრენდებს, სახელებს, შვილობილ კომპანიებს, მაგრამ მათ რეალურ მფლობელთან ვერ აკავშირებს. გულუბრყვილობაა იმის დაჯერება, რომ მედიის მფლობელისა და დამფინანსებლის ვინაობა ზეგავლენას არ ახდენს ჟურნალისტიკაზე, არაფერი რომ ვთქვათ, მთელ რიგ აკადემიურ კვლევებზე, რომლებიც ასეთი გავლენის არსე-

ბობას ასაბუთებს (მაგალითად, რუპერტ მერდოკის „ფოქსი“, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ღია იდეოლოგიური მექანიზმია ნეოკონსერვატორულ-მემარჯვენე პოლიტიკური აზრის).

თანამედროვე მასმედიას ბევრი სხვა პრობლემა აქვს, მაგრამ ამ წერილის კონტექსტში მნიშვნელოვანია, აპრიორი მიღებული ე.წ. „კორპორატიული ხმის“ სიმართლე. განსხვავებული სიხშირით ისმის პოლიტიკის (იქნება ეს საშინაო თუ საგარეო) კრიტიკა, მაგრამ კორპორატიული საქმიანობა ძირითადად პროგრესთან ასოცირდება. მაგალითად, ფაქტი, რომ გლობალური ეკონომიკური კრიზისის დროს მედია გაოცებული სახით ცდილობდა, გაერკვია, რა მოხდა, ან როგორ მივიდა ქვეყანა ამ მდგომარეობამდე, სწორედ, ერთ-ერთი შედეგი იყო იმისა, რომ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის რაციონალობაში საყოველთაო ბრმა რწმენა არსებობს და რომ კორპორატიული ინტერესები საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულებისაგან გათიშულია.

ეკონომიკურ ახალ ამბებში პროგრესის ძირითადი ინდიკატორი საფირმო ბირჟაზე მიმდინარე პროცესებია, აქციათა ღირებულებების მომატება-კლება, ან კომპანიების წლიური მოგების გაშუქება. განუწყვეტლივ ისმის, რომ კომპანია ა.-ს მოგება წელს ამდენი და ამდენი პროცენტით გაიზარდა, მაგრამ რის ხარჯზე? ან როგორ გადანაწილდა მოგებული თანხა? ეს ძირითადად არ განიხილება.

აშშ-დან აზიაში წარმოების მასობრივმა გადინებამ ერთი მხრივ, მოსახლეობის ნაწილს სამუშაო ადგილები დააკარგვინა და მეორე მხრივ, უზარმაზარი მოგება მოუტანა კორპორაციებს (იგივე საქონლის წარმოება იქ ხომ გაცილებით უფრო დაბალი ხარჯებით შეიძლება). ამას დაემატა სესხებისა და კრედიტების სრულიად წარმოუდგენელი მასშტაბით გაცემა, რომელმაც მუშათა კლასს (რომელთა „რეალური“ ხელფასი 1970-იანი წლების შემდეგ არ გაზრდილა) მყიდველუნარიანობა ხელოვნურად შეუნარჩუნა, მაგრამ თან ბანკებისათვის კოლოსალური შემოსავლის წყარო შექმნა საპროცენტრო განაკვეთის სახით.

აშშ დღეს განვითარებულ ქვეყნებში ერთ-ერთი ყველაზე „არათანასწორი“ ქვეყანაა. საშუალოდ, დიდი კორპორაციის მთავარი აღმასრულებლის ხელფასი (მხოლოდ ხელფასი, მთელი რიგი ბონუსებისა და სხვა ფინანსური პრივილეგიების გარეშე) 358-ჯერ აღემატება რიგითი თანამშრომლის ხელფასს. ზედა 1 პროცენტი ფლობს ქვეყნის სიმდიდრის 42 პროცენტს, უფრო მეტს, ვიდრე ქვედა 95 პროცენტი ერთად აღებული.

მოძრაობა „დაიკავე“-ს დროს შექმნილი მთავარი ლოზუნგი – „ჩვენ 99 პროცენტი ვართ“ – სიმბოლურად სწორედ ამ უთანასწორობას განასახიერებს. პრობლემა იმაში არაა, რომ სხვადასხვა კლასი არსებობს, არამედ იმაში, რომ ამერიკული ოცნების არსი – თუ თავისუფალი მეწარმე თავდაუზოგავად იმუშავებს, წარმატებას აუცილებლად მიაღწევს – ილუზია გახდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „ამერიკული ოცნება“ იქცა ტყუილად, რადგან სიმდიდრე და ძალაუფლება იმდენად კონსოლიდირებული ცნებები გახდა, რომ დღეს უკვე წარმოუდგენელია, მთელ რიგ ინდუსტრიებში ახალმა მეწარმემ კონკურენცია გაუწიოს დამკვიდრებულ „გიგანტებს“. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი საყრდენი, კონკურენციაც, რეალურად, მხოლოდ ამ მეგაკორპორაციებს შორის მიმდინარეობს.

მე მოვიხმარ (ვხარჯავ, ვყიდულობ), მაშასადამე, ვარსებობ – აი, კონსუმერიზმის არსი და დღევანდელი კულტურული „რეალობა“. დღეს, განვითარებული ქვეყნების მოსახლეობა კონსუმერულ ტრანსში იმყოფება. ადამიანები შეძენილი ნივთებით მარტო კონკრეტულ საქონელს კი არ ყიდულობენ, არამედ სტატუსს, მომხიბვლელობას, ბედნიერებას, თვითშეფასებას.

ამ კონკრეტული მაგალითების წარმოჩენა არ ნიშნავს მოთხოვნას – „შევჭამოთ მდიდრები“, ან დავაბრუნოთ საბჭოთა კავშირი (რომელიც „ფოქს ნიუსის“ რიტორიკაა და სიმართლესთან ისეთივე კავშირი აქვს, როგორც სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობასთან – ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობას). არა, რაც მე მამოძრავებს, არის სურვილი იმისა, რომ კრიტიკული კითხვები დავსვათ: რა სისტემაში ვცხოვრობთ? სად არის რეალური ძალა კონსოლიდირებული? რა გავლენა აქვს ამ ძალას ჩვენს ცხოვრებაზე? დემოკრატიულია ასეთი საზოგადოება? თუ დემოკრატია, უბრალოდ, სარეკლამო ლოზუნგი გახდა, სამოქალაქო ჩართულობა კი ცერა თითის აწევასთან გაიგივდა?

ვინმე კეთილი ადამიანი, ალბათ, მირჩევს, შევეშვა წუწუნს, პარანოიას, ან იდეალიზმს, წავიდე, ახალი წყვილი ფეხსაცმელი შევიძინო და თავი ბედნიერად ვიგრძნო, მაგრამ, ლასნის არ იყოს, მორალური ეპიფანია მეც გავიარე და დღეს აღარ მანიჭებს სიამოვნებას იაფი მუშახელით აზიის ქვეყნებში შეკერილი სამოსი. კორპორატიული (აგრესიულ-ენთუზიასტურ-პოზიტიური) რიტორიკა კი გულს მირევს, იმდენად ყალბია.

არ მაქვს ილუზია, რომ იდეალური სამყაროს შექმნა შეიძლება (რომც მქონდეს, თავს არავის ვახვევ), მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ დროა, ადამიანებმა კრიტიკული კითხვები დასვან. სწორედ ამიტომ თანავუგრძნობ მოძრაობა „დაიკავეს“, რომელიც ჩემთვის არა თვითმიზანი, არამედ, სისტემური კრიზისის გამოაშკარავებისა და ჰეგემონიური სტატუს ქვოს ეჭვქვეშ დაყენებისთვის გადადგმული პირველი ნაბიჯია.

ბოლო თვის განმავლობაში პოლიცია ამერიკის სხვადასხვა ქალაქში განსაკუთრებული ძალის გამოყენებით უსწორდებოდა და შლიდა აქციებს. თუმცა მოძრაობისათვის ეს ყველაზე მნიშვნელოვანი არ ყოფილა. მთავარია, ადამიანებმა (მათმა ნაწილმა მაინც) გაიაზრეს, რომ პრობლემა არა კონკრეტულ კანდიდატსა თუ პოლიტიკოსში, არამედ უფრო ზედა, მეტა-სისტემურ დონეზეა.

აქციების დაშლის მიუხედავად, მოძრაობა „დაიკავეს“ აქტივისტების ქსელი უფრო და უფრო ფართოვდება. ზამთრის გეგმა ლოკალურ დონეზე გადასვლაა. „დაიკავე შენი ქუჩა“ – ასე იცვლება ლოზუნგი. მოძრაობა გაზაფხულისათვის ემზადება.

მანამდე? მანამდე ყველაფერი (ვითომ) ჩვეულებრივად გრძელდება.

ელისი აქ ალარ ცხოვრობს

„ქალაქში, რომელსაც ზამთარი დაესიზმრა...“

ავტორი ალექს ჩიღვინაძე
ილუსტრაცია შაკო ნიკვა

ჩვენ თითქმის ყველაფერი ვცადეთ. ვცადეთ მუშაობის დაწყება, მაგრამ ყველა სამსახურიდან გაგვათავისუფლეს. ვცადეთ გალოთება და განარკომანება, მაგრამ ესეც ვერ შევძელით. ვცადეთ სიყვარული და ის სპერმაზე სწრაფად გახმა. ამ ყველაფრის აღწერაც ვცადეთ, მაგრამ მივხვდით, რომ დავკარგეთ ენა. აი, ასე გამოვიყურებით მე და ჩემი მეგობრები. თუმცა, ეს არც ისე ტრაგიკული ამბავია. ყოველ შემთხვევაში, დაბადებაზე ტრაგიკული ნამდვილად არ არის.

ერთადერთი, რასაც ვერ ვეგუები, გონებაში შექმნილი ვაკუუმია... ათვლის წერტილი არ გამაჩნია. ბავშვობა – ერთფეროვანი სიზმარივითაა, რომელიც ვერ ავათავე იმ გრძელი კიბესავით, ნაცრისფერი ციდან რომ დაეშვა შემოდგომის ერთ ნისლიან დღეს. ამის შემდეგ მხოლოდ ფრაგმენტებია, რომელთაც ვერაფრით მოვუყარე თავი. რა უნდა მოხდეს, რომ მათი გაერთიანება შევძლო.

თუმცა, ამ ფრაგმენტებიდან, ზოგიერთი შეიძლება ცხოვრებასაც მიამსგავსო, და თუ მათ აღწერასაც ცდი, მიხვდები, რომ ტექსტი ჩემოდანს ჰგავს, რომელსაც ავსებ, ავსებ და მაინც ყოველთვის გავიწყდება რაღაც. გატენი – და, უიჰ, თურმე, ეს რა დაგრჩენია!.. როგორღაც გამოძებნი, გაათავისუფლებ ადგილს და ისევ ამოგიტივტივდება რამე, რადგან წარსული გამუდმებით იცვლება.

ამ ისტორიაში ორნი უნდა ჩავბარგდეთ. ძველმანებში ვიქექებით. ვარჩევთ, რა შეიძლება გამოგვადგეს. იმ პარანოიკივით ვიქცევით, რომელიც ჩემოდანს ვერაფრით

ხურავს, რადგან ეშინია, რომ ამ ნივთებს მის თავშიც იგივე დაემართება. აფორიაქებულები დავდივართ ოთახებში. წამდაუწუმ ვწევთ ფარდებს და უკუნ ღამეში თვალს ჩურჩხელასავით ვავლებთ.

ეს ამბავი რამდენიმე წლის წინ დაიწყო, ბნელ ოთახში, რომელსაც მკრთალად ანათებდა ჩემი ძველი კომპიუტერის ეკრანი. Myspace-ზე, წარმოშობით ყირგიზელ, ბიზნესმენსა და ჟორჟ ბატაის თაყვანისმცემელს ვწერდი. როგორც ამბობდა, მილიონერი იყო. სინამდვილეში, არ ვიცი მართლა ბევრი ფული ჰქონდა თუ არა, მაგრამ ბატაიზე კი მართლაც ბევრი იცოდა. პირველად მისგან გავიგე ბატაის რომანის „ჟილ დე რეს“ შესახებ.

პარალელურად, ცალი თვალით ახალ ვირტუალურ მეგობრებს ვათვალიერებდი. მოულოდნელად ძალიან ნაცნობი სახელი და გვარი შევნიშნე. ფოტოზე – ყვავილის ბუჩქთან სიფრიფანა გოგონა იდგა, M16-ის ავტომატით ხელში.

წერილი პირველი

ის, პირველ რიგში, ნაზი და მოსიყვარულეა. მოსიყვარულე, როგორც ძაღლი და ნაზი, როგორც ფურ-ირემი. ხოლო შემდეგ, ყველასთან თავაზიანი, მაღალთან თუ დაბალთან, დიდებულთან თუ სასაცილო არსებასთან, მეფესთან თუ მუხლუხოსთან. თითქოს თვითონაც მეფის ქალიშვილია და კაბაც სუფთა ოქროსი აცვია. კიდევ მიმნდობი, მზადმყოფი, მიიღოს ყველა დაუჯერებელი ამბავი, ისე, როგორც ეს მხოლოდ მეოცნებეებს შეუძლიათ. და ბოლოს ცნობისმოყვარე, უკიდურესად ცნობისმოყვარე, როგორც ეს ბედნიერ ბავშვობაშია შესაძლებელი, როცა ყველაფერი – კარგი და ახალია, ცოდვა და სევდა კი – მხოლოდ ცარიელი სიტყვებია, რომლებიც არაფერს აღნიშნავენ. ***(ლუის კეროლი ელისის შესახებ)***

„უკვე თითქმის 5 წელია ისრაელში ვარ. აქედან 1 წელი და 4 თვე – ჯარში. ერთ-ერთი სამხედრო ბაზის მეთაური ვარ აქ... რატომ ვერ წარმოგიდგენივარ M-16-ით ხელში და ჯარში? ეტყობა მართლა ძალიან პატარა გახსოვარ. არადა, 180 გრადუსით შევიცვალე. ალბათ, გული გაგისკდება ახლა რომ მნახო. ფიზიკურადაც სხვანაირი ვარ და ისეც. თავიდან, რომ ჩამოვედი, აქ მაგარ დეპრესიაში ვიყავი, რამდენადაც მეგობრული და მხიარული ადამიანი ვიყავი, აქ მოღუშული და ჩაკეტილი გავხდი. მერე, თანდათან, აღარაფერს ვჭამდი. კინაღამ ანორექსია დამემართა, ანემიაზე რომ აღარაფერი ვთქვა. მოკლედ, საშინელი პერიოდი იყო.

დროთა განმავლობაში გავიცანი ხალხი და აღმოვაჩინე, რომ არც ისეთი საშინელებაა აქ ყოფნა, როგორიც თავიდან მეგონა. სკოლაშიც დავუმეგობრდი რამდენიმეს, ხელოვნების განხრით წავედი და ენების სწავლა დავიწყე. მერე, ერთი თვით გერმანიაში წავედი, იქიდან ცოტა ხნით საქართველოში დავბრუნდი. აქ ომი იყო და ჰაიფა ყველაზე მეტად დაბომბეს (ლიბანთან ახლოსაა). დედაჩემს მაგრად ეშინოდა, რომ სახლსაც დაგვიბომბავდნენ.

ნუ, შემდეგ უკვე განსაკუთრებული არაფერი, დავბრუნდი ისრაელში, ისევ სკოლა... ყოველდღიურად ერთი და იგივე ნაგავი. ამასობაში ჯარშიც წავედი, თავიდან ძალიან ძნელი იყო. წარმოიდგინე, დილის 4 საათზე რომ დგები და საღამოს 11-მდე ფეხზე ხარ. მაგ პერიოდშიც კინაღამ ისევ დეპრესია დამეწყო, პირველი ორი თვე ყოველდღე ვტიროდი, ბოლოს მივეჩვიე. ახლა უკვე 8 თვე დამრჩა. ერთ-ერთი სამხედრო ბაზის მეთაური ვარ. მთელი ბაზა ჩემს ხელშია.

თავი ფილმში მგონია, ვერ ვიჯერებ რომ მართლა ცოცხალი ვარ და ეს „ფილმი“ ჩემი ცხოვრებაა. მაგრამ ფილმებში ცხოვრება ისე ლამაზად არის აღწერილი და ცხოვრება კი, ისეა დაშორებული ფილმში ნაჩვენებ სამყაროსგან... იმდენი უცნაური რამ ხდება და თან ისე ჩქარა, რომ თვალის დახამხამებასაც ვერ ვასწრებ და თვალდაჭყეტილი დავდივარ. ხანდახან მგონია, რომ უცნაური ცხოვრება მაქვს. ყველაფერი სპონტანურად ხდება, ვერაფერი გამიგია. მაგრამ, იქნებ ასე სჯობია. იქნებ, ასეთი ცხოვრება მირჩევნია მოწყენილობისგან სიკვდილს“.

შეწყვეტილ გზებზე, როგორც სიმღერებზე...

„შენ გალობ, როგორც დამიზნებული იარაღი“ ***(დათო ბარბაქაძე).***

როცა ადამიანთან ურთიერთობას იწყებ, მასთან ლაპარაკს სწავლობ – ეს მთელი კომპლექსია მიმიკების, მოძრაობის, ქცევის, ჩვევების, მოფერების, გამოხედვის, ხმის, სიტყვების, მერე კი, როცა შორდები, თანდათან გავიწყდება ეს ენა. მონატრებაც სწორედ პროცესია, რომლის დროსაც ამ დეტალების თანდათან ქრობას აკვირდები.

მე და სოფო ერთ სკოლაში ვსწავლობდით. ის ჩემზე ორი წლით უმცროსია. სკოლის დამთავრების შემდეგ აღარ მინახავს. არც არაფერი ვიცოდი მის შესახებ. და ჩვენი ვირტუალური გზები მხოლოდ 7 წლის შემდეგ გადაიკვეთა.

ის ერთი დალეული გოგო იყო. უზარმაზარი ცისფერი თვალები ჰქონდა და ისეთი ღიმილი, რომ დილით სკოლის კიბეზე თუ შემხვდებოდა, მთელი დღე კარგ ხასიათზე ვიყავი. თბილისურ გეტოში ვიზრდებოდით, ბეტონის ჯუნგლებში. გაცრეცილი, ძველი ერთლარიანის ფერი დილებიდან დოსტოევსკის ღამეებში ვხვდებოდით. სეზონი სეზონს ცვლიდა, სტადიონზე ჩაკუზული ბებერი ნარკომანები კი არ იცვლებოდნენ. „გარაჟში“ ვუსმენდით თუფაქს და „ექსცესს“. ვერტმფრენით ჩამოფრენილი ჯგუფი „სახე“ პრეზერვატივებს ფანტავდა ჰაერში. პრეზიდენტი ბებერი ზომბივით გვილოცავდა ახალ წელს. ბუნდოვნად გვახსოვდა 90-იანები – გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! გაუმარჯოს ცირკს!

ერთხელ მითხრა: „პირველი, რაც ბავშვობიდან მახსოვს, დეიდაჩემთან ერთად სადღაც თოვლში დავრბოდი და თან მიკვირდა, რომ დიდებსაც შეუძლიათ სირბილი, არადა, დეიდაჩემი მაშინ სულ რაღაც 26 წლის იყო“.

ახლა თვითონაც 23 არის. წესიერად არ ვიცი, როგორ აღმოჩნდა ისრაელში. მგონი, მამამისმა გადაწყვიტა ასე. ჯერ კიდევ 90-იანებში აპირებდნენ წასვლას, მაგრამ მხოლოდ 2003-ში წავიდნენ. ჯარი უკვე გასაგებია, – ისრაელის არმიაში სამსახური ყველასათვის სავალდებულოა. ითვლება, რომ ის, ვინც რაღაც მიზეზების გამო ამას არ აკეთებს, ტყუილად ხარჯავს თავს. ასეთია რეალურ საფრთხეებს პლუს პარანოიალური პოლიტიკური პროპაგანდა აღთქმულ, რძისა და თაფლის ქვეყანაში.

Whom bomb? / We bomb them! / Whom bomb? / You bomb you! / Whom bomb? / You bomb you! / Whom bomb? / You bomb you! / Whom bomb? / You bomb – Allen Ginsberg.

„2006 წელს, ისრაელსა და ლიბანს შორის ომი რომ დაიწყო, გერმანიაში ვიყავი. საღამოს დედაჩემმა დამირეკა, პანიკაში იყო. ჰაიფას ჩრდილოეთს ბომბავდნენ, 70-ჯერ დღეში. და მეორე დილით, გერმანული პრესა რასაც წერდა... მოკლედ კინაღამ გადავირიე, ისრაელი საშინელ მონსტრად გამოჰყავდათ. თავის გამართლების სურვილი გამიჩნდა, მაგრამ არ ვიცოდი როგორ უნდა გამეკეთებინა ეს. ვიცი, რომ იქ ჩემი ოჯახი, მეგობარი და ხალხი, რომელსაც უკვე ასე ძალიან შევეჩვიე, სადღაც ბუნკერში ზის და სახლები ისევე ენგრევათ თავზე, როგორც ლიბანში – აქ კი წერენ, რომ დამნაშავე, თურმე, მარტო ისრაელია“.

ელისი სამხედრო ბაზაზე

„გუშინ დოჩანაშვილს ვკითხულობდი. სამოსელ პირველს – არა, ისე, მოთხრობებს. „მიხეილი და ალექსანდრე“ წაკითხული გაქვს? როსინის რომ უსმენენ და მერე, გარეთ გავლა მოუნდებათ. ჯარში ვაგიჟებ ხოლმე ხალხს. ჩემს მეტი კლასიკურ მუსიკას არავინ უსმენს. და ვრთავ შოპენს, ან რახმანინოვს, ან ბეთჰოვენს და ვზივარ და ვუსმენ გამოთიშული. სულ გიჟდებიან...“
(ნაწყვეტი წერილიდან)

ერთი ასეთი ფოტოგრაფია – რეიჩელ პაპო. ყველაზე ცნობილი მისი ფოტოპროექტია – Serial No. 3817131. „ვფიცავ, სიცოცხლე შევწირო ისრაელის მიწის დაცვასა და თავისუფლებას“ – ასე იწყება ისრაელის 18 წლის ქალიშვილების სამსახური არმიის რიგებში. თავის დროზე რეიჩელმაც მოიხადა სავალდებულო სამსახური. 15 წლის შემდეგ კი, სამხედრო ბაზაზე ფოტოაპარატით დაბრუნდა. მგონი, ეს დაგვიანებული ავტოპორტრეტების სერიაა, რითაც იმ პარადოქსული რეალობის გააზრებას ცდილობს, როცა ნაციონალიზმის სახელით ინდივიდუალიზმის გვერდზე გადადება მოუწია.

ვათვალიერებდი ამ სურათებს და ვცდილობდი, წარმომედგინა თითოეული მათგანი, – ავტომატაკიდებული, წვრთნებზე, ყაზარმაში – თეთრი მაისურებით, ეწევიან, უდაბნოში მიხოხავენ, მიზანში ისვრიან, ვარჯიშობენ, ფიქრობენ, ეფერებიან ერთმანეთს. ზოგი სევდიანია, ზოგი კი, კმაყოფილი იღიმება ქუჩაში ტანკით გასეირნების შემდეგ.

ცალი თვალით ახალ ვირტუალურ მეგობრებს ვათვალიერებდი. მოულოდნელად ძალიან ნაცნობი სახელი და გვარი შევნიშნე.

ფოტოზე – ყვავილის ბუჩქთან სიფრიფანა გოგონა იდგა, M16-ის ავტომატით ხელში.

„MADNESS? THIS. IS. SPARTA!!“

სოფო თვლის, რომ ჯარი მისი ერთ-ერთი საუკეთესო გამოცდილებაა. „ძალიან რთული იყო, სახლში რომ მივდიოდი თვეში ორჯერ და ვიცოდი, ორ დღეში ისევ იმ უდაბნოში უნდა დავბრუნებულიყავი, – გლოვას ორი დღით ადრე ვიწყებდი. მაგრამ, ვფიქრობ, ჯარში რომ არ წავსულიყავი, არ მექნებოდა საკუთარი თავის რწმენა და ის თავდაჯერებულობა, რაც დღეს მაქვს.

უცნაურია, ამ ჯარის გადამკიდეს, თითქოს ორი ცხოვრება მაქვს. ჯარში თავისუფლება არ მაქვს, მიუხედავად იმისა, რომ მეთაური ვარ, მაგრამ მთელი ბაზა ჩემზეა დამოკიდებული და თავს ზედმეტის უფლებას არ ვაძლევ. ყველაზე გვიან ვწვები, ყველაზე ადრე ვდგები. ყველაზე ნაკლებს ვწუწუნებ, ყველაზე მეტს ვიღლები და მაინც კარგად ვარ. მერე მოვდივარ სახლში და თითქოს ვიცვლები, ყველაზე დიდი ბალაგანი ჩემს ოთახშია, ყველაზე მეტი მე მძინავს, ყველაზე ბევრს მე ვხმაურობ. აღარც მახსოვს როგორი ვიყავი, სანამ ჯარში წავიდოდი. და ხანდახან მეშინია კიდეც, რას ვიზამ ამ რამდენიმე თვეში, როცა ყველაფერი დამთავრდება. ნამდვილი ცხოვრება დაიწყება! გული მისკდება წინასწარ. მაგრამ ვნახოთ. მიყვარს ცხოვრება. სიურპრიზებითაა სავსე. რამდენადაც, ხანდახან, დეპრესიაში მაგდებენ ეს სიურპრიზები, იმდენად მეტად მიხარია ცხოვრება და სიცოცხლე“.

ორივეგან, საქართველოშიც და ისრაელშიც, ნამდვილ ცხოვრებასა და ომს შორის ისეთი მოკლე მანძილია, როგორც სარკის მიღმა სამყაროში, „სადაც მთელი ძალით უნდა გაიქცე, რომ ადგილზე დარჩე. და თუ გინდა სხვაგან მოხვდე, სულ მცირე, ორჯერ სწრაფად უნდა გარბოდე“.

ელისი ომში

„დედა შვილს აცილებს ომში და ჭკუას არიგებს:

– არ გადაიღალო შვილო, მოკალი ერთი ---------- (ერონვების გრაფა თქვენ თვითონ შეავსეთ) და დაისვენე, მოკალი მეორე და დაისვენე, მოკალი მესამე და დაისვენე...

– დედა, მე რომ მომკლან?

– კი, მაგრამ რას გერჩიან?“

წარმოიდგინეთ, ყაზარმაში შემოდის მეთაური და სახის ერთი ნახევრით გასცემს ბრძანებას: „სწორდით!“, მეორეთი კი: „თავისუფლად!“ მცდელობა, შეასრულო ეს ორი ურთიერთგამომრიცხავი ბრძანება, ავტომატურად, სუბიექტის დეზორიენტაციას იწვევს. ამის შედეგია: აპათია, შიში და კოლაფსი.

ახლა წარმოიდგინეთ პრეზიდენტი, რომელიც გამოდის და ამბობს, რომ ჩვენ არ გვინდა ომი და ამავდროულად, პომპეზურ აღლუმებსა და მილიტარისტულ რეკლამებს ამზადებს. შემდეგ ომიც იწყება. როცა უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა – რას ხვდები. გამოუსწორებელი შედეგები გარდაუვალია.

ისე დაემთხვა, რომ აგვისტოში ჯერ აქ დაიწყო. მერე იქაც აირია. ჩვენი სინამდვილის პარალელურ რელსებზე ერ-

თდროულად ჩამოგრიხინდა ომის საზარელი ორთქმავალი, რომლის განათებული ფანჯრებიდან შეშიშნებული და უიმედო სახეები ჩანდა.

„31-ში, ღამის 12 საათზე სმენაში ვიქნები, საზღვარზე. რომ შემეძლოს, მოგიყვებოდი რას ვაკეთებ, მაგრამ არ შემიძლია, სამხედრო საიდუმლოებაა“, – მწერდა სოფო. თავს ვიმტვრევდი, რა საიდუმლო შეიძლება ჰქონოდა ელისივით მოწყენილს, ღამის სმენაში, ღამის სუნთქვაში... აი, ვხედავ მის წინ თეთრმა კურდღელმა ჩაირბინა, წითელი ჯვრის მისიიდან. iPhone ამოიღო, დახედა და ჩაილაპარაკა: „ღმერთო ჩემო, როგორ მეჩქარება“. ისიც გაჰყვა. მწყემსებს შეხვდა, რომლებიც ტერორისტები ეგონა. – ოპერაცია „შობას“ მოჰყვება მსხვერპლი... ღამის სმენაში, ღამის ყნოსვაში კიდევ რაიმე ხილვა გვჭირდება, ხელყუმბარებით მორთული ნაძვის ხე, მის ქვეშ მოკუტული ლტოლვილი ბავშვი. „კასსამის“ ტიპის რაკეტებით მოწყობილი ფოირვერკი, ხილვა მძიმე და საზარელი...

„რაღაცნაირ ხასიათზე ვარ. არაფერი არ მინდა. ვერ ვიტან ესე რომ ვარ. დასაძინებლად წასვლის თავიც კი არ მაქვს. მოკლედ, ცუდ დღეში ვარ. თან, ეს უპატრონო ომიც ისევ დაიწყო. კაცმა არ იცის, სახლში როდის მივალ. ჰამასს აქაური ჯარისკაცი ჰყავს ტყვედ უკვე ორ წელზე მეტია და მეშინია არ მოკლან. გადავირევი რომ მოკლან. ყველაფერი ნერვებზე მოქმედებს. ვგრძნობ, რომ ერთი პატარა რაღაცაც და გავგიჟდები. გაქცევა მინდა სადმე და არსად არაა გამოსავალი. გახსოვს, ელისი კურდღლის სოროში რომ ჩავარდება, ამბობს: „თავიდანვე მითხარით ვინ ვარ. თუ მომეწონება, ამოვალ, და თუ – არა, აქ დავრჩები, სანამ სხვა ვინმედ არ გადავიქცევი.

ძალიან ძნელი სიტუაციაა. ყოველ წუთში, რაღაც ცუდს უნდა ელოდე. მადლობა ღმერთს, ჰაიფაში არაფერი ხდება, მაგრამ ჰესბოლამაც თუ გადაწყვიტა ისრაელის განადგურება, გაიტანენ ჰაიფას. ჯარშიც გაძნელდა. საშინლად დაძაბული სიტუაციაა და, მით უმეტეს, ჩემთვის, ბაზის მეთაურისთვის. ბოდიში, ყველაფრის მოყოლა არ შემიძლია, სამხედრო საიდუმლოებაა. აკრძალული მაქვს საერთოდ ამაზე ლაპარაკი. ყველა, ვისაც ვიცნობდი, ღაზას სექტორში არიან შესულები მთელი ბიჭები, ჩემი ძმები. დღეში 15-ჯერ ვუსმენ ახალ ამბებს და სულ ვტირი. 2 კვირაა ტელეფონზეც კი არ მილაპარაკია, გამორთული აქვთ. აზრზე არა ვარ ცოცხლები არიან თუ არა, როგორ არიან, რამე ხომ არ სჭირდებათ. მოკლედ, ერთი სული მაქვს, როდის დამთავრდება ეს ყველაფერი.“

ომი სისხლიანი ლაბირინთია. ერთი სწორი ხაზი... და მე შენ მოგკლავ შემდეგ ჯერზე! – ყოველ ნაბიჯზე გესმის მუქარა. ეს ლაბირინთი, ერთი სწორი, უხილავი და უწყვეტი ხაზისგან არის შექმნილი. მინოტავრმა – დიდი ხანია მოგვინელა. ვეშაპმა, რომლის მუცელშიც გვძინავს, უცნობ, სისხლივით წითელ ოკეანეში შეცურა. იქიდან კი, უკან არ ბრუნდებიან...

სამშობლო

*სამშობლო ის ადგილია, სადაც ჩვენ არ ვართ (**ბ. მ. კოლტესი**).*

„არჩევანის საშუალება რომ მქონდეს, ვიცხოვრებდი სადმე შვეიცარიაში, ფრანგულად და გერმანულად ვილაპარაკებდი და წავიკითხავდი გაზეთებს, სადაც ძროხების სიკვდილზე უფრო მეტს წერენ, ვიდრე ომზე.

იმ დღეს ჩემმა ერთმა გერმანელმა მეგობარმა ჰამასის მიერ ღაზას სექტორის გვერდით მდებარე ადგილების დაბომბვის შესახებ რომ გაიგო, მითხრა, ისრაელში არასოდეს მოგწყინდებაო. ვიფიქრე და მართალია, რას ვერჩი. აქ მართლაც არასოდეს მოგწყინდება.

არ ვიცი, მანდ თქვეს თუ არა – ახალ ამბებში, მაგრამ, დაახლოებით ერთი თვის წინ, ის დატყვევებული ჯარისკაცი გაათავისუფლეს, – ადრე რომ გწერდი, ჟილად შალითი. ოცის იყო, ტყვედ რომ ჩავარდა და, სხვათა შორის, იმ გოგოს ბრალი იყო – რომელიც ჯარში იმას აკეთებდა, რასაც მე – მზვერავი იყო. იმიტომ რომ, როცა ჰამასნიკებმა საზღვრის კედლის ქვეშ მიწა გამოთხარეს, ის ცაში იყურებოდა და არა საზღვარზე.

მოკლედ, 5 წელი არც მზის სინათლე და არც ადამიანის სახე არ უნახავს, პირდაპირი მნიშვნელობით. ვინც აჭმევდა, კვირაში ორჯერ, იმასაც კი სახე მწვანე ნიღბით ჰქონდა დაფარული.რომ გამოუშვეს და ტელევიზორში ვნახე, შემეშინდა. ასეთი გამხდარი და თეთრი ადამიანი ცხოვრებაში არ მინახავს. და გინდა იცოდე, რა ფასი დაჯდა ისრაელის ერთი ჯარისკაცის გამოშვება? 1549 ტერორისტი.

თავიდან რომ გავიგე, კინაღამ გადავირიე სიხარულისგან, ჟილადს რომ უშვებდნენ, მაგრამ მერე ახალ ამბებში ვნახე, როგორ ზეიმობდნენ ამ ტერორისტების გამოშვებას თავისიანები, როგორ თვლიან მკვლელებს გმირებად და თან, სინანულის ერთ წვეთსაც ვერ შეამჩნევდი, ადამიანი, რომელმაც 120 ადამიანის სიცოცხლე შეინირა რესტორნის აფეთქების დროს და

რომელიც ამბობს, რომ გარეთ გამოვა თუ არა, იგივეს გააკეთებს და თავის შვილებსაც მაგ შეგნებით გაზრდის, რომ ესაა სწორი გზა – უდანაშაულო ადამიანების ხოცვა. ბევრს, ვინც აქ ცხოვრობს, რა თქმა უნდა, ეს, შეიძლება გმირობად მოეჩვენოს, თავგანწირვად, მაგრამ, მე პირადად, გული მერევა.

მე არ ვფიქრობ, რომ იმ უნივერსიტეტის აფეთქება, სადაც შენ სწავლობ და 1000 ადამიანის მოკვლა, ვისთან ერთადაც 5 წუთის წინ კლასში იჯექი, ნორმალურია და მშვიდობის, ან საერთოდ რამის მომტანი იყოს.

ყველას ეშინია იმ დროში დაბრუნების, როდესაც, ავტობუსში ასვლისას, არ იცოდი ცოცხალი ჩამოხვიდოდი თუ ჩამოგიტანდნენ და შენი სხეულის ნაწილებს მთელ ქუჩაზე მოძებნიდნენ."

that's a fuckin reality – ისევ ისტორიის მწარე კოქტეილს შევექცევით, რომლის დალევის შემდეგ, ზოგჯერ, ვილაცაზე ვბრაზდებით, ზოგჯერ, სიამაყით ვივსებით და ნაბახუსევზე თითქმის არაფერი გვახსოვს.

შემოსაზღვრეთ მიწის ნაგლეჯი და – ცოტა ხანში გაჩნდება პოლიცია და არმია. არ გავა დრო და უკვე მოსაზღვრე ხალხთან დაიწყებ ბრძოლას. ასეთია ნაციის არსი. მის ნებისმიერ ფორმას და გამოვლინებას ერთი და იმავე რეზულტატამდე მივყავართ. სამშობლო არის იქ, სადაც ჩვენ არ ვართ.

მოგონებები მომავალზე

„თეთრი პაიკი (ელისი) იწყებს და ხდება დედოფალი თერთმეტ სვლაში."

დამესიზმრა ჭადრაკს ვთამაშობდით. უზარმაზარ შავ როიალზე. ჭადრაკის ფიგურები თეთრი და შავი კლავიშები იყო. ჰოდა, ვუკრავდით და ვთამაშობდით. თამაშის წესები არ დამამახსოვრდა.

ზოგჯერ ტექსტი გზატკეცილია, – ჭადრაკის დაფა, მხტუნავი მატარებლებით და სიტყვების გამალებული მოძრაობით. აჩერებ მათ. შუქნიშანივით არეგულირებ მოძრაობას: მწვანე, წითელი, ყვითელი, როგორც განათებები ფანჯრებში, გახსენებული სითბო და სიმყუდროვე. მერე, კვლავ გიჟური ქროლვა. ცაზე ღრუბლების კომუფლიაჟი. ისევ გზაზე დგახარ. ცდილობ რამე გააჩერო:

„ელისი მიყვარს საოცრებათა ქვეყანაში, და იისფერი ფერი, კიდევ წვიმა და ვანილის ნაყინი, სუნამო „Organza", ფრჩხილების გამჭვირვალე ლაქი, კონცერტების გამოყენებული ბილეთები და ფლაერები. საყურეები ჩემი სისუსტეა – ჯარის წინ 13 საყურე მქონდა. მერე, ცხვირში – შემიხორცდა, ენაში ისევ მაქვს, ყურებშიც, და ჭიპში მაქვს ორი ცალი, ერთი ზევით, ერთი ქვევით... დედაჩემს სიურპრიზი გავუკეთე, კინაღამ გული გაუსკდა. კიდევ რა მიყვარს? მანგო, მიზანში სროლა, თითების გატკაცუნება, სურათების გადაღება, ხატვა, პიანინოზე დაკვრა, ავტობუსში უკან ჯდომა და ხალხის თვალიერება... ტელეფონები მეზიზღება..."

„31-ში, ღამის 12 საათზე სმენაში ვიქნები, საზღვარზე. რომ შემეძლოს, მოგიყვებოდი რას ვაკეთებ, მაგრამ არ შემიძლია, სამხედრო საიდუმლოებაა", – მწერდა სოფო.

თავს ვიმტვრევდი, რა საიდუმლო შეიძლება ჰქონოდა ელისივით მოწყენილს, ღამის სმენაში, ღამის სუნთქვაში...

თუ დრო აღქმაა, რა უცნაური აღქმაა იგი. ყოველი წამი – მნიშვნელოვანი ოპერაციაა. გადარჩენის შანსები არ არსებობს. ბოლო მომენტში ახელ თვალს. საკუთარი მდგომარეობის აღსაწერად საჭირო სიტყვები იგვიანებენ. ისინი ჰგვანან დამფრთხალ, ჭუჭყიან, ტოქსიკომან ბავშვებს, რომლებიც დაუძლურებული ცხოველებივით გამოდიან სიბნელიდან. ადგილს ვერ პოულობენ. თანდათან იწყებ მათ განლაგებას საჭირო პოზიციებზე. დანაკარგის შეფასება შეუძლებელია. წარსულს თანდათან უთმობ გულისგამაწვრილებელ სიცარიელეს. მომავალი კი წარსულითაა ამოვსებული. აწმყო მხოლოდ მათი დამაკავშირებელი ხიდია – საცალფეხო, საშიში, უფსკრულს გადაკიდებული. იმ სახელდახელოდ დადგმულ ხიდს ჰგავს, ახალი ქალაქის გახსნის შემდეგ მალევე რომ წაიღებს წყალი. რჩება შინაარსის ძებნის მიმქრალი პროცესი. ვრჩები მეც, მასთან ერთად. დაღლილი, ისევ სადღაც უდარდელობასა და ნაღველს შორის გაჩხერილი.

„მკიდია, რაც ჩემს გარშემო ხდება. თითქოს ყურადღებას არ ვაქცევ არავის და არაფერს, ოღონდაც ბედნიერი ვიყო. მაგრამ არ გამომდის ბედნიერად ყოფნა. რაღაც განსაკუთრებული მჭირდება. რაღაც არანორმალური. და კაციშვილი ვერ იგებს რა მინდა. ან მე მაკლია ცოტა და ვერ ვხვდები, რომ არ უნდა იცხოვრო ზედმეტი სიურპრიზების მოლოდინში, იმიტომ რომ, მერე, მიწაზე ვებერტყები ხოლმე და ძნელია. არადა, ვერ ვხვდები რას ვითხოვ ამდენს. თითქოს ბევრს არაფერს, მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც ბევრია... რომ გავიზრდები, ჩემი სახლი მექნება სადღაც, სადმე, ჯერ არ ვიცი სად და დიდი მწვანე ბაღი ბევრი ბალახით, და პატარა წითელი ოთახი ბევრი სურათით, რომლებიც ჩემი ცხოვრების ბედნიერ მომენტებს გამახსენებენ და კიდევ – შავი როიალი, რომელზეც ბევრი, ბევრი ნოტი იქნება. ჰოდა დავუკრავ ხოლმე ბევრს, ბევრს, საათობით, ძალის გამოცლამდე და ყველაფერი კარგად იქნება. მთელი ეს ომები და სიკვდილი და ბომბები და იარაღი, ვერაფერი ვერ შემიშლის ხელს ბედნიერებაში".

სოფოს შარშან შემთხვევით შევხვდი. ერთი თვით იყო თბილისში ჩამოსული. რუსთაველზე, სუვენირებს ათვალიერებდა, როცა დავინახე. მივედი და მხარზე შევეხე. გაოცებულმა, თავისი დიდი, ცისფერი თვალებით შემომხედა და გადამეხვია. მერე მითხრა, უცნობი რომ ყოფილიყავი, ალბათ, ხელს მოგტეხავდი, ჯარში მასწავლეს რაღაც ილეთი, მართალია, ავტომატით კეთდება, მაგრამ ისეც გამომივიდოდაო. ნარიყალას გადმოღმა, კლდეზე ვისხედით, გადმოვყურებდით ქალაქს და აღარ მახსოვს, რაზე ვლაპარაკობდით.

თეთრი, თეთრი სასახლე

ავტორი ანა კორძაია-სამადაშვილი
ფოტო ბესო უზნაძე

დიდი მადლობა რატი ამაღლობელს

ლიბანი. სამთო-კლიმატური სადგური, რომელიც მდებარეობს ბორჯომიდან 25 კილომეტრის დაშორებით, ბორჯომ-ბაკურიანის რკინიგზის სადგურ ლიბანთან, ზღვის დონიდან 1320 მეტრის სიმაღლეზე.

აქ არსებული ერთადერთი სანატორიუმი ამპირის სტილშია აშენებული და შიდა აღჭურვილობით თანამედროვე ტექნიკისა და სანიტარული ნორმების ყველა მოთხოვნას პასუხობს. სანატორიუმის ტერასიდან ცხრაწყაროს ქედი და ბორჯომ-ბაკურიანის ხეობის ტყით დაფარული მთები და ალპური ველები მოჩანს.

კლიმატი რბილია და მშრალი. აქ ძლიერი ქარი იშვიათი მოვლენაა და წელიწადში მზიანი დღეების რაოდენობა სჭარბობს.

50-იანი წლების სარეკლამო ღია ბარათიდან თარგმნილი ტექსტი

ჩვენ შეცქეროდით უზარმაზარ სასახლეს, უზარმაზარი სვეტებით, სრულიად მიტოვებულს, სახურავახდილს, დაქცეულს – და უმშვენიერესს. ცენტრალური შესასვლელიდან შევედით – კარის ღიობში გაჩრილ ფიცრებს გადავაცოცდით. სახეში კიდევ უფრო ნესტიანი, ცივი ჰაერი მეცა.

პოეტმა მიამბო, რომ სადღაც, ცხრა მთას იქით, უღრანში, თოვლივით თეთრი სასახლე დგას. სასახლის წინ შადრევანია, სადაც სირინოზი ბანაობს, აივანზე ხეები ამოსულა, გალავანში ბუებს დაუდიათ ბინა – და იქვე თაბაშირის გოგობიჭები იძლევიან პიონერულ სალამს, და კედელზე წერია: „სოციალიზმი და დემოკრატია – ორივე მძლავრი იარაღია, მათი სინთეზი კი – უძლეველი ძალა!“ პოეტმა თქვა, რომ ამ ადგილს ლიბანი ჰქვია და ის მართლა არსებობს. ოღონდ, მართლა – როგორც ჩვენს კარგ ქალაქში იტყვიან ხოლმე.

რას არ იტყვიან ეს პოეტები. რას ჰყვები, ბიჭო?

პოეტმა ამიხსნა, რომ ჯერ, სადღაც, 1890-იანებში, იყო სასახლე – შედარებით პატარა, მერე, 1923-ში, მის გარშემო სანატორიუმი ააშენეს, ძალიან დიდი, იმხელა, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს რვაასი დაჭრილი იქ მკურნალობდა, და ბოლოს, 1988-ში, ეს ყველაფერი დახურეს, მიატოვეს, და დარჩა ნანგრევები, რომლებიც ისეთი ლამაზია, ისეთი ლამაზი...

მოგეხსენებათ, პოეტებს ბევრი არაფერი დაეჯერებათ, მაგრამ ამას ჯერ არ მოვუტყუებივარ, ამიტომ დავუჯერე და ორი კვირის შემდეგ, ალიონზე, მე და ბესო ბორჯომის ავტოსადგურში სანდომიან ტაქსის მძღოლს ვეძებდი, ისეთს, რომ არც გადაგვჩეხავდა და არც ტირილით მოკვდებოდა, ეს სად მომიყვანეთო.

ვიპოვეთ. ცოტა ვივაჭრეთ, ვიყაყანეთ და წავედით.

ჯერ ჩვეულებრივ გზას მივუყვებოდით: ახალი ასფალტი, სადგერის მონასტრიდან მომავალი თავსაფრიანი გოგოები, ჭიშკართან ჩამომსხდარი ბერიქალები... მერე კი, რკინიგზასთან, ზემოთ ავუხვიეთ, და უცებ ყველაფერი შეიცვალა.

გზაზე – ცოტა ხრეში, ცოტა – აყალო მიწა, ირგვლივ – ტყე, ბორჯომის ხეობისთვისაც კი უჩვეულოდ მაღალი ნაძვები... ჟინჟლავდა, ქვემოდან ნისლი მოიზლაზნებოდა და ბესომ მითხრა, რომ ახლა გადაირევა, და მე ვუთხარი, რომ უკვე გადავირიე. გზა სულ უფრო ციცაბო ხდებოდა, ტყე – სულ უფრო ხშირი...

ქვემოთ, ბორჯომში, ჰყვებიან, რომ ყოველთვის ასე იყო: ყველაზე მაღალი, ყველაზე დიდი ნაძვები აქ იზრდებოდა, მაგრამ ნაჯახის კაკუნი ძალიან იშვიათად ისმოდა. არცაა გასაკვირი. ხალხს ახსოვდა, რომ ამ უღრანში შემოსულ ტყისმჭრელს აუცილებლად რამე მარცხი მოსდიოდა ხოლმე: ან ნაჯახის პირი ტარს სძვრებოდა და კაცს აშავებდა, ან მოჭრილი ხე ისე სწრაფად იქცეოდა, რომ გვერდზე გახტომას ვერ ასწრებდნენ და ამხელა გოლიათი ზედ ენარცხებოდათ, და ისიც შეემჩნიათ, რომ ყოველ სახლს, რომლის აშენების დროსაც აქ მოჭრილი მორი გამოუყენებიათ, ხანძარი უჩნდებოდა. საბოლოოდ, ხალხი აქაურობას გაერიდა, და ტყე ისეთი უსიერი გახდა, ისეთი უღრანი, რომ დღისითაც ისე ბნელოდა, როგორც ღამით, და გზააბნეული მგზავრი ცამდე აშოლტილ ნაძვებს შორის შუადღისასაც ვარსკვლავებს ხედავდა. და ასე იყო, სანამ ჩვენი ლიბანური თავგადასავლის მთავარი გმირი, გიორგი ალექსანდრეს ძე რომანოვი არ გამოჩნდებოდა.

ამ ტყეში ყველაფერს ვიჯერებ, ამიტომ მეფისწულ გიორგისა და მშვენიერი ასულის სიყვარულის ამბავიც დავიჯერე – მერე რა, რომ ვისაც რა უნდა, იმას ჰყვება – რა მნიშვნელობა აქვს სიმართლეს, როცა ლეგენდას ვყვებით...

გიორგი ალექსანდრეს ძე რომანოვი მეც ძალიან მომწონს – ლეგენდების მიხედვით; ისე რა კაცი იყო, არ ვიცი და, რაღაც, არც მაინტერესებს. მოკლედ, რაც გააკეთა, ისიც მომწონს, რასაც მასზე ჰყვებიან – კიდევ უფრო, და სინამდვილეში რა ხდებოდა – ეგ რა ჩემი საქმეა.

ჰყვებიან და წერენ, რომ გიორგი სპარტანულად იზრდებოდა – ბარემ ასჯერ მაქვს მოსმენილი, ყოველთვის ალიონზე დგებოდა, ცივ შხაპს იღებდა და საუზმედ ფაფისა და შავი პურის გარდა, არაფერი ღირსებიაო, ოღონდ, ამას ასე ხაზგასმით რატომ მიყვებოდნენ, არ ვიცი. ითვლებოდა, რომ გიორგი ალექსანდრეს ძე ზღვაოსანი იქნებოდა, მაგრამ მერე ავად გახდა – ჭლექი შეეყარა. გადაუწყვეტიათ, ბიჭს მზე და ზღვის ჰაერი არგებსო, და გიორგი და მისი უფროსი ძმა – მომავალში რუსეთის იმპერატორი, ნიკოლოზ II, – სამოგზაუროდ გაუშვეს. წესით, იაპონიაში უნდა ჩასულიყვნენ, მაგრამ გზაში გიორგი ძალიან ცუდად გახდა და სამშობლოში დაბრუნდა.

ქართველები ამაყად ვყვებით, მეფისწულს არჩევანი ჰქონდა – ან შვეიცარია, ან აბასთუმანიო, და მან აბასთუმანი არჩიაო. რაც არ ვიცი, არ ვიცი. ფაქტია, რომ ის აბასთუმანში დასახლდა და იქვე გარდაიცვალა, „ბენზინისძრავიანი ველოსიპედით“ (ციტატაა, რა მანქანაა, დიდად ვერ გავერკვიე), ზეკარის უელტეხილთან. ამის მოწმე ერთი მოლოკანი დედაკაცი ყოფილა, ანა დესაევა – გაზეთები ამას იუწყებოდა და იმიტომ ვახსენე, თორემ რა შუაშია...

იმპერატორის ძმის გარდაცვალების ადგილას ვარდისფერი მარმარილოს სვეტი თუ ჯვარი აღუმართავთ, რომელიც მერე კომუნისტებმა, ცხადია, ააფეთქეს. ბორჯომში ქალი მიყვებოდა, ბალღები იქით დავდიოთ საბანაოდ და სათამაშოდო (ბორჯომიდან აბასთუმანში!), და იმ ვარდისფერი მარმარილოს ნამსხვრევები დღესაც სახლში მაქვსო.

ეს – მეტ-ნაკლებად დასაბუთებული ამბები. დანარჩენში გარკვევა კი, რბილად რომ ვთქვათ, ჭირს. თავად განსაჯეთ:

ჰყვებიან, გიორგი კი იყო იმპერატო-

მე ვიცხოვრებდი ლიბანში. ზაფხულში მზეს მივეფიცხებოდი, შემოდგომაზე სოკოს დავკრეფდი, ზამთარში ღუმელს მივუჯდებოდი და ვიფიქრებდი, რომ მალე გაზაფხული მოვა. ღამით, როგორც თოვლის დედოფალში, სასახლეში სიზმრები იქროლებდნენ, აღარარსებულ პარკში აღარარსებული ლამპიონები აინთებოდა და დიდი ხნის გარდაცვლილი შეყვარებულები შადრევნის წინ ერთმანეთს აკოცებდნენ.

რის ძმა და მზეჭაბუკი – ფოტო გინახავს? ჰა, რა ბიჭია? – მაგრამ სიყვარულში არ უმართლებდაო. ჭლექი და სიკვდილის შიში, როგორც ჩანს, მეტისმეტად დიდი გამოცდაა, მაშინაც კი, როცა მეფისწულზე და მშვენიერ კაცზეა ლაპარაკი.

ერთხელაც გოგო შეუყვარდა, მზეთუნახავი, როგორც ყველა ზღაპარში, რომელსაც არც ჭლექი აშინებდა და არც ბორჯომის ხეობა. მითხრეს, ამ ქალს – ალბათ, გოგოს, თუ მეფისწულ გიორგის ასაკს გავიხსენებთ – გერმანული გვარი ჰქონდაო. ისიც თქვეს, ძალიან ლამაზი იყოო – ცხადია! და მეფისწული გიჟივით უყვარდაო.

ჰყვებიან, რომ ამ არაჩვეულებრივი გოგოსთვის გიორგი რომანოვმა ზემოთ, ტყისპირა ველზე, სადაც გასული საუკუნის დასაწყისში „კუკუშკას“ სადგური იყო და მატარებელი დღესაც რამდენიმე წუთით ჩერდება, თეთრი სასახლე ააშენებინა. რატომ ჰქვია აქაურობას ლიბანი – არ ვიცი. ლიკანი, ლიბანი... მოკლედ, არ ვიცი.

– ესეც ლიბანი! – მოგვახსენა ჩვენმა მძღოლმა.

პლატოზე, პაწაწინა დასახლებაში აღმოვჩნდით. ცრიდა. გზა ატალახებული იყო და მას დინჯად მოუყვებოდნენ ბატები. სახლები მეტწილად ერთსართულიანი იყო, კაპიტალური, მტკიცედ ნაგები. სიჩუმე, ნისლი. დიდი ნაგაზი ჭიშკარს მიადგა და რაღაცნაირად, დელიკატურად დაიყეფა. მეტი – არავინ და არაფერი.

მანქანიდან გადმოვედით და გზას გავუყევით. ბატები გაჩერდნენ და თვალი გაგვაყოლეს. რაღაც ნანგრევთან შევუხვიე და – ბესო!!! პოეტი არ ტყუოდა! სულ მართალი ყოფილა, რაც ხეობაში ვისმინეთ! მართლა ყოფილა ზღაპრული პარკი, დიდი შადრევანი, ხეივნები, სადაც ლამპიონები ჰკიდია და მორთული ქალები ყველაზე მაგარ ბიჭებს ეპრანჭებიან, და მართლა, მართლა ყოფილა ამქვეყნად ლიბანი, თეთრი სასახლე! მართლა!

– ბესო! – ვყვიროდი მე. – ბესო, ნახე, რა ხდება!

კი, ზღაპრული პარკი გაჩანაგებულია – მერე, რა! სამაგიეროდ, რა ლამაზი მდელოა! შადრევნის მკვიდრი, ბრინჯაოს სირინოზი ალბათ სადმე, სტამბულის ბაზარში გაყიდეს – მაგრამ ვინ თქვა, რომ დამშრალ აუზში ამოსული ხეები ნაკლებად ლამაზია? ხეივნები გაჩეხილია – სამაგიეროდ, როგორი ტყეა! ყველაზე დიდი ლამპიონები დღესაც დაჰნათის ლიბანს, და შეყვარებულთა ნაცვლად ბესოს კამერის წინ ცხენი აღმოჩნდა, ძალიან ახალგაზრდა, ლამაზზე ლამაზი ცხენი.

ჩვენ შეცქეროდით უზარმაზარ სასახლეს, უზარმაზარი სვეტებით, სრულიად მიტოვებულს, სახურავახდილს, დაქცეულს – და უმშვენიერესს. ცენტრალური შესასვლელიდან შევედით – კარის ღიობში გაჩრილ ფიცრებს გადავაცოცდით. სახეში კიდევ უფრო ნესტიანი, ცივი ჰაერი მეცა. შესასვლელის ჭერი იმსიმაღლე იყო, რომ თავბრუ დამეხვა. ჭერი მოხატული იყო. ფერგახუნებული ნახატები ჭვარტლს და ჭუჭყს დაეფარა, ნაწილს ზემოდან რაღაც დაუდგენელი მასალის ფილები ჰქონდა მიკრული, მაგრამ მაინც ეტყობოდა, რომ ოდესღაც ძალიან ლამაზი იყო. მე ნამყოფი ვარ ასეთ სადარბაზოში. პიონერთა სასახლე იყო ერთი, ჩემს ბავშვობაში, და იქ – სარკეებიანი დარბაზი. ოღონდ აქ სარკეები აღარ ჩანდა, მხოლოდ ქვის მოაჯირი და მარმარილოს კიბე დარჩენილიყო.

ტალანებში წვიმდა, ცისფერ სამეჯლისო დარბაზში პაწაწინა ნაძვი იზრდებოდა, ჩვენს ფეხქვეშ იატაკი ზოგჯერ ავად გუგუნებდა, ჩვენ კი დავდიოდით, დავდიოდით და თვალებს ვაცეცებდით.

– იქ მუსიკოსები ისხდნენ, ჰო?

ისხდნენ, ისხდნენ და უკრავდნენ კიდეც, ალბათ, დაბინდებისას, ნისლიან საღამოს, როცა მეფისწული ლიკანიდან ლიბანში ამოდიოდა – რაშზე იჯდა, და ლიბანს რომ მოუახლოვდებოდა, უზარმაზარ ფანჯრებში სინათლეს დაინახავდა, და საყვარელი ქალი შეეგებებოდა, და მუსიკოსები ხემებს ასწევდნენ, ფლეიტებს ჩაჰბერავდნენ...

– ველიკიკნიაზი მარტოკა ამოდიოდა, თან ცხენით, თან სიბნელეში, ხომ? ყოჩაღ შენ!

ვიოცნებო, ბესო, რა გენაღვლება...

მერე – უზარმაზარი ვერანდა, ვერანდაზე – ქვის საყვავილეები, საყვავილეებში – ნორჩი ხეები, და ხედი კი...

მე ვიცხოვრებდი ლიბანში. ზაფხულში მზეს მივეფიცხებოდი, შემოდგომაზე სოკოს დავკრეფდი, ზამთარში ღუმელს მივუჯდებოდი და ვიფიქრებდი, რომ მალე გაზაფხული მოვა. ღამით, როგორც თოვლის დედოფალში, სასახლეში სიზმრები იქროლებდნენ, აღარარსებულ პარკში აღარარსებული ლამპიონები აინთებოდა და დიდი ხნის გარდაცვლილი შეყვარებულები შადრევნის წინ ერთმანეთს აკოცებდნენ. მე არაფერზე ვიფიქრებდი და არაფრის შემეშინდებდა და ვიცოცხლებდი ასე, მშვიდად და ბედნიერად, იმიტომ, რომ ლიბანში ყველაზე სუფთა ჰაერი და ყველაზე ანკარა წყალია, და კიდევ იმიტომ, რომ არავინ არაფერს დამპირდებოდა, არაფერს მომთხოვდა და არაფერს მკითხავდა. და მერე, რომ დავბერდებოდი, ისეთივე მშვენიერი ვიქნებოდი, როგორც ჩემი თეთრი სასახლის ნანგრევებია.

ინტროვერსია

ავტორი ლევან ხერხეულიძე

თუკი ამ შავ-თეთრ, გარეგნული ეფექტურობისგან სრულიად დაცლილ სერიას გაჰყვებით, დააკვირდით როგორ შეიძენენ ფოტოები დამატებით განზომილებას. ეს მიტოვებული, გათოშილი სანაპირო ჯერ კიდევ ატარებს ადამიანების კვალს.

როგორი იქნებოდა ეს ასკეტური ადგილები ზაფხულში? ნაცრისფერის მაგივრად – ჭრელი, უკაცრიელის ნაცვლად – სავსე, ქარის ყრუ ზუზუნი ნელ-ნელა დაიკარგება და ხმამაღალ ჟრიამულს გაიგონებთ, სუსხიანი ქარი გაქრება და ცხელი ჰაერი დაგიბერავთ. ეს მკვდარი პეიზაჟები თქვენს წარმოსახვაში, რადიკალური ტრანსფორმაციების ბიძგი გახდება.

ამ მდუმარე და ასკეტურ ფრაგმენტებზე დაკვირვება, რომელიც ფოტოგრაფმა ლანდშაფტს მოსტაცა, სინამდვილეში, იმ ბილიკზე დადგომას ჰგავს, რომელიც საკუთარ თავში მოგზაურობის შესაძლებლობას მოგცემთ.

ნინო ჯაფიაშვილი

SINCE 1884

SARAJISHVILI

სარაჯიშვილი

სტილი

ტენდენცია
ბალენსიაგას გავლენა

კინოკოსტიუმები
დიდი გეტსბი

მოდის ისტორია
თამარა გამსახურდია

ისტორია
დაფნა გინესი – სახიფათო სილამაზე

მომხიბვლელობის ხელოვნება

თამარ ალავიძე

ცხოვრებაში ბევრი რამ ობიექტური სინამდვილის ფარგლებში ხვდება და ისეა, როგორც უნდა იყოს – ჭეშმარიტება, რომელზეც არავინ დავობს: ჯამი ჭურჭელია, თოვლი თეთრია, ჰამბურგერი კი – კალორიული. თუმცა, გაცილებით ბევრი რამ სუბიექტური შეფასების სფეროში გადადის და მუდმივი მსჯელობისა და კამათის საგანს წარმოადგენს. მაგალითად, დღემდე ვერ მიუღწევიათ კონსენსუსისთვის იმ საკითხზე, თუ ვინ არის მსოფლიოს ყველაზე სასურველი ქალი: მონიკა ბელუჩი თუ ანჯელინა ჯოლი; ან თუნდაც სოფი ლორენი უფრო ნიჭიერი მსახიობია, თუ კატრინ დენევი. რამდენჯერ მოგვისმენია მსგავსი თემატიკის დისკუსიები, ვინ მოთვლის.

ამგვარ გარჩევებში არასდროს მიმიღია მონაწილეობა, ამოცანის აბსურდულობის გამო, თუმცა არსებობს თემა, რომელიც ჩემთვის დღემდე ამოუხსნელი რჩება და მოსვენებას არ მაძლევს: რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს სოციალური არსება იმისათვის, რომ „Fashion Icon"-ად იწოდებოდეს?!

ჩვენს საუკუნეში „Fashion Icon"-ობა ძალიან „გაიაფდა". გასულ ასწლეულში ამ ტიტულს თითო-ოროლა გამორჩეული სტილის მქონე ადამიანი ფლობდა: ოდრი ჰეფბერნი, ჯოან კროუფორდი, პრინცესა დიანა, ჯეკი კენედი. მაშინ ამ სტატუსს მოპოვება და გაფრთხილება სჭირდებოდა. ახლა ყველაფერი შეიცვალა და ხშირ შემთხვევაში, მოდის ტენდენციების ზედმიწევნით დაცვა და/ან ძვირადღირებული ბრენდების ტარებაც კი საკმარისია იმისთვის, რომ Fashion Icon-ად გაღიარონ. სამწუხაროდ. შედეგად კი საკულტო სტილის მქონე ქალბატონებად, რომელთაც ძალიან ხშირად იხილავთ ყველაზე გემოვნებით ჩაცმული ქალბატონების სიის სათავეშიც, ამერიკელი მსახიობ-დიზაინერი დები ოლსენები, ლეიდი გაგა და კიმ კარდაშიანი მოგვევლინნენ. „Fashion Icon"-ის სხვა აუცილებელმა თვისებებმა კი – თანდაყოლილმა ელეგანტურობამ, სტილის შეგრძნებამ და გარემოსადმი ადეკვატურობამ ამ ეტაპზე მნიშვნელობა დაკარგა.

ერთი შეხედვით, ეპატაჟურად და არაადეკვატურად მოგეჩვენებათ დაფნა გინესიც – ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული სტილის მქონე ბრიტანელი არისტოკრატი. თუმცა, მისი ისტორიის წაკითხვის შემდეგ მიხვდებით, რომ გინესისთვის დამახასიათებელი „არაამქვეყნიური" ჩაცმულობა მისი რომანტიკული და არტისტული ბუნების ორგანული გამოვლინებაა – უზომოდ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები, სხვადასხვა ფერად შეღებილი თმა თუ ჩინეთის იმპერატორის სამოსის ტარება, მისი ემოციებისა და შეგრძნებების გარეგანი გამოხატულებაა მხოლოდ და ეპატაჟი არაფერ შუაშია.

ასევე ორგანულად ჰქონდა გათავისებული ჯეი გეტსბის პერსონაჟი და 1920-იანი წლების მთავარი განწყობები რალფ ლორენსაც. ამიტომაც 1974 წელს, „დიდი გეტსბისთვის" მის მიერ შექმნილი კინოკოსტიუმები დღემდე ითვლება კლასიკად. ჯეი გეტსბის მსგავსად, მოკრძალებული მატერიალური შეძლების მქონე, დაბალი სოციალური ფენიდან გამოსულმა ლორენმა შეძლო, ყველასათვის სასურველი და საოცნებო სამყარო შეექმნა. მისი ბრენდი, რომელიც ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს დარჩება ისტორიაში, „ჯაზის ეპოქის" და „American Lifestyle"-ის კლასიკური განსახიერებაა.

ლორენის მსგავსად, მუდამ ხელშესახები იქნება მოდის ისტორიაში კრისტობალ ბალენსიაგას მიერ დატოვებული კვალი, მისი იდეალურად სტრუქტურირებული თარგები და მოლივლივე სილუეტის საკულტო კაბები. ხოლო, როცა უნაკლო სილუეტის მისაღწევად კაუჩუკით გაწყობილ კორსეტზე ჩამოვარდება სიტყვა, იცოდეთ, რომ ის მარლენ დიტრიხისთვის ქართველმა ბალერინამ თამარა გამსახურდიამ შექმნა.

ყოველი წელი ისტორიის ახალ ფურცელს ქმნის. მოდის ისტორიის წიგნში 2011 წელიც თავის ჩანაწერს გააკეთებს იმ მოვლენებისა და ადამიანების დამსახურებით, რომელთაც ფოტოისტორიის სახით გთავაზობთ „ცხელი შოკოლადის" ამ ნომერში.

ბედნიერ შობა-ახალ წელს გისურვებთ!

HUGO
HUGO BOSS
IT'S YOUR TURN
HUGO JUST DIFFERENT
THE NEW FRAGRANCE FOR MEN
FEATURING JARED LETO
hugo.com shop online hugoboss.com



ბალენსიაგას გავლენა

დაიანა ვრილანდს არაერთხელ უთქვამს: თუ კი **Balenciaga**-ს კაბა გეცმება, ოთახში ერთადერთი ქალი იქნები და შენს გარდა სხვა ქალი არ იარსებებს. წარმოშობით ესპანელი დიზაინერი კრისტობალ ბალენსიაგა მეოცე საუკუნის იმ ერთეულ დიზაინერთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც მოდის ისტორიაში ხელშესახები კვალი დატოვეს. ბალენსიაგაზე საუბრისას, ყველაზე ხშირად მის უნაკლო კონსტრუქციას, იდეალურ ტექნიკასა და ზოგადად, მისი ნამუშევრებისათვის დამახასიათებელ პერფექციონიზმს ახსენებენ. მან ქალებს კრისტიან დიორის **New Look**-ისთვის დამახასიათებელი ქვიშის საათის სილუეტისაგან განსხვავებული, მომრგვალებული, განიერ მკლავებიანი პალტოები და ქურთუკები და ე.წ. „ბუშტის ფორმის“ (**Baloon skirts**) ქვედაბოლოები და კაბები შესთავაზა.

მის დიზაინს, დეკადისა და სეზონის მიუხედავად, არასდროს დაუკარგავს აქტუალობა და არც 2011 წლის შემოდგომა-ზამთრის სეზონი აღმოჩნდა გამონაკლისი: არაერთმა მოდის სახლმა მიაგო პატივი მოდის ლეგენდარულ არქიტექტორს (როგორც მას კრისტიან დიორი უწოდებდა ხშირად), ინდივიდუალური ინტერპრეტაციებით და ახლებური ვარიაციებით.

1

2

3

4

1. **CRISTOBAL BALENCIAGA**
   წითელი, აბრეშუმის საღამოს კაბა, 1953-54 წლები
2. **HUSSEIN CHALAYAN**
   შემოდგომა/ზამთარი, 2011-12; **CRISTOBAL BALENCIAGA** – აბრეშუმის ორნაჭრიანი კაბა, 1965-66
3. **CRISTOBAL BALENCIAGA** აბრეშუმის ბლუზა, 1960-იანი წლები; **PRADA** – შემოდგომა/ზამთარი, 2011-12
4. **BURBERRY PRORSUM**
   შემოდგომა/ზამთარი, 2011-12
5. კრისტობალ ბალენსიაგა
6. **JIL SANDER**
   შემოდგომა/ზამთარი, 2011-12
7. **VICTORIA BECKHAM**
   შემოდგომა/ზამთარი, 2011-12
8. **CRISTOBAL BALENCIAGA**
   Cocoon, 1957 წელი - 7/8 სიგრძის მკლავის დამსახურებით ქალის მაჯა უფრო ნაზი და თხელი ჩანს, ქურთუკის ზურგზე წელის ხაზის დაბლა დაწევით კი სიმრგვალის ხაზგასმა ხდება
9. **CRISTOBAL BALENCIAGA**
   Colette, 1950 -იანი წლები

6

7



5

8



9

რობერტ რედფორდი ფილმში „დიდი გეტსბი"

დიდი გეტსბი

რალფ ლორენის „დიდი გეტსბი" – 1974-2012

ავტორი თამარ ალავიძე

1974 წელს რეჟისორ ჯეკ კლეიტონის ფილმის „დიდი გეტსბი"-ს ეკრანზე გამოსვლას მაყურებელი განსაკუთრებულად ელოდა. მოლოდინს იმ ცნობილი ადამიანების სახელები ამძაფრებდა, რომლებიც „დიდ გეტსბიზე" სამუშაოდ კლეიტონმა მიიწვია. ფილმის სცენარის თავდაპირველი ავტორი ტრუმან კაპოტე იყო, რომელიც შემდგომ ეტაპზე ფრენსის ფორდ კოპოლამ ჩაანაცვლა, ზოგიერთი ეპიზოდი კი ვლადიმირ ნაბოკოვმა და ფილიპ როტმა გადააკეთეს.

საბოლოოდ, დიდ პრემიერას აღფრთოვანება არ მოჰყოლია. კინოკრიტიკოსთა სოლიდურმა ნაწილმა სკოტ ფიცჯერალდის ნოველის ეკრანიზაციის შესაფასებლად მხოლოდ „ნელთბილი" სიტყვები გაიმეტა, დანარჩენებმა კი ნეგატიურად შეაფასეს ფილმი. ისინი არ უარყოფდნენ იმ ფაქტს, რომ ჯეკ კლეიტონის ნამუშევარი ნოველის წარმატებული ინტერპრეტაცია იყო დადგმისა და მსახიობთა თამაშის მხრივ, თუმცა ფიქრობდნენ, რომ „დიდი გეტსბი" მთელი სისავსით მაინც ვერ გადმოსცემდა „ჯაზის ეპოქის" მთავარ განწყობასა და ემოციებს.

ერთადერთი, რაც კინოკრიტიკოსებმაც და მაყურებელმაც ერთხმად აღიარეს, „დიდი გეტსბის" კინოკოსტიუმები იყო. ბერძენ-ამერიკელი, სცენისა და კინოს კოსტიუმების დიზაინერის, თეონი ალდრიჯის მიერ გაწეულმა შრომამ ფილმს ამერიკის კინოაკადემიის და BAFTA-ს (კინოსა და სატელევიზიო ხელოვნების ბრიტანული აკადემია) ჯილდოები მოუტანა. თუმცა, ალდრიჯის გარდა, დიდი წვლილი ამ წარმატებაში ერთ, მაშინ ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილ ამერიკელ დიზაინერს მიუძღოდა, რომელიც, ჯეი გეტსბის მსგავსად, „ამერიკული ოცნების" განსახიერება გახდა – ფიცჯერალდის რომანის მთავარი გმირივით, ამ დიზაინერმაც თავად შექმნა საკუთარი თავი.

ბრონქსში, რუსი ებრაელი ემიგრანტების ოჯახში გაზრდილი რალფ ლიფშიცი (შემდგომ უკვე რალფ ლორენი) ამერიკული მოდის ისტორიაში სამუდამოდ დარჩება დიზაინერად, რომელმაც დახვეწილი არისტოკრატული გემოვნების სამყარო შექმნა. ასე, უბრალოდ – მან ეს სამყარო გამოიგონა. საბოლოო ჯამში, ლორენის ბრენდის წარმატების გარანტი მისი განსაკუთრებული მარკეტინგული ალღო და ხარისხიანი სამოსი გახდა.

Ralph Lauren-მა თავის მაღაზიებს თავიდანვე შეუქმნა უნიკალური კონცეფცია – ისინი „ფილმის გადასაღებ მოედანს მოგაგონებდათ, მისი სარეკლამო კამპანიები (მათ გადაღებას ბრიუს ვებერი უზრუნველყოფდა) კი იმ ფილმების ნაწყვეტები იყო, რომლებიც არასდროს გადაღებულა". კინოთი დიზაინერის ასეთი გატაცების გამო, არავის გაკვირვებია, როდესაც

რალფ ლორენი, 1970-იანი წლები

რობერტ რედფორდი და მია ფაროუ ფილმში „დიდი გეტსბი"

RALPH LAUREN – გაზაფხული-ზაფხული 2012

„დიდი გეტსბის" ახალი ეკრანიზაციის გადასაღებ მოედანზე

რალფ ლორენს „დიდი გეტსბის" კოსტიუმებზე მუშაობა შესთავაზეს.

„დიდი გეტსბი" პირველი მნიშვნელოვანი წარმატება იყო ახალგაზრდა დიზაინერისათვის. მიუხედავად იმისა, რომ 1970-იან წლებში 1920-იანების ეპოქის სამოსი დრომოჭმულად და მოძველებულად ითვლებოდა, ფილმის გამოსვლამ საზოგადოებაში ვინტაჟისადმი ლტოლვა გააჩინა: მია ფეროუს (რომელიც ფილმში დეიზი ბიუკენენს განასახიერებს) ირიბად აჭრილი თარგის კეკლუცი კაბები მოდის მიმდევარი ქალებისათვის გარდერობის განუყოფელ ატრიბუტად გადაიქცა, რობერტ რედფორდის (რომელიც ჯეი გეტსბის როლს თამაშობს) საკულტო, თეთრი კოსტიუმი კი ამერიკის ელიტარული წრეების მამაკაცებმა ყველაზე მოდურ ანსამბლად აქციეს; მათ შორის ყველაზე გაბედულებმა კი ჯეი გეტსბის ღია ვარდისფერში გადაწყვეტილი კოსტიუმიც მოიხდინეს.

ფილმში მოქმედება „ჯაზის ეპოქის" ამერიკაში ხდება და შესაბამისად, კოსტიუმებიც 1920-იანი წლების ძირითადი განწყობებისა და სილუეტების გამოძახილია. პასტელის ტონები, კლოშის (Cloche) ტიპის თავსაბურავები, სირაქლემას ბუმბულით გაწყობილი საღამოს კაბები – სამოსი, რომელიც ექსკლუზიურად ფუფუნებაში მცხოვრებ ამერიკელ ქალებს ეცვათ – მომდევნო წლებში არაერთი დიზაინერისათვის იქცა ინსპირაციად.

და აი, ორმოცი წლის შემდეგ სკოტ ფიცჯერალდის ცნობილ რომანსა და ლონგ აილენდის ჩრდილოეთ სანაპიროზე გაშენებულ ფეშენებელურ დასახლებას რალფ ლორენი ისევ დაუბრუნდა. კოლექციას, რომელიც დიზაინერმა 2012 წლის გაზაფხული-ზაფხულისთვის შექმნა, მოდის კრიტიკოსებმა სწორედ ასეთი შეფასება მისცეს: „ძალიან გეტსბური". ეს იმას ნიშნავდა, რომ ლორენის კოსტიუმები მთლიანად 1920-იანი წლების რომანტიკული, ელეგანტური და დელიკატური სტილით იყო შთაგონებული.

„დიდი გეტსბის" ეს „გახსენება" საკმაოდ დროულიც აღმოჩნდა იმის გათვალისწინებით, რომ რეჟისორი ბაზ ლურმანი ფიცჯერალდის ნოველის ახალ ეკრანიზაციაზე მუშაობს. ფილმის პრემიერა 2012 წლის ნოემბრისთვის არის დაგეგმილი. ფილმის ახალ ვერსიაში ჯეი გეტსბის როლს ლეონარდო დი კაპრიო შეასრულებს, რედფორდის ნაცვლად, მია ფეროუს მიერ შექმნილ დეიზის პერსონაჟს კი ამჯერად ბრიტანელი მსახიობი, ქერი მალიგანი განასახიერებს.

ბაზ ლურმანის „დიდ გეტსბიში" ახალი ავტორი ეყოლება კოსტიუმებსაც. „ჯაზის ეპოქის" რომანტიკულ განწყობას პერსონაჟთა ჩაცმულობაში ახლა რეჟისორის დიზაინერი მეუღლე, ქეთრინ მარტინი გააცოცხლებს.

EXCLUSIVELY IN BEAUTY SALONS
L'ORÉAL PARIS
PROFESSIONNEL
ALDO COPPOLA
41, Abashidze Str.
Tel.: 2 251053
ANASTASIA
37, Pekini Str.
Tel.: 8579907406
ARTE
9-a, Napareuli Str.
Tel.: 2 252642
CHACHAVA CLINIC
Esthetic Medical Center
38, Kostava Str.
Tel.: 2 953311
ELITE
1, Berdzenishvili Str.
Tel.: 2 231810
EXCELLENCE
88,Paliashvili Str.
Tel.: 2 232584
FRANCK PROVOST
28, Pekini Str.
Tel.: 2 386068
LADY SHARM
56, Abashidze Str.
Tel.: 2 252675
MELANGE
72, Paliashvili Str.
Tel.: 2 235452
NELLIE BLY
58, Paliashvili Str.
Tel.: 2 231564
N&N FASHION STORE
4, Besiki Str.
Tel.: 555 660000
RENAISSANCE
37, Abashidze Str.
Tel.: 2 915914
VISAGE
98, Paliashvili Str.
Tel.: 2 912420
VART BEAUTY
39-a, Paliashvili Str.
Tel.: 2 183688

BEFORE THERE WAS HAIRCOLOUR, NOW THERE IS

INOA

- არავითარი სუნი. არავითარი ამიაკი.
- თავის ტანის მაქსიმალური ტომფორტი.
- ოპტიმალურად დაცული შეღებვა.
- უსაზღვროდ ძლიერი ფერი. შეუდარებელი ბზინვარება.
- ჭაღარის 100% შეღებვა.

ტექნოლოგია ODS (პიგმენტის ზეთით მიწოდების სისტემა): ტრადიციულ მდგრად შეღებვასთან შედარებით, ინოვაციური ზეთოვანი საფუძველი ოპტიმიზირებს შეღებვის სისტემის ეფექტიანობას და უზრუნველყოფს ლიპიდების ორჯერ უკეთეს დაცვას, რომელიც მდებარეობს თმის დაცვის ბუნებრივ ფენაში **

*არ არღვევს თმის სასიცოცხლოდ აუცილებელ ბუნებრივ ამინომჟავურ და ლიპიდურ ბალანსს.
**არ არღვევს თმის ბუნებრივ დამცავ ფენას 1-დან 5- ჯერამდე შეღებვის შემდეგ.

ფოტო: საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ფოტოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ბიბლიოთეკა

თამარა გამსახურდია

მარლენ დიტრიხი თამარა გამსახურდიას შექმნილ კორსეტში

თამარა გამსახურდია

მარლენ დიტრიხს ახლო მეგობრები არ ჰყავდა. გამონაკლისად მისთვის თამარა გამსახურდია იქცა. წარსულში ბალერინა, გამსახურდია წლების განმავლობაში მარლენისათვის ყველაზე ახლო ადამიანი იყო, ყველა თვალსაზრისით. ეს მეგობრობა გამსახურდიას ხელოვნების წყალობით შედგა, რომელმაც მარლენისათვის კაუჩუკის ფირფიტების დახმარებით ორიგინალური კორსეტი მოიგონა, რაც კინოვარსკვლავის სხეულს ღვთაებრივ ელფერს სძენდა.

ქართველი მეგობრის, თამარა გამსახურდიას კორსეტი ემოსა მარლენს, როდესაც 1963 წელს, ის, მოსკოვის და სანკტ-პეტერბურგის საზოგადოების წინაშე წარსდგა. საბჭოთა კავშირში გამგზავრებამდე, მარლენმა თამარას სთხოვა, რომელიმე თანამედროვე საბჭოთა მწერლის წიგნი მიეცა მისთვის წასაკითხად. გამსახურდიას კონსტანტინ პაუსტოვსკის ნაწარმოებები უყვარდა და შესაბამისად, დიტრიხსაც მისი წიგნი მისცა. პაუსტოვსკის დიტრიხზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ, მოსკოვში ჩასულმა, მწერალთან შეხვედრა მოითხოვა, შეხვედრისას კი მის წინაშე მუხლებზე დაეშვა.

ლეგენდარული მსახიობის გარდა, გამსახურდიას სხვა ცნობილი კლიენტებიც ჰყავდა: ამერიკის შეერთებული შტატების პირველ ქალბატონს, ჟაკლინ კენედის, სათანადოდ შეუფასებია ყოფილი მოცეკვავის ხელობა. დღემდე შემონახულია გამსახურდიასთვის გაგზავნილი ჯეკის წერილი, რომელშიც ის მადლობას უხდის თამარას.

თავის დროზე ქალბატონმა თამარმა მოცეკვავის ამპლუაშიც მოიპოვა აღიარება. 1917 წელს მან საგანგებოდ მოწვეული მატილდა ქშესინსკაია შეცვალა ზიმინის ოპერაში. მოგვიანებით, გამსახურდიამ კონტრაქტი გააფორმა ოპერასთან პრიმა-ბალერინას სტატუსით. დადგმები მისი მონაწილეობით ძალიან პოპულარული იყო, კრიტიკოსები რეცენზიებში აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. მსახიობი მიხაილ ჟაროვი, რომლის სამსახიობო კარიერაც სწორედ ზიმინის თეატრში დაიწყო, თავის მემუარებში იხსენებს 1917 წლის გასტროლებს, სადაც სწორედ თამარა გამსახურდიას გამოსვლები წარმოადგენდა საღამოების გვირგვინს. თუმცა, ფინანსური წარმატება მსახიობს ამ ყოველივემ მაინც არ მოუტანა და უკან დასაბრუნებლად ბილეთის ფულიც თამარასთვის მამას მიუცია, რომელიც სარატოვში საცირკო ანტერპრიზას განაგებდა. უფროსი გამსახურდია თამარას საბალეტო კარიერას ენთუზიაზმის გარეშე ეკიდებოდა და ოცნებობდა, ქალიშვილი საკუთარ საცირკო არენაზე ეხილა.

ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, გამსახურდია საცხოვრებლად რამდენიმე წლით თბილისში გადავიდა. 1920-1923 წლებში თბილისში ფუნქციონირებდა საბალეტო სტუდია, რომელსაც ანა პავლოვას პარტნიორი, მიხაილ მორდკინი ხელმძღვანელობდა. გამსახურდია მონაწილეობდა მის დადგმებში „კარნავალი“ და „ჟიზელი“.

მიხაილ მორდკინმა მისი საბალეტო დასის მოცეკვავეებისათვის საგანგებო ფოტოსესია მოაწყო. მოცეკვავეთა ფოტოები სპექტაკლების სარეკლამო ანონსის სახით, თბილისის ქუჩებში ვრცელდებოდა.

შესაძლოა, სწორედაც, მორდკინის რეკომენდაციას უნდა უმადლოდეს თამარა გამსახურდია თვით ანა პავლოვას დასში მიწვევას. მათი შეხვედრა 1930 წელს შედგა – მაშინ გამსახურდია უკვე ბერლინში ცხოვრობდა. სამწუხაროდ, პავლოვას გარდაცვალების გამო, მათი თანამშრომლობა შეწყდა.

სამსახურთან დაკავშირებული წარუმატებლობების გამო, გამსახურდიამ საკუთარი საბალეტო სტუდიის გახსნა გადაწყვიტა. სტუდიის ქირისათვის აუცილებელი თანხა რომ შეეგროვებინა, თამარამ „ლორ ბელენის“ მოდის სახლში დაიწყო მუშაობა, რომელიც რუს ემიგრანტ ქალბატონ ბეილინას ეკუთვნოდა. ქართველ მოცეკვავეს ეკუთვნის სპეციალური ბიუსჰალტერის შექმნის იდეა, რომელსაც ქალები სპორტისა და ცხენოსნობის დროს გამოიყენებდნენ. ამავე დროს დაიწყო მან კორსეტების სრულყოფაზე მუშაობაც.

შეკვეთების რაოდენობა ყოველდღიურად იზრდებოდა. კლიენტები ქალები იყვნენ – რეზინისა და ელასტიური ქსოვილების გამოყენებით, მათი სხეული სრულყოფილ ფორმებს ყოველგვარი დიეტების გარეშე აღწევდა. შედეგად, თამარა გამსახურდიამ უარი თქვა საბალეტო სტუდიის გახსნაზე და თავი სრულად მიუძღვნა მოდას.

პირველად დაიბეჭდა იგორ ობოლენსკის
წიგნში „Судьба Красоты“
www.igorobolensky.com

კლინიკა „კარაპს მედლაინი“

ჭავჭავაძის გამზ. № 5
222 4417; 222 5769; 577 22 99 22

DR. საშა TEAM

საშა კალანტაროვი

კოტე მათითაშვილი

საბერძნეთში, კუნძულ ლესბოსზე ერთი ჩანჩქერია, კლაპადოსი ჰქვია. უძველესი მითის თანახმად, ვინც ამ ჩანჩქერში განიბანება, სრულყოფილ სილამაზეს მიაღწევს. ჩანჩქერამდე საცალფეხო ბილიკი მიდის. შეიძლება, გზა აგებნათ ან ხრამში გადაიჩეხოთ, ამიტომაც სჯობს, მითოლოგიური ადგილების ძებნის ნაცვლად, ჭავჭავაძის გამზირის 5 ნომერში მდებარე კლინიკა „Caraps Medline“-ს მიმართოთ, სადაც ყოველგვარი მისტიკის გარეშე თქვენს სურვილს, გახდეთ უკეთესი ან გაახალგაზრდავდეთ, აუცილებლად აასრულებენ.

„Caraps Medline“ უკვე ათ წელზე მეტია, რაც პაციენტებს ესთეტიკურ და რეკონსტრუქციულ-პლასტიკურ ქირურგიას სთავაზობს: ცხვირის ფორმის კორექცია-რინოპლასტიკა, აბდომინოპლასტიკა (მუცლის პლასტიკა), სახის გაახალგაზრდავება, ქუთუთოებისა და ტუჩების პლასტიკა, სხეულის კონტურული პლასტიკა, ლიპოსკულპტურა – კონტურული დეფორმაციების შევსება სხეულის სხვა მიდამოდან ამოღებული ცხიმოვანი ქსოვილით, ლიპოსაქცია, რაც 1-დან 8 ლიტრამდე ცხიმოვანი ქსოვილის მოცილებას გულისხმობს; აგრეთვე, კეთდება მკერდის რეკონსტრუქცია (მოკვეთილი მკერდის აღდგენა), კიდურების რეკონსტრუქცია და ცხვირის რეკონსტრუქცია. “Caraps Medline”-ის პლასტიკური ქირურგი ალექსანდრე კალანტაროვი განმარტავს, რომ არ არსებობს ნაოპერაციები ცხვირის ისეთი დეფორმაცია, რისი გამოსწორებაც შეუძლებელია. კომპიუტერული მოდელირების დროს პაციენტი თავად არჩევს ცხვირის ფორმას და შესაბამისად, სასურველი შედეგის მიღებაც გარანტირებული აქვს.

პლასტიკური ქირურგია მედიცინის ის დარგია, რომელიც ყველაზე სწრაფად ვითარდება. „Caraps Medline“-ის პლასტიკური ქირურგები ალექსანდრე კალანტაროვი და კოტე მათითაშვილი მსოფლიო განვითარების ტემპს ფეხდაფეხ მისდევენ და პლასტიკურ ოპერაციებს უახლესი მეთოდებით ატარებენ. მსოფლიო ნოვაცია, სახის ენდოსკოპიური დაჭიმვა განაკვეთების გარეშე „Caraps Medline“-ში KARL STORZ-ის ფირმის აპარატით ხორციელდება და პაციენტის კანს 10-15 წლის წინანდელ იერს უბრუნებს.

არსებობს გავრცელებული სტერეოტიპი იმის შესახებ, რომ ყველაზე სრულყოფილი ბუნებრივი სილამაზეა, თუმცა მსოფლიო პრაქტიკა საპირისპიროს ამტკიცებს. პლანეტის ყველაზე ლამაზი ქალების ტოპ-ათეულების თუ ტოპ-ასეულების პირველ პოზიციებს სწორედ პლასტიკური ქირურგიის შედეგად სრულყოფილი ქალები იკავებენ.

Matassi



მატასის სიმეტრიული ასიმეტრია

ახალგაზრდა დიზაინერი მატასი კარიერაში მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას ახლა იწყებს. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ მხოლოდ 21 წლისაა, მატა ცერცვაძის მიერ უჩვეული დიზაინითა და საკმაოდ რთული ტექნიკით შექმნილი 5 კოსტიუმი Tbilisi Fashion Week-ის New Comer-ებში იყო წარმოდგენილი. კოლექცია, სახელწოდებით "Assymetry", მისი სადიპლომო ნამუშევარია, რომელიც თბილისის სამხატვრო აკადემიის დიზაინის ფაკულტეტის მოდელირების კურსის დასრულებისას შექმნა. ძიების პროცესში ერთდროულად რამდენიმე ხაზზე მუშაობდა, თუმცა, ბოლოს თანამედროვე არქიტექტურით შთაგონებულმა, სამოსის შტრიხები ასიმეტრიულ ფორმებში გამოსახა. ფორმას მის კოლექციაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, თუმცა არანაკლებ ყურადღებას აქცევს დეტალებს. მისი თქმით, კოსტიუმის ასიმეტრიული თარგი სულაც არ ქმნის დისკომფორტს, პირიქით, მთლიანადაა მორგებული ქალის სხეულზე. მისი შექმნილი სამოსი უცნაურია, გამორჩეული, მაგრამ სატარებლად მოსახერხებელი. ასიმეტრიაზე მუშაობის პროცესში, იმის გამო, რომ ვერ იშოვა სასურველი ქსოვილი, თვითონ მოუხდა ფაქტურის შექმნა და გამოუვიდა კიდეც.

მატა სტილს ცალკე აღებულს არასოდეს განიხილავს. მისი აზრით, არქიტექტურა, ფერწერა, ფოტოგრაფია, მოდა ერთმანეთის განუყოფელი ნაწილია. თითოეული ცალ-ცალკე დამოუკიდებელი ხელოვნება და ამავე დროს ერთი მთლიანობაა. სწორედ ამიტომ, ტანსაცმლის დიზაინის პარალელურად, სერიოზულადაა დაინტერესებული ფერწერითა და ფოტოგრაფიით. 19 წლის იყო, როცა საერთაშორისო კონკურსში გამარჯვების შემდეგ მის მიერ გადაღებული ფოტო, International-Heritage Photographic Experience-ში დაიბეჭდა, რომელიც სტრასბურგში გამოიცა. ბავშობიდან მოყოლებული დღემდე ხატავს და მონაწილეობას იღებს ჯგუფურ გამოფენებში. მისი ფერწერული ტილოები ძირითადად აკვარელში, გუაშში და აკრილშია შესრულებული. 2010 წელს მატა იტალიაში ჩატარებული ვორქშოფის Ethical Fashion Design: Items, Ideas, Concepts-ის მონაწილე იყო. ფლორენციის აკადემიაში წარდგენილი თემის NO WAR-ის პრეზენტაცია თბილისის Event Hall-ში გაიმართა. აღსანიშნავია ისიც, რომ 4 წლის განმავლობაში მატასი პრეზიდენტის სტიპენდიანტი გახლდათ.

ის ყოველთვის დიდ მოთხოვნებს უყენებს საკუთარ თავს და მუდმივად სიახლეებისკენ მიილტვის. ჰუბერ დე ჟივანშიმ ერთხელ თქვა, რომ თუ კლასიკა კარგად არ ისწავლე, ავანგარდამდე ვერ მიხვალო. სწორედ ამიტომ, მატასი სწავლის გაგრძელებას „Saint Martin"-ში აპირებს, რადგან თვლის, რომ დიზაინში უკეთესად ვერსად დახელოვნდება.

სახიფათო სილამაზე
დაფნა გინესი და მომხიბვლელობის ხელოვნება

ავტორი რებეკა მიდი
ინგლისურიდან თარგმნა თამარ ალავიძემ
პირველად დაიბეჭდა **New Yorker**-ის 2011 წლის 26 სექტემბრის ნომერში

მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმში დიზაინერ ალექსანდრ მაკქვინის შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენა ხუთასი ათასზე მეტმა დამთვალიერებელმა მოინახულა. მათგან, ალბათ, ერთეულები თუ იცნობდნენ წარმოდგენილ ნამუშევრებს ისე ახლოს, როგორც დაფნა გინესი. ის მაკქვინის ახლო მეგობარი და იმავდროულად, მისი შემოქმედების მხურვალე გულშემატკივარი იყო, თუმცა, როცა საქმე მის გამოკვეთილად თეატრალურ კოსტიუმებს ეხება, გინესი ხაზს უსვამს ხოლმე მათ პრაქტიკულ მხარესაც: „ეს კაბები ძალიან რთული მოსავლელია, ორთქლით სჭირდება გაწმენდა“, – აღნიშნა ივლისის ერთ დილას, მუზეუმში მისულმა გინესმა, როცა გრძელი, იატაკამდე დაშვებული კოსტიუმის წინ შეჩერდა, რომელსაც მთლიანად ხოხბის ბუმბულებით დაფარული ქვედაბოლო ახლდა.

43 წლის გინესს, რომელსაც ბავშვურად დაუსრულებელი ტანი აქვს, იმ დილით McQueen-ი ეცვა: ზედმიწევნით გახამებული და ტანზე მჭიდროდ მომდგარი ბამბის თეთრი პერანგი და მასზე შემოხვეული შალის მოკლე, შავი წინსაფარი; პერანგის უჩვეულოდ გრძელი მკლავები იდაყვებამდე ჰქონდა აკეცილი, მაღალ საყელოზე კი ლურჯი ხავერდის ბაფთა ეკეთა ბრილიანტის ბროშით. თავზე მოვერცხლისფრო-ნაცრისფერი შარფი ჰქონდა შემოხვეული, შარფს ქვეშიდან კი ალაგ-ალაგ მოუჩანდა წინ ხორბლისფრად, უკან კი მუქ ყავისფრად შეღებილი თმა. მარცხენა ხელზე ორი თითი ვერცხლის თხელი ფირფიტებით ჰქონდა დაფარული – ისეთით, რომ გეგონებოდა, ეს ფირფიტები მეტროპოლიტენის მუზეუმის საჭურვლისა და ჯავშნის განყოფილებიდანაა მოპარულიო. ფეხზე თეთრი ფერის ბადე-კოლგოტები და ინდივიდუალური შეკვეთით დამზადებული, Mary Janes-ის ტიპის მბზინავი ფეხსაცმელი ეცვა. ფეხსაცმელს ქუსლი საერთოდ არ ჰქონდა და გამოდიოდა, რომ დაფნა გინესი სიარულის დროს ეყრდნობოდა მხოლოდ ფეხსაცმლის ცხვირის ქვეშ დამაგრებულ შვიდსანტიმეტრიან პლატფორმას, რის გამოც საგამოფენო დარბაზებში ძალაუნებურად ბალერინასავით თითის წვერებზე მოძრაობდა. მთელი ამ აღკაზმულობის გამო, ეს 43 წლის ქალბატონი თვითონ ჰგავდა გალერეაში გამოფენილ ხელოვნების ექსპონატს.

გინესი მაკქვინის შოუზე გამოფენილი კოსტიუმების დიდი ნაწილის ასლებს ფლობს. მაგალითად, მას აქვს ტალღებად ასხმული, აბრეშუმის შავი მოსასხა-

მი, ოლონდ, როგორც თვითონ ამბობს, „ულესავით ფამფალა“ ქსოვილით შეკერილი. მაკქვინმა პირადად გინესისთვის შეკერა სულ მცირე ექვსი „კატის კოსტიუმიც“ – მინის მძივებით გაწყობილი, ტანზე მომდგარი, ხორცისფერი აბრეშუმის ბადე-ქსოვილისგან შეკერილი სამოსი, რომელიც ერთი მხრივ, კორსეტსაც ჰგავს და თან ასოციაციურად ამფიბიებთანაც მიყავხარ. „ერთხელ მაკქვინმა მითხრა კიდეც, – იხსენებს გინესი, – კი მაგრამ, კატის რამდენი კოსტიუმი უნდა შეგიკეროო; ვიცი, რომ ცოტა სიგიჟეა, ეს კოსტიუმები გიყვარდეს, მაგრამ ძალიან მიყვარს და რა ვქნა!“ – უპასუხა მან.

მაკქვინის გამოფენაზე მისული გინესი ერთ ხანს რამდენიმე ფენად აცმული, გამჭვირვალე აბრეშუმის გრძელი საღამოს კაბის თვალიერებით გაერთო, რომელიც მაკქვინის კოლექცია „Widows of Culloden“-იდან („კულოდენის ქვრივები“) იყო. ეს კაბა 2006 წელს, კოლექციის ჩვენებისას, მაკქვინმა მოდელს კი არ ჩააცვა, ჰოლოგრაფიული პროექციით შექმნილ ქეით მოსის ფიგურას მოარგო. იგივე ტრიუკი გაიმეორეს 2011-შიც, მაქკვინის გამოფენის მომზადებისას, მეტროპოლიტენ მუზეუმშიც. „ახლახან მის ქორწილს დავესწარი, – აღნიშნა გინესმა ქეით მოსის მოჩვენებისეულ სხეულზე თვალის შევლებისას – დიდხანს არ დავრჩენილვარ. ზუსტად მაშინ მომინდა წამოსვლა, როცა ყველა უსაზღვროდ ბედნიერი იყო“.

მეტროპოლიტენის მუზეუმიდან მეხუთე ავენიუზე გასულ გინესს მამაკაცი მიუახლოვდა და მასთან ერთად ფოტოს გადაღება სთხოვა. გინესი დათანხმდა, თუმცაღა აშკარად უკმაყოფილო ჩანდა იმ ფაქტით, რომ ქუჩაში იოლად ცნობენ. „მეგონა, შარფი მიშველიდა“, – შვებით ამოისუნთქა მამაკაცის წასვლის შემდეგ. გინესი ხშირად ატარებს ვუალს: „ძალიან მსიამოვნებს სახეზე მსუბუქი ბადის შემოხვევა. ამ ბადის მიღმა რეალობა რაღაცნაირ მარცვლოვან ფაქტურას იძენს – ყველაფერი ისე ჩანს, თითქოს, კინოფირზე უყურებდე“.

გინესს პრესაში ხშირად უწოდებენ მუზას, დიზაინერს, არტისტს, ელიტარული საზოგადოების „ნაღებს“. მიუხედავად იმისა, რომ მას თითოეული ეს შეფასება ესადაგება, ვერცერთი მათგანი ვერ გადმოსცემს სრულად იმ ეფექტს, რასაც ეს „შეშლილი ფერია“ გარშემომყოფებზე ახდენს. მისი ესთეტიკა ხშირად ფუტურისტულია, თუმცა გინესი იმ ეპოქიდან მობრუნებულ ადამიანსაც მოგაგონებთ,

რომელშიც ჩაცმა თვითგამოხატვის საშალდებულო ფორმა უფრო იყო. სატრენაჟორო დარბაზშიც კი საყოველთაოდ დამკვიდრებულ ნორმებს არღვევს და StairMaster-ის ტრენაჟორის კიბეებზეც თეთრი ფერის პუანტების სტილის უქუსლო ფეხსაცმელებით ვარჯიშობს. გინესს ვერასდროს იხილავთ ბრილიანტების გარეშე, სანაპიროზეც არ ავიწყდება ძვირფასი სამკაულის აცმა. ერთხელ, მალიბუს პლაჟზე, კარტიეს 1930 წელს გამოშვებული ბრასლეტი დაუკარგავს ქვიშაში. უიმედო ძებნის შემდეგ, მეგობრისთვის უთქვამს, ვინმე, ვისაც მეტალის დეტექტორი აქვს და ამ ბრასლეტს იპოვის, თავისი ცხოვრების ყველაზე დიდ აღმოჩენასაც გააკეთებსო.

გინესის სამოსი ხშირად მამაკაცურია, მკაცრი კონტურებითა და სილუეტით, მაგრამ, ამავე დროს, ნაზი საყელოებითა და ექსკლუზიური ქსოვილის სამკლავურებით გაწყობილი. მისი პალიტრა მეტწილად შავ-თეთრია, თუმცა, ხანდახან მკვეთრ ფერებსაც გამოურევს ხოლმე. ძალიან უყვარს გოფრირებული მანჟეტებისა და მაღალი, გახამებული საყელოების ტარება, რის გამოც ის ხშირად თანაბრად ჰგავს ხოლმე ინგლისელი მხატვრის, ტომას გეინსბოროს ქალის პორტრეტსაც და ამ ქალის მეუღლის პორტრეტსაც. ის იმდენად საინტერესოდ გამოიყურება ხოლმე, რომ, მისი შემხედვარე, ფიქრობ – თუ ასეთი გარეგნობა აქვს, ალბათ, არის ამ ქალში სხვა ბევრი, კიდევ უფრო საინტერესო რამ.

ჩვენს ეპოქაში მკვეთრ, გამორჩეულ სამოსს ხშირად ყურადღების მიპყრობის დაუოკებელი სურვილის გამო ირჩევენ ხოლმე – უცნაური ფეხსაცმელების დამსახურებით ლედი გაგას სხვადასხვა ჟურნალის გვერდებიდან არაერთხელ გამოუწვევია აურზაური. ორივეს – ლედი გაგასაც და გინესსაც სცმიათ McQueen-ის Armadillo – 17-სანტიმეტრიანი ფეხსაცმელი, უცნაური და გიგანტური ოვალისებური ცხვირით. მათვე მოირგეს Noritaka Tatehana-ს ფეხსაცმელებიც – დიზაინერის, რომელიც ექსტრემალურად მაღალ ფეხსაცმელებს კერავს, ოღონდ – ქუსლის გარეშე. ცოტა ხნის წინ, ჰანოვერის აეროპორტში, გინესმა მცირე ტრამვაც კი მიიღო – ის Tatehana-ს ახალი, ბრჭყვიალა, წითელი ფირფიტებით გაწყობილი ფეხსაცმლიდან ჩამოვარდა. თუმცა, თვითონ მაინც აღფრთოვანებული დარჩა – ფეხსაცმლის წითელ ფერს ძალიან მოუხდა ჩემი სისხლის ფერიო. მიუხედავად იმისა, რომ ერთხელ, ნიუ-იორკში, მაღაზია Barney's-ს ვიტრინაში დაფნა გინესმა საჯაროდ გაიხადა სამოსი, მისი ახლობლები მას მაინც მორცხვ და ჩაკეტილ ადამიანად ახასიათებენ (Barney's-ის ისტორია მეტროპოლიტენის მუზეუმში მაკქვინის გამოფენის გახსნამდე მოხდა. სავაჭრო ცენტრის წინ, ტროტუარზე შეკრებილი ხალხი უყურებდა, თუ როგორ გაშიშვლდა ყველასთვის მოულოდნელად ვიტრინაში მდგარი გინესი და როგორ გადაიცვა ტანზე მაკქვინის მტრედისფერი, თეძოებზე კალათასავით მომრგვალებული და ბუმბულებით გაწყობილი კაბა. ამ სპონტანური რიტუალის დროს გამვლელების წინაშე გათამაშდა ქალის საოცარი ტრანსფორმაცია – გინესი მათ თვალწინ ზღაპრულ პერსონაჟად – ქალ-გედად გარდაისახა). გინესი ახერხებს, რესტორნის მოუხერხებელ და ვიწრო სკამზე მოკლე კაბით მოკალათების დროსაც კი, თავდაჭერილი და მორცხვი ქალის იერი ჰქონდეს მაშინ, როცა იმავე ამპლუაში ლინდსი ლოჰანი აუცილებლად გახდებოდა პაპარაცების სამიზნე.

გინესი ხშირად ატარებს ვუალს: „ძალიან მსიამოვნებს სახეზე მსუბუქი ბადის შემოხვევა.

ამ ბადის მიღმა რეალობა რაღაცნაირ მარცვლოვან ფაქტურას იძენს – ყველაფერი ისე ჩანს, თითქოს, კინოფირზე უყურებდე“.

გინესის მამა, ჯონათან გინესი ბარონია და მემკვიდრეობად ირლანდიური ლუდსახარშის ბიზნესი ერგო. ბებიამისი დაიანა მიტფორდი იყო, რომელსაც, როგორც ამბობენ, გარეგნულად ჰგავს კიდეც გინესი (მართალია, გინესს შეუძლია ასაკთან შედარებით გაცილებით ახალგაზრდად გამოყურებოდეს, მაგრამ, ხანდახან სამოცი წლის თეთრთმიან, დახვეწილ, გადაღლილ ლამაზმანსაც მოგაგონებთ). თავად გინესს შანსი ჰქონდა, მარკიზა გამხდარიყო: ახალგაზრდობის წლებში მის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა დევიდ ჩოლმონდლი, როკსავაჟის სიმპათიური და მდიდარი გრაფი, ამჟამად უკვე – მარკიზი ჩოლმონდლი, რომლის საოჯახო რეზიდენციაც ჰოტონ ჰოლში პალადიური სტილის ერთ-ერთ საუკეთესო არქიტექტურულ ნამუშევრად ითვლება ბრიტანეთში. თუმცა ჩოლმონდლის ნაცვლად, 19 წლის გინესი ბერძენი მილიარდერის, სტავროს ნიარჩოსის ვაჟს, სპაიროს გაჰყვა ცოლად. მათ სამი შვილი ჰყავთ. წლების განმავლობაში გინესი საკმაოდ ჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა ნიუ-იორკს, სან-მორისსა და სპეტსოპულას (ნიარჩოსების კერძო კუნძული) შორის. 2000 წელს იგი განქორწინდა და შვილებთან ერთად ლონდონში დაბრუნდა. უკანასკნელ წლებში შვილები უმეტეს დროს მამასთან ატარებენ. „მივხვდი, რომ ბავშვებისთვის მნიშვნელოვანი იყო, ახლოს ჰყოლოდათ მამა, თუმცა მაშინ ვერ გავიაზრე, თუ რამდენად მარტო ვიგრძნობდი თავს“, – ამბობს გინესი.

ბოლო ხუთი წელია, დაფნა გინესს ურთიერთობა აქვს ფრანგ ფილოსოფოსსა და საშენი მასალის ბიზნესის მემკვიდრესთან, ბერნარ-ანრი ლევისთან, რომელიც მსახიობსა და მომღერალ არიელ დომბასლზე არის დაქორწინებული. ამ ჩახლართული სასიყვარულო ურთიერთობის შესახებ გინესს არაერთხელ დაუწერია გადაკვრით ტვიტერზე, სადაც მას 22.000-ზე მეტი მიმდევარი ჰყავს: „უიმედო რომანტიკოსი ვარ. დაუფიქრებლად გავწირავდი თავს სიყვარულისთვის“.

ვიდრე ნიარჩოსის ცოლი იყო, გინესი პარიზის მაღალი მოდის ჩვენებებს თითქმის არ აცდენდა. უპირატესობას Chanel-ისა და Valentino-ს სახლებს ანიჭებდა. მართალია, იმ დროისთვის მისი შენაძენები ძირითადად კონსერვატიული იყო, მაინც ეტყობოდა, რომ ბაროკოც აშკარად იზიდავდა. „თმის შეღებვისას აუცილებლად უნდა გამოერია რამე უცნაური ფერი, – იხსენებს გინესის უახლოესი მეგობარი, არტ დილერი რობინ ჰარლს-

ტონი – მაგალითად, ერთ პატარა ნაკუწ თმას იასამნისფრად შეიღებავდა ხოლმე და მეტყოდა, საყვარელო, არ მოგწონს? ნახე, რა სასაცილოა! მეორე ნახვაზე ის იასამნისფერი თმა უკვე ლუჯრად ექნებოდა გადაღებილი“.

დაფნა გინესზე დიდი გავლენა იზაბელა ბლოუმ მოახდინა – ალექსანდრ მაკქვინისა და ფილიპ ტრეისის ექსცენტრულმა გულშემატკივარმა. ახალგაზრდობაში გინესი და ბლოუ ერთ წრეში ტრიალებდნენ, 1990-იან წლებში კი მეგობრობა კვლავ აღადგინეს, როდესაც გინესის ბიძაშვილის, მარკიზის ქვრივის, მორინის 90 წლის იუბილეზე შეხვდნენ ერთმანეთს. „დედა-დედოფალიც იქ იყო, თავისი ლალის სამკაულებით, – იხსენებს გინესი, – თეთრი ჰალსტუხი და დიადემა – ასეთი იყო წვეულებაზე დასასწრებად საჭირო წინასწარ განსაზღვრული ჩაცმის ეტიკეტი. რასაკვირველია, დიადემა არ მქონდა, ამიტომაც, ის ჩემით გავაკეთე ბუმბულებისა და უამრავი შავი შიფონისაგან. იზიმ (იზაბელა ბლოუმ) მითხრა, ეს რა ფანტასტიკური რამე გიკეთიაო“.

ბლოუმ გინესს მაკქვინთან დამეგობრება ურჩია და ისიც მალევე დაუახლოვდა დიზაინერს. „ერთხელ, მალიბუში წავიყვანე, მაგრამ დიდად არ მოეწონა, – იხსენებს გინესი – ყოველთვის გაჩირაღდნებული ლონდონი უფრო იზიდავდა“. მაკქვინის სამოსში გინესს განსაკუთრებით მოსწონდა ის, რომ მისი, ხშირად ტანზე ძალიან მჭიდროდ მომდგარი კაბები, თითქოს, ჯავშანის ფუნქციას ასრულებდა და გინესს გარშემომყოფების შეხედულებების მოგერიებაში ეხმარებოდა. „მაკქვინი მეგობრების არჩევისას შინაგან ინტუიციას ენდობოდა და უმალ გამოარჩევდა ხოლმე სხვათაგან ემოციურად მიუსაფარ, განსაკუთრებულად მგრძნობიარე ადამიანებს. ხალხს ეგონა, რომ საშინელი ქალთმოძულე იყო, არადა, სინამდვილეში ის შენს დაცვას ცდილობდა, მეტი არაფერი“, – იხსენებს გინესი.

2007 წელს იზაბელა ბლოუმ თავი მოიკლა – საშვილოსნოს სიმსივნის დიაგნოზსა და საშინელ დეპრესიას ვეღარ გაუძლო. როცა მისი ტანსაცმლის კოლექცია Christie's-ის აუქციონზე გაიტანეს, ყველაფერი გინესმა შეისყიდა, თუმცა, ამბობს, წესიერად არც კი დამითვალიერებია იზაბელას კოლექცია, მით უმეტეს, არ ვაპირებ მისი კაბების ჩაცმასო: „ეს ტანსაცმელი ტირილს მანდომებს. მათ იზაბელას სუნი ასდით“.

შარშან დაფნა გინესმა მეორე ახლობელი ადამიანიც დაკარგა – მაკქვინის თვითმკვლელობა მისთვის უდიდესი დანაკლისი იყო. „ის საკუთარ თავს რომანტიკულ შიზოფრენიკს უწოდებდა და სწორედ ეს რომანტიზმი გვაერთიანებდა სამივეს“ – ამბობს გინესი.

გინესს თავისი ინიციატივით რომც არ შეესყიდა ბლოუს მოსასხამი, მეტაფორულად რომ ვთქვათ, ის მაინც გინესს დარჩებოდა – დღეს მოდის სამყაროში მას ხომ იგივე როლი აკისრია, რასაც მანამდე ბლოუ ასრულებდა. თუმცა, გინესის ესთეტიკა თავისი წინამორბედისგან მაინც განსხვავდება. მომხიბვლელ ბლოუს, რომელიც მოკლე ვარცხნილობას და წითელ პომადას ატარებდა, ხშირად უდარდელი, მხიარული აურა სდევდა თან. ნებისმიერ ჩაცმულობას – რაც არ უნდა ყოფილიყო ეს, თუნდაც, ტყავისგან შეკერილი, მკაცრი, შავი კაბა – ის კომიკურ ელფერს სძენდა.

გინესის აურა კი ხშირად ტრაგიკულია. რატომღაც ეს ქალბატონი მაზოხიზმის ასოციაციასაც კი აღძრავს. რამდენიც უნდა ამტკიცოს მან, რომ უქუსლო, უზარმაზარ ფეხსაცმელში კომფორტულად გრძნობს თავს, მისი დანახვისას მაინც ტანჯვის ასოციაცია უჩნდება გამვლელს და აფიქრებინებს, რომ ეს ქალი სულ ცოტა ემოციურად გაუწონასწორებელია. მის ჩაცმულობაში თითქმის ყოველთვის გამოსჭვივის უზადო დისციპლინაც და ზღვარგადასული სიფაქიზეცა და სისუსტეც.

გინესის გარდერობი, რომელიც მას ლონდონისა და ნიუ-იორკის სახლებში აქვს განაწილებული, 2500 დასახელების სამოსს, 450 წყვილ ფეხსაცმელს, 70 ქუდსა და 200 ჩანთას აერთიანებს. ამ ნივთე-

ბის დიდ ნაწილს გინესი ყოველდღიურ ჩაცმულობაში იყენებს, თუმცა, ზოგჯერ ნივთებს მხოლოდ ესთეტიკური სიამოვნებისთვის ყიდულობს. ამ ფუნქციას ასრულებს მის გარდერობში, მაგალითად, Dior-ის იისფერი პალტო, რომელიც არასდროს ჩაუცვამს, რადგან იისფერი მისი ფერი არ არის. თუმცა, გინესი არ ამბობს უარს ისეთ სამოსზე, რომლის ჩაცმაც სხვას შეიძლება წარმოუდგენლად მიაჩნდეს. „ერთხელ დაფნამ იმეილი მომწერა, მეკითხებოდა, სად შეიძლებოდა ეშოვნა ჩინეთის იმპერიის ბოლო დინასტიის, ცინის მოსასხამები, ჩემები შესაკეთებლად გავგზავნეო“, – იხსენებს მოდის ტექნოლოგიის ინსტიტუტის კურატორი ვალერი სტილი. დაფნა არც ისეთი სამოსის ტარებას უფრთხის, რომლის დამსახურებითაც, შესაძლოა, ტაბლოიდური გამოცემის „შეცდომების“ რუბრიკაში მოხვდეს. ასე მოხდა ცოტა ხნის წინ, როცა მაკქვინის სტაფილოსფერ-იისფერი აბრეშუმის კიმონოთი გამოჩნდა პუბლიკაში.

გინესს მდიდარი ადამიანებისათვის ჩვეული გულმავიწყობა ახასიათებს და აღიარებს, რომ ყოფილა შემთხვევები, როდესაც უფულოდ დარჩენილა. „ო, ღმერთო, ხომ იცით, როგორც ხდება ხოლმე?! უცებ აღმოაჩენ, რომ საფულე დაგვიწყებია. მაგრამ, რაღაცნაირად მაინც ახერხებ სახლში დაბრუნებას, თუნდაც ფეხით გასეირნება მოგიხდეს“. თავისი შესაძლებლობებისა და იმიჯის გამო, დაფნა მოდის ინდუსტრიაში მნიშვნელოვან ფიგურად ითვლება, განსაკუთრებით – ახალგაზრდა დიზაინერებისათვის, რომლებიც ძვირადღირებული ქსოვილების შეძენის უფლებას საკუთარ თავს ხშირად ვერ აძლევენ. ბოლო ხანებში, გინესი ახალგაზრდა ბრიტანელ დიზაინერ გარეთ პიუს (Gareth Pugh) ქომაგობს.

გინესს ბრიტანული არისტოკრატიის „სტანდარტებითაც“ კი საკმაოდ რთული წარსული აქვს. მამამისს, ბარონ ჯონათან გინესს, სამი შვილი ჰყავდა პირველ ცოლთან, რომელიც შემდეგ კელვედონის ლორდის საყვარელი გახდა. მოგვიანებით, ჯონათანმა საფრანგეთში გაზრდილ სიუზან ლისნისთან იქორწინა, რომელთანაც ორი შვილი, სებასტიანი და დაფნა შეეძინა. დაფნა ყველაზე უმცროს შვილად თვლიდა თავს, ვიდრე ბრიტანული გაზეთის მეშვეობით, 1980-იან წლებში, არ გამოირკვა, რომ მამამისს მასაჟისტ ქალთან, სიუზან ტეილორთან კიდევ სამი შვილი გაუჩენია, რომლებიც ასევე ატარებდნენ მამის გვარს. „დედა, აშკარად, არ ჩანდა აღფრთოვანებული შექმნილი სიტუაციით“, – იხსენებს გინესი.

გინესმა ბავშვობა მამამისის სამ სხვადასხვა სახლში გაატარა, მათ შორის იყო ლონდონში, კენსინგტონის მოედანზე მდებარე სახლიც. ყოველწლიურად რამდენიმე თვეს ესპანეთში, კადაკეში, სალვადორ დალის მეზობლად ცხოვრობდა, სადაც მისი ოჯახი ყოფილი მონასტრის შენობას ფლობს: „მახსოვს, როგორ დავხეტიალობდი გორაკებზე და მინდვრებზე, ჩემი სამალავები და პატარა გამოქვაბულები მქონდა“.

გინესს განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა ბებიასთან, მიუხედავად მისი პოლიტიკური შეხედულებებისა და მასთან ერთად იყო სიკვდილის ბოლო დღეებშიც, ვიდრე ის პარიზში, 2003 წელს არ გარდაიცვალა. თუმცა, გინესი დღემდე გაბრაზებულია ბებიაზე, რომელმაც საჯაროდ არასდროს უარყო ის ფაქტი, რომ ჰიტლერი მოსწონდა. ჰიტლერი მას 1930-იან წლებში, გერმანიაში, დის მონახულებისას გაუცნია. „ბებია პროვინციაში გაიზარდა, სკოლაში არ უვლია და უცებ გერმანიაში აღმოჩნდა, სადაც შეხვდა ჰიტლერს, – ჰყვება გინესი, – პირადად მე, ვერაფრით წარმომიდგენია, რომ ჰიტლერი მომხიბვლელი შეიძლებოდა ყოფილიყო. ჩემთვის ის ერთ-ერთი ყველაზე არამომხიბვლელი ადამიანია დედამიწაზე. ვუთხარი კიდეც ეს ყველაფერი ბებიას, მან კი მიპასუხა, რომ ჰიტლერი არაფოტოგენური იყო, მაგრამ საოცარი იუმორის გრძნობა ჰქონდა“.

გინესი ყოველთვის გატაცებული იყო მუსიკით. პატარაობისას ამბიციაც კი ჰქონდა, სოპრანო გამხდარიყო. სამკაუ-

ლების დიზაინერი, გინესების ოჯახის მეგობარი, ქენეთ ჯეი ლეინი იხსენებს, თუ როგორ შეასრულა გინესმა არიები გერმანიაში, რეგენბურგში, ტიურნისა და ტაქსის პრინცის, იოჰანესის საიუბილეო კოსტიუმირებულ წვეულებაზე. „ვერც კი წარმოიდგენთ, რა ლამაზი იყო მეთვრამეტე საუკუნის კაბასა და თეთრ პარიკში გამოწყობილი დაფნა“, – ამბობს ქენეთი. გინესი აპირებდა ლონდონში საშემსრულებლო ხელოვნება შეესწავლა, მაგრამ, ქორწინების შემდეგ ეს ვეღარ მოახერხა. „სპაიროსს არ უყვარდა კლასიკური მუსიკა. საბრალო! ამიტომ სიმღერის გაკვეთილებისათვის სადმე მოშორებით მივდიოდი ხოლმე, იქ, სადაც სპაიროსს ჩემი ხმა ვერ მისწვდებოდა. მას მიაჩნდა, რომ სიმღერა მე დეპრესიას მგვრიდა, არადა, სინამდვილეში ასე არ იყო“.

„ერთხელ დაფნამ იმეილი მომწერა, მეკითხებოდა, სად შეიძლებოდა ეშოვნა ჩინეთის იმპერიის ბოლო დინასტიის, ცინის მოსასხამები, ჩემები შესაკეთებლად გავგზავნეო“, – იხსენებს მოდის ტექნოლოგიის ინსტიტუტის კურატორი ვალერი სტილი.

უკანასკნელ წლებში გინესმა ხელოვნების სხვა სახეობებშიც გამოსცადა თავი. 2004 წელს პროდიუსერობა გაუწია ფილმს Cashback, რომელშიც სუპერმარკეტში საყიდლებზე მისული, სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალის ეპიზოდური როლი შეასრულა. ოთხი წლის შემდეგ, გადაიღო მოკლემეტრაჟიანი ფილმი, სახელწოდებით „სხეულის ფენომენოლოგია“, რომელშიც აჩვენა, თუ როგორ ზღუდავდა ხშირად ესა თუ ის სამოსი ქალის სხეულს. 2010 წელს მან მთავარი როლი შეასრულა ფოტოგრაფ ჟოზეფ ლალის ექსპერიმენტულ ფილმში „ჯინ სიბერგის მკვლელობა“. ლალი გინესს პირველად რამდენიმე წლის წინ სტივენ კლაინის ფოტოგადაღებაზე შეხვდა: „ჰოლივუდში, მეგობრის სახლში ვიყავით. გინესი თეთრი ბრილიანტებით მორთული შავი კაბით აუზის პირას იჯდა. ეს ყველაფერი ძალიან უორჰოლისებური იყო; ქალი – დიადემით, სახლის უკანა ეზოში“. ლალის ფილმში გინესი თითქმის არ ლაპარაკობს, მაგრამ დამაჯერებლად განასახიერებს საწოლში უძრავად მწოლიარე სებერგს. „ეს ფილმი გარკვეულწილად დაფნას ფარულ მხარეს ამზეურებს“, – ამბობს ლალი.

თავად გინესი საკუთარ თავს არტისტს არ უწოდებს: „ეს იგივე იქნება, საკუთარ თავს რაინდის წოდება რომ მივანიჭო, – ამბობს ის, – თუმცა, ვფიქრობ, არტისტისთვის დამახასიათებელი ტემპერამენტი ნამდვილად მაქვს“. ცოტა ხნის წინ მან ცნობილ იუველირ შონ ლინთან ხუთწლიანი თანამშრომლობა დაასრულა, რის შედეგადაც ლინმა დაფნას თეთრი ოქროსა და ხუთი ათასზე მეტი ბრილიანტისაგან შემდგარი სამკლავური დაუმზადა. როგორც ამბობენ, ამ ნივთის ღირებულება 1.7 მილიონ დოლარს აღწევს და მას სანახევროდ ფლობენ ლინი და გინესი.

გინესმა მოდელობაშიც სცადა ბედი – გერმანული Vogue-სთვის ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა, რომელსაც კანადელი როკვარსკვლავი და ახლა ფოტოგრაფიით გატაცებული ბრაიან ადამსი ხელმძღვანელობდა. ამ ფოტოგადაღებების ინსპირაციის წყარო იყო გინესის აღტაცება დევიდ ბოუისადმი, რომელსაც ის არასდროს მალავდა. ასე რომ, ამ ფოტოსესიის მიზანი იყო, შეძლებისდაგვარად მკაფიოდ გაეცოცხლებინათ დევიდ ბოუის სასიმღერო კარიერის სხვადასხვა პერიოდი. გინესმაც თავი არ დაზოგა, რომ მაქსიმალურად მოერგო საკუთარ თავზე იგივე „გამხდარი, თეთრი ჰერცოგის“ იმიჯი (Thin White Duke – დევიდ ბოუის 1976 წელს შექმნილი პერსონაჟია, რომელიც მის ალბომს Station to Station-ს უკავშირდება და ასე ჰქვია ამ ალბომში შემავალ მთავარ სიმღერასაც) – ამ ფოტოების გადაღების დროს გინესმა ერთ თვალში ლურჯი კონტაქტური ლინზა ჩაისვა, კვასკვასა წითელი და ქერა პარიკი დაიმაგრა თავზე და ვიწრო, შავი სმოკინგი ჩაიცვა, თუმცა, საბოლოოდ, დაფნა უფრო გამხდარი და თეთრი გამოჩნდა ფოტოებზე, ვიდრე თვითონ დევიდ ბოუი იყო. როდესაც Ziggy Stardust-ისადმი მიძღვნილ ფოტოებს იღებდნენ (დევიდ ბოუის 1972 წელს გამოშვებული კონცეპტუალური ალბომის სახელწოდება, რომელიც მსუბუქად ემყარება როკვარსკვლავის ზიგი სტარდასტის ისტორიას) გინესმა სტილისტს უფლება მისცა, უზარმაზარი მეტალის საყელო გაეკეთებინა ყელზე; მან კი მოუბოდიშა, ალბათ, არასასიამოვნო იქნება ამის ტარებაო. დაფნამ უპასუხა: „რას ამბობთ, ხუმრობთ, არა? დისკომფორტი – ეს ხომ ამ თამაშის სახელწოდებაა!“

ფოტოსესიებს შორის შესვენების დროს გინესს პირადი ასისტენტი, ტერეზა სთხოვდა, იქნებ ცოტაოდენი სპაგეტი მიირთვათო. „თუ შევჭამ, ვეღარ ვიმუშავებ, – უარზე იყო გინესი და თან „რედ ბულის“ ქილას არ უშვებდა ხელიდან, – შევჭამ, როცა მკვდარი ვიქნები!“

ბოუის კიდევ ერთი ალბომის, Space Oddity-ის გასაცოცხლებლად გინესი Viktor and Rolf-ის კაბაში შეიმოსა და წითელი ხავერდის ტახტზე მოკალათდა. ადამსმა გადაღებისთვის საგანგებოდ მოტანილ გიტარაზე ბოუის სიმღერა „moonage daydream“ ააჟღერა და როცა სიმღერას დაბალი ხმით გინესიც აჰყვა (თან მზერა ოთახის სიღრმისკენ ჰქონდა მიმართული, თითქოს მის გარდა იქ არავინ ყოფილიყო), დამსწრე საზოგადოება დადუმდა.

სიმღერის დასრულების შემდეგ, ადამსი ფოტოკამერას დაუბრუნდა, გინესმა კი, თანაშემწეების დახმარებით, ორივე ხელით თავს ზევით ასწია უზარმაზარი ჯამი, რომელიც ასტრონავტის ჩაფხუტივით დაედგა თავზე. ჯამის მინა იმდენად სქელი და მძიმე იყო, რომ გეგონებოდა, გინესს გამხდარ მხრებს აუცილებლად ჩაუმსხვრევსო. ძალიან შთამბეჭდავი სცენა გამოვიდა და ადამსის კამერამაც არ დააყოვნა, უმალ აჩხაკუნდა. უკვე გადაღების ბოლოს, გინესმა მოვერცხლილი მხრები დაბლა დაუშვა, მაქსიმალურად მოიხარა და შუშის ჯამი თავზე ისე ჩამოიცვა, რომ სხეული მკლავებამდე დაეფარა. „აბა, როგორია?!“ – დაიძახა მერე შუშის შიგნიდან. მისი დახშული ხმა დარბაზში ისე გაისმა, თითქოს სხვა სამყაროდან, ძალიან, ძალიან შორიდან მოდიოდა.


Dior
ALEXANDER McQUEEN
SAVAGE BEAUTY



მოდა 2011

სეზონური კოლექციების ტრადიციული ჩვენებები, იუბილეები, გამოფენები, ახალი გამოცემები, საკადრო ცვლილებები, წარმატებები, სკანდალები – თითქოს არაფერი განსაკუთრებული, მოდის დინამიურ სამყაროში მსგავსი მოვლენები ყოველწლიურად ხდება. თუმცა ყოველი წელი მაინც ტოვებს თავის უნიკალურ კვალს მოდის ისტორიაში, ისევე, როგორც ეს გასულ, 2011 წელს იყო.

წლის ერთ-ერთი მთავარი მოვლენა ნიუ-იორკის მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმში დიზაინერ ალექსანდრ მაკქვინის ნამუშევრების რეტროსპექტივა და ელიზაბეტ ტეილორის მსხლის ფორმის მარგალიტის ცნობილი ყელსაბამის Christie's აუქციონზე 11.8 მილიონ აშშ დოლარად გაყიდვა იყო.

ჟიზელ ბიუნდჰენისთვის კი 2011 წელი 45 მილიონიანი შემოსავლით იყო აღსანიშნავი, რითიც ბრაზილიელმა სუპერმოდელმა, Forbes-ის მონაცემებით, რეკორდი დაამყარა სამოდელო ბიზნესში.

ფოტოგრაფიის მოყვარულებისათვის საინტერესო იქნება 2011 წელს გამოცემული Dior Couture-ის წიგნი, რომელშიც ცნობილი ფოტოგრაფის – პატრიკ დემარშალიეს ასზე მეტი კოსტიუმის ფოტოა შესული.

გასულ წელს 1970-იანი წლების პანკური მოძრაობის ფუძემდებლის და კუბოკრული ორნამენტის დიდოსტატის, ვივიენ ვესტვუდის იუბილეც იზეიმეს, რომელსაც 70 წელი შეუსრულდა.

მოდის ინდუსტრიაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი გამოცემის – Vogue France-ის მთავარ რედაქტორის პოსტი ათწლიანი მოღვაწეობის შემდეგ მოულოდნელად დატოვა კარინ როიტფელდმა, რომელიც ამავე გამოცემის მოდის დირექტორმა, ახალგაზრდა ემანუელ ალტმა ჩაანაცვლა.

2011 წელს, 63 წლის ასაკში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ივ სენ ლორანის უახლოესი მეგობარი და მუზა, ყოფილი მოდელი და აქსესუარების დიზაინერი ლულუ დე ლა ფალეზი, რომლის შთაგონებითაც შექმნა სენ ლორანმა 1966 წელს საკულტო სმოკინგი ქალებისთვის.

მოდის ისტორიაში შესაძლოა, საკულტო სამოსად დარჩეს შარშან ბრიტანეთის მომავალი პრინცესასთვის Alexander McQueen-ის სარა ბარტონის მიერ შექმნილი საქორწინო კაბა, რომელმაც უკვე დაიმკვიდრა ადგილი გრეის კელის და ჯეკი კენედის ლეგენდარულ საქორწინო კაბებს შორის.

ალექსანდრ მაკქვინის ნამუშევრების რეტროსპექტივა პოპულარობით დავინჩის და პიკასოს გამოფენებს გაუტოლდა

ლულუ დე ლა ფალეზი

ვივიენ ვესტვუდი

ელიზაბეტ ტეილორის "LA PEREGNINA" მარგალიტის სამკაულების ისტორიაში ყველაზე ძვირად გაიყიდა

ქეით მიდლტონი ALEXANDER MCQUEEN-ის კაბაში

ფოტოგრაფ პატრიკ დემარშალიეს ახალი წიგნი – DIOR HAUTE COUTURE

ჟიზელ ბიუნდჩენი

ფრანგული VOGUE-ის მთავარი რედაქტორი ემანუელ ალტი

რეჟისორი გიზო ჟორდანია

ქოჯა მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

www.marjanishvili.com
www.facebook.com / MARJANISHVILI.THEATRE

ცხელი
შოკოლადი

ლიტერატურა

აკა მორჩილაძე

ჩრიშმაშ ქარუ

გიორგი ავალიანი, გიორგი მაისურაძე

DEUS EX VAGINA

პაატა ქურდაძე

ჰიმნი N2 ნაცია

ლევან რამიშვილი

ტერეზა მილლიონის ანგარიში

ვაცლავ ჰაველი

ნაწყვეტები წიგნიდან „გთხოვთ, მოკლედ“

ღვინის სამყარო
World of wine
The classic company of wine
ბარი – BAR
Live music. Diverce menu.
რესტორანი - RESTAURANT
Traditional and European food
made on wine Live music
ღვინის მაღაზია - Wine store
The productions of leading firms producing
Georgian wines
სალეგასტასიო Taste Rome
Georgian national wine-tasting
Bottle produce of champagne by classic
ღვინის მოყვარულთა
The club of

ჩრდილშმაშ ქარუ

აკა მორჩილაძე

ჰო, ნელ-ნელა მოდიოდა, ქრისმას ივი რომ ჰქვია აქაურად და ჩრდილო ლონდონის კიდეზე ვისხედით ერთადერთ ქაღალდისსუფრებიან ადგილას მე და ერთი, გზად გადაყრილი ძველი საბურთალოელი, ძველი ცხოვრებისა, გერმანული პასპორტით.

მანამდე ჩვენთან ერთად ერთი ხაშურელი კაციც იყო, ოღონდ საჩქარო საქმე ჰქონოდა და დაგვიბარა, დავრეკავ, ჩემი დაყენებული ღვინო უნდა გაგაშინჯოთ და ყაურმაც კაი ვიციო. ჩვენი შობა რო დადგება შვიდშიო, ერთი კაი პური უნდა ვჭამოთ, როგორც წესიაო. აქ აყენებს ღვინოს, ყურძენსა ყიდულობს.

მერე ვისხედით მე და ესა, ჩაშტერებულნი გაცივებულ პიცას და რას მოვიგონებდით, თუ არა იმას, რაც მოსაგონია.

ჰანგი ერთი გამოდიოდა, იმისაც და ჩემიც, რაც გასაკვირი არ იყო, მაგრამ როგორც იმანვე აღნიშნა, ჩვენი ჰანგი არასაკანცერტო იყო. მერი ქრისმას, მერი ქრისმას – ეწერა ყველგან ადგილებში და უკვე ოთხი საათიდან ჩამოღამებულიყო, ოღონდაც ბრდღვიალებდა ყველაფერი ყვითელი შუქით. რო მოვყევით ძველი გვარ-სახელების ჩამოთვლას და უცებ, იმან მკითხა, პატარა ბიჭობაშიო მამაშენს დუქანში თუ შეუყვანიხარო.

თითონ, თურმე, არაერთჯერ შეეყვანა.

დუქანში შეუყვანიხარო.

ეგრე კი არ იყო მაშინ თავზე საყრელად დუქნები, ზაკუსოჩნები და ისინი. რესტორანზე რო არაფერი ვთქვათ.

ადრე ყოფილიყო და მერე დეეხურათ. ხრუშჩოვი ამერიკაში რო წასულიყო, იქედან ამბავი ჩამეეტანა, ზაკუსოჩნები არიო, სასადილოებიაო, დაინერებიო. ეს დაინერები კი არ იცოდნენ, სიტყვა, მარა მაშინ დააწვენ მუშათა სასადილოს. ადრე კიდე რაც ყოფილიყო ზაკუსოჩნები, ძველი, იქ ყველგან არაყიც იყიდებოდა, ღვინოებიც და ათასიც სხვა დასალევი. მუშათა სასადილოში კი – აღარა. ეგ იქით...

შეუყვანივარ რომელია. ეხლა, სულ ეგრე არა, რო, აბა, წამო, მე დავლევ და შენ მიყურეო, მარა გამოუტარებივარ. უფრო რაღაც მიზეზით და მხოლოდ ერთი ორჯერ კი ისე, რო ნაცნობს არ დაუქნევია ხელი ვიტრინიდან. ეგ დაქნევები კი, არ მომწონდა.

როგორ იყო და, მასწავლებელთან ხო დავყავდი, რუსულისა. კი რუსული იყო. ერთათ ვიჯექით ბევრი და ვსწავლობდით, ოღონდ სკოლაში კი არა, ცალკე. შკოლისა რას ეყოფაო, ეს გაგება იყო მაშინდელ დროში, ჰოდა, იქედან წამოსაყვანად უფრო მამაჩემი გამომივლიდა და ან შემტენიდა გამოჭედილ ტროლეიბუსში, ანაც სხვა რამ გზა იყო ნაპოვნი. იმაზე არასტუმართმოყვარე ძნელად გენახოს რამე, როგორც იყო იმ დროის ტროლეიბუსი. რაღაცა გამოუთქმელი სიავე იდო შიგ, კინოში რო დაინახავ, ისეთი. გინდა ცისფრად შეგეღება, იმის სიდიადეს ვერავინ დაიჯერებდა. ვიწრო იყო და იმ სივიწროვით კიდე უფრო გაბოროტებული, ალბათ. იმნაირი გაბრაზებული ხალხი ტროლეიბუსში რო მოიყრიდა თავს, ძნელად სადმე გენახა, მე ვერა ვნახავდი, პატარა კი ვიყავი, მაგრამ მაინც, იშვიათობა იყო – განსაკუთრებით, დეიდები და ბიცოლები მაშინდელ კაბებში და ბევრი ჩანთით. აბა, ჩანთიანი კაცი მე იმ დროში არ მინახია. იმ ჩანთებში ეწყო საკვები, ალბათ და მერე, გემრიელ საჭმელსაც გააკეთებდნენ ის გაბრაზებული ქალები. მაგრამ ხშირად ტროლეიბუსში არ ჩამსვამდა მამაჩემი, ფეხით გამომატარებდა, რაც უფრო მომწონდა. გზად პადარორჩნი იყო და იმ პადარორჩნში ეგებ რამესაც მიყიდდა ხოლმე – მაგალითად, ბანქოს, ან ფანქრების ნაბორსა. პადარორჩნი კიდე სხვა ამბავი იყო, მარა ამაზე მეტი სიხშირით გამომივლიდა მანქანით. მანქანა იყო სხვისი და ის სხვაც იჯდა იმ მანქანაში და ასე ვატყობდი, რომ ორივე კარგა შეზარხოშებულები იყვნენ. ეს თანდათან მივხვდი, რო – შეზარხოშებულები, თორე თავიდან, რა იცი, დიდად ვერც ამოიცნობ, თუ ცუდს რამეს არ ამბობს ამნაირ გუნებაზე მყოფი კაცი. და იმ მანქანით რო წამომიყვანდნენ, მომიყვანდნენ სახლამდი და აბა, გადახტიო და რო ახვალ, ფანჯრიდან გადმოიხედეო. გადავიხედავდი და დაძრავდენ, ალბათ,

* პოეტური ფესტივალი*
ლექსის წერის ოსტატები შეყარეს ერთად.
ერთად აჭმევენ პურს და ერთად ასმევენ ღვინოს.
ერთად მიჰყავთ ნახირივით
სამვარსკვლავიან ბოსელში და კეტავენ ერთად.
ტაშსაც ერთად უკრავენ ხოლმე,
ერთად ამწყვდევენ კრებულებში,
ერთად აქებენ.
ლექსის წერის ოსტატები შეყარეს ერთად.
ერთმანეთთან მეგობრობა დააფიცეს,
გასამრჯელოც გამოუწერეს,
და მადლიერნი დააყენეს საკუთარ გზებზე.
ერთი მარცხნივ გაფრინდება,
მეორე მარჯვნივ,
მესამე არსად არ გაფრინდება – შინაურია,
მეოთხე ტირის,
გაფრენილ დღეებს
გრძნობს, რომ ველარ დაიბრუნებს,
ვერაფერი ვერ მოასწრო,
ცუდად ჭამდა, ცუდად სვამდა,
ცუდად გაიცნო მეგობრები,
ცუდად იარა,
ტაშიც ძალზე ცუდად დაუკრეს, –
არ უნდა სახლში,
აღარც აქ უნდა –
აქ, სადაც ლექსის ოსტატები შეყარეს ერთად,
და წევს და ტირის,
აბაზანაში წევს და ტირის,
აქაფებული შამპუნი და ცხელი წყალი
თანდათანობით ამშვიდებს და
დგება, პოეტურ ტანს იმშრალებს,
გარეთ გადის,
მერსი, ბონჟუ, სილვუპლეს ამბობს,
თბილად უღიმის
გასამგზავრებლად გამზადებულ ლექსის ოსტატებს,
იმათ, ვისთანაც ფიცვერცხლი ჭამა,
მაგრამ მაინც ძღნერის გემო შემორჩა პირში.

ვალ დე მარნი. პარიზის გარეუბანი.

შოთა იათაშვილი, 18 მაისი. 2011 წელი.

შეზარხოშების გასაგრძელებლად, იმიტომ რომ ეგეთ დროს მამიჩემის სახლში მობრუნებები მე არ მახსოვს. ალბათ, უკვე დაძინებული ვიყავი რო მოვიდოდა, ხოლო ფეხით თუ წამოვიდოდით, ერთად ავდიოდით სახლში. ოღონდ ეგეც იყო, რომ ფეხით რო მოვდიოდით, ზოგჯერ სადღაც-სადღაც შეყოვნება მოგვიწევდა, მაგალითად, ვერის ბაზართან.

ვერა ვხვდებოდი, შემოხვედრილი უფროსი კაცები რას ეუბნებოდნენ, ეს კი მახსოვს, რომა ჩემზე მოათითებდა ხოლმე, მარა ამის მიუხედავად, აღმოვჩნდებოდით ვერის ბაზრის რომელიმე ზაკუსოჩნაიაში, უფრო მგონი ფეხზესადგომებში, იმიტო, რო ეს მახსოვს, მაღალი მაგიდების ამბავი იყო და ვერა ვწვდებოდი. იმ ადგილების გარემო სრულიად არ მახსოვს, მაგრამ სუნი კი სრულიად გადასარევადაც. იმნაირი სუნი ახლა აღარ არსებობს. სურნელს ვერ ეტყვი, სუნი იყო ნამდვილი, მოთუშვისა თუ რა ვიცი, და ორთქლი. ის სუნი, ალბათ, დაკავშირებული იყო ჯიგრის ყაურმასთან, ანდა ჩიჟი-პიჟისთან. რატო ქვია იმას ჩიჟი-პიჟი? მაგარი იყო, უჰ, როცა იყო, ახლა თუღაა სადმე. პერაშკები, დაბრეცილნი, გაუგებარნი, გრძელნი, მობრაჭულნი, – ისეთი იერისა იყო ის პერაშკი იმ ფეხზესადგომებში, რო ვერაფერს შეადარებდი. ახლა ამ ხარფუხში რომ მოკულტურულებულები აქვთ, ეგრე სად იყო. და სოსისეულიც, რომელსაც ოდესღაც მოწოწნიკი დაარქვეს. მეცნიერებმა დაარქვეს განა ისა, ქართულ ტერმინებს რომ იგონებდნენ ძველ დროში. მოწოწნიკიო. იმაზე სასაცილო რაღა იქნებოდა. ქუჩა ხომ უზრდელია და თფილისისა კი გამორჩევით იყო და, აბა, იქ რო გეძახა, მოწოწნიკიო. იმ მეცნიერებმა არ იცოდნენ, რო ენა ქუჩის არი და არა წიგნების. ქუჩა ერევა. ანეკდოტიც ხო იყო, რომაო კონსტანტინე გამსახურდიაო მხოლოდ ქართულ სიტყვებს ამბობსო და შევიდა ზაკუსოჩნიაში და უთხრაო, დახლიდარო ორი მოწოწნიკი მომეცი და ერთი კათხა ლუდი ჩამომისხი კროჭიდანო. კროჭი, კრანი იყო იმ გამოგონებით. ონკანი, რაღა. ოღონდ ონკანის აღარ ვიცი. ხოდაო, ბუფეტჩიკმა ვერ გაიგოო, კოწიას უნდა ეთქვაო, ორი სასისკი და ერთი ბაკალი პივა დამისხიო. ეგრე იყო, თუ სხვაგვარად, მე ის ვიცი, რო კონსტანტინე გამსახურდია ზაკუსოჩნიებში არ შევიდოდა სასისკებზე ნამდვილად და კანიაკს კი სვამდა ინტურისტშიო, გამიგონია. მე და

გალერეა



ნანუკა ჩიჩუა
"Muza 3", კოლაჟი, პრინტი ქსოვილზე, 2010

მამაჩემი კიდევ რო შევიდოდით, გაუპარსავობა და ცუდი სიტყვები მახსოვს ემაგ დაწესებულებების და არცთუ კარგა ჩაცმული ხალხი. მერე დავატყვე, წამოზრდილობაში, მამაჩემი გამოირჩეოდა ეგეთი ხალხის მცნობობით. თვითონ სხვა ხალხში იყო, ეგეთებს კი იცნობდა უთვალავათ. ბოლომდე.

ეგრე იყო, თუ სხვაგვარ, ცისკრის ვარსკვლავს იქ არ ველოდებოდით, დიდხანს არ გაჩერდებოდა მამაჩემი, რახან მაგიდას ვერ ვუწევდი, მე ვერ ვხედავდი, მაგრამ, ალბათ, ორიოდეს გადაჰკრავდა იმათთან ერთად და წამოვიდოდით. მაგრამ ეგ ზაკუსოჩნიობა იშვიათი იყო. რესტორანში მეტჯერ მოვხვდებოდით. რო წამოვიდოდით და რო გამოვცდებოდით ფილარმონიის წინ იმ ხილ-ბოსტნის მაღაზიას, ვიტრინაზედ რომ წყალი მოედინებოდა და ლამაზათ რო ითვლებოდა, რო ზედ კომბოსტოების წინ ჩამეედინებოდა, მოვაწევდით სასტუმრო „საქართველომდე" და იმის რესტორნამდე, და იქ კი სხვა ამხანაგები იჯდა ხოლმე მამაჩემისა. მეტად იშვიათად, ყოფილა რო მარტონიც შევსულვართ რაღაც საქმეზეც და ისეც. ამ რესტორანში შინაურათ იყო, როგორცა ვხვდები.

ისეც იყო რო, მცირედი უნდა დაელია, ოღონდ ეგეც იშვიათად იყო. ეხლა ჩვენს წამოზრდილობაში მაგას ნიხვატკა ერქვა. აბა, სმას ხო არ გააგრძელებდა სადაც იყო მანამდე და მე რუსულის მასწავლებელთან ხო არ დამტოვებდა.

იქ რო შევდიოდით, რესტორანი ცარიელი იყო ხოლმე, ერთი ორი მაგიდა, თუ რა იქნებოდა. ისეთი საათი იყო, რო ცარიელი იქნებოდა, მარა ზოგჯერ კი ისხდნენ ხოლმე ვიღაცეები. ხოდა, იქ იყო ხორციანი ბლინები ძალიან თეთრ თეფშებზე და საერთოდ, გითხრა ძმაო, რესტორანი „საქართველო", როგორც ეგეთი, მომწონდა, თან ცარიელი, საღამოს რესტორნისა კი არაფერი ვიცოდი. ერთი ბოთლი შამპანსკი, პოლუსუხოი და მე – ბლინები. ეგ მენიუ მახსოვს. ყოფილა რო არ გვაქ პოლუსუხოიო და აღარაფერი დაულევნია. სულ ვფიქრობდი, რა არი ამისთანა ეს პოლუსუხოი. ხოდა, იმას ვამბობ, რო რატო მოხდა, ეგ აღარ ვიცი და თბილისში ეგეთი რამე რედკათ იყო, უფრო რუსეთში, რო სხვასთან მიგსვამდენ. ცარიელ რესტორანში რატო უნდა დავესვით სხვასთან? მაგას ვერა ვხვდები. ის ორი სხვა კიდე, იყვნენ ერთიმეორის უცნობი კაცები, ერთი – თათარი და მეორე – სომეხი, თბილისში მივლინებაში მყოფნი და სასტუმრო „საქართველოშივე" მცხოვრებნი. ხოდა, ეტყობა აფიცანტმა თხოვა თუ რა იყო და ეგ მახსოვს, რო კაი ქეიფი გააგრძელეს, რო გამოვედით, უკვე ჩამოღამებული იყო. აბა, ეხლა სადღა დასვამ ქართველს, სომეხს და თათარს ერთათ? მიდი დასვი აბა, და პურიც ჭამონ და ტკბილად დაიშალონ, უცნობები. ეგ მახსოვს, რო კოხტათ გამოუვიდათ. მეორე ჯერზე კიდე, იყო ხოლმე, რო იქ შევიდოდით დასარეკათ. დარბაზის ბოლოში, უკვე საცა კუხნა იწყებოდა, ტელეფონი იყო და შინაურულად, ალბათ, არეკინებდნენ, იმიტო რო იქ მამაჩემი ერთ მაგარ კაცს იცნობდა. ის კაცი იყო ადმინისტრატორი, კაი შავ კოსტუმში, შემელოტებული თეთრი თმით, თხელი კაცი იყო, ძველი კაცი, ნეპიდან გადმოსული კაცები რო იყვნენ და ის თურმე ბაბუაჩემსაც კარგა იცნობდა. ხოდა, შევედით, და შევედით თუ არა და აუჰო, მამაჩემმა თქვა, არ მინდოდა ეხლა ესენიო.

ერთი სუფრა იყო, მახსოვს, მუქსათვალიანი კაცი უჯდა და მივედით, არ დავჯექით. გამოვყევით დარბაზს და იმ ძველმა კაცმა, ადმინისტრატორმა, ჩერეზ კუხნა გაგვიყვანა და გავედით უკან ეზოთი. ეგეთებიც ყოფილა. იმ ადმინისტრატორს კიდევ ფოტო ჰქონდა, თვითონ და ედვარდ კენედი. მე ედვარდ კენედი ვინ იყო, არ ვიცოდი, მაგრამ ის კაცი კი სამუდამოდ დამამახსოვრდა. დაჰყავდიო? როგორ არ დავყავდი.

და მერე იმან მოყვა თავისი. ძველი „ჩარგლის" რესტორანის ამბები და საბურთალოს სასაფლაოს სახინკლისა. იმდენი სულ არ დაგველია, რო სადღეგრძელოები მიგვეყარა. ისე ვიჯექით და ვლაპარაკობდით. ის დილაზე მიფრინავდა გერმანიაში, ადრიდანვე ჰქონდა აღებული ბილეთი ოცდახუთ რიცხვში. უცქერდით ამ გაცივებულ პიცას და სულ მამაჩვენების ამბები გვახსენდებოდა. ეგებ არც იყო ის ამბები ისე, ჩვენ რო გვახსენდებოდა, მარა ჩვენ კი ალბათ ეგრე გვინდოდა დაჯერება. მერე მეტროში ვიჯექი. თორმეტი გაჩერება, ორი გადაჯდომა. მამაჩვენებს გაეხარდებოდათ, ეს რაები ხსომებიათო, თან რა კარგი გულითო. ერთხელ, ერთმა კახელმა თქვა, რა ვქნათო, რაცა ვყრივართ დედაძაღლები, ოხრები, მახინჯებიო, მიდის წინ ქრისტე ღმერთი და მივძუნძულებთ უკანა და ვერ ვეწევით, ოღონდ კი სწორედ მაინც იმის ლაშქარად გვინდა თავიო.

მერი ქრისმას. კეთილი სუსხის საღამო.

DEUS EX VAGINA

ავტორები: გიორგი ავალიანი, გიორგი მაისურაძე
ილუსტრაცია გიორგი ავალიანი

დაბადების ტრავმა

1924 წელს ფროიდის უსაყვარლესმა მოსწავლემ, ოტო რანკმა, გამოაქვეყნა თავისი ყველაზე ცნობილი წიგნი – „დაბადების ტრავმა და მისი მნიშვნელობა ფსიქოანალიზისათვის“, რომლის გამოც ის კოლეგებმა ერეტიკოსად შერაცხეს, ხოლო ფსიქოანალიტიკოსებს კი კატეგორიულად აეკრძალათ რანკის იდეების არათუ გაზიარება, არამედ მათი ციტირებაც კი.

რანკის მტკიცებით, არაცნობიერი ფსიქიკის განმსაზღვრელია არა ადრეული ასაკის ბავშვის ამბივალენტური დამოკიდებულება მამის ფიგურასთან, რომელსაც ფსიქოანალიზი ოიდიპოსისა და კასტრაციის კომპლექსებით გამოსახავდა, არამედ დაბადების ტრავმა. ადამიანის მთელი მომავალი ცხოვრება დედის საშოდან იძულებითი გამოძევებისას მიღებული შთაბეჭდილებით იმართება. დაბადება პირველი და ყველაზე შემზარავი ძალადობაა, რომელიც ადამიანზე ხორციელდება და ამ შოკიდან ის ბოლომდე ვერასდროს ვერ ახერხებს გათავისუფლებას. დაბადება შიშის პირველი გამოცდილებაა, რომელიც მაშინ ჩნდება, როდესაც ადამიანს ემბრიონალური ნეტარება ერღვევა და უცნობი და შემაშინებელი ცხოვრებისაკენ მიმავალ გვირაბში აღმოჩნდება. ყველა სხვა შიში, საბოლოო ჯამში, დაბადების შიშის ნაირსახეობებია.

გამოდის, რომ ადამიანს დაბადება სასჯელად ეძლევა: ის, ისე ისჯება ცხოვრებით, როგორც სამოთხიდან განდევნილი კაცობრიობის მშობლები და მათ მსგავსად, ისიც, ამ სასჯელს საკუთარი ცოდვილობით ხსნის ან უხსნიან. დანაშაულის გრძნობა, რომელიც ადამიანის სულიერი ტკივილებისა და სნეულებების სათავეა, დაბადებით დასჯის შედეგად ჩნდება და სიკვდილის შემდეგაც განკითხვის ჟამის გარდაუვალობას აჯერებს. ჯოჯოხეთში ყველა დაბადებულია ნამყოფი და სიკვდილის შიშიც მას დაბადების გზის ხელახლა გავლად წარმოუდგება.

ადამიანის მთელი ცხოვრება, ყველა მისი ლტოლვა და ქმედება, სიზმარი და წარმოსახვა – უკან დაბრუნების მცდელობაა, მხოლოდ ისე, რომ (კვლავ) დაბადება აღარ განმეორდეს და დედის საშოდან ის აღარავინ გამოაძევოს. ჯვარცმის შემდეგ მკვდრეთით აღდგომა – რელიგიური ფანტაზიის ეს უმაღლესი ნაყოფი – დაბადებაა extra vaginam – დედის საშოს გვერდის ავლით. სიკვდილის მომენტში შვების განცდა კი, დაბადებამდელ ნეტარებასთან დაბრუნება. ანუ, „სიკვდილის გზა არ-რა არის ვარდისფერ გზის გარდა.“

„Ну, вот я плачу, плачу, нет пути.
Вернуться суждено мне в эти камни.
Нельзя придти туда мне во плоти.
Лишь мертвой суждено взлететь туда мне.“
(„აი, მეც ვტირი, ვტირი, სხვა გზა არ არის.
დაბრუნება მაქვს მე ამ ქვებში მისჯილი ბედად.
რადგანაც მისვლა ხორციელად მე იქ არ ძალმიძს,
მხოლოდღა სული სიკვდილის შემდეგ იქ შეფრინდება.“) იოსიფ ბროდსკი

PUDENDA ORIGO – „ქალური სარცხვინელიდან წარმომავლობა“

გზა, რომელიც ადამიანს სამყაროსთან აკავშირებს, ფეკალიების გზაა და ისიც ფეკალური მასასავით გამოიყოფა დედის მუცლიდან.

ამიტომაც, დაბადებაში pudenda origo-ს – „სასირცხვილო წარმომავლობის“ შინაარსიცაა ჩადებული. თუმცა, ადრეული ასაკის ბავშვს საკუთარი ფეკალიების გამოყოფა მშობლების დასაჩუქრებად მიაჩნია და სიამაყეს განაცდევინებს. ის ისეთივე ამაყია, როგორც დედა, რომელსაც თავის ახალშობილ ბავშვს დაანახებენ და მასაც უხარია საკუთარი ორგანიზმის ტკივილით გამონაყოფის ხილვა.

ფეკალიების გამომყოფ ორგანოთა მიმართ დამოკიდებულება არაერთგვაროვანია: მათში ერთდროულად ვნებაცაა ჩაბუდებული და ზიზღიც, მიზიდულობაც და დამაფრთხობლობაც. ისინი საიდუმლო ლოჟასავით არიან ჩამალული ადამიანის სხეულში და ასე, ტანსაცმელქვეშეთიდან ახერხებენ მათი მესაკუთრის მართვასა და მანიპულაციას. ადამიანებმა ეს ყოველთვის იცოდნენ და ამიტომაც გამომყოფ ორგანოებსა და მათ ფუნქციებს არც რელიგიათა ყურადღება მოკლებია: მათ ადიდებდნენ, როგორც ღმერთებს და გმობდნენ, როგორც ეშმაკეულთ.

ამგვარ გმობა-დიდებაში კი, ამ ორგანოთა ბიოლოგიური სპეციფიკაც აისახებოდა. მითრას მისტერიებზე ფალოსის გამომზეურებისას ქურუმი მათრახის ტყლაშუნით შესძახებდა: „მითრას სძულს ქალები!“ ფალოსის აღმატებულება რომ დაემტკიცებინათ, მისი მფლობელები ვაგინას საფრთხობელად გამოსახავდნენ: ქალღმერთ ათენას ტანისამოსსა და ფარზე მედუზა გორგონას თავი იყო ამოქარგულ-ამოტვიფრული, რომელიც ვაგინას მითოსურ ხატებად მიიჩნეოდა. გორგონას შემზარავი კბილები, ფსიქოანალიტიკოსთა მტკიცებით, კასტრაციით ემუქრებოდა ყველა მამრს, ვისაც მარად ქალწული ღმერთისკენ ვნებიანი თვალი გაექცეოდა. კასტრაციის შიშიც მთლიანად ვაგინას ბრალდება: მის ბიოლოგიურ მესაკუთრეებს უპენისობის გამო თავი ნაკლოვანი ჰგონიათ და პენისის შური ამოძრავებთ მამაკაცებზე შურის საძიებლადო.

სამაგიეროდ, ისიცაა ცნობილი, რომ ზოგ ქალს პენისის სანაცვლოდ კუდი ეზრდება და ცოცხზე ამხედრებული დაფრინავს ხოლმე. X საუკუნეში შედგენილი სამღვდელო პირთათვის განკუთვნილი სახელმძღვანელო Canon Episcopi ღვთის მსახურებს მიუთითებდა: „ყურადღებიდან არ უნდა გამოგვეპაროს, რომ ქალები მიდრეკილნი არიან დანაშაულებრივი ქმედებებისაკენ. თუ დემონმა აცდუნა, ქალები სატანის მიმდევრები ხდებიან და წარმართთა ქალღმერთ დიანას ბრძანებით ღამ-ღამობით ცხოველებზე ამხედრებულნი დაჰქრიან.“ ეკლესიასაც არ გამოპარვია დედათა გონების იწროობა და რამდენიმე საუკუნის მანძილზე წარმატებით ნადირობდა კუდიან ქალებზე, რამაც ევროპა ლამის დემოგრაფიულ კატასტროფამდე მიიყვანა. მაგრამ ქალებს ხსნად განმანათლებლობის ეპოქამ მოუსწრო და მას აქეთ ვიცით, რომ ვაგინაში კბილები არ იზრდება და მამრობით სქესსაც კასტრაციის საფრთხე ქალთაგან აღარ უნდა ემუქრებოდეს.

თუმცა, არა მხოლოდ ვაგინა, არამედ საშვილოსნოც საუკუნეთა მანძილზე კბენასთან ასოცირდებოდა: ბერძნული სიტყვა „ჰისტერა“, რომლისგანაც ტერმინი „ისტერია“ შეიქმნა, საშვილოსნოს ნიშნავს. ისტერია პირველი ნერვული დაავადებაა, რომელიც მედიცინის ისტორიაში დაფიქსირებულა და ის, ფროიდამდე მხოლოდ მდედრობით სქესს მიეწერებოდა. XVII საუკუნემდე მიღებული მოსაზრების თანახმად, ისტერიის გამომწვევი მიზეზი საშვილოსნო იყო, რომელიც თუ სპერმით არ გამოიკვება, ორგანიზმში ეძებს საკვებს და ბოლოს თავის ქალაშიც აღმოჩნდება, სადაც, ის, ტვინის კბენას იწყებს. საშვილოსნოსგან დაკბენილი ტვინი კი ადამიანს ისტერიული ქმედებებისაკენ უბიძგებს.

მშობელი შობილს არას მეტყოდა

მეფე მიდასს, რომელსაც ხელის ერთი შეხებით ყველაფრის ოქროდ გადაქცევა შეეძლო, და მაინც ვერ გრძნობდა თავს ბედნიერად, ერთი კითხვა მოსვენებას არ აძლევდა: რა არის ადამიანისათვის ყველაზე კარგი და ღირებული? პასუხის საპოვნელად მან ბრძენ სილენს – დიონისეს გამზრდელ სატირს დაუწყო დევნა და იმდენ ხანს არ მოეშვა, სანამ სილენმა არ უპასუხა: „ყველაზე უკეთესი ისაა, რაც შენთვის მიუღწეველია: არ იყო დაბადებული, არ იყო, არარა იყო! ყველაზე მეტი, რაც შენ ხელგეწიფება, არის ის, რომ რაც შეიძლება მალე მოკვდე!“

თუ არდაბადება და არყოფნა დაბადებასა და ყოფნაზე უკეთესია, მაშინ ის არც ღმერთებისთვის ყოფილა შესაძლებელი: ყველა ღმერთი დაბადებულია, თუნდაც უჩვეულო გზით იყოს მოვლენილი, როგორც ათენა, რომელიც ზევსის თავიდან ამოძვრა, ან აფროდიტე, რომელიც ზღვის ქაფიდან დაიბადა, როდესაც კრონოსმა საკუთარ მამას – ურანოსს ნამგლით პენისი მოჰკვეთა და ზღვაში გადაისროლა, სადაც ურანოსის მოკვეთილი პენისიდან გადმოღვრილი სპერმა და სისხლი ერთმანეთში აირია და აქაფებული წყლიდან აფროდიტე იშვა.

ყველა ღმერთი დაბადებულია და მათ უმეტესობას დედაც ჰყავს და მამაც. თვით ძველი აღთქმის უხილავი ღმერთიც კი, რომლის დაბადების არანაირ მოწმობას ჩვენამდე არ მოუღწევია, ახალ აღთქმაში, ხორცად იქცა, რომელსაც დღემდე მისი მიმდევრები შეექცევიან და მისი სისხლით იოკებენ ღმერთთან ზიარების წყურვილს. ასე შეიქმნა პირველი და ერთადერთი თეოფაგიური (ღმერთისმჭამელი) რელიგია. „თუ არ შეჭამთ კაცის ძის ხორცს და არ შესვამთ მის სისხლს, არ გექნებათ სიცოცხლე თქვენში“ (იოანე 6, 53) – ამ სიტყვების გამო არაერთხელ მოუწიათ ეკლესიის მამებად წოდებულ პირველ ქრისტიან ღვთისმეტყველებს უხერხულ თემებზე საუბარი და თავის მართლება, რომ ისინი არც ყრმა ბიჭების სისხლ-ხორცს არ ეტანებიან და არც ინცესტუალური კავშირი აქვთ საკუთარ დედებთან.

ქრისტიანები ქრისტეს ძედ ღვთისად მოიხსენიებენ. იოანეს სახარების განმარტებით, ღვთის შვილები ისინი არიან, რომლებიც „არა ხორცის ნდომისგან, არა მამაკაცის ნდომისგან, არამედ, უშუალოდ ღმერთისგან იშვნენ.“

მათეს სახერებაში, სიკვდილის წინ ჯვარზე გაკრულმა ქრისტემ მთელი ხმით მამას შესძახა: „ელი, ელი! ლამა საბაქთანი?“ – „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რად მიმატოვე?“ მამამისს პასუხი არ გაუცია, მხოლოდ ცამ დაიჭექა და წვიმა წამოვიდა...

უცნობი მამა

135-ე წელი გასულიყო მას შემდეგ, რაც იერუსალიმის მახლობლად, დაბა ბეთლემში, ნაზარეთელი დურგლის იოსების ოჯახში, ვაჟიშვილი – იესო დაიბადა. შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე დაბადებულ-გაზრდილი ერთი წარმატებული ფინანსისტი, სახელად მარკიონი, რომიდან მშობლიური სინოპისკენ მიემართებოდა და თან რომში ნაშოვნი დიდძალი ფული – 200 ათასი სესტერცია მიჰქონდა. მარკიონი მონათლული იყო, ანუ იმ რელიგიის მიმდევარი, რომელსაც იმ დროს რომში დაცინვით „ქრისტიანებს“ ეძახდნენ. ერთ დღეს, რომელიც სულაც არაა აუცილებელი, რომ მშვენიერი ყოფილიყო, მარკიონი დაფიქრდა იმაზე, თუ რანაირად შეიძლება ქრისტეს, რომელიც სიყვარულსა და სათნოებას ქადაგებდა, ისეთი მრისხანე და სასტიკი მამა ჰყოლოდა, როგორიც ებრაელთა წმინდა წიგნებიდან ცნობილი იეჰოვა? მარკიონი მიხვდა, რომ ამ ფიქრს ვე-

ღარასდროს თავს ვერ დააღწევდა და თავი მოწოდებულად იგრძნო, რომ ქრისტეს ჩასახვის საიდუმლო ეპოვა და სხვებისათვის ემცნო. მან უარი თქვა კაპიტალის დაბანდებაზე და საკუთარი ჯაფით ნაშოვნი ავლა-დიდება სინოპის საკათედრო ტაძარს შესწირა, თავად კი, ქრისტეს მამის ძებნის გზას დაადგა.

ცხრა წელი თავდაუზოგავი შრომისა და კვლევა-ძიების შემდეგ, მარკიონმა მიაგნო ჭეშმარიტებას და ამოხსნა ქრისტეს მამის ვინაობის საიდუმლო: ქრისტეს მამა არა ებრაელთა მრისხანე ღმერთი იეჰოვაა, რომელმაც მოძალადეობასა და ჩაგვრაზე აგებული ჩვენი სამყარო შექმნა, არამედ კეთილი და მოწყალე უცნობი ღმერთი, რომელიც ადამიანებს მხოლოდ ერთხელ გამოეცხადა საკუთარ ძედ განსხეულებული, რომ სამყაროს შემოქმედი ტირანი-ღმერთის საპირისპიროდ, სიყვარულის ძალა ემცნო. კანონებისა და სასამართლოების, დასჯისა და განკითხვის, ომისა და ძალადობის, სიბნელისა და უმეცრების ღმერთი, მარკიონის რწმენით, სამყაროს შემოქმედი დემიურგია, ხოლო ქრისტეს უცნობი მამა – სიკეთისა და სიყვარულის ღმერთი და ამ ორ ღმერთს ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვს. ქრისტე სამყაროს კანონდამრღვევად მოევლინა და ამისათვის დაისაჯა, ხოლო თავისი სიცოცხლის ფასად, მან დემიურგი ღმერთის ტირანიისგან ადამიანების გამოსყიდვა ინება, რათა ისინი თავის სამეფოში, რომელიც ამა სოფლისა არ იყო, გადაესახლებინა, სანამ მათ ღვარძლიანი დემიურგი წარღვნებითა და ღვარცოფებით ან ერთმანეთის სიძულვილითა და მტრობით გაანადგურებდა. ადამიანები, თუკი მათ მათი შემქმნელი ტირანი მამა-ღმერთის ტყვეობიდან თავის დახსნა სურდათ, ვალდებული იყვნენ, დაეტოვებინათ უკეთური სამშობლო და მისი სალი კლდეები სხვა – უცხო ქვეყნის სამოთხეზე გაეცვალათ.

მარკიონმა ამ უცხო ქვეყნის, ქრისტეს უცნობი მამის სამყაროსაკენ მიმავალ გზასაც მიაგნო, რომელიც დემიურგ-იეჰოვასადმი საყოველთაო დაუმორჩილებლობით იწყებოდა. ადამიანებს ბოიკოტი უნდა გამოეცხადებინათ სამყაროს შემოქმედი ღმერთისათვის, უარი ეთქვათ მის მიერ დაწესებულ ვალდებულებებსა და ნორმებზე, ყოფილიყვნენ კანონგარეშე, როგორც მაცხოვარი იესო ქრისტე და, რაც მთავარია, აღარ გამრავლებულიყვნენ, რადგანაც ყოველი ახალი ადამიანის დაბადებით მხოლოდ ბოროტება მრავლდებოდა.

აღშფოთებულმა ეკლესიამ მარკიონი არა მხოლოდ განკვეთა და შეაჩვენა, არამედ, მის საგმობად და საძაგებლად საგანგებო ტერმინი – „ჰაირესისი“, ანუ „მწვალებლობა“ გამოიგონა. „ჰაირესისი“ სიტყვა-სიტყვით „არჩევას“, „ამორჩევას“ ნიშნავს, ანუ მისი ჩამდენი თავისუფალია თავის არჩევანში და იმას ირჩევს, რაც მას სურს და არა რაც საყოველთაოდ მიღებული და ამიტომაც სწორია. რაც სწორი არაა, ის გადახრილ-გამრუდებულად ითვლება. აქედან გამომდინარე, არჩევა, საკუთარი აზრის ქონა, გზასაცდენილობის აღმნიშვნელია და ყველა, ვინც ჭეშმარიტების გზას აცდება, მყისვე ჰაირესისს სჩადის, ანუ ერეტიკოსი ხდება. ვინაიდან გზასაცდენილებს გზასაუცდენლები – მათი სახელი კი ლეგიონ(ერ)ია – ოდითგანვე არ ეტრფოდნენ, ეს არტრფობაც წამებულის გვირგვინით მოსავდა ერეტიკოსთა სიცოცხლეს კოცონსა თუ ეშაფოტზე, ბნელ და ავადსახსენებელ შუა საუკუნეებში. ხოლო ვისაც გაუმართლა და დემოკრატიის ჰიბრიდებს მაინც მოესწრო, მისი ზარალი მხოლოდ დაცინვითა და ქილიკით შემოიფარგლება.

„ნეტარ ხართ თქვენ, როცა გლანძღავენ, გაგდევნიან და ყოველნაირ ბოროტს იტყვიან თქვენზე ჩემ გამო“ – ქადაგებდა გორაზე შემომდგარი ქრისტე.

იმანუილ კანტმა, რომელიც სადაც დაიბადა, იქვე მოკვდა, ბრძანა, ადამიანი ბუნებით ბოროტიაო.

აბუ ალი იბნ სინას ერთი უსათაურო და სევდიანი ლექსი:

„ვირებში თუ ხარ, შენაც უნდა ტლინკები ჰყარო,
ვირებს ჰგონიათ, ჩვენიაო მთელი სამყარო!
ვირებში თუმცა მუდამ ვირად მომქონდა თავი,
მაინც გამიგეს, არაბული ტაიჭი ხარო!“

The Stalin Code

ნაწილი I: Ceci n'est pas une pipe

ბელგიელი მხატვარი რენე მაგრიტი სიურეალისტი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ ის რეალობაზე მაღლა იდგა და ვეებერთელა ჩიბუხებს ხატავდა, თანაც, ქვეშ აწერდა: Ceci n'est pas une pipe – „ეს არ არის ჩიბუხი“. როდესაც მაგრიტს ეკითხებოდნენ, აბა, რა არისო, ისიც პასუხობდა, თუ ეს ჩიბუხია, მაშინ მიდით და შიგ თამბაქო ჩატენეთო. მიუხედავად ამისა, ან, შეიძლება სწორედ ასეთი პასუხის გამო, ზოგ-ზოგიერთებს ეჭვი გაუჩნდათ, რომ მაგრიტს მათი შეცდომაში შეყვანა სურდა, რათა ნახატებში ჩამალული საიდუმლო არ გამომჟღავნებულიყო. ბოლოს და ბოლოს, მაგრიტი სიურეალისტი იყო და ის რეალობაზე მაღლა იდგა.

ფრანგმა ფილოსოფოსმა მიშელ ფუკომ, რომელიც ექიმის ოჯახში დაიბადა და შიდსით გარდაიცვალა, წიგნიც კი მიუძღვნა მაგრიტის ჩიბუხების საიდუმლოს და დაასკვნა, რომ ამ ნახატებში ჩიბუხის გარდა კიდევ სხვა რამ იმალება, ანუ ჩიბუხი უხილავი მთელის ხილული ნაწილია.

ნაწილი II: მისალოცი ბარათი

1. 1. 1923
„ჩემო საყვარელო დედა!
სალამი!
კიდევ ათი ათასი წელი გეცოცხლოს.
გკოცნი.
შენი სოსო“

ნაწილი III: უხილავი მთელი

ოფიციალური ვერსიის თანახმად, სტალინი 1879 წლის 21 დეკემბერს დაიბადა, არაოფიციალურის მიხედვით კი – 1878 წლის 18 დეკემბერს. ასეთი უცნაურობის მიზეზი ისაა, რომ სტალინი ორჯერ დაიბადა: პირველად – ადამიანად, მეორედ – ჩიბუხად. ამიტომაც ის ორჯერ დაკრძალეს, თანაც, მეორედ – გასაიდუმლოებულად. ამ საიდუმლოს კი მხოლოდ ის ჩაწვდა, ვინც რეალობაზე მაღლა იდგა და ჩიბუხებს ხატავდა.

შხამიანი ზაზუნა

1991 წელს ტელევიზიის წინ შეკრებილ ოპოზიციონერთა რიგებში შემზარავი ინფორმაცია გავრცელდა: ზვიად გამსახურდიამ ზოოპარკიდან შხამიანი ზაზუნა გამოაშვებინა და ვის კანქვეშა ჯჯირკვალსაც ზაზუნას შხამი მისწვდება, მისი სხეულის სუნს ვერანაირი სუნამო ვეღარ გადაფარავსო. არადა, დაპირისპირება პრეზიდენტსა და მის ოპოზიციას შორის სუნამოების ნიადაგზე დაიწყო. იმასაც კი ამბობენ, რომ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობა საქართველოს ტერიტორიაზე მოსხურებადი ყველა სუნამოს დასასაკუთრებლად უნდოდაო, რომ ერთადერთი სუნამოიანი ის ყოფილიყო და რომ ხალხს, რომელმაც აღარ უწყოდა სუნამოს სურნელი, პრეზიდენტის ძალა და დიდება ცხვირით ეგრძნოო. ამიტომაც, იგი ხელისუფლებაში მოსვლისთანავე სუნამოების კონფისკაციას შეუდგა.

„გიყვარდეთ სუნნი თქვენი!“ – უთხრა მომიტინგე ხალხს პრეზიდენტმა და ხალხმაც ირწმუნა, რომ უმჯობესი იყო სუნი ეფრქვია ხორცს და სული აღვსილიყო სურნელით, ვიდრე სუნამონაპკურები გვამი მათი შთავარდნილიყო გეენიას. ხოლო ვინც გაუძლებდა და არანაირი სუნამოთი, არც საპნითა თუ ნელსაცხებლით არ წარიწყმეტდა საკუთარ სულს, მისი ხორციდან, როგორც სასწაულმოქმედი ხატებიდან, მირონი წარმოდინდებოდა. ხალხის 87%-მა ირწმუნა და საკუთარი ნებით თქვა უარი სუნამოზე და ახალი, დამოუკიდებელი და საკუთარსუნიანი საქართველოს შესაქმნელად, მხარში ამოუდგა პრეზიდენტს, რომელსაც სუნთა მბრძანებელსაც უწოდებდნენ.

დარჩენილი 13% კი ვერ შეელია სუნამოს კონსუმენტობას და კანონიერ პრეზიდენტს კრიჭაში ჩაუდგა, როგორც თავის დროზე წმინდა ნინოს დაუწყო კბილების კრეჭა ჟინვალჰესთან შეკრებილმა დუშეთის რაიონის მოსახლეობამ, რომელსაც არ სურდა კერპების თაყვანისცემის მავნე ტრადიციაზე უარის თქმა და ხაჭაპურებს უცხობდა ბომონთ. მაშინ, წმინდა ნინოს თანმხლებმა ერისთავმა მცირედი მახვილი აღმართა და ურჩმა მთიულებმაც იგრძნეს ვაზის ჯვრის ძალა და მევენახეობას მიჰყვეს ხელი. ეს ამბავი გაახსენდათ სუნამოიანებს, რომლებიც საკუთარ თავს ოპოზიციას უწოდებდნენ, სინამდვილეში კი მზად იყვნენ, სამშობლო ერთ ფრანგულ სუნამოზე გაეცვალათ, და გადაწყვიტეს, სიცოცხლის ფასად არ დაეთმოთ სუნამოიანი კეთილსურნელება და საქართველოს ტელერადიო მაუწყებლობის შენობის წინ შეკრეს პირობა, რომ არ გაცვლიდნენ სუნამოს კეთილსურნელებას საკუთარი სხეულის სუნზე. ხოლო როდესაც ზვიად გამსახურდიამ მათ გასანადგურებლად შხამიანი ზაზუნა დაგეშა, ოპოზიციამაც არ დააყოვნა და ტელევიზიის დასაცავად აღმართული ზარბაზნიდან პირველი ყუმბარა გავარდა, რომელმაც გმირთა მოედანს გადაუფრინა და მიტოვებული აბრეშუმის ფაბრიკის მიდამოებში შხამიანი ზაზუნას მონათესავე არაერთი მღრღნელი ცხოველი სიცოცხლეს გამოასალმა. ვინც ზარბაზანს გადაურჩა, მასაც არ აცდენია სუნამოიანთა სისასტიკე: დაღუპულ-დასახიჩრებული ვირთხების, თაგვების, ზღვის გოჭებისა და მაჩვების სისხლით მოირწყა თბილისის მიწა, მაგრამ ზაზუნას გვამი არავის უნახავს და ვინ იცის, ის, იქნებ, დღესაც ცოცხალია და მღრღნელთა კოსმიურ ლაშქარს მოუძღვება სუნამოთი სუნწარწყმეტილ ადამიანებზე შურის საძიებლად, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ადამის და მღრღნელ ცხოველთა საერთო პირველმამის მოდგმებს შორის მრავალათასწლიანი ომი გამარჯვებულს ვერასდროს ვერ გამოავლენს.

თბილისის სუნამოიანი მოსახლეობის კეთილმყნოსველობა ვერ შეეგუა დედაქალაქში სუნიანების პარპაშს და იძულებული აღმოჩნდა, ქრისტესშობის მძიმე მარხვის ჟამს კანონიერი ხელისუფლება დაემხო და მის სუნიან მხარდამჭერთა განსაწმენდელად ცეცხლი და წყლის ჭავლი გამოეყენებინა.

11 წელი საქართველოში სუნამოიანთა ტერორი მძვინვარებდა, სანამ საზღვარგარეთ ნამყოფმა ახალგაზრდა სუნამოიანებმა არ ამხილეს შევარდნაძის მუხანათობა, რომელსაც, მთელი ამ ხნის მანძილზე, თურმე, გაყალბებული სუნამოები ჩამოჰქონდა დუბაიდან. ქართველმა ერმაც თავი დამცირებულად და სუნში ჩაფურთხებულად იგრძნო და ვარდის სურნელის ფრქვევით პარლამენტის კელაპტრიანი დარბაზის კარი შელეწა.

საქართველოში სუნიანთა დევნა-შევიწროებაც მხოლოდ ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილის მოსვლით დასრულდა, როდესაც სუნამოიანები და სუნიანები მთელი ქვეყნისა შეერთდნენ და სუნამოიანებმა სუნიანებს Duty Free-ში ნაყიდი სუნამოები აჩუქეს და სუნიანებმაც იპკურეს სუნამოები და სუნამოიანებთან ერთად შეუდგნენ იმ ქვეყნის შენებას, რომელშიც არავინ იქნება არც სუნიანი და არც სუნამოიანი, არც მემარცხენე და არც მემარჯვენე, არც ქალი და არც მამაკაცი, არამედ ვარდსა და ნეხვსა მზე სწორად მოეფინება.

მისამღერი:

მიშა მღერის, მღერის ერი:
მიშა იშვა და აიშვა
და
Aïcha, Aïcha écoute-moi,
Aïcha, Aïcha t'en vas pas,
Aïcha, Aïcha regarde moi,
Aïcha, Aïcha reponds-moi
(„აიშა, აიშა, ყური დამიგდე,
აიშა, აიშა, შორს არ წახვიდე,
აიშა, აიშა, მესროლე მზერა,
აიშა, აიშა, პასუხი ჩქარა!“)

QUI ES IN CIALIS®

აბა, წარმოგიდგენიათ, რაოდენ რთულია ყოვლისმჭვრეტელი, ყოვლისმცოდნე და ყოვლისმომცველი არსებისთვის ერექციის ხანგრძლივად შენარჩუნება?

ბუნებრივია, წუთისოფლის მართვა წამგებიანი წამოწყება სულაც არ არის – შეგიძლიათ ისარგებლოთ უამრავი საკრედიტო ბარათით, უდარდელად მიირთვათ უზომოდ ბევრი ნაყინი, იფიქროთ მორგან ფრიმენის ხმით, ატაროთ მზის სათვალეები დაბინდების შემდეგაც, რადგან თქვენთვის ღამეც მუდამ მზიანია, და ურჩთ დაუმალოთ ცალი წინდა სავარძლის უკან. სამაგიეროდ, ყოველივე სულიერის მეუღლის მნიშვნელოვანი მოვალეობების შესრულება შეიძლება ოდნავ გაჭირდეს, როდესაც ტანჯულთა განუწყვეტელი ვაება არ გა-



ძლევთ ყოვლისმფარველი ქუთუთოს უყურადღებოდ დატოვების საშუალებას. თუ როგორღაც სულის მოთქმა მოახერხეთ, ყოველი ამოსუნთქვისას ჭარმაგი ფილტვები კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში დაგემოვნებული ყოველი ნაფაზის კვამლითა და უკლებლივ ყველა ვულკანის სიღრმიდან აღმოცენებული ფერფლით გევსებათ.

არ გემორჩილებათ ხელები, რომლებიც ერთდროულად თევზის ჯიუტი ქონით შერყვნილ თეფშებს რეცხავენ ხისტ წყალში და ზეთის თავზეხელაღებული წვეთით უწყალოდ დანესტრილნი წინსაფრის უბეში ეძიებენ თავშესაფარს. მისტირით ნეკრესის ქარიშხლებისგან უწყალოდ აწიოკებულ აღარცთუ ისე ახალ ორლეანსა და, აგრეთვე, მხოლოდ ოდნავ ახალი იორკის უღრუბლო ცაში მიმოფანტულ თავნება მუსლიმი პილოტების ნამცეცებს; თქვენ თვალწინ ერთად ცოცხლდება კიბერსივრცეში ატვირთული ყველა საყვარელი ფისოს ვიდეო და ცხოველური სიცხადით წარმოგიდგებათ ყოველი მოხუცი ადამიანი, რომელიც, განვლილი ცხოვრების ცოდვათაგან გათავისუფლების მიზნით, გულდაგულ ფარავს საკუთარ უძლურ სხეულს საპნის ძლივს შესამჩნევი ფენით. თქვენს ყოვლისმსმენელ სასმენელთ არ გამოეპარება ხმაკეთილი ელვისის ნაკლებად კეთილხმოვანი კუჭის უკანასკნელი გაბრძოლება და დეტექტივ ჯონ მაკლეინის მიერ, როგორც სიტყვით, აგრეთვე ტყვიით, სასიკვდილოდ დაკოდილი ვერაგი ჰანს გრუბერის ნაკატომი პლაზას მახლობლად მიწასთან გასწორების სანატრელი ხმა. ღვთაებრივი მზერით აღიქვამთ დედამიწის მეტად დამსახურებული სახალხო არტისტის, ბუბა კიკაბიძის მიერ მწყობრი კბილების გამოხეხვის ყოველ საბედისწერო შემთხვევას და მთელი გალაქტიკის უშობელ ჩანასახებთან ერთად იხრწნებით ახლად გარემონტებული ან სავალალო პირობებში მყოფი საავადმყოფოების ნაგავსაყრელებზე. თანაბარი სიმძაფრით განიცდით ყოველი მეორეადგილოსანის ენით აღუწერელ იმედგაცრუებას და გიპყრობთ თქვენი ნამოღვაწარის გასწვრივ თქვენივე სხივცისკროვანი სახელის არ აღმოჩენით გამოწვეული ზომიერი კაეშანი. ყოველ საუზმეს ჰოლოკოსტს გადარჩენილ რჩეულებთან ინაწილებთ, ხოლო ვახშმად სპარტელ ცხედარმთავარ ლეონიდასს ეწვევით სტიქსის შავბნელ ტალღებზე ტივით სასეირნოდ და ორფევსის ბაიათების მოსასმენად.

თერთმეტი სიტყვით რომ ვთქვათ, სულაც არ არის ადვილი იყო ღმერთი და გქონდეს წყნარი სექსუალური ცხოვრება. ალბათ სწორედ ამიტომ მოახერხა შემოქმედმა ზემოქმედებითი ენერგიების დაძაბვით საწადელის მიღწევა მხოლოდ ორჯერ, თუ ნოტიო ტალახისგან სახელდახელოდ მოზელილ გუნდაში სულის შთაბერვას არ ჩავთვლით. აგრეთვე, გასათვალისწინებელია პატივცემულის კუთვნილებაში მყოფი რძიანი გზის შემაძრწუნებელი მასშტაბები, რომლის დასაფარად ჟანგბადის უხვი მარაგით აღჭურვილი ჯანიანი ირმის არაერთი ნახტომია საჭირო და რომელიც ორად ორი სულიერის უძირო წიაღმა შეიფარა ჯეროვნად (მოდით, შევთანხმდეთ, რომ ნოტიო ტალახისგან სახელდახელოდ მოზელილი გუნდა სულიერი ქმნილება არ არის). ალბათ სულაც არ არის საამო, როდესაც კაცთა მოდგმის ყამირი მომავლის განაყოფიერების ყოველ გმირულ მცდელობას მთავარანგელოზი გაბრიელი და დინჯი მტრედი გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს. დამატებით, ალბათ უზენაესისთვის თინეიჯერებთან სქესობრივი კავშირები მაინცდამაინც მიზანშეწონილი არ არის – მადლობა ღმერთს, რომ ბანოვანი მხოლოდ თორმეტი წლისაა.

სავარაუდოდ, ამ ყველაფერმა აიძულა იაჰვე, მარტის ერთ არაფრით გამორჩეულ საღამოს, აურაცხელი ძალით დაუფლებოდა უტყვი დურგლის უმანკო მეუღლეს, რომლის ფრჩხილებსაც მანიკურიც არასდროს გაკარებია. ცვალებადი ბუნების გამო, ელოჰიმი ამტანობით არასოდეს გამოირჩეოდა, თუმცა, მასთან ერთხორც გატარებული ორიოდ აკადემიური წუთიც საკმარისი აღმოჩნდა ქალწულის მსოფლმხედველობის ამოსაპირქვავებლად. უცოდველობის ალში დანთქმის შემდეგ იგი კვლავ დიდხანს ესიყვარულებოდა მორდეხაის ბეღელის კედელზე ბატიფეხურად გამოსახულ „ადონაი + მადონაის“ და იგონებდა გარდასულ მწუხრთა დიდებას.

აბრაამის ღმერთიც ხშირად იხსენებდა იმ საღამოს, როდესაც აკრძალული ხილის რამდენიმე წლის მოსავალი იგემა, და ხანდახან ეჭვობდა, რომ სულაც არ ღირდა ახალი რელიგიის გამოგონება არასრულწლოვანთან წამიერი ვნების გადასაფარად. ზენაარი იყო ბოლოს და ბოლოს, თუ პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკული ფეხბურთის გუნდის მთავარი მწვრთნელის მოადგილე?! თუმცა, ამგვარად მან დასაბამი ჩაუყარა კიდევ ერთ ლამაზ დღესასწაულს და ჩვენი შრომით მონაგარ ფულთან გაყრის დიდებული შესაძლებლობა გვიბოძა. შობა ყოველთვის გვახსენებს იმ ენითაღუწერელ გასაჭირს, რასაც უფალმა გაუძლო, რათა კაცობრიობისთვის იმედი ჩაესახა. პირველად, ქალწულის მკლავებში განუტევა სულის ნაწილი იეჰოვამ და ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ბევრი შევჭამოთ ელაჰის ყრუ ტკივილის დასაამებლად.

სხვათა შორის, მეორედ, ელოჰიმი კონგოს განსაცვიფრებლად დემოკრატიული რესპუბლიკის უსიერ ტყეებში მცხოვრებ ულამაზეს შიმპანზე ზირასთან დაეცა. შედეგად, ქვეყნიერებას შიდსი მოევლინა. სჯულის კანონის ექსპერტთა ნაწილის ღრმა რწმენით, შიდსი ადამიანთა ყოველდღიური ტანჯვისგან ხსნის მეტად ხარჯეფექტური საშუალებაა და შიდსით გარდაცვლილი ყოველი კრავი უფლის საძოვრებზე დაიდებს ბინას. საბედნიეროდ, შიდსი ღრმა რწმენით არ გადადის.

დანართი:

ფემინისტები მამა-ღმერთს დედა–ღმერთს უწოდებენ, ხოლო ღვთისმშობლის ნაცვლად წმინდა იოსებს სცემენ თაყვანს, როგორც მარად ვაჟწულს და საბუთად იოანეს სახარება მოაქვთ, რომ ქრისტე „არა მამაკაცის ნდომისგან“ იშვა.

როდესაც გერმანელთა ტყვეობაში მყოფ სტალინის ვაჟს – იაკობ ჯუღაშვილს უთხრეს, რომ მამაშენს შენზე უთქვამს, ფელდ-მარშალ პაულუსზე არ გავცვლიო, იაკობს სევდისაგან გერმანულად აღმოხდენია: Vater, Vater, warum hast du mich verlassen?! („მამაჩემო, მამაჩემო, რად მიმატოვე?!“)

„[...] არ შურს, არ ყოყოჩობს, არ ამპარტავნობს, არ სჩადის უწესობას, თავისას არ ეძიებს, არ მრისხანებს და არ განიზრახავს ბოროტს, არ ხარობს სიცრუით, არამედ ჭეშმარიტება ახარებს. ყოველივეს იტანს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის სასოება აქვს და ყოველივეს ითმენს.“

ლონდონის წმინდა პავლეს კათედრალის რესტავრაცია პლასტიკური ქირურგიის კლინიკამ იკისრა იმ პირობით, რომ წმინდა პავლეს ფრესკებს თმების გადანერგვის რეკლამაში გამოაყენებინებდნენ.

ინგლისელი მწერალი რედიარდ კიპლინგი „ვეფხისტყაოსანს“ შთაუგონებია მაუგლის ხატის შესაქმნელად.

მამა ყოველთვის ღმერთი როდია, ხოლო დედა კი, ენა.

ძალა ღმერთობაშია!

შესწორება: „ცხელი შოკოლადის“ წინა ნომერში, სტატიაზე იაwor-მქმნელი, ავტორებად უნდა ყოფილიყო მითითებული – გიორგი ავალიანი, გიორგი მაისურაძე.

"ბორჯომის წყაროები" -
ეროვნული წყალი
SORJOMI
Springs

80-90-იანი წლების, ორი ეპოქის ნაწიბურზე დაწერილი და მერე დავიწყებული რამდენიმე ლექსი, ძველი სიმღერების მსგავსად ჩემში ზუსტად იმ დროისა და სივრცის რეკონსტიტუციას ახდენს, რომელშიც ისინი დაიწერა. თითქოს დროის მანქანის წყალობით მომავალში, 21-ე საუკუნის ჩემს რეალობაში მოხვედრილი ზოგიერთი მათგანი ისევ აქტუალური დარჩა.

მათი ცალკე კრებულად გამოცემა ოქროსფერ სარკოფაგში მოთავსებული, კარგად შენახულ მუმიების გამოფენა იქნებოდა... მე ისინი ცოცხლები მჭირდება, ისეთივე მგრძნობიარობით, როგორიც მათ, ოცი წლის წინ ჰქონდათ. ვიფიქრე, წიგნად აკინძულ პრიალა «მუზეუმის» ნაცვლად, საქართველოში ასე პოპულარულ ჟანრში, ჰიმნებში გამეცოცხლებინა ისინი; წიგნად აკინძულ თოთხმეტ ჰიმნად.

ცნობილი ტელე ჰიმნებისგან განსხვავებით, ჩემი ჰიმნები ტექსტებია, რომლებშიც სხვადასხვა ლიტერატურული ჟანრია გამოყენებული: პოეზია, ნოველა, ესე, დოკუმენტური პუბლიცისტიკა, დრამატურგია... ჰიმნები ჩემი ცხოვრების ძაფზე აცმული დროის კრიალასანია. თამაშია ყველაზე ფუნდამენტური თემებით: სიყვარული, სიძულვილი, სამშობლო, თავისუფლება... რომელთა ლოგიკა ჩემთვის დღესაც ისეთივე გაუგებარია, როგორც გზის დასაწყისში... ან, შესაძლოა უფრო მეტად... გაუგებარია, როგორც კალეიდოსკოპში შუშის პატარა უფასო და უმნიშვნელო ნამსხვრევებისგან შემდგარი ათასობით კომპოზიციის, მათი ჰარმონიის, მშვენიერების ლოგიკა, რომელიც, პრინციპში, არ არსებობს. ამიტომ მის ძებნას არანაირი აზრი არა აქვს. უმჯობესია ამ უმნიშვნელო პატარა დეტალებისგან შემთხვევით დაბადებულ კომპოზიციაზე მედიტირება, სანამ ის სამუდამოდ გაქრება.

ჰიმნი N2 ნაცია

ავტორი პაატა ქურდაძე
ილუსტრაცია ანუკ ბელუგა

ყველაფერი სახელმწიფოსთან ერთად. არაფერი სახელმწიფოს გარეშე. არაფერი სახელმწიფოს წინააღმდეგ.
ბენიტო მუსოლინი

ეროვნული თვითშეგნება კოლექტიური პარანოიის ნაირსახეობაა, მას ხშირად მგზნებარე პატრიოტიზმსაც უწოდებენ, ეს კი, თავის მხრივ, ჰიპერსექსუალობას წააგავს – მის პულსაციებთან გამკლავება ძალიან ძნელია და ადრე თუ გვიან, ისეთ პოლიტიკურ პათოლოგიად ყალიბდება, როგორიც ულტრამემარჯვენე მოძრაობებია.

განსხვავება ჰიპერსექსუალობასა და მგზნებარე ჰიპერპატრიოტიზმს შორის მხოლოდ იმაშია, რომ პირველი თანდაყოლილი პათოლოგიაა, მეორე კი – შეძენილი. თუმცა, ხშირად, ამ პათოლოგიით განსაკუთრებულად მძიმედ შეპყრობილი ადამიანები ცდილობენ, ის გენეტიკურ პრივილეგიად გაასაღონ.

პატრიოტიზმი, ისევე როგორც სექსუალობა, საკმაოდ ჩვეულებრივი, ბუნებრივი მოვლენაა. ის, საკუთრებასთან, სიხარბესთან და სიყვარულთან არის დაკავშირებული. თავის ექსტრემალურ ვერსიებში კი, სიძულვილთან. ჰიპერსექსუალობის ფანატიზმს, მის გამძაფრებულ პორნოგრაფიულობას, ხშირად, ძალადობა კვებავს, ჰიპერპატრიოტისას კი – სიძულვილი.

ჰიპერპატრიოტებს საკუთარ სამშობლოს სიყვარულზე მეტად – სხვისი სამშობლოს სიძულვილი ასაზრდოებთ. დასტურად უამრავი მაგალითი არსებობს გასული მეოცე საუკუნიდან, როდესაც სიტყვა პატრიოტიზმმა განსაკუთრებული, ბარბაროსული დატვირთვა შეიძინა და ისეთი გამოჩენილი ჰიპერპატრიოტები შვა, როგორებიც იყვნენ: ადოლფ ჰიტლერი, ბენიტო მუსოლინი, იოსებ სტალინი, მაო ძედუნი, ფრანსისკო ფრანკო, ფიდელ კასტრო... ასევე მილიონობით პატარა რკინის ჯარისკაცი, თავიანთი ცოლებით, შვილებით, საყვარლებით, პატარა ზიზღის ზარბაზნებით, ქილიკის პისტოლეტებით, გინების ტყვიამფრქვევებით, დაბეზღების მოძრავი, მხიარული ავტობუსებით, მობილური სახრჩობელებითა და, რა თქმა უნდა, ჰიპერპატრიოტული ფანტაზიის მწვერვალით – გაზის კამერებით...

ამ პატარა რკინის მილიონებმა სხვა მილიონებს სული ამოხადეს მგზნებარე ლოზუნგების ფრიალით ატეხილ ქარიშხალში, ჰიმნების, ფანფარების გამაყრუებელ გუგუნში – ისინი ყველაზე ჰიპერპატრიოტები იყვნენ, თავიანთი ენთუზიაზმით, ინიციატივებით... საკუთარ მეტრებზე უფრო მგზნებარენიც კი.

ჟირაფის გალია.

კარიბჭესთან ორი ბრინჯაოს ლომი იდგა: სალაროს დარაჯობდნენ, რომელშიც მსუქანი ქალი იჯდა. ეს ქალი ძალიან მდიდარი იყო, რადგან მთელი დღე ფულს აგროვებდა. შესაძლოა, ის, ღმერთიც იყო. არავინ იცის. ბებიას ღმერთი ფულის სანაცვლოდ დაგრაგნილ ბილეთს აძლევდა, ზუსტად ისეთს, რომელიც ტროლეიბუსში. ამ ბილეთებით ხელში, ლომებს შორის მშვიდობით გავდიოდით და ბებია პირველ სიტყვას ამბობდა – არ დამეკარგო! სამყარო იქვე იწყებოდა – პატარა დაღმართის ბოლოში, სადაც სელაპი ცურავდა... ყველა აქ იყო: ვეფხვი, მაიმუნი, მგელი, მარტორქა, ბეჰემოტი, კენგურუ, ირემი, ქათამი, აქლემი, თევზი, სირაქლემა... ყველა მარტო იყო, წყვილის გარეშე... რადგან სინამდვილეში, ნოე, თავისი კიდობნით, ვერეს ხეობაში გაეჩხირა, სულ ორასიოდე კილომეტრში არარატის მთიდან... მხოლოდ მერე, ცხოველებს ჩხუბი მოუვიდათ, ერთნი გალიებში გამოიკეტნენ, მათი მეწყვილეები კი წავიდნენ. ალბათ, არარატზე... ზუსტად არავინ იცის. სადღაც, ანტილოპას სიახლოვეს, ბებია, ქაღალდში ძალიან ლამაზად შეხვეულ, ჯოხზე წამოცმულ, ცილინდრის ფორმის შოკოლადის ესკიმოს ყიდულობდა, რომელიც მაშინვე დნობას იწყებდა და თითებზე წურწურით ჩამოსდიოდა.

– ნუ ილოკავ ჭუჭყიან თითებს, მოდი, დაგბანო, თორემ ბზიკები შეგჭამენ... – ბებია შადრევანზე გატკბილულ, გაწეპებულ თითებს ბანდა. შადრევანთან ახლოს სპილო ცხოვრობდა, მის მეზობლად კი, ჟირაფი. იქით აღარაფერი არ იყო. სამყარო ზუსტად აქ მთავრდებოდა, ჟირაფის გალიასთან.

ჟირაფი ოთხმოციან წლებში მოკვდა, სამყაროს დასასრულთან ერთად. და ამ ტრაგედიამ, თავისთავად ცხადია, სამყაროს დასაწყისიც შეიწირა.

ნიკოლა შოვინი

როშფორელ მგზნებარე პატრიოტსა და გულად ჯარისკაც ნიკოლა შოვინს 18 წლის ასაკში უკვე ყველა საომარი კამპანია გავლილი ჰქონდა: ჯერ საფრანგეთის რევოლუციას ემსახურა უანგარო თავდადებით, შემდეგ ნაპოლეონ I-ის იმპერიულ არმიას. თვრამეტი ჭრილობა ჰქონდა და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, არც ერთი ზურგში!... სამი ამპუტირებული თითი, გატეხილი ბეჭი, საზარლად დასახიჩრებული შუბლი, ღირსების ხმალი, წითელი ლენტი, ორასი ფრანკის ოდენობის პენსია...

ლეგენდარული ნიკოლა შოვინი, რომელმაც დასაბამი მისცა ასე პოპულარულ პოლიტიკურ ტერმინს – შოვინიზმს, სინამდვილეში, საერთოდ არ არსებობდა. მითი მის შესახებ საფრანგეთის ბოლო მონარქის, ლუი-ფილიპ პირველის (1830-1848), იდეოლოგიის გასამყარებლად შეიქმნა.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ქუჩის მომღერლებისა და მელექსეების მიერ შექმნილი გმირი ჯარისკაცი შოვინის პერსონაჟი თეატრის სცენამ თითქმის მაშინვე გააშარჟა, გადაჭარბებული პატრიოტული აგრესიის პაროდიად, დაცინვის საგნად აქცია...

ხოლო 1848 წელს, როდესაც მეორე რესპუბლიკამ საბოლოოდ დაასამარა მონარქიული წყობა საფრანგეთში, იუმორს მოკლებულმა კაცობრიობამ საბრალო, დასახიჩრებული ჯარისკაცი ნიკოლა შოვინის კომიკური პერსონაჟი ნაციონალისტურ-პატრიოტული აგრესიის გამომხატველ, ცივ პოლიტიკურ ტერმინად აქცია.

ქართული შოვინიზმის რენესანსის ეპოქაში, 1990 წლის სიახლოვეს, საკუთარი შოვინიზმით გონებადაბნელებულ ჩემს თანამემამულეებს განსაკუთრებულ სიამოვნებას ანიჭებდა სხვის შოვინიზმზე ყბედობა...

ყველა ასე ამბობდა – ველიკო რუსსკი შოვინიზმ... დიდი რუსული შოვინიზმი... ამას სამოცდაათიანებში ჩურჩულით ამბობდნენ, მერე ნელ-ნელა ხმას მოუმატეს... ოთხმოციანების ბოლოს – აღრიალდნენ.... ველიკორუსსკი! ველიკორუსსკი შოვინიზმ!

სინამდვილეში შოვინიზმს ქვეყნის ზომებთან არავითარი კავშირი არა აქვს. პატარა ქართული შოვინიზმი არაფრით განსხვავდება დიდი რუსულისგან, რადგან შოვინიზმი სხვა არაფერია თუ არა პატრიოტიზმისა და ნაციონალიზმის ექსტრემალურად ბრიყვული, აგრესიული, პერვერსული ფორმა, რომელსაც, იმ წლებში, საქართველოში პანდემიის მასშტაბი ჰქონდა და პრო-

ბოლოს და ბოლოს, რას იცავს პატრიოტი? მართლაც, რა არის სამშობლო: საცხოვრებელი ადგილი? ტერიტორია? ისტორია? რელიგია? დრო? პოლიტიკური წყობა? კულტურული სივრცე? ენა? სამშობლო ქმნის ერს, თუ პირიქით?

პორციულობის პრინციპიდან გამომდინარე, ისეთივე „ველიკი“ იყო, როგორიც რუსული.

80-იანი წლების დასაწყისში, პარიზის პასტორის ინსტიტუტში, მეცნიერებმა შიდსის ვირუსის გამოყოფა შეძლეს, ამავე ათწლეულის ბოლოს კი, ქართველებმა თბილისში, მთავრობის სასახლის წინ, ყაყანსა და აურზაურში, ზოგადი, დიდი სიბრიყვიდან შოვინიზმის ვირუსის განცალკევება მოახერხეს, „მართვად“ ვირუსად აქციეს და მას შემდეგ, რაც იძულებულნი გახდნენ სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა გაეუქმებინათ, მას, სადამსჯელო ინსტრუმენტის, დახვრეტის ალტერნატივის ფუნქცია დააკისრეს.

„არსებობს“ მჩაგვრელისა და ჩაგრულის შოვინიზმი. როგორც წესი, უგუნურებს ჩაგრულის შოვინიზმი პოზიტიური ჰგონიათ. „როგორც წესი“ იმიტომ, რომ მჩაგვრელი ერი არ არსებობს, ყველა ერი დაჩაგრული, ნაიარევი, ტანჯულია, ყველას ბეჭი აქვს გატეხილი, სამი ან მეტი თითი აკლია, ყველა, აბსოლუტურად ყველა ჭრილობა მკერდში და შუბლში აქვს მიღებული... დიდი და პატარა ქვეყნები, დიდი და პატარა ერები... ყველანი ჩაგრულნი არიან, ამიტომ ყველას შოვინიზმი პოზიტიურია.

ბედნიერი ერი არ არსებობს, ყველა სამშობლო ტანჯულია. სად იწყება ის? სად მთავრდება? როდის იბადება, ან კვდება? მისი საზღვრები გამუდმებით იცვლება... დიდდება, პატარავდება, ისევ დიდდება... ყოველთვის არის რაღაც პატარა მიწის ნაგლეჯი, რომელიც ოდესღაც მას ეკუთვნოდა და მეზობელმა წაგლიჯა... რომლის დასაბრუნებლად სიცოცხლის გაწირვა ღირს... სხვისი შვილების სიცოცხლის... განსაკუთრებულ პათოლოგიურ შემთხვევებში, საკუთარისაც კი... სამშობლო დაუმთავრებელი ომია. ყველა ომი სამამულოა, ომი ხორცის საკეპი მოშლილი მანქანაა, არსად იმდენი ადამიანური სიბრიყვე და ირონია არ არის, რამდენიც ომში. არსად იმდენი ტრაგედია არ არის, რამდენიც ომში. სამშობლო ტრაგიკომედიაა..აღცჰეიმერით დაავადებული შეშლილი, თმაგაწეწილი დედაა,რომელსაც ხან გაზის გამორთვა ავიწყდება, ხან ცეცხლის, ხან დენის...ის გამუდმებით საფრთხეშია! მას აწმყო არასოდეს წყალობს... პრინციპში, არც მომავალი, ამიტომ სულ მოწყენილი,დეპრესიულია... მას არც წარსული სწყალობს... განსაკუთრებით არ სწყალობს... ამიტომ იძულებულია ის გამოიგონოს და მერე საკუთარი სიცრუე რელიგიურად დაიჯეროს...

... გაუფრთხილდით, მოეფერეთ სამშობლოს! დაიცავით იგი! სასთუმალზე ერთხელაც არ დაიძინოთ! დაიღალეთ მის სიყვარულში! გაკაჟდით მტრების ცივ სიძულვილში, გასწირეთ თავები, კბილები, თითები, ხელები, ფრჩხილები, ფეხებ ... პატრიოტებო, პატრიოტებო! პატრიოტებო!.... ჩქარა!

თავდადება – ეტიმოლოგია

ლათინური Pater, რომლიდანაც სიტყვები Patrie (მამული) და შესაბამისად, პატრიოტიზმი მოდის, პირდაპირი მნიშვნელობით – მამას ნიშნავს.

პატრიოტიზმი გამოხატავს ერთობის, ქვეყნის შიგნით საერთო ღირებულებების კოლექტიურ განცდას. პატრიოტი ჯარისკაცია, ის თავის მამულს ემსახურება და მისი მტრებისაგან დასაცავად ყოველ წუთს მზად არის თავი გასწიროს... ცხადია, იმ ფორმით რა ფორმითაც შეუძლია – მაგალითად, ჩვენს აღგზნებულ ეპოქაში – ლექსებით, სიმღერებით, თავდადებული შრომით, მტრის სიძულვილით, კარგი სწავლით, კომპიუტერის ცოდნით და ა.შ... ანუ ყველაფრით, რაც მოწყენილი და დასახიჩრებული სამშობლოს გულს გაახარებს. ლოგიკურია, პატრიოტისათვის მტრის არსებობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, სხვანაირად მისი სიცოცხლე უბრალოდ აზრს კარგავს.

მაგრამ... ბოლოს და ბოლოს, რას იცავს პატრიოტი? მართლაც, რა არის სამშობლო: საცხოვრებელი ადგილი? ტერიტორია? ისტორია? რელიგია? დრო? პოლიტიკური წყობა? კულტურული სივრცე? ენა? სამშობლო ქმნის ერს, თუ პირიქით?

ეს ინგრედიანტები გამუდმებით იცვლება: საცხოვრებელი ადგილიც, ტერიტორიებიც, პოლიტიკური წყობაც, ენაც... სამშობლო ყოველთვის სადღაც გაგირბის, დაჭერობანას გეთამაშება, შენ მისდევ... ხან დაეცემი, ხან ტალახში ჩავარდები, ხან ორმოში... შენ კი მაინც მისდევ, მისდევ... შორტებში, გადატყავებული მუხლებით, ხელში პეპლების საჭერით, მხარზე გადაკიდებული მძიმე კალაშნიკოვით და ბრეტელებში გარჭობილი ორი ხელყუმბარით...

ირმის ყივილი გ ზისპირას

ყოველთვის, როდესაც ბაბუას მძღოლს ლიკანში მიჰყავდა, დედა უკანა სავარძელზე, შუაში სვამდა, ზუსტად ცენტრში, გული რომ არ არეოდა. წინ იყურე! – სულ ეუბნებოდა, ორ-სამ წუთში ერთხელ... წინ, ვოლგა 21-ის რადიატორზე მიმაგრებული, ქრომირებული რკინის ირემი იყო. უყურებდა. დარწმუნებული იყო, რომ ბაბუას მძიმე შავ «ვოლგას», 120 კმ სიჩქარით პრიალა ირემი მიაქანებდა ბორჯომის ხეობაში, ტყის გასწვრივ... ეს ტყე მისი სახლი იყო. ნიკელის ირემის. ამიტომ, როდესაც ნაძვნარის პირას მირბოდნენ, ირემი ყოველთვის გახარებული ყიოდა... მძღოლი აპიპინებდა... თვითონ, დედის კალთაში იძინებდა. შავ-თეთრ რადიოში ყოველთვის ლუდმილა ზიკინა მღეროდა: „იდიოტ მოია ვოლგა...“ დარწმუნებული იყო, რომ ზიკინას ბაბუასნაირი შავი ვოლგა-21 ჰქონდა და მას უმღეროდა.

ერთხელ, დიდი ხნის შემდეგ, ირემს ტყეში შეჰყვა, მას შემდეგ აღარავის უნახავს არც თვითონ და არც ნიკელის ირემი.

შუა საუკუნეებში თითქმის ყველგან, დედამიწის ყოველ კუთხეში სამშობლოდ აღიქმებოდა სოფელი, ქალაქი, ან რეგიონი, სადაც ადამიანი დაიბადა, გაიზარდა. და სამშოლოს ეს გაგება დღემდეა შემორჩენილი უამრავ ქვეყანაში.

ანტიკურ საბერძნეთში სამშობლოდ ითვლებოდა მიწა, ტერიტორია, სადაც წინაპრების საფლავები იყო. მგლების მიერ

საკუთარი ტერიტორიის მოშარდვის მსგავსად, სამშობლოს საფლავებით დემარკაცია ასევე დღემდე შემორჩა ბევრ ქვეყანას. უნდა ითქვას, რომ ეს ყველაზე ადამიანური და კონკრეტული ახსნაა ტერიტორიალურ სამშობლოსთან მიჯაჭვულობის... და ეს ძალიან ამაღელვებელია... საერთოდ, სიკვდილი ამაღელვებელი გრძნობაა... 90-იანი წლების დასაწყისში აფხაზეთის ომის ლტოლვილები სახლების დაკარგვას, ასე თუ ისე, შეეგუენ, საფლავებისას ვერა.

სტაბილური სიყვარული

ორ გვერდიან კონტრაქტში ეწერა, რომ ტესტირებით არაადგილობრივი წარმოშობის მომხმარებლების მარკეტინგული კვლევა ტარდება და მისი მთავარი მიზანია, დაადგინოს სხვადასხვა სოციალური ფენის დამოკიდებულება საკუთარ წარმოშობასთან.

ევროპული სამომხმარებლო ბაზარი ეთნიკურად სულ უფრო და უფრო მრავალფეროვანი ხდება. ალბათობა იმისა, დღევანდელი მეგამარკეტის კლიენტი ადგილობრივი წარმოშობისა იყოს, დღითიდღე საოცარი სისწრაფით მცირდება. სულ რაღაც ათიოდე წლის წინ სუპერმარკეტებში მხოლოდ კაშერული სექციები ფუნქციონირებდა ებრაული წარმოშობის კლიენტთათვის. ძალიან მალე ამას დაემატა მუსულმანური კონფესიის კლიენტურისათვის განკუთვნილი ჰალალის პროდუქცია, ემიგრაციის ზრდასთან ერთად განსაკუთრებით მოიმატა ჩინურმა, ინდურმა და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიური, იაპონური წარმოშობის საკვებმა პროდუქტებმა. გაიხსნა უამრავი რუსული „გასტრონომი“, სერბული სასურსათო მაღაზიები... ჩვენი კორპორაციისათვის, რომელიც მულტინაციონალურ მეგამარკეტების ქსელებს შორის ერთ-ერთი ლიდერია, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, თუ როგორ რეაგირებს კლიენტი დახლებზე მშობლიური პროდუქტის დანახვისას, მოქმედებს თუ არა პატრიოტული გრძნობა მის გემოვნებაზე, არჩევანზე, ფასზე, გადაწყვეტილების მიღებაზე და ა.შ...

კონტრაქტში, აგრეთვე, აღნიშნული იყო, რომ ინტერვიუ გრძელდება სამოცი წუთი. რომლის შემდეგაც რესპოდენტი მიიღებს 45 ევროს ჩეკს.

ჩვეულებრივ, აუდიო კაბინაში იჯდა. წინ მიკროფონი ედგა. ყურსასმენი გაიკეთა.

– მზად ხართ? მაშინვე მოესმა მამაკაცის ხმა. კარგად გესმით? ხომ მოხერხებულად ზიხართ?

თავი დაუქნია. აშკარად საიდანღაც უთვალთვალებდნენ.

– კარგი, დავიწყოთ. ლუსიენ, მიდი...

– გამარჯობა, ბატონო H. პირველი კითხვა... სამშობლოსთან თქვენს დამოკიდებულებას როგორი გრძნობების კატეგორიას მიაკუთნებდით?

H-მა ჩაახველა. და მხრები აიჩეჩა. მერე თავი გააქნია. ლუსიენს წვრილი, არც ისე სასიამოვნო ხმა ჰქონდა.

– H, გიყვართ სამშობლო?

– რა?

– სამშობლო გიყვართ? – H-მა მხრები აიჩეჩა.

– გძულთ?

– ოჰ, რას ამბობთ!... გულგრილი სინანულით თქვა. უფრო, ალბათ, მიყვარს. ჰო... ნამდვილად არ მძულს... თუმცა, სიყვარული... არ ვიცი... გააჩნია, როდის.

– რას გააჩნია?

– სამშობლოს... ის ორნაირია. პოლიტიკური და სენტიმენტალური. პირველი მძულს. მეორე კი მხოლოდ ჩემს მოგონებებში არსებობს. წარსულში. მის მიმართ ნაზი გრძნობები მაქვს.

– ეგ როგორ?

– ერთხელ, დიდი ხნის, მგონი ოცი წლის წინ, მომეჩვენა, რომ ჩემი სამშობლო გარდაიცვალა და შევეცადე მისთვის ძეგლი დამედგა, რაღაც პატარა მონუმენტის მსგავსი... აი, დაღუპულ პილოტებს რომ უდგამდნენ ადრე... დალეწილი თვითმფრინავის კორპუსის და მექანიკის ნარჩენებით... წვერში პროპელერით, ოქროს ასოებით და ასეთი რაღაცებით...

– მერე გამოგივიდათ?... მოითმინეთ... მგონი არ იწერს. ორწუთიანი დუმილის შემდეგ ლუსიენმა სთხოვა გაეგრძელებინა იმ ადგილიდან, სადაც მესიე H პროპელერზე საუბრობდა.

– ჰო, რაც ხელში მომხვდა, იმით ავაგე, პირველივე შემთხვევით ამოტივტივებული სცენებით. სულ რამდენიმე... მერე მივხვდი, რომ ეს სცენები მარტო ჩემი არ იყო. ზოგი ჩემს მეგობარს ეკუთვნოდა, ზოგი ნათესავს, ნაცნობს, ან შემთხვევით გაცნობილ

გალერეა

ნანუკა ჩიჩუა

„მე და ტულა“, გუაში, აკრილი, მარკერი, ქაღალდი, 2011

– H, გიყვართ სამშობლო?
– რა?
– სამშობლო გიყვართ?
H–მა მხრები აიჩეჩა.
– გძულთ?
– ოჰ, რას ამბობთ!...
გულგრილი სინანულით თქვა.
უფრო, ალბათ, მიყვარს.
ჰო... ნამდვილად არ მძულს...
თუმცა, სიყვარული... არ ვიცი...
გააჩნია როდის.

გოგოს... მაგრამ ისინი ჩემები გახდა. ჩემი მოგონებები კი იმათი... ეს რაღაც ქრისტეს სისხლით ზიარებასავით არის... ეს რაღაც ძალიან მშვიდი და სტაბილური გრძნობაა.

– სად არის ეს მონუმენტი?

– H–მა შუბლზე მიიკაკუნა თითი – აქ. ლექსია. გინდათ წაგიკითხოთ?

– რა თქმა უნდა, მესიე H! ყურადღებით გისმენთ.

– როგორც იტყვით... სამშობლოს ხსოვნას... ეს სათაურია ასეთი... ასე ჰქვია..

სამშობლოს ხსოვნას
სტაბილური სიყვარული,
68 წელს ნაყიდი ნაყინივით დამდნარი,
ტკბილი გაწებილი თითების ლოკვა,
წელიწადის მხოლოდ ორი დრო:
– ზამთარი, ზაფხული და ისევ ზამთარი,
საგანთა სიმარტივე, მათი გენიალურობა,
ირმის ყივილი ტყის პირას, 120 კმ–ით ქროლვისას,
ბემბი. უსიხარულო იმიგრაცია,
ჯოჯოხეთი, სადაც ცოდვილი ამერიკელები ხვდებიან,
სიკვდილის შემდეგ,
სიყვარულის გაუთავებული მოლოდინი,
მისი შიში,
პორნოგრაფიით მოვაჭრე ცალხელა ბუდა,
ინფორმაციას მოკლებული სიბრძნით,
ბიძგით ნირვანასკენ,
სადაც ყვითელი სიშიშვლე გელოდება,
და სიმარტოვე –
დიდ ფრთებიანი ცისფერი შევროლე,..
ქვეყნის დასასრული–
ჟირაფის გალიასთან, ზოოპარკში,
რომელიც ეხლახანს, სიბერით მოკვდა.

– მოგეწონათ?

– შეგიძლიათ კიდევ ერთხელ გაიმეოროთ? მგონი არ ჩაიწერა... ძალიან მომეწონა.

– ქართული რომ არ გესმით?

– პოეზიაში მუსიკაა მთავარი... დაიწყეთ როცა გნებავთ... იწერს...

შუა საუკუნეებში სამშობლო მონარქის სინონიმად აღიქმებოდა. მეფე წარმოადგენდა ქვეყნის, სამშობლოს პერსონიფიკაციას. ისევე როგორც დღეს ბევრ პოლიტიკურად განუვითარებელ და შუა საუკუნეებში გაჭედილ ქვეყანაში პრეზიდენტი, პრემიერი, სახელმწიფოს მეთაური წარმოადგენს ქვეყნის პერსონიფიკაციას.

სიტყვა სამშობლომ განსაკუთრებულად ფართო და თანამედროვე დატვირთვა საფრანგეთის რევოლუციის დროს მიიღო. მოხდა მისი თავისუფლებისათვის, იდეისათვის ბრძოლასთან, თავგანწირვასთან იდენტიფიცირება. მოგვიანებით სამშობლომ რევოლუციონერთა წაბაძვითა და მონარქისტებთან ოპონირებით რესპუბლიკანული მნიშვნელობა შეიძინა.

პარალელურად ამავე ეპოქაში ჩამოყალიბდა ევროპაში ნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის იდეა, რომელიც თავისთავში გულისხმობს ერთობას ნაციის დაცვის მიზნით. 1870 წლის პრუსიასთან ომმა სიტყვა სამშობლო ფედერალისტურ გაგებად აქცია საფრანგეთში. 1871 წლის, ამავე ომში მარცხის შემდეგ კი „პატრიამ“ ნაციონალისტურ-რევანშისტული მნიშვნელობა შეიძინა, დაწყებით კლასებში სამშობლოს ღირებულებების კულტივაცია სწორედ ამ ეპოქაში იღებს სათავეს.

ბავშვებო, ბავშვებო!
დაიმახსოვრეთ!
სამშობლო:
ნატანჯი,
ნაწამები...
მოწყენილი,
დაღლილი...
ჩვენი სამშობლო...
საფრთხეშია!
სამშობლო ყოველთვის,
გამუდმებით
საფრთხეშია!...
მას – ჩვენი ძლიერი,
ჩვენი – მხურვალე,
უსაზღვრო
სიყვარული.
უანგარო სამსახური,
ჩვენი ცოდნა,
ჩვენი დათუნია,
ჩვენი ტკბილეული,
მურაბები.
შოკოლადები,
ჩვენი დედების,
ჩვენი მამების,
ჩვენი უმცროსი ძამიკოების,
დაიკოების და
ჩვენი სიცოცხლე,
ჩვენი სიკვდილი
სჭირდება!..
მომავლის ჯარისკაცებო!
საყვარელო,
საზარბაზნე ბავშვებო!...
....ჯერჯერობით....
დასხედით!

სამშობლოს ცნების საბოლოო, დღევანდელი სახით ჩამოყალიბების არცთუ ისე გრძელი პროცესი, პირველ მსოფლიო ომთან ერთად, დაახლოებით 1918 წელს დასრულდა, ისევე როგორც მისი განუყოფელი ატრიბუტის: მემარცხენე და მემარჯვენე ნაციონალიზმის, რომლის დღევანდელი ფორმით ჩამოყალიბებაში, ისევ და ისევ საფრანგეთს, არცთუ უკანასკნელი როლი აქვს ნათამაშები არმიის კაპიტან ალფრედ დრეიფუსის სასამართლო პროცესით.

დრეიფუსის საქმე

დაახლოებით 140 წლის წინ საფრანგეთის იმპერიასა და პრუსიის სამეფოს შორის ომი ალზასილორენის ტერიტორიების დაკარგვითა და საფრანგეთის იმპერიის დაცემით დასრულდა. ამის შემდეგ ქვეყანა, ღრმა კრიზისმა მოიცვა, რაც განსაკუთრებით გამოიხატებოდა გამძაფრებულ ჯაშუშომანიაში, უცხოელების მიმართ უნდობლობაში, შიშში, ანუ ჰიპერპატრიოტიზმისათვის დამახასიათებელი გრძნობების ყველა იმ ექსტრემალურ გამოვლინებაში, რომელთა ერთობლიობას, დღეს, ქსენოფობიას უწოდებენ.

1894 წლის სექტემბერში, რუსეთსა და საფრანგეთს შორის საომარი გეგმების მომზადებისა და საიდუმლო შეთანხმების შემუშავების პერიოდში, ფრანგულმა დაზვერვამ გერმანიის საელჩოს ნაგვის ყუთში ანონიმური ამანათი აღმოაჩინა, რომელიც, მთელ რიგ, გრიფით საიდუმლო სამხედრო დოკუმენტებს შეიცავდა.

დააპატიმრეს გენერალური შტაბის მე-2 ბიუროს სტაჟიორი ოფიცერი, კაპიტანი ალფრედ დრეიფუსი, პროფესიით პოლიტტექნიკოსი. ფრანგი, წარმოშობით ალზასელი, კონფესიით ებრაელი. ბრალდება: განსაკუთრებული, უმაღლესი კატეგორიის ღალატი – ჯაშუშობა გერმანიის იმპერიის სასარგებლოდ.

საფუძველი: ხელწერის უბრალო, ვიზუალური მსგავსება. ალფრედ დრეიფუსი წარსდგა სამხედრო საველე საბჭოს წინაშე, იმავე წლის 22 დეკემბერს აეყარა სამხედრო ჩინი. მიესაჯა ატლანტიკის ოკეანეში, ეშმაკის კუნძულზე, გარე სამყაროსთან სრულ იზოლაციაში სამუდამო გადასახლება, საიდანაც ის პირობითი სასჯელით განთავისუფლდა 1899 წელს.

უსამართლობის ამ გრძელი საგას დასაწყისში განაჩენის სამართლიანობა თითქმის არავის გაუპროტესტებია. პირიქით, საზოგადოება უფრო მკაცრ სასჯელსაც კი ითხოვდა „მოღალატისათვის".მისი დაპატიმრების პირველ ხანებში, ცოტას თუ შეეპარა ეჭვი განაჩენის უსამართლობაში. რომ არა კაპიტნის ძმის ჯიუტი და თავდადებული ბრძოლა სიმართლის დასადგენად, ალფრედ დრეიფუსის საქმე საერთოდ არ იარსებებდა.

1896 წლის შემოდგომაზე პრესაში გამოჩნდა რამდენიმე პუბლიკაცია, სადაც მოთხრობილი იყო უსამართლოდ დასჯილი ახალგაზრდა კაპიტნის საქმე. იმავე წელს დაზვერვის ახალმა შეფმა, პოლკოვნიკმა პიკარდმა აღმოაჩინა დოკუმენტი, რომელშიც ნამდვილი დამნაშავის, დრეიფუსივით სტაჟიორი ოფიცერი ესტერაზის კონტურები გამოისახა.

„ფიგარომ" დამნაშავის პოვნა გაახმაურა.

ემილ ზოლამ, ჟორჟ კლემანსოს გამოცემა «ავრორაში» გამოაქვეყნა «ღია წერილი პრეზიდენტ ფელიქს ფურს», სათაურით – „მე ბრალს გდებთ!" , სადაც ის ფარდას ხდის რესპუბლიკის არმიის სარდლობისა და მის თანამონაწილეთა მიერ ჩადენილ უსამართლობას. წერილი 300 000 ტირაჟით გავრცელდა, ზოლას, ცილისწამების ბრალდებით, ერთი წელი ციხე და ჯარიმა მიუსაჯეს...ის იძულებული გახდა ერთი წლით ლონდონს შეეფარებინა თავი, სანამ მის მიმართ დევნა არ შეწყდა.

ალფრედ დრეიფუსის საქმე (1894-1906), რომელსაც ხშირად ზოლას პროცესსაც უწოდებენ, თორმეტი წლის შემდეგ, 1906 წელს, კაპიტნის სრული რეაბილიტაციით დამთავრდა.

დრეიფუსის საქმემ განსაკუთრებული კვალი დაამჩნია ფრანგულ პოლიტიკურ იდეებს სულ ცოტა 1945 წლამდე... რომ არაფერი ვთქვათ ზოგადად სამართლის ისტორიაში მის ქრესტომათიულობაზე.

პროცესი სამართლიანობის მხარეს ინტელექტუალთა ფაქტობრივი ანგაჟირების, სოლიდარობის პირველი ისტორიული მაგალითი გახდა.

დრეიფუსის საქმემ პირველად წარმოაჩინა ანტისემიტიზმი, როგორც ინსტიტუციონალური ბოროტება და მას საღი აზრი და ცივილურობა დაუპირისპირა.

სწორედ ქვეყანაში და განსაკუთრებით გენერალურ შტაბში გამეფებული ანტისემიტიზმის მიზეზით დააფარეს ხელი ნამდვილ დამნაშავეს, უდანაშაულო ებრაული წარმოშობის კაპიტნის დაპატიმრებიდან ორი წლის თავზე.

მემარჯვენე ნაციონალისტებისათვის, ეს საქმე, მათი პატრიოტიზმის ანტისემიტურ დასტურად იქცა. ტერმინი აპარტეიდი პირველად იქნა გამოყენებული როგორც უარყოფითი ევფემიზმი ებრაელისა. რაც გულისხმობდა, რომ: ებრაელი არის ქვეყნის მოღალატე.

მას არ გააჩნია სამშობლო, ამდენად, მას არ შეიძლება უყვარდეს ის, რაც არ გააჩნია. ის ურწმუნო კოსმოპოლიტია. სოციალიზმი კოსმოპოლიტიზმია და ის დაკავშირებულია ღალატთან, უსამშობლოობასთან, უჯიშობასთან... ებრაელობასთან!

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საფრანგეთმა თითქოს დაღწია თავი პატრიოტიზმის ამ უკიდურესად ნაციონალისტურ ფორმას, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის ოკუპაციისას, დრეიფუსის ეპოქის ნაციონალიზმის ახალმა, კიდევ უფრო ექსტრემალურმა ფორმამ ეპიდემიასავით იფეთქა, მხოლოდ, ამჯერად, უკვე ნაცისტურ კონტექსტში...

მას შემდეგ კონტექსტები მრავალჯერ შეიცვალა საფრანგეთშიც და მსოფლიოში, ნაციონალიზმისა და შოვინიზმის არსი და სტრუქტურა კი პრინციპში უცვლელი დარჩა – განსაკუთრებით ჩვენში – საქართველოში: ყოველთვის, ნებისმიერ პოლიტიკურ სისტემაში ძალიან ადვილად ვპოულობთ დრეიფუსებს და მათ უსამართლოდ ვასამართლებთ, ვსჯით, ვაწამებთ! მხოლოდ ქართულ კონტექსტში ისინი ებრაელები კი არა, ეგრეთ წოდებული, „რუსეთუმეები" არიან.

ცალხელა ბუდა

ნაცრისფერი პიჯაკის მარჯვენა სახელო ჯიბეში ჰქონდა ჩატანებული. ხელი, ალბათ, ომში დაკარგა. სამოციან წლებში საუკუნის მეორე დიდი ომის მიმქრალი ნაკვერჩხლები ჯერ კიდევ ხრჩოლავდა. ქალაქში ბევრი მედლებიანი ხეიბარი იყო. მერე ნელ-ნელა გაიკრიფნენ. წავიდნენ.

ბუდა შავ-თეთერ ფოტოებს ყიდდა. კამოს და მეჩნიკოვის ქუჩების კუთხეში. რაღაც მედალი მასაც ეკიდა. ლენინის პროფილით. ლენონის ფოტო მომყიდა პირველად – ათ კაპიკად. მერე „ჯეფერსონ ეროპლაინის". ამ ჯგუფის არსებობა ფოტოდან შევიტყვე, ფოტოებს ქვედა კუთხეში ხანდახან ინგლისურად ეწერა

ბუდა შავ-თეთრ ფოტოებს ყიდდა. კამოს და მეჩნიკოვის ქუჩების კუთხეში. რაღაც მედალი მასაც ეკიდა. ლენინის პროფილით. ლენონის ფოტო მომყიდა პირველად – ათ კაპიკად. მერე „ჯეფერსონ ეროპლაინის“.

დასახელება. უცნაური ფოტოები ჰქონდა. უბის ჯიბეებში დასტები ეწყო თემატურად – სოფი ლორენი, ჯინა ლოლობრიჯიდა, ბრიჯიტ ბარდო, ჟან მარე, ლუი დე ფიუნესი... და მეორე დასტა: ბითლები, როლინგები, დორსები, რაღაც უცნობი როკ ჯგუფები. არავინ იცის სად შოულობდა ამ ფოტოებს. საშინელი ხარისხის კი იყო.

ერთხელ, ზამთრის ცივ დილას, მე და ჩემს ძმაკაცს შეგვხვდა სანაპიროზე, ფსიქიატრიულის მხრიდან მოუყვებოდა ზევით მეჩნიკოვის ქუჩას სკოლისკენ. გავაჩერეთ, ახალი რა გაქვსო, ვკითხეთ. მან ეშმაკურად გაგვიღიმა. რუსი იყო, არასდროს არაფერი უთქვამს, მაგრამ ისეთი ნაცრისფერი წვრილი თვალები და სწორი ქერა თმა ჰქონდა, რომ ნამდვილად რუსი იქნებოდა.. ან იქნებ ლიტველი, ან უკრაინელი... მოკლედ რუსი... ნასვამი იყო. ორ-ორი ფოტო გვაჩუქა – პორნოგრაფიული. პირველად ვნახე ასეთი ფოტოები. მსგავსი ძლიერი გრძნობა პირველი სექსის დროსაც არ მქონია... ფოტოზე შავკანიანი ქალისა და თეთრკანიანი წყვილის ორგიის სცენა იყო.

იმ დღეს პირველად გავიარე მტკვარზე ისე, რომ ფეხი არ დამსველებია...

– როგორ, ბატონო H?

– როგორც იესომ.

დრეიფუსიზაცია

საქართველოს თავისი დრეიფუსები ჰყავს, თან ბევრი. მხოლოდ არ ჰყავს ზოლა.

„საყოფაცხოვრებო დრეიფუსი“ არის ადამიანთა კატეგორია, რომელთა არსებობა ისეთ საზოგადოებაში, რომელიც 21-ე საუკუნის საქართველოშია, მეტად კომფორტული და გამოსადეგია. ამ კატეგორიას, შეგიძლია ნებისმიერ მომენტში მიაკუთვნო ნებისმიერი ადამიანი, აქციო ის სამშობლოს მოღალატედ, და ამის გამო სინდისის ქენჯნა არ განიცადო. რადგან „დრეიფუსებს“ სამშობლო არ უყვართ, უფრო მეტიც, ისინი კოსმოპოლიტები, ანუ სოციალისტები არიან და, შესაბამისად, მათ სამშობლო არ გააჩნიათ...როგორც ებრაელ კაპიტანს მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს...

ქართული საზოგადოების ერთ ნაწილს უყვარს იმის აღნიშვნა, რომ ევროპაში დემოკრატია ორასი წელი შენდებოდა და ჩვენ ყველაფერი ჯერ კიდევ წინ გვაქვს... მართლაც, რა არის 115 წელიწადი, რომელიც დრეიფუსის საქმეს გვაშორებს, იმ სიბრიყვის მარადისობასთან შედარებით, რომელშიც ისე კომფორტულად ვართ მოკალათებულნი, როგორც დედის საშოში... ქართველები სწორედ მიხვდნენ, რომ სამშობლო დედაა და არა მამა – პატრი... დედა, რაც არ უნდა ცუდი იყოს, ბოროტი, ლოთი, ნარკომანი... მის საშოში თავს მაინც კომფორტულად გრძნობ, იქ ტირილი გირჩევნია გარეთ სიცივეში სიცილს... მხოლოდ, იქიდან ერთ დღეს თუ არ გამოხვედი, სამუდამო ფეტუსად დარჩები. რაც ჩემი თანამემამულეების დიდ ნაწილს დაემართა.

სამშობლოს ჭიპლარი უნდა გადაჭრა, დედას გარედან უნდა შეხედო. და შენი გზა ნახო...

... ადამიანს სრული უფლება აქვს არ უყვარდეს სამშობლო, ან გულგრილი იყოს მის მიმართ, უფლება აქვს იყოს ეგოისტი, ფიქრობდეს მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე, არ სურდეს საკუთარი თავის, შვილების გაწირვა, უფლება აქვს, არ იყოს გმირი... ასრულებდეს, ან ვერ ასრულებდეს „კონტრაქტის“ პირობებს – სახელმწიფოსთან, რომელსაც მისი სენტიმენტალური სამშობლო ქვია. რომელთანაც პოლიტიკურ იდენტიფიცირებას ვერ ახერხებს, მაგრამ ზუსტად ისეთივე ხარისხის მგრძნობიარობით არის დაკავშირებული, როგორიც მოღალატეებზე დაგეშილი ჰიპერპატრიოტები... მხოლოდ მშვიდი, სტაბილური მგრძნობიარობით... მისი მდგომარეობა ძალიან წააგავს დაბადებით ტრანსვესტიტის ცხოვრებას სხეულში, რომელშიც ბუნების შეცდომით მოხვდა.

ასეთი ტრანსვესტიტების დიდი ნაწილი, ისეთი ჰიპერპატრიოტული, პათოლოგიური კონტექსტის ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, იძულებულნი არიან, ამ სახიფათო, აგრესიულ თამაშში ჩაებან, ნებისმიერი პრობლემა, რომელსაც ყოველდღიურობაში აწყდებიან, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რანგში აიყვანონ და მისი გადაწყვეტის პროცესი ყოველთვის მოღალატეების ძებნით დაიწყონ. „მოღალატეების“ პოვნაზე ადვილი კი საქართველოში არაფერია.

ბოლოს და ბოლოს, სამშობლოს სიყვარული ყველა სახით არის შესაძლებელი. აფხაზეთის და სამაჩაბლოს გარეშეც, ისევე, როგორც საინგილოს, ტაო-კლარჯეთის გარეშე... სამშობლო საგზალივით შეგიძლია ზურგზე მოიკიდო და ულისესავით წახვიდე სახეტიალოდ... მთელი ცხოვრება გეყოფა, მაშინაც, თუკი არასდროს დაბრუნდები... ამისათვის პრეზიდენტის მიერ ნაწყალობები შენი „ეტიმოლოგიის“ ბეჭდიანი დასტური არ გჭირდება.

ვინტეიჯი სამშობლო

ბატონო H! რა არის თანამემამულე?

– ადამიანი, რომელთან ერთად კოლექტიური მგრძნობიარობა გაგაჩნია, და ცოტა მახსოვრობა... პრინციპში, მახსოვრობა არც ისე მნიშვნელოვანია – ის მხოლოდ ფანტაზიის ხარისხზეა დამოკიდებული, საერთო მახსოვრობა, საერთო მგრძნობიარობის გარეშე, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ სხვენში ნაპოვნი ძველი გაზეთის გვერდია, სადაც რამდენიმე წლის წინანდელი რომელიღაც კონკრეტული დღის დოღის მონაცემები და ამინდის პროგნოზია.

ადამიანები კოლექტიურ მახსოვრობას თავად ქმნიან კოლექტიური მგრძნობიარობის საშუალებით. ეს მათ აერთიანებს, კლანებად აყალიბებს. ასეთი ადამიანების და კლანების დიდ ერთობლიობას ნაცია ჰქვია.

პირველად ეს, ბეარიცში, მეგობრის ოჯახში სადილის შემდეგ, საბჭოთა კავშირზე საუბრისას შევნიშნე, ჩემს მასპინძელს და მის მეგობრებს არ აინტერესებდათ ჩემი საბჭოთა კავშირი, რომელშიც ნახევარზე მეტი ცხოვრება გავატარე. მათ საკუთარი წარმოდგენა ჰქონდათ კარიბის კრიზისზე, სტალინზე, გულაგზე, გორბაჩოვზე, პერესტროიკაზე... ეს ყველაფერი პრესიდან, ტელევიზიიდან, დიაგილევის ბალეტიდან, დოქტორ ჟივაგოდან მიიღეს, მოწმე, რომელიც რეალურ შესწორებებს შეიტანდა მათ ცოდნაში, არ სჭირდებოდათ. ამიტომ, ყოველთვის, როდესაც ვცდილობდი შევწინააღმდეგებოდი ჩემი საკუთარი წარსულის ამ კოლექტიურ მოდიფიცირებას, თავაზიანი ღიმილით მანიშნებდნენ, რომ მათ თავიანთი საკუთარი ისტორია აქვთ, რომელთანაც საერთო მგრძნობიარობა აერთიანებთ, რომელშიც მე, ჩემი ზუსტად განსაზღვრული ადგილი მაქვს და ფიგურების გადაადგილების უფლებას არავინ მომცემს.

საკმაოდ გვიან მივხვდი, რომ მართლები იყვნენ. ზუსტად ასეთივე კოლექტიური მგრძნობიარობის წყალობით, დღევანდელი ქართველები ასევე უყვებიან ერთმანეთს ჩემი საბჭოთა წარსულის შესახებ კიდევ უფრო პრიმიტიულ ისტორიებს... მათი ცოდნა, რა თქმა უნდა, უფრო უბადრუკია, ვიდრე იმ ბეარიცელი ინტელექტუალებისა, რომლებიც, ასე თუ ისე, საბჭოთა კინოს, ლიტერატურას მაინც იცნობნენ, უყურებდენ საშუალო ევროპელის „ინტელექტის“ დაუშრეტელ წყაროს: „არტეს“, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის, საბჭოთა კავშირის, გულაგის, უძრაობისა და პერესტროიკის თემა ჯერ ვერაფრით ვერ ამოწურა, განსხვავებით ჩემი თანამემამულეებისაგან, რომლებმაც საბჭოთა სიმბოლიკა წაშალეს, შენობები დაანგრიეს, ისტორია, რომელიც ჩემი ჯერ კიდევ ცოცხალის ცხოვრებაა, ერთ პატარა სტუდია – მუზეუმში გამოკეტეს, როგორც ცოცხლად მუმიფიცირებული ეგვიპტელი. უცნაური სახელი, ოკუპაციის მუზეუმი დაარქვეს და ისე შემოდეს თაროზე, როგორც აკრძალული საბჭოთა ფილმები.

ჩემი ეპოქის კლასიფიცირება ამით დამთავრდა. ეპოქა კი – ჩემი სამშობლო, საბჭოთა საქართველოა. რომელიც ვერაფრით ვერ გახდება ნაკლებად საქართველო, ან ნაკლებად სამშობლო, მისი პოლიტიკური შეფერილობის მიხედვით.

ამის გაკეთების ერთდერთი შესაძლებლობა კოლექტიური მგრძნობიარობის მანიპულირებით კოლექტიური მახსოვრობის მოდიფიკაციაა. რაც, პრინციპში, თეორიულად შესაძლებელია, პრაქტიკულად კი, ძალიან ძნელი განსახორციელებელი.

გარკვეული მეთოდურობა მაინც შეინიშნება – საქართველოში არ არსებობს ინტელექტუალური და კულტურული ალტერნატივა. წარსულთან მებრძოლებმა ჯერ საგულდაგულოდ ჩააბნელეს ქვეყანა, შემდეგ კი, ერთადერთი ნათურის ჩამრთველზე თითის დაჭერის მონოპოლია მოიპოვეს, ამიტომ თავიანთი სურვილის მიხედვით, როცა სურთ, მაშინ აჭერენ და რთავენ მბჟუტავ ნათურას.

ჩემი სამშობლო წარსულში გაზავდა, გაფერმკრთალდა და გაქრა არა დროში, არამედ, ჩემი თანამემამულეების დიდი ნაწილის ჯიუტ გაუნათლებლობაში... პატარა სიტუაციის მოპოვებით გაბღენძილი, პრივილეგირებული ბრიყვის სიძულვილში. ეს მათი სამშობლოს და ნაციის შეგრძნებაა. ვერაფერს გააწყობ.

ხანდახან მგონია, რომ ჩემი მგრძნობიარობა, ჩემი ცხოვრება ვინტეიჯის მტვრიანი მაღაზიაა... ლამაზი და უშნო უსარგებლო ნივთებით სავსე... რომლებიც ჩემს თავში ნერონებივით დაეხეტებიან და ტვინის ხან რომელ სფეროში ამოყოფენ თავს, ხან რომელში... ნეტა, ტვინი რამდენი გიგაბაიტია?.. ხომ არ იცით?... ლუსიენ დაგეძინათ?

– ...რა ბრძანეთ?.. არა, რას ბრძანებთ, ყურადღებით გისმენთ... სტალინი, მართლაც საშინელი ვინმე იყო... პასტერნაკი ჩემი საყვარელი...

– ლუსიენ... რა შუაშია პასტერნაკი?...მომისმინეთ, ახლა გეტყვით, რა არის ჩემთვის სამშობლო... ჩემი თეორია მაქვს.

– იცით, დრო თითქმის ამოიწურა, არ ხართ ვალდებული გაგრძელოთ...

ლუსიენ, ჩემი თეორია მაქვს. მე დნმ–ის მჯერა.. ადამიანები თავიანთ დნმ-ის ანაბეჭდს თითქმის ყველგან ტოვებენ. ...აქ მისი სული ტრიალებსო, ხომ გაგიგიათ? სულის კი არა, დნმ-ის ეფექტია. მაგალითად, შეიძლება კაფეში შეხვიდეთ, დაჯდეთ სკამზე და უცებ, ვიღაც თქვენი ძალიან ახლობელი იგრძნოთ, რომელიც აქ იჯდა ოდესღაც.. მაგალითად ელვის პრესლი, ან მერლინ მონრო, ან ბებიათქვენი... ყველაზე მეტი დნმ-ის კვალი

გალერეა

ნანუკა ჩიჩუა
„გასეირნება სამოთხეში“, კოლაჟი, 2010

ხანდახან მგონია, რომ ჩემი მგრძნობიარობა, ჩემი ცხოვრება ვინტეიჯის მტვრიანი მაღაზიაა... ლამაზი და უშნო უსარგებლო ნივთებით სავსე... რომლებიც ჩემს თავში ნეიერონებივით დაეხეტებიან და ტვინის ხან რომელ სფეროში ამოყოფენ თავს, ხან რომელში...

სასაფლაოებზე და ძველ სახლებშია... მაგალითად, ადიხარ კიბეზე, მოაჯირს ხელს მოკიდებ და უცებ, ცრემლი მოგადგება, დედა გაგახსენდება... გაგახსენდება კი არა, ისე იგრძნობ, როგორც არასდროს, ფიზიკურადაც და სულიერადაც... ეს არის ... ხომ გესმით? როდესაც ჩემს მშობლიურ ქალაქში ჩავდივარ, გამუდმებით ასეთ საგნებს ვაწყდები. ხელს ვკიდებ, ან ვჯდები, ან მივეყრდნობი...

ჩემი სამშობლო იქ არის, სადაც ყველაზე მეტი დნმ მელაპარაკება, როდესაც კედელს, ან ხეს მივეყუდები... და კიდევ, ჩემი სამშობლო არის ენა, რომელზეც დნმ მელაპარაკება... და კიდევ, თავისუფლება, რომელიც არ მზღუდავს მივეყრდნო რასაც მინდა... დანარჩენი ყველაფერი მუყაოს დეკორაციაა. საზღვრები, რელიგია, პოლიტიკური და კულტურული გავლენის სფეროები... მუყაოს და სილიკონის მუსის დეკორაცია. სამწუხაროდ, სულ უფრო და უფრო ნაკლებია ასეთი ადგილები. ასე მგონია, რომ ღამღამობით სკაფანდრებში ჩაცმული, დნმ-ზე მონადირე მუნიციპალური ტერმინატორები დადიან ქალაქში, ზურგზე მოკიდებული პულვილიზატორებით და გრძელტარიანი ჯაგრისებით. სპეციალური სათვალე უკეთიათ, რომელიც დნმ-ის ანაბეჭდს ხილვადს ხდის. როგორც კი იპოვიან, მაშინვე რეცხავენ, ხეხავენ, აპრიალებენ... მოკლედ, თავდაუზოგავად მუშაობენ ეს დნმ-ტერმინატორები, მაგრამ «წასაშლელი მაინც ბევრია», იმდენი, რომ ერთი ძალაუფლება არ ეყოფა – გაცილებით მეტი კარგი ადამიანი იყო ამ ქალაქში, ვიდრე დღეს სკაფანდრიანი ტერმინატორები არიან...თან მეც, ჩემი მხრივ, დავდივარ და ვტოვებ ჩემს დნმ-ს, ზოგს სად, ზოგს სად... ღუსიენ დავამთავროთ?

– ჰო... ეხლავე... მოითმინეთ, მეღდ. პუუუტენ... მგონი ყველაფერი წამეშალა...

– ხუმრობთ?

– არა მართლა... მეღდ... თქვენ არ ინერვიულოთ, თქვენს ჰონორარს ეს არ ეხება... პუტენ... პირიქით, შეგიძლიათ კიდევ ერთი სეანსი?

– კიდევ სამშობლოზე, თუ რაიმე სხვა გაინტერესებთ?

– არა, იგივე... რა თქმა უნდა, იგივე ანაზღაურებით.

– რა პრობლემაა, სამშობლოზე იყოს... რამდენიც გნებავთ...

– ყველაფერი, ყველაფერი წამეშალა, პუტენ!...

– არა უშავს... დავიწყო?

– ოკ... როცა გენებოთ!...

ცისფერი შევროლე

დეკემბრის დასაწყისში მაღალი სიცხეები მქონდა, ბებია ძმრით მზელდა, ცივ, სველ ტილოებს მადებდა შუბლზე. საძაგელ წამლებს მასმევდა. ტუჩებს კი, ვერცხლის კოვზით, ლიმონის ნაყენით მისველებდა. გარეთ ბარდნიდა. მაშინ თბილისში მხოლოდ ორი დრო იყო – ცხელი ზაფხული და თოვლიანი ზამთარი.

ფანჯრიდან, ბროწეულის ხეებზე, აქა-იქ შერჩენილი ლალის თვლებით სავსე დიდი, გახლეჩილი, დათოვლილი თასები ეკიდა. ღამე, როდესაც ბებიას ეძინა, ბროწეულის ხეზე ანგელოზი ამოძვრა და ფანჯრიდან შემოიხედა. მე, ხელი დავუქნიე. გამიღიმა და ფრთებზე მანიშნა. რაღაცას მეუბნებოდა, მაგრამ არ მესმოდა. მერე, ცოტათი შემობრუნდა. ზურგი დამანახა. ყველაფერს მივხვდი. დიდი ცისფერი ფრთები ჰქონდა, წითელი ნათურებით. ზუსტად ისეთი, როგორიც ყველაზე ლამაზ მანქანას, რომელიც ცხოვრებაში მინახავს. ეს მანქანა თბილისში, კალინინსა და მარჯანიშვილის ქუჩების კუთხეში იდგა. ერთი ჩემი სკოლელი, წითური ხუჭუჭა ბიჭის ბაბუის იყო. „შევროლე იმპალა.“ 1960 წლის მოდელი. უზარმაზარი ფრთებით საბარგულზე. არავინ იცის, საიდან მოხვდა ეს ცისფერი მშვენიერება საბჭოთა საქართველოში... ალბათ, ანგელოზებმა ჩამოიყვანეს ამერიკიდან... ან, ვინმე მოხერხებულმა ცოდვილმა ამერიკელმა გამოაყოლა ...საერთოდ, მაშინ ცოდვილი ამერიკელების ნაწილს ღმერთი სიკვდილის შემდეგ საბჭოთა საქართველოში აგზავნიდა, რომელსაც რაღაც სალხინებლის მსგავსი სულიერი მისია ჰქონდა დაკისრებული იმ ეპოქის საყოველთაო გეოპოლიტიკურ ჯოჯოხეთში.

ლოგინზე წამოვჯექი. ღვთაებრივად ლამაზი იყო თეთრი თოვლის ფონზე ცისფერი მეტალის ფრთებიანი და ნიკელის სარკეებიანი თეთრი ანელოზი... აქეთ-იქით ტრიალებდა. ფრთებში ჩამონტაჟებულ წითელ და ყვითელ ნათურებს რიგრიგობით ანთებდა, ხან მარჯვენა ფრთას, ხან მარცხენას... თავს იწონებდა. თან ცერა თითით მანიშნებდა, ხომ მაგარიაო... ბებიას ისევ ეძინა სკამზე. სათვალე სასაცილოდ ჰქონდა სახეზე ნახევრად ჩამოვარდნილი. მუხლებზე ზუსტად იმ კარალიოკების ფერი „გრაფი მონტე კრისტო“ ედო, რომლებიც ბროწეულის ლალის თვლებს უკან, მეეზოვე ქურთი ქალის მსხვილი ქარვის მძივებივით ეკიდნენ. ვიღაცის სახლიდან ფრენკ და ნენსი სინატრების სიმღერა ისმოდა: And then I go and spoil it all, by saying something stupid

Like: "I love you... I love you... I love you"...

– სად იშოვე მეთქი, ვანიშნე. მხრები აიჩეჩა და რაღაცის ახსნა დამიწყო. ხელებით წრეებს და სამკუთხედებს ხაზავდა ჰაერში...

– ვის ელაპარაკები? – ბებიას გაეღვიძა.

– ანგელოზს.

– ღმერთო! – ჩუმად თქვა ბებიამ. პირჯვარი გადაიწერა. მერე ფანჯრისკენ გაიხედა და ანგელოზს ანიშნა, ბავშვი ავად არის, დაანებე თავი, უნდა დაიძინოსო.

ანგელოზმა მარცხენა ფრთის ნათურები ააციმციმა და გაფრინდა.

ერთი კვირის შემდეგ, როდესაც გამოჯანმრთელებული, კლასელ ბიჭებთან ერთად სკოლიდან ვბრუნდებოდი, ცისფერი შევროლე ისევ ძველ ადგილზე დამხვდა, კალინინის და მარჯანიშვილის კუთხეში. ფრთებიც ზუსტად თავის ადგილზე ეკეთა. ჩვენ, ყველანი, ჩვეულებისამებრ სათუთად და სიყვარულით „მოვეფერეთ“ დათოვლილ ფრთებს... არავინ იცოდა ჩემ გარდა, და არც არავისთვის მითქვამს, რომ ღამ-ღამობით მათ ანგელოზი იპარავდა და დილამდე გიჟივით დაქროდა მთელ ქალაქში.

FM
ცნობი
98.0



ფოტო: ხოშტარია პავლიაშვილი

რიმეიქი

ავტორი არჩილ ქიქოძე
ილუსტრაცია თათია ნადარეიშვილი

რამდენიმე წლის წინ ჩემს ბიჭს გულის ფანცქალით ვაჩვენე „შესანიშნავი შვიდეული“. ეს, რა თქმა უნდა, არ ყოფილა „ჭეშმარიტების მომენტი“, მაგრამ ჩემთვის მაინც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

„რა მეშველება, თავისნაირ მანიაკად ზრდის!“ – ოხრავდა ჩემი ცოლი. მე კი ამ ამბავს სწორ ფასეულობებთან ზიარება დავარქვი, რადგან „შესანიშნავ შვიდეულზე“ გაგიჟებული ძალიან ბევრი გულუბრყვილო მამაკაცი მინახავს, შემხვედრიან სისულელემდე გულუბრყვილოებიც, მაგრამ არცერთი მათგანი არ ყოფილა ცუდი ადამიანი. კალთაში დავისვი და მთელი ორსერიანი ფილმი ვუთარგმნე, ბოლოს ვკითხე, რას იტყვიმეთქი. და სრულიად უცნაური, ჩემთვის ამაღელვებელი პასუხი გამცა, – ეტყობა, ეს ამერიკა ძალიან მაგარი ქვეყანაა, რახან იმ მექსიკელმა გლეხებმა პირველივე სასაზღვრო ქალაქში შვიდი ეგეთი მაგარი კაცი იპოვესო...

ეტყობა ჭკვიანი შვილი გყავს, – მიღიმის კრის ბუხოლცი, ამ ამბავს რომ ვუყვები. დილაა. ოქტომბრის ცივი, მზიანი და ქარიანი დილა. ბერლინის ერთ მშვიდ უბანში, პრენცლაუერბერგში ვსხედვართ, იტალიურ კაფეში და სულაც არ ვგავართ ვესტერნის გმირებს. ჩვენს გვერდით მარიამ კანდელაკი და მისი ექვსი წლის შვილი ელისაბედი სხედან. მარიამს სახეზე კმაყოფილება აწერია იმიტომ, რომ მის მიერ დაგეგმილი ჩვენი შეხვედრა ბოლო-ბოლო შედგა და ერთმანეთი მოგვეწონა. კარგი დილაა.

რაც მთავარია, ერთმანეთი ვიცანით. როდესაც კრისი მოვიდა, მე გარეთ ვეწეოდი სიგარეტს და პირველი, რაც მითხრა, ისე ეწევი, შენ უნდა იყო მარიამის ის მეგობარი, „შესანიშნავი შვიდეული“ რომ უყვარსო. მესიამოვნა, რადგან მეც, უკვე ორმოცს მიტანებული, ჯერაც იმ ერთ-ერთ ცოტა გულუბრყვილო მამაკაცად ვრჩები, ხშირად, ყოვლად გაუცნობიერებლად რომ წაბაძავენ ხოლმე (და სულ არ მეშინია, თუ ამ დროს სასაცილოდ გამოვიყურები) იმ შვიდი მაგარი კაციდან ერთ-ერთს.

კრისი მეც შორიდან ვიცანი – მამას ჰგავს.

კრისი ჩიკოს შვილია. და რადგან აქ ნებისმიერი შეიძლება დაიბნეს, განვმარტავ: კრისის მამა, გერმანელი მსახიობი ჰორსტ ბუხოლცი, „შესანიშნავ შვიდეულში“ ჩიკოს, შვიდიდან ყველაზე ახალგაზრდას როლს თამაშობდა. ეგ არის და ეგ, ოღონდ 2003 წელს გარდაცვლილი ჰორსტ ბუხოლცი ჩვენთვის, „შესანიშნავი შვიდეულის“ მოყვარულთათვისაა „ჩიკო“, უფრო ჩაღრმავებული პუბლიკისთვის კი, ვინც შვიდი „მანერული მაჩოს“ თავგადასავალს ღიმილით უყურებს, ის უფრო ევროპული კინოს ვარსკვლავია, რომელმაც ორმოცდაათიანი წლების ბოლოსათვის ისეთი მეამბოხე სახეები შექმნა, რომ გერმანული კინოს ჯეიმს დინიც კი უწოდეს. მე ამ ფილმებზე და როლებზე წარმოდგენაც არ მაქვს, გზადაგზა ვიგებ რაღაცებს და ბოლოს, მარიამთან და ელისაბედთან ერთად კაფეში კრისის მომლოდინეს, პირველად მეპარება ეჭვი საკუთარი ახირების სისწორეში. იდიოტურად ხომ არ ვიქცევი, ჰორსტ ბუხოლცის შვილს, როგორც ჩიკოს შვილს, ისე რომ ვუყურებ. მარიამი მარწმუნებს, კრისს მხოლოდ გაუხარდება და უფრო მეტიც, ეს შეხვედრა მისთვისაც მნიშვნელოვანია, მაგრამ უცებ მაინც მიპყრობს შიში, ვინმე გაფოფრილი სნობი არ შემრჩეს ხელში. ვინ, ვინ და სნობები არ მიყვარს...

მაინც უნდა მეცადა. იყო ქალაქში, სადაც შვიდიდან ერთ-ერთის შვილი ცხოვრობს, გყავდეთ საერთო მეგობარი და არ გაიცნო, საკუთარი პატივისცემა არ დაუდასტურო – არ არის ლამაზი საქციელი.

და როგორ გაამართლა ჩიკოს ბიჭმა. დაგლიჯა, ყველა მაიმუნობაზე წამომყოლი ტიპი აღმოჩნდა. ნახე, რა დღეში ჩავვარდიო, – ჯერ კიდევ გარეთ მითხრა, – ჩემთვის ცხენი ველოსიპედად გადაიქცა და ჩემი რევოლვერი კიდევ ეს არიო, – მობილური დააძრო ჯიბიდან. ცოტა ხანში გვერდი-გვერდ ვისხედით თითქმის ცარიელ კაფეში და სროლის იმიტაცია დავიწყეთ: ბჭკიუუ, ბჭკიუუ... იტალიელი ოფიციანტი მალიმალ აპარებდა ჩვენკენ თვალს.

– ჰო, მართალი ხარ, – მეთანხმებოდა კრისი (ნეტავ, მამამ თუ დაარქვა ეს დალოცვილი სახელი), – სროლის ხმაც ყველაზე მაგარია მაგ ფილმში; ხმის ოპერატორის ნამუშევარიც ისეთივე ბრწყინვალეა, როგორც ყველაფერი დანარჩენი და იცი, რას გეტყვი, იმიტომ კი არა, რომ მამაჩემი თამაშობს, უბრალოდ, მართლა ყველაზე მაგარი ვესტერნია. არ არის ეგრე?

შემოდგომა. მე.
შემოდგომა. ქუჩა.
ქარი ფოთლებს კუჭავს.
ქარი გუბეს დღვებს.
მომენატრე დღეს.

მომენატრე გუშინ.
მომენატრე ხვალ.
ამინდია კუშტი.
ქარი კედლებს ხრავს.

ცელოფანის პარკი
დაბოგინობს ურჩი.
შემოდგომა. ქუჩა.
შემოდგომა. ცა.

მომენატრე ზეგ.
მომენატრე სულ.
ქარი არბევს ხეს.
ქარი აპნევს ფულს.

ქარი ხოცავს ყველას.
ქარი ხოცავს ბევრს.
მომენატრე გვიან.
მომენატრე დღეს.

2006 წელი

დუნე მონატრებებით
დაზამთრდება ტყუილად,
დუნე თოვლი წამოვა,
დუნე მოძრაობებით
დავდგამ სახლში სამოვარს.

ჩაი გულს ვერ გაათბობს,
დროს თოვლი ვერ გაყინავს,
აღმოჩნდება უეცრად
სიყვარული გარყვნილი.

უსასრულო სევდაში,
იმედების ხაფანგში,
დუნე მონატრებებით
მოვინატრებ გაზაფხულს.

ისიც მოვა და მოჰფენს
ტყუილ სითბოს დუნიას,
სიცოცხლეც და სიკვდილიც
უსაშველოდ დუნეა.

შოთა იათაშვილი, 2004 წელი

ეგრეა, ეგრე – თავს ვუქნევდი გახარებული. კრისმა იცოდა, ჩვენში „შესანიშნავ შვიდეულს“ ლიტანიობის ღამეს აჩვენებდნენ, ხალხი ეკლესიაში რომ არ წასულიყო – დიტო ცინცაძემ მომიყვაო. მამაზე საათნახევრიანი დოკუმენტური ფილმი გადავიღე – „მამაჩემი ჰორსტ ბუხოლცი“ – და მინდოდა, იქ დიტოს პატარა რეპლიკა ყოფილიყო; თვითონაც თანახმა იყო, ეს ამბავი მოეყოლა, მაგრამ რაღაც ვერ მოხერხდაო. სხვათა შორის, ამ ფილმში კრისმა „შესანიშნავი შვიდეულის“ კადრების გამოყენება ვერ შეძლო – ამერიკელებმა უზარმაზარი თანხა მოსთხოვეს...

თხუთმეტჯერ მაინც მექნება ნანახი, – მითხრა კრისმა და აქ კი ჩავიცინე, რადგან ნამდვილად არ დამითვლია, რამდენჯერ მინახავს, მაგრამ შემიძლია, დავიფიცო, რომ – ბევრად მეტჯერ. თავის დროზე კინოთეატრ „გაზაფხულში“, სადაც ხის სკამებზე ფეხების შემოწყობაც შეიძლებოდა, დარბაზში უცაბედად ანთებული შუქი კი შატალოზე წამოსულ ბავშვებზე მონადირე მილიციის რეიდს ნიშნავდა, ორი კვირა ყოველდღე ვიარე ამ ფილმზე, ზეპირად ვისწავლე ყველა დიალოგი, დავთვალე, შვიდიდან თითოეული რამდენ ყაჩაღს კლავდა და, საბოლოო ჯამში, უზუსტობაც კი აღმოვაჩინე. ორმოცდასამი ყაჩაღის ნაცვლად, შვიდეულის ხელით ორმოცდათექვსმეტი კვდებოდა...

– ყველაზე მეტად ჯეიმს კობერნი მომწონდა; ოო, რა მაგარი იყო, ხმას რო საერთოდ არ იღებდა და დანებს რო ისროდა, – თქვა კრისმა და კიდევ უფრო დავაფასე. რომ ეთქვა, მამაჩემი იყო ყველაზე მაგარიო, არ დავუჯერებდი. უცნაურია, მაგრამ შვიდიდან ყველაზე „დადებითი“, ახალბედა და ჭყინტი ჩიკო, ყოველთვის ნაკლებად გვხიბლავდა, ვიდრე დანარჩენები – საკუთარი ცოდვებით დამძიმებული ფილოსოფიის მქონენი... და აქ კრისს მოვუყევი, რომ ჩვენში ფილმმა ლინგვისტურ დონეზეც კი მოახდინა ზეგავლენა, რომ ქართულ სლენგში „მოკვლის“ ყველაზე გავრცელებული სინონიმი – „დაბრედვა“, სწორედ ჯეიმს კობერნის გმირმა – ბრიტმა გააჩინა სამოციან წლებში და ისიც ვუთხარი, სოლოლაკში, ჩემი სკოლის გვერდით იყო კინოთეატრი, პატარა ბაღით, რომელსაც კინოს ბაღს ეძახდნენ და ამ კინოთეატრში გასულ „ჟიზნენნი“ ფილმებზე მაყურებლის მოსაზიდად, თავიდან იმ ნაწყვეტს უშვებდნენ „შესანიშნავი შვიდეულიდან“, სადაც რკინიგზელების თვალწინ ბრიტი (ბრიდი — როგორც მას საქართველოში ბევრი ეძახდა) დანის მარჯვე სროლით ბრიდავდა წერას ატანილ უსახელო მსროლელს...

– და ელი ვოლაჰი „კალვერას“ რა მაგრა თამაშობს! – და კრისი ისევ მართალი იყო. ბოლო-ბოლო თვითონაც მსახიობია და არ შეეშლებოდა ეგეთი რაღაცები. მგონი, ქვეყნად არ დაბადებულა გაიძვერების (და არა ნაძირლების) როლების უკეთესი შემსრულებელი, ვიდრე ელი ვოლაჰია და ალბათ, ბედის ირონიაა (ზოგმა, ვინც კრისი-კალვერას დაპირისპირებაში ამ უკანასკნელის მხარესაა, შეიძლება, ამაში ისტორიული სამართლიანობაც დაინახოს), რომ შვიდიდან ყველა უკვე იმ ქვეყნადაა, 1915 წელს დაბადებული ელი ვოლაჰი კი – დღემდე ცოცხალი...

რა აკლდა ჩვენს შეხვედრას? რა და – დასალევი, უფრო სწორად – დათრობა. კრისმა ჯიბიდან შუშის კოლბაში მოთავსებული, თირკმლიდან ამოღებული კარგა მოზრდილი კენჭიც კი დააძრო და, აბა, რა გიყო, ძმაო – მითხრა. ვისკი

არც იმას უყვარდა ჩემზე ნაკლებად და ორივე ვგრძნობდით, რომ ერთი კარგად უნდა დავმთვრალიყავით. რაებს ვილაპარაკებდით? ორივეს ერთი ფილმი გვიყვარდა და არცერთს აღარ გვყავდა მამა. სალაპარაკოს რა გამოგვილევდა? შეიძლება, ბოლოს, მართლა მოგვჩვენებოდა, რომ რაღაცით ვგავდით შემპარავად მოსიარულე ხელსწრაფ მამაკაცებს, მოგვჩვენებოდა, რომ საკუთარი ძალებით შეგვეძლო, რაღაც შეგვეცვალა სამყაროში, თუნდაც ჩვენს საერთო მეგობარს მარიამს დავხმარებოდით და მერე ჩვენ-ჩვენ გზაზე გაგვექუსლა, თუნდაც, სრულიად საპირისპირო მიმართულებით. იქნებ, კარგიც არის, რომ არ დავთვერით, თუმცა თითო ჭიქა შამპანური მაინც დავლიეთ, როცა მზემ კარგად დაათბო პრენცლაუერბერგი და გარეთ დაჯდომაც შესაძლებელი გახდა. მერე დავიშალეთ. კრისს ჩემი ერთი ფოტო ვაჩუქე, აი, ისეთი, ვესტერნის სული რომ გადაჰკრავდა – გზა და ეული მხედარი, რომელიც სულაც არ გახლდათ მარტოობის გასაქარწყლებლად ბრონქიტიანი კოიოტის ხმით ამღერებული კაბალიერო და მხოლოდ ქიზიყელი მწყემსი იყო.

შევთანხმდით, მომავალში აუცილებლად დავთვრებოდით ან ბერლინში, ან საქართველოში და მინდა მჯეროდეს, ასეც მოხდება...

სულ ეს არის...

მა, „შვიდი სამურაი?!“ – იკითხავს ჩაღრმავებული ადამიანი და სრულიად მართალი იქნება. კუროსავას შედევრი სულ სხვა რამ არის, – იქაური ჩიკო კიდევ სულაც ტოსირუ მიფუნეა და მის შვილთანაც სიამოვნებით ავწევდი ჭიქას. ისიც ვიცი, რომ „შესანიშნავი შვიდეული“ იაპონური სიგიჟის რიმეიქია მხოლოდ, მაგრამ ეგ არის ჩემი ბავშვობა, ჩემი მშობლების ბავშვობა და უკვე ჩემი შვილის ბავშვობაც. „შვიდ სამურაის“ ზრდასრული ადამიანები ნახულობენ და გაოცდებიან, „შესანიშნავ შვიდეულს“ მამები გვაჩვენებენ და თან ღელავენ – მოგვეწონება თუ არა?

გალერეა

ნანუკა ჩიჩუა

„ყაყაჩოსა სიწითლითა“, გუაში, აკრილი, მინანქარი, ტილო, 2011



ნაწყვეტები ვაცლავ ჰაველის წიგნიდან „გთხოვთ, მოკლედ“

(©) ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
ჩეხურიდან თარგმნა სულხან მუხიგულაშვილმა

როდესაც ოცი წლის წინ ახლად დაშლილი კავშირის ქვეყნებში საბჭოთა „რეპრესიული ინფანტილიზმის“ დაძლევას (ბ. ბუდენი) ცდილობდნენ, კომუნიზმის ნარჩენებისგან ახალ იდეოლოგიებს და განსხვავებულ პოლიტიკურ დისკურსებს ქმნიდნენ, ძველ კერპებს კი ახალი ავტორიტეტებით ანაცვლებდნენ, ჩეხოსლოვაკიამ ლიდერად „მორცხვი ბურჟუა, ეშმაკი და თავდაჭერილი დრამატურგი“ (დ. რემნიკი) აირჩია. დღეს ჰაველის პატივსაგებად ქვეყნის მმართველების, ღვაწლმოსილი ინტელექტუალების სამძიმრის სიტყვებს რომ კითხულობ, ხვდები, რომ ჩეხ დრამატურგს განსაკუთრებული მაინც იუმორის გრძნობა ჰქონდა.

„სახეზეა საერთო გაუცხოების ძლიერი განცდა..., – ამბობდა ვაცლავ ჰაველი, თავის ერთ-ერთ საპრეზიდენტო სიტყვაში, რომლითაც ის ჩეხეთის მოქალაქეებს მიმართავდა, – აუტანელი წნეხის განცდა, ქრონიკული სურვილი სხვების წინაშე თავი ვიმართლო, თავი დავიცვა; ასე მგონია, თითქოს, ვიღაც ძლიერის უკან მივჩანჩალებ, თავდაჯერებული და ძლიერი მამაკაცების უკან, რომელთაც ვერასდროს დავეწევი. სულ უფრო მეტად მძულს საკუთარი თავი და მხოლოდ დაცინვას ვიმსახურებ“.

საპრეზიდენტო გამოსვლებში, პირად წერილებსა და დღიურებში სასოწარკვეთილებაზე, დამარცხების შიშზე რომ ლაპარაკობდა, ჰაველს ნანი მორეტის ფილმის გმირივით („ჩვენ გვყავს პაპი“) ძალაუფლების არ ეშინოდა. ის საკუთარი უსუსური აღიარებებით, შეცდომებზე და შერყეულ ჯანმრთელობაზე გაუთავებელი საუბრებით, საკუთარ სისუსტეს აჩვენებდა და ძალაუფლებას დასცინოდა.

ნინო ლომაძე

15. 3. 1994

1) პირველ რიგში, პატარა ცნობა ჩემი ჯანმრთელობის შესახებ. მთელი შაბათის, კვირისა და ორშაბათის განმავლობაში კითხვაც კი არ შემეძლო. მხოლოდ მეძინა, ვიდენდი ოფლს, ან სულაც ლოგინში მოუსვენრად ვწრიალებდი და მივშტერებოდი ჭერს. მქონდა სიცხიანი კოშმარული ზმანებები. აი, ერთი მათგანი: დამიძახა ს.-მ და მაცნობა, რომ სასწრაფოდ უნდა გადავდგე თანამდებობიდან, რადგანაც შეურაცხყოფა მივაყენე მეზობელ ექვს სახელმწიფოს. დღეს, ანუ სამშაბათს, როგორც იქნა, მთლიანობაში უკეთ ვგრძნობ თავს და ნელ-ნელა ვუბრუნდები მოვალეობების შესრულებას.

2) ავადმყოფობისას, არც კითხვა და არც რაიმე სხვის კეთება რომ არ შემეძლო, ხანდახან გარკვეულ კონკრეტულ საქმეებზე ვიწყებდი ფიქრს (როცა შედარებით უკეთ ვიყავი). განსაკუთრებით მაფიქრებდა ის, რასაც შეიძლება ვუწოდო ჩემი პრეზიდენტობის კონცეფცია უახლოესი თვეებისათვის ან სულაც მთელი ამ წლისათვის. მეჩვენება, თითქოს ჩემს მოღვაწეობას, თუ ასე შეიძლება ითქვას, „თემატურობა“ აკლია. უმეტესწილად მოვლენების ობიექტი ვარ, რომელიც ასე თუ ისე რეაგირებს ამ მოვლენებზე და იშვიათად არის მათი სუბიექტი. (...)

პირველი წლით კმაყოფილი ვარ, ოღონდ ერთი დაზუსტებით — ეს იყო მოსამზადებელი და არა შემდგომისათვის სამაგალითო პერიოდი. შევეგუე ახალ სახელმწიფოში ცხოვრებას, პრეზიდენტის პოსტს, ახალ პოლიტიკურ სიტუაციას, ვეძებდი ჩემს ადგილს მზისქვეშეთში, ვცდილობდი მომენიშნა ჩემი ტერიტორია და ჩამომერეცხა ლაფი, რომელიც სამთავრობო პრესამ გაპრეზიდენტებამდე თავს გადამავლო.

9. 5. 1994

6) ჩემი კომპიუტერი ყოველ ჯერზე განსხვავებულად აშორებს სტრიქონებს, რატომ? ზოგიერთი ტექსტი ისე შეუყვარდება ხოლმე, გაუთავებლად ბეჭდავს და ბეჭდავს და მისი გაჩერება ყოვლად შეუძლებელია, რატომ?

25. 2. 1995

პატივცემულო კოლეგებო, წავიკითხე თქვენი შენიშვნები საპარლამენტო გამოსვლის ტექსტის პირველ (დაუმთავრებელ) ვერსიასთან დაკავშირებით. დიდი მადლობა, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ შემდეგ კიდევ სამი დღე ვწვალობდი ტექსტზე და ყველა თქვენი შენიშვნის გათვალისწინება რომ მეცადა, კიდევ ათ დღეს ვიწვალებდი. სიამოვნებით, მაგრამ საიდან ამდენი დრო? ერთი-ორი თქვენი შემოთავაზება გავითვალისწინე, დანარჩენი, სამწუხაროდ, არა. ამის მიზეზები განსხვავებული იყო. მაგალითად, შენიშვნების ურთიერთგამომრიცხაობა. დარგობრივი მიმოხილვის ნაცვლად ყველანი მირჩევდით უფრო პირადულ და ესეისტურ ტონს, ამავდროულად თითქმის ყველანი მითითებდით იმ დარგებსა და თემებზე, რომლებზეც დამავიწყდა რამე მეთქვა, მაშინ, როდესაც თურმე ეს საჭირო იყო. თქვენი შენიშვნების გათვალისწინება მხოლოდ გაზრდიდა ტექსტის მოცულობას, თუმცა ერთხმად მის შემცირებას მირჩევთ. ბევრი მათგანიც დააზარალებდა ტექსტის სტილს, აზრობრივ წყობას. პირადული, ბელეტრისტიკული და ცოტა არ იყოს, პროვოკაციული პასაჟები შემიკვეცეთ, ამავდროულად მირჩევთ უფრო პირადულ, მკაცრ (პროვოკაციულ) საუბარს და ა.შ. მაშ ასე: აღნიშნული ვითარებისა და დროის უკმარისობის პირობებში რაც გავითვალისწინე, გავითვალისწინე, ტექსტი ბოლომდე დაწერილიცაა და ამ ეტაპისათვის რედაქტირებულიც, რადიკალურად უკეთესი აღარასოდეს იქნება (რომელ ჩვენგანს მოაფიქრდა, რომ უნდა დავწერო „ანგარიში უნიის მდგომარეობის შესახებ“? ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს მე ვიყავი?).

31. 3. 1996

ხომ არ შეუძლია პან მ.-ს, კათედრალის საკითხთან დაკავშირებით პან ხ.-სა და კარდინალის იურისტებს შორის შეხვედრისათვის იშუამდგომლოს? მიუხედავად დაპირებისა, კარდინალი არ შეგვხმიანებია. ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მომავალმა პარლამენტმა (ეს იქნება სდპ-სა და ოპოზიციის აზრების თანხვედრის იშვიათი შემთხვევა) მოახდინოს კათედრალის მთლიანი ნაციონალიზება. მზად ვარ წავიდე ნებისმიერ კომპრომისზე, ის კი, ცხადია, არც ერთზე. ეს იმიტომ გამახსენდა, რომ გაუგებარი მიზეზების გამო წუხელ დამესიზმრა, თითქოს ზდენეკ მალერმა მაიძულა, მის ლოგინში დამეძინა. (...)

გიხსნით:

1) ეს გადაიღეს მოტყუებით, ზუსტად მაშინ, როდესაც მიკროფონები უნდა გამოერთოთ. მაშინღა შევამჩნიე, რომ დამატებით „ნოვას“ ანუ იმ ტელეკომპანიის კამერა მომჩერებოდა, რომელიც არავითარ შეთანხმებებს არ იცავს, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

2) ჩემი ამოოხვრაც გამოწვეული იყო ცოტა ხნით ადრე მომხდარი მოვლენებით. რამდენიმე გამაღიზიანებელი სატელეფონო საუბარო მქონდა რპკ-სთან ჩემს პროგრამაში შეუთავსებლობების შესახებ, ცოტა არ იყოს, გავბრაზდი და ის ამოოხვრაც ჩემი ბრაზის გამოძახილი იყო.

3) მთლიანობაში ძალიან გაღიზიანებულად ვგრძნობ თავს, ხშირად ვბრაზდები ხოლმე და მერე უნებლიეთ შეიძლება ვინმეს უსამართლოდაც მოვექცე. ეს არაერთი მოვლენის თანხვედრით არის გამოწვეული, ჯანმრთელობის მდგომარეობით დაწყებული და სიგარეტის მოწევა რომ აღარ შემიძლია, იმით დამთავრებული. თქვენი შეფები უკვე გავაფრთხილე, გულთან ზედმეტად ახლოს არ მიიტანონ, როდესაც, ცოტა არ იყოს, გაღიზიანებული ვლაპარაკობ ან რაღაცას ვაჭარბებ.

1. 10. 2000

ჩემი წუხილის მიზეზები:

1) ეს კომპიუტერი არა მარტო ღმუის საზიზღარი ხმით, არამედ სულ ახალ-ახალ ხრიკებს იგონებს ჩემს ჯინზე (უეცრად იწყებს ინგლისურად წერას, შემდეგ სხვა ენაზე გადაერთვება, ბოლოს კი ვირივით ერთ ადგილას გაიჭედება ხოლმე და ა.შ.).

2) ტელევიზიით („Ct“) გადასცეს საზიზღრად შეთითხნილი ინფორმაცია, თითქოს პან შ.-მ თქვა, რომ ომბუდსმენად მინდა მოტეილი, რის გამოც, არ ვაყოვნებ მისი გადადგომის მოთხოვნას და ა.შ. ამდენად რა გასაკვირია, რომ ჩემი მრისხანება პირველად პან შ.-ს დაატყდა. გავბრაზდი, რადგანაც მსგავსი მნიშვნელობის საკითხებზე ჩემთან მოულაპარაკებლად საუბრობს.

5) არ მუშაობს აქ ტელეფონები და თუკი სადმე დავრეკე, ეს მხოლოდ ჩემი მცველის პან სლავიჩეკის გულისხმიერების წყალობით, რომელიც თავის მობილურს მაძლევს ხოლმე. ამავე დროს, ჰრადის ტელეფონების ხელოსანმა უარი განაცხადა შეეწყვიტა შაბათ-კვირით ტკბობა თავის აგარაკზე, სანამ ბოლოს

დაშამ არ დააძალა პჰა-ს უფროსის დახმარებით, თუმცა ტელეფონი მაინც ვერ გააკეთა.

6) დამაყრიან ხოლმე სამუშაოს, ჰგონიათ, რომ ჯანმრთელი ვარ და მოვერევი ამდენს, თვითონ კი იმალებიან ავტომოპასუხეების უკან ან აგარაკებზე.

2. 2. 2002

9) ს.-ს ვთხოვდი გაეკითხა, ჰრადზე ხომ არ მოიძებნებოდა ჩემი ოთახისთვის თანამედროვე ლოგინი, ეგრეთ წოდებული ტახტი თუ „აეროპორტი“ (ანუ უბრალოდ ლეიბი პატარა ფეხებით). არ შემიძლია წესიერად წამოვწვე და გავიჭიმო, ჟანგბადი ჩავისუნთქო და აზრები დავალაგო, ამის საშუალებას არ მაძლევს ლამაზი „სოფლის“ ლოგინი თავისი საბნებით. მსგავსი ლოგინები ჩვენში უღარიბესებს ჰქონდათ ხოლმე სოფლად (მაშინ ლოგინში ან ეძინათ ან კვდებოდნენ, და ნამდვილად არ იყო გაანგარიშებული თხუთმეტწუთიანი წამოგორებისათვის).

19. 6. 2002

3) 29-ში, შაბათს, დალაი-ლამას უნდა შევხვდე. ეს პროგრამაში არ არის შეტანილი და არც შეხვედრის ჩასატარებელი ადგილი გვაქვს მოფიქრებული. პროგრამაში წერია, რომ ვარ ლანში, რაც შეუძლებელია, რადგანაც იქ დალაი-ლამაა დაბინავებული. მე კი, ცხადია, არ მინდა დავურღვიო მყუდროება. ვფიქრობ, შაბათს ნაშუადღევს ვესტუმრო და მშვენივრად შეიკვრებოდა წრე, რადგანაც თორმეტი წლის წინ, ზუსტადაც რომ ლანში ჩავატარეთ ჩვენი პირველი ერთობლივი მედიტაცია. (...)

ვაშინგტონი 26. 5. 2005

ჩემი ამერიკაში გაქცევა დასრულდა, სახლისაკენ გული დიდად არ მიმიწევს, თუმცა კიდევ გველოდება მოგზაურობები. მოვიხელთებ თუ არა დროს, ძილს მივეცემი ხოლმე.

ჰელი 28. 8. 2005

მთელი ცხოვრება საიდუმლოდ ვოცნებობდი დამეწერა ზედმიწევნით გულახდილი და თამამი დღიური, დაახლოებით ჰენრი მილერის, ჩარლი ბუკოვსკის, ანაის ნინის ან თუნდაც ჩემი აწგარდაცვლილი მეგობრების: იან ზაბრანისა და პაველ იურაჩეკის სტილში. დიდი ხნის მანძილზე, მართლაც, ძალიან ახლო მეგობრობა გვქონდა და თავშიც კი არ მომსვლია, რომ წლების განმავლობაში დაწვრილებით და გულახდილ დღიურს წერენ. ადვილი შესაძლებელია, ეს მათი საუკეთესო ნაწარმოებიც კი იყოს. მე მსგავსი ვერაფერი გავბედე, ყოველთვის ჩემი პიესების პერსონაჟების უკან ვიმალებოდი. საფიქრებელია, რომ ეს ჩემი მორიდებულობის ბრალია. თუმცა ეს ორიც ხომ საკმაოდ მორიდებული ადამიანი იყო. არ ვიცი. მოდით, კურსივით ნაწერი კომენტარები ამა თუ იმ თემის და რასაკვირველია, ამ წიგნის შესახებ, მივიღოთ უკვე ნახსენები ჩემი ოდინდელი ამბიციების შორეულ ექოდ. წიგნში ამ მიმართულებამ წარმოგვიდგინოს თემა „წიგნი საკუთარი თავის შესახებ“, შესაბამისად – მისი წარმოშობის შესახებ. მიყვარს ეს ჟანრი.

30. 10. 2000

(...)

2) გვირაბში, ლიფტის წინ რომ საზარელი ხალიჩაა, გაწმინდეთ. პრინცმა, დაინახა თუ არა, არწყია.

ჰრადეჩეკი 10. 7. 2005

გავიქეცი. გავიქეცი ჰრადეჩეკზე. ვარ მარტო, გულს დარდი მაწევს. ყველაფერი ამ კედლებში გატარებულ ათწლეულებს მაგონებს. მიყვარს აქ ყოფნა. ეს ჩემი თავშესაფარია, ჩემი საარსებო გარემო. ისევ და ისევ ვაცნობიერებ, რომ უკან დასახევი გზა აღარ არსებობს და უკვე სხვა ვარ, აღარ ვარ ის, რაც ვიყავი, როდესაც პიესებს ვწერდი, ექსპერიმენტულ კერძებს ვამზადებდი, მხიარულ საღამოებს ვუძღვებოდი და საიდუმლო დისიდენტურ შეხვედრებს ვატარებდი. ვარ უფრო ასაკოვანი, უფრო ავადმყოფი, უფრო დაღლილი. არ ვიცი რატომ, მაგრამ თითქოს სულ უფრო მეშინია სამყაროსი და ადამიანების. უბრალოდ, ვინმეს რომ დავურეკო, ესეც კი მიჭირს. ამ ყველაფერს ცუდი ამინდიც ერთვის. უკვე ექვსი თვეა, რაც ამერიკიდან ჩამოვედით, მაგრამ ამ წიგნის წერას მხოლოდ ახლა დავუბრუნდი. პრაღაში ამაზე ფიქრის დროც კი არ მქონდა. თანაც აქ სულ ორიოდე დღით ვარ და სანამ დავუბრუნდები ამ საქმეს და დავძლევ წერისადმი ზიზღს, დასასრულიც მოვა.

და მაინც, რას ვაკეთებდი დაბრუნების შემდეგ? ბერლინში ტიბეტის ჯილდო მივიღე დალაი-ლამასაგან, ავსტრიაში პრეზიდენტ ფიშერთან ერთად ჩემს ძველ ტექსტებს ვკითხულობდით (ის გერმანულად, მე კი ჩეხურად), გავხსენი და დავხურე რამდენიმე მნიშვნელოვანი კონფერენცია, ვიყავით კარლოვი ვარის ფესტივალზე, ვუმასპინძლე ჩემს მეგობარსა და მშვენიერ მსახიობს რობერტ რედფორდს, რომელიც მადლენთან ერთად იყო აქ ჩამოსული და დავტკბი აღმაფრთოვანებელი მოვლენით, რომელსაც შერონ სტოუნი ეწოდება. მთლიანობაში კი, ჩვეულებისამებრ, უკმაყოფილო ვარ საკუთარი თავით. გამუდმებით თან მსდევს შეგრძნება, რომ ცუდ შედეგებს ვაჩვენებ, რასაც ვერავინ ვერ მიმხელს. მეჩვენება, რომ იმპროვიზებული გამოსვლებისას ბევრს ვბორძიკობ, მაკლია თანმიმდევრულობა და იუმორი, მავიწყდება რისი თქმა მინდოდა და ვიბნევი. შესაძლოა, ეს მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში დაგროვებული დაღლილობაა.

გავიქეცი ჰრადეჩეკზე იმ იმედით, რომ იქ დავისვენებდი და მოვიპოვებდი შინაგან სიმშვიდეს. თუმცა, საფუძველშივე აზრსმოკლებულმა ჩემმა იმედებმა დიდი დარტყმა განიცადა. ბუჩქები, რომლებსაც სახლის ირგვლივ უკვე თითქმის ორმოცი წელია ველოლიავები, როგორც ოჯახური სიმყუდროვის დაცვის ერთგვარ საშუალებას, ჩვენი არყოფნისას ვიღაცას გაურკვეველი მიზეზების გამო ამოუძირკვავს, რაც სერიოზული თავდასხმაა ჩემს პიროვნებაზე. თავს ისე ვგრძნობ, თითქოს კიდურები დამაჭრეს. პარადოქსულია, მაგრამ ზუსტად მაშინ, როდესაც ამ ფაქტით მიღებულ პირველ შოკში ვიმყოფებოდი, ტელევიზორით თვალს ვადევნებდი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ფინალს თემაზე „უდიდესი ჩეხი“, რომელშიც მესამე ადგილი მომენიჭა კარლოს IV-ისა და ტ. გ. მასარიკის შემდეგ და სიის პირველ ათეულში ერთადერთი ცოცხალი მოღვაწე აღმოვჩნდი. შემდეგ კი გაუდაბურებულ ეზოს გადავხედე ფანჯრიდან და გავიფიქრე, რომ ალბათ უდიდესი სულელის წოდებას უფრო ვიმსახურებ.

ჰრადეჩეკი 5. 12. 2005

გავურბივარ. სულ უფრო გავურბივარ. სხვადასხვა მიზეზს ვიგონებ, რათა გავექცე ჩემს კაბინეტს, ჩავდივარ ქვევით, სამზარეულოში, ვალაგებ იქაურობას, ვუსმენ რადიოს, ვრეცხავ

ჭურჭელს, ვიმზადებ საჭმელს, ვფიქრობ ხოლმე რაღაცაზე ან ისე, უბრალოდ, ვჯდები ჩემს ძველ ადგილას და ფანჯარაში ვიყურები. რეალურად კი წერას გავურბივარ. თუმცა არა მხოლოდ. გავურბივარ საჯაროობას, გავურბივარ პოლიტიკას, გავურბივარ ადამიანებს, ჩემს გადამრჩენსაც კი გავურბივარ და რაც მთავარია — საკუთარ თავს. ბოლოს და ბოლოს, რისი მეშინია? ძნელი სათქმელია. და აი, რა არის საინტერესო: მიუხედავად იმისა, რომ აქ ახლა მარტო ვარ და მარტო ვიქნები, არავის ველი და არავინ აპირებს ჩემთან სტუმრობას, სახლი ყოველთვის მილაგებული მაქვს, ყოველი ნივთი თავის მკაცრად განსაზღვრულ ადგილზე მიდევს, ყველაფერი ერთმანეთთან მორგებული უნდა იყოს, საგნების კიდეები ერთმანეთს არ უნდა სცდებოდეს და არაფერი არ უნდა იდოს ირიბად. ამავდროულად, მაცივარი ყოველთვის გამოვსებული უნდა იყოს მრავალფეროვანი სანოვაგით, რისი მომრევიც მე ჩემით არ ვარ, და ლარნაკებში ახალ-ახალი ყვავილები უნდა ეწყოს, თითქოს განუწყვეტლივ ვიღაცას ველოდები. მაგრამ ვის? უცნობ და დაუპატიჟებელ სტუმარს? უცნობ მზეთუნახავს ან თაყვანისმცემელს? ჩემს მშველელს, რომელსაც შეუტყობინებლად უყვარს ხოლმე გამოცხადება? ძველ მეგობრებს? როგორ გავიგო ის, რომ არავის ნახვა არ მინდა და თან გამუდმებით ვიღაცას ველოდები? ვიღაცას, რომელიც სათანადოდ შემიფასებს იმას, რომ ყველაფერი თავის ადგილზე დევს და ლამაზად მისწორებულია. მხოლოდ ერთი ახსნა მაქვს: განუწყვეტლივ ვცდილობ მომზადებული ვიყო განკითხვის დღისთვის. დღეს, რომლის წინაშეც ვერაფერი დაიმალება, როდესაც ყველაფერი, რაც დასაფასებელია, დაფასდება, რაც ცუდად დევს და წესრიგს არღვევს, თავისთავად ცხადია, შემჩნეული იქნება. ბუნებრივია, ამ დროს ვუშვებ, რომ უმაღლესი მოსამართლე ჩემსავით პედანტია. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, რატომ არის ჩემთვის შემაჯამებელი შეფასება ასე მნიშვნელოვანი? ხომ შეიძლებოდა ეს ჩემთვის სულ ერთი ყოფილიყო? მაგრამ არ არის, რადგანაც დარწმუნებული ვარ, რომ ჩემმა არსებობამ (ისევე როგორც სხვა ყველაფერმა, რაც კი მომხდარა დასაბამიდან) შეარხია ყოფიერების ზედაპირი, რომელიც ამ ჩემი ტალღის შემდეგ, როგორი უმნიშვნელო, ამაო და წარმავალიც არ უნდა იყოს, აღარ არის და აღარც იქნება ისეთი, როგორიც მანამდე იყო. უბრალოდ, მთელი ცხოვრებაა მჯერა, რომ იმას, რაც ერთხელ მოხდა, უკან ვეღარ გამოიძახებ და ყველაფერი, რაც ოდესმე მომხდარა, მომხდარა სამუდამოდ ანუ ყოფიერებას გააჩნია მეხსიერება. ამდენად, ჩემი პატარა ამბავიც (ბურჟუაზიული ოჯახის შვილი, ლაბორანტი, ჯარისკაცი, პიესების ავტორი, დისიდენტი, პატიმარი, პრეზიდენტი, პენსიონერი, საზოგადოებრივი ფენომენი და მეუდაბნოვე, ვითომ გმირი და სინამდვილეში კი შენიღბული მშიშარა) ყოველთვის აქ იქნება. ცხადია აქ არა, მაგრამ სადღაც. ოღონდ სხვაგან არა. სადღაც აქ.

ჩარგეიშვილის საადვოკატო დარბაზი

ბიზნეს და საგადასახადო დავები

სამეწარმეო
კორპორაციული სამართალი

შრომის სამართალი

სამოქალაქო სამართალი

სისხლის სამართალი
(ეკონომიკური დანაშაულები)

ადმინისტრაციული სამართალი

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 15ა ოფისი 28ა. ქ.თბილისი
ტელ: (+995 32) 237 93 00
ფოსტა: info@chargeishvili.ge
ვებ-გვერდი: http://www.chargeishvili.ge

რეზო ინანიშვილი

ავტორი ბექა ქურხული

2011 წლის 21 დეკემბერს ზუსტად 20 წელი შესრულდა რეზო ინანიშვილის გარდაცვალებიდან.

2011 წლის 21 დეკემბერს ზუსტად ოცი წელი შესრულდა თბილისის სამოქალაქო ომის დაწყებიდან.

არ ვიცი, შეიძლება უბრალოდ დამთხვევაა...

რეზო ინანიშვილი დღევანდელ საქართველოში თითქოს გაქრა. დაიკარგა.

ვის უნდა, აბა, ახლა, უჯარმაში ბალახმოდებულ ეზოზე დარდი, გვალვაში წვიმის ლოდინი, – „ნუ გეშინიათ, მთიანი ქვეყანაა ჩვენი ქვეყანა, კავკასიონი ისე არ გაცუდდება, ჩვენი სამყოფი ღრუბელი ვერ მოაგროვოს“ – მერე იმ წვიმით გამოწვეული აღრფთოვანება. ვიღას აინტერესებს იმ ატმებისა და გარგარის ბედი, სიცხისგან რომ ხმებიან; ვინღა დაწერს, როგორ შემოუბარა მსხლებს, კეხურა ვაშლებს, კომშა ვაშლებს, თეფშა ვაშლებს და როგორ მოათქმევინა სული. აკი, ახლა ვისაც არ ეზარება, ვისაც თავისი ქვეყნისა და სხვისი ქვეყნის ზეცა ვერ გაურჩევია, ყველა „გლობალურად აზროვნებს“ და ყველა „მსოფლიო მოქალაქეობაზე“ სდებს თავს. რა დროს შიო პაპას სახედრის ბაკუნი და ბიბოა.

თითქმის აღარც ახსენებენ. ახსენებენ ყველას, რეზო ინანიშვილის გარდა. აბა, ბოლოს ვის გაახსენდა, ან მისი დაბადების დღე ან გარდაცვალება, ოჯახის წევრებისა და ახლობლების გარდა. ძალიან დიდი ხანია, არც მისი სატელევიზიო ჩანაწერი უჩვენებიათ. ან რას აჩვენებენ ამ ჩვენს „პრადვინუტი“ ეპოქაში. ერთ გადაცემას, თუ არ ვცდები, საახალწლოს, ასე იწყებს: „გამარჯობა ბავშვებო, მე კახელი მწერალი ვაარო“

რეზო ინანიშვილი კახელი კი არა, ძალიან დიდი მწერალია და თუ მისი სახელის ხსენებაზე, პირველ რიგში, ციყვები, მელაკუდები და ოფოფები ახსენდება ვინმეს, ეს მხოლოდ იმის ბრალია, რომ, საქართველოს ისტორიისა არ იყოს, ქართული მწერლობაც თავიდან არის წასაკითხი, გადასაფასებელი და შესაფასებელი.

რეზო ინანიშვილი შთამომავლობითი ხაშმელი გლეხი გახლდათ; კახელი, პურისა და ღვინის მომყვანი მაგარი გლეხების შთამომავალი (თამაზ ჭილაძე ლექციაზე ხშირად გვიმეორებდა, თუ არ ვცდები, ონორე დე ბალზაკის ნათქვამს – „თოთხმეტი თაობის ფრანგი გლეხების შთამომავალი ვარ და ახლა მითხარით, უფრო დიდი და კეთილშობილი გენეალოგიაო“).

მის საოცარ მოთხრობას თუ ჩახედავთ, უბრალო სათაურით – „ზოოპარკში“, სადაც ასევე უბრალო ამბავია აღწერილი, – როგორ მიჰყავს პაპას ორი „გემრიელი“ შვილიშვილი ზოოპარკში და მერე, იქ, როგორ დგანან, ძალიან დიდხანს, კამეჩების ვოლიერთან, სადაც არავინ ჩერდება, რადგან „კამეჩები იციან“, – დაინახავდით, რომ: „...ეს იქნებოდა ტრაგიკულად განშორებულ და მერე კვლავ შეხვედრილ ოჯახის წევრთა ყველაზე დიდი სურათი ქვეყნიერებაზე“.

თუ ვინმეს სოფლისა რამე გაეგება, აუცილებლად ეცოდინება, რომ ეს არ არის წითელ-ყვითელი ფოთლების შრიალი და „თოვს, თოვს, ხოშკაკლავს, პაპაჩვენი ღორს დაკლავს“. სოფელი გაცილებით ღრმა და საშიშია, ვიდრე ქალაქი, იმიტომ, რომ იქ ყველაფერი ხელისგულზეა და კიდევ იმიტომ, რომ იქ ნათესავები ცხოვრობენ, რომლებიც ძალიან გიყვარს, იმათაც უყვარხარ, მაგრამ მიჯნები სულ გასარკვევი და სადავო გაქვთ. მე ვიცი, როგორ შევიდა რეზო ინანიშვილი ხაშმში, თავის წლობით უნახავ მარანში, – შეაჭრიალა მოქცეული კარი სიბნელეში და თქვა: – „შენ გენაცვალე, ჩემო მარანოო!“. სოფელი უბედური რამეა, ძალიან მაგარი უნდა იყო, შენს ცხოვრებას იქ ფასი რომ ჰქონდეს. უფრო მაგარი, რომ სოფელზე წერო. მე სულ რამდენიმე ვიცი ასეთი: რუსი ვასილი შუკშინი, ძალიან ღრმა სომეხი – გრანტ მათევოსიანი, ჩვენი ცხონებული, ასევე ძალიან მნიშვნელოვანი მწერალი, კარგი წიგნებისა და ნამდვილი შედევრების ავტორი, ნუგზარ შატაიძე. ისიც სულ თავის კასპს მისტიროდა. მიწამ მაგარი დაჭერა იცის და ძალიან დიდ თავდაჯერებულობასთან ერთად, როცა იცი, ვინ ხარ და სადაური და არაფერში ეს „მსოფლიო მოქალაქეობა“ და გლობალური ბლეფი არ გჭირდება, ძალიან მაგარი ტკივილიც ახლავს, მაგარი დარდი მოაქვს, მით უმეტეს, თუ ამ მიწას, ერთი ჭკუიდან გადასული, გადაღლილი, ძველი და ამოწყვეტილი ქვეყანა – საქართველო ჰქვია.

ტკივილით არის დატენილი რეზო ინანიშვილის მოთხრობები: „ანანურელი ულამაზოები“, „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება“, „სადგური“, „ტყვეები“, „ყვავი“, „წყალობა“, „კალათები“, „ტყვია“. ეს მოთხრობა ისე მომწონდა ჩემს ბიჭობაში, ქართულის რვეულზე და სკოლის პაპკაზე მეწერა „ტყვია“. სასწავლო ნაწილმა ნახა და დირექტორთან ჩამათრიეს – ეს რა არისო. ვიდექი ჩუმად და ამაყად, ტყვედ ჩავარდნილი პარტიზანივით. წითელ ბაღში და სკოლასთან, გასტრონომის უკან, ბირჟაზე, უფროს ძველ ბიჭებთან და სკოლის ავტორიტეტებთან ყურყუტსა და „პტიჩკიანი“ „ვინსტონის“ წევას მიაწერეს ეს ამბავი და ერთი ალიაქოთი ატყდა. დიდი გამჭრიახობით მაშინ კი არა, ახლაც არ გამოვირჩევი, მაგრამ მივხვდი, რომ არ უნდა მეთქვა, საიდან გაჩნდა ეს საბედისწერო სიტყვა – „ტყვია“ ჩემს ჩანთაზე. იმიტომ კი არა, რომ ვერ გაიგებდნენ, – მაგაში არ იყო საქმე. არა, და მორჩა... ტკივილი იგრძნობოდა რეზო ინანიშვილის ჩემთვის ყველაზე საყვარელ, საბავშვო წიგნში „შორი თეთრი მწვერვალი.“ დახედავდი ყდას და ხედავდი, გრძნობდი იმ იდუმალ, შორ თეთრ მწვერვალს, მის ტკივილიან სითბოს. დაიკარგა ეს წიგნი. უფრო სწორად, გაქრა, მართლა ბავშვობასავით გაქრა „ბიბო“, „ბახა და გოგია“, „ზამთარი“, „ჩიტების

გამომზამთრებელი“, „უშიშარი ბიჭი იოსება“, „უკუღმა დაჭედილი“, ლომის გამომსარჩლებელის, ხევსური ბებერი მგლის „უშიშა პაპას ამბავი“. დიდი მწერლები, დიდი წინასწარმეტყველების უნარითაც არიან დაჯილდოებულები. რეზო ინანიშვილი თავის ყველაზე თბილ და კეთილ მოთხრობებშიც კი გვეუბნებოდა და გვაფრთხილებდა, რომ ადვილი არ იქნებოდა, ადვილად არაფერი მოხდებოდა და აკი, არც მოხდა.

ცალკე სათქმელია მისი მცირე პროზა, მინიატურები, რომლებიც არაფრით ჩამოუვარდება მის დიდ პროზას და მიზანში მორტყმის თვალსაზრისით კი, იქნებ, აჭარბებს კიდევაც: „თქვენ ლიტერატორი ხართ. თქვენი სარბიელი წიგნიდან წიგნამდე მანძილია. ის მწერალი იყო, ნამდვილი მწერალი, და როცა ყინულოვან წყალზე უნდა დაეწერა რამე, თვითონ მიდიოდა, თვითონ დგებოდა იმ ყინულოვან წყალში და თვითონ იჭრიდა ყინულებზე ფეხებს“, – ეს ჩანაწერები იმ უშუალობით და გულწრფელობით არის დაწერილი, რომლის უფლებასაც მხოლოდ დიდი მწერლები აძლევენ საკუთარ თავს. დიდმა მწერალმა ყოველთვის იცის, რომ დიდი მწერალია, რა თქმა უნდა, რეზო ინანიშვილმაც იცოდა, რომ დიდი მწერალი იყო, აქედან მოდიოდა მისი საოცარი შინაგანი გამბედაობაც და თავმდაბლობაც. მიდიოდა თავისსავე გაკვალულ გზაზე და მხოლოდ მისთვის მნიშვნელოვან რამეებს ხედავდა. თუმცა გაბრაზებაც იცოდა – „რევაზ ინანიშვილი... გვხიბლავს ის დიდი სითბო, ადამიანური სიკეთე, რაც მწერალმა სტრიქონებს გააყოლა, მაგრამ ჩნდება ფიქრი, რომ მან თავის დიდ შესაძლებლობებს განგებ შეუკვეცა ფრთები – უარყო, როგორც წმინდა ეპიკური, ისე კონცეფციური პროზა – უარყო გმირის დიდი ვნებების, წუხილის, ოცნების ხატი... ამის დამწერს წინ ედო „უფსკრული ქალაქში.“ ეს პატარა მოთხრობაც კი უკონცეფციო ყოფილა მისთვის. მისთვის, უთუოდ, უკონცეფციოა ტაკუბოკუს ლექსიც: „ნა პესჩანომ ბერეგუ, ოსტროვკა ვ ვოსტოჩნომ ოკეანე, ია ნე სტირაია ვლაჟნიხ გლაზ, ს მალენკიმ იგრაიუ კრაბომ“... „როგორ არ შეგიპყრობს სევდა! როგორ არ უნდა მოჰკიდო ხელი ასე მეტყველთ და არ აჩვენო: ეს ხეა, ეს სახლი, ეს მესერი, ეს წყალი, ეს ბალახი!“... წეღან ვთქვი, დიდი მწერლები წინასწარმეტყველებიც არიან-მეთქი. ასევე იწინასწარმეტყველა რეზო ინანიშვილმა თავისი უკანასკნელი საათები ამ ცოდვილ დედამიწაზე. თავის ერთ-ერთ მინიატურაში დაახლოებით ასეთ რამეს ბრძანებს: „არ არსებობს უფრო საპატიო დაკრძალვა, ვიდრე ის, როგორიც მოცარტსა და ფიროსმანს ერგოთ წილად. რამდენიმე ადამიანის თანდასწრებით მღვდელი რომ აგიგებს წესს და მიწას მიგაბარებენ“ – სწორედ ასე დაკრძალეს რეზო ინანიშვილი დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. ამ დროს რუსთაველზე რეზო ინანიშვილის მოთხრობებზე გაზრდილი ქართველები ერთმანეთს უბათქუნებდნენ.

რეზო ინანიშვილი მეექვსე სართულზე ცხოვრობდა, მე მეოთხეზე. ყველაზე ცხადად ასეთი დამამახსოვრდა – ლიფტში შევხვდი, თავზე სწორედ იმ ჩიტის ბუდესავით ბერეტი ეხურა, ასკილის ყვავილის კრეფის დროს კვერცხები რომ გადაურჩინა. „როგორა ხარ კაცო, როგორ?“ – მკითხა. მე, ზურგსუკან დავმალე პაპკა, რომელზეც დიდი ასოებით ეწერა „ტყვია“ და ძალიან მომინდა, რეზო ინანიშვილი ჩემი პაპა ყოფილყო. მაგრად ვეყვარებოდი. წამიყვანდა კვირაობით ზოოპარკში, ჩვენი დამწყვდეული კამეჩების სანახავად. და, ზუსტად ვიცი, ერთად ვიდარდებდით.

ნატურმორტი

დიდი ხანია, რაც აქა ვარ,
პურს ვჭამ და რკინას.
(მეტაფორა არ გეგონოთ –
მართლა ვჭამ რკინას,
მიყვარს ვაშლი,
მოვკბიჩავ და ვდებ მაგიდაზე,
და ვუყურებ,
როგორ ჟანგდება).

დიდი ხანია, რაც აქა ვარ.
წყალს ვსვამ და ტკბილ ცეცხლს.
(მეტაფორა არ გეგონოთ –
მართლა ვსვამ ტკბილ ცეცხლს,
აბზინდის მწვანე, ცხელ ნაყენში
შაქრის ნატეხი რომ ჩალღვება,
სულს ვუბერავ მხურვალე ჭიქას,
ვიყუდებ პირზე).

დიდი ხანია, რაც აქა ვარ.
ყვავილის და ლეშის სუნს ვსუნთქავ.
(მეტაფორა არ გეგონოთ –
მართლა ვსუნთქავ მე ლეშის სუნს,
ერთი კვირაა მაგიდაზე
ღორის ბარკალი მიდევს, დალპა,
აყროლდა და
დაესიენ ნეხვის ბუზები).

დიდი ხანია, რაც აქა ვარ.
აბსენტის ბოთლი ხელმარჯვნივ დავდე,
იქვე – ჭიქა. რამდენიმე შაქრის ნატეხი
მიმოვფანტე მთელ მაგიდაზე.
ბლაგვი დანა და ღორის ბარკალი –
მარცხენა მხარეს.
ყვავილების თაიგული და
მონაკბეჩი ვაშლი კი ცენტრში.

დიდი ხანია, რაც აქა ვარ.
პურს ვჭამ და რკინას.
წყალს ვსვამ და ტკბილ ცეცხლს.
ყვავილის და ლეშის სუნს ვსუნთქავ.
მზე ამოდის, ოთახს მინათებს,
მელოდება,
მერე ჩადის,
ისევ ამოდის.

დიდი ხანია, რაც აქა ვართ.
დიდი ხანია, რაც ერთად ვართ.
დიდი ხანია.

შოთა იათაშვილი, 2010 წელი

ტერეზა მილლიონის ანგარიში

ავტორი ლევან რამიშვილი
ილუსტრაცია ნათია კვარაცხელია

ოთახში სიჩუმე იდგა.

თეთრ შარვალსა და კაშკაშა წითელ პერანგში გამოწყობილი მოხუცი ქალი მაგიდას მიჯდომოდა და რაღაც ქაღალდებს ჩაკირკიტებდა. ზარის ხმა მოესმა. წამოდგა და კარისკენ გალასლასდა.

კარებში თეთრი, ფუნჩულა, ოდნავ წამოწითლებული პირისახის მამაკაცი იდგა დიდი ცხვირითა და პატარა, კეთილი თვალებით.

– უკაცრავად, ტეს, დილის მესა ცოტა დიდხანს გაგრძელდა და... – მოუბოდიშა მამა კამდენმა და ხელი გულითადად ჩამოართვა. მოხუცს ტანში სასიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა. რა კარგი კაციაო, გაიფიქრა.

– არა უშავს, – უთხრა მან და სახლში შეუძღვა.

– აი, აქეთ, მაგიდასთან დავსხდეთ, – თქვა მან, მაგრამ მაგიდაზე დაყრილ ქაღალდის გორებს რომ მოჰკრა თვალი, გუნება წაუხდა და გადაიფიქრა.

– ანდა, აი აქ, ტახტზე ჩამოვჯდეთ, – უზარმაზარი ტელეეკრანის წინ მდგარ დიდ ტყავის ტახტზე მიუთითა.

– როგორც შეყვარებულები, არა? – იხუმრა მამა კამდენმა.

– ჰო, როგორც შეყვარებულები! – გამხიარულდა მოხუცი. მადლობელი ვარ, რომ მოხვედით.

– რას ამბობთ, ეს ჩვენი ვალია. როგორ ხართ. ყველაფერი მითხარით!

– ეჰ, რა გითხრათ, მამაო კამდენ. რაც მაიკლი აღარ არის, რაღაა ჩემი ცხოვრება.

მამა კამდენმა თვალები უხერხულად დახარა.

– ისე, ცუდი ცხოვრება არ გვქონია მე და მაიკლს. საინტერესოდ ვცხოვრობდით. ყოველი კვირის ბოლოს საყიდლებზე დავდიოდით. მთელ დღეს იქ ვატარებდით. მერე მოვიდოდით, მანქანა სავსე გვქონდა პროდუქტებით – პირდაპირ იატაკზე ვყრიდით და ვიცინოდით. რას აღარ ვაკეთებდით ხოლმე. ათას სისულელეს... ერთხელ, ძველისძველი კადილაკი ვიყიდეთ. სულ შავი. სახურავი ახდილი ჰქონდა. რად გვინდოდა ნეტა, მაგრამ მაინც ვიყიდეთ. ქუჩაში რომ გავიდოდით, ბავშვები ამოგვახტებოდნენ ხოლმე და ვიცინოდით...

მერე ორი ათასად გავყიდეთ. სულელი ვარ, არ უნდა გამეყიდა. ჯერ ერთი, ორიათას ექვსასად გვქონდა ნაყიდი და ორიათასად რატომ უნდა გამეყიდა. ეგეც არ იყოს, რომ შემენახა, ახლა, ალბათ, ოცი ათასად გავყიდდი, როგორც ანტიკვარს...

ისე, ორივე კარგ ფულს ვაკეთებდით, თუმცა, მაგრადაც ვმუშაობდით. ჩემს სიცოცხლეში შვებულება არ ამიღია. ჩემი შემყურე, მაიკლიც აღარ გადიოდა ხოლმე შვებულებაში. ბოლო ორმოცი წელი შაბათ-კვირასაც არ დაგვისვენია. აბა, რა მექნა, ოვერტაიმებს მიხდიდნენ, – ამოდენა გადასახადებს დაფარვა ხომ უნდოდა! – ამიტომაც მაქვს ამხელა პენსია, თორემ ახლა, ალბათ უკვე, სადმე აყროლებულ ნერსინგ ჰოუმში ვიქნებოდი დაავადმყოფებული და პამპერსგამოუცვლელი... საშინელებაა, რაც იქ ხდება. საერთოდ არ გაქცევენ ყურადღებას. ერთხელ დავტოვე მაიკლი და ვინანე. საღამოს რომ მივედი, მშიერი და აქოთებული დამხვდა. მომვლელი კი ღიმილით მეუბნება, ყველაფერი კარგადაა, მაიკლი დღეს კარგი ბიჭი იყოო. შავი დღე ვაყარე: რა არის კარგად, მთელი დღე უპატრონოდ რომ აგდია?! ნუ გეშინიათ, სუფთადააო. მაგას არა აქვს მნიშვნელობა, ვალდებულები ხართ დღეში სამჯერ აჭამოთ და დაბანოთ-მეთქი. არადა, გაგიჟდები, ისეთი ხელფასები აქვთ მაგ ექთნებს. დღეში ათას დოლარზე ნაკლები არცერთს არა აქვს. გგონია მოვერიდე? პირდაპირ მივახალე: ამდენ ფულს ხვეტთ და განძრევაც არ გინდათ! თუ იცით მერე, მაქედან სინამდვილეში რამდენს ვიღებთო. ძალიანაც კარგად ვიცი, ბუღალტერი ვარ-მეთქი.

საბუღალტრო რომ დავამთავრე „სთილუორქერს“–ში მოვეწყვე. ჯერ ცოტას მიხდიდნენ, საათში 12 დოლარს, მაგრამ, რომ ნახეს კარგად ვმუშაობდი, მთავარ ბუღალტრად გადამიყვანეს. 72 კაცი მებარა! თავიდან დღეში ასი დოლარი მქონდა, მაგრამ მერე იმდენი ვქენი, ორას დოლარამდე გამიზარდეს. ხუთ დღეში ათასს მაძლევდნენ. 72 კაცი მებარა!..

მაიკლი მშენებლობის ბიზნესში იყო. ერთი წამით მოსვენება არ იცოდა, სულ სამუშაოში იყო ჩაფლული. ხანდახან შეკვეთებს სხვა ქალაქებში აძლევდნენ და ორი-სამი თვე სახლში ვერ მოდიოდა. მთელი ცხოვრება ასე შრომაში გავატარეთ, სანამ ეს უბედური ავარია არ მოუვიდა. ამის შემდეგ დაეწყო ყველაფერი. ხან სახლის გასაღები ავიწყდებოდა, ხანაც გარაჟის ჩაკეტვა, მაგრამ ეს ხომ ყველას მოსდის. მეც მავიწყდება ხოლმე გასაღები, მაგრამ სრულ ჭკუაზე ვარ, არც ალცჰაიმერი მაქვს და არც არაფერი... თავიდან ექიმს არაფერი უთქვამს, მხოლოდ ახლახან, 3 წლის წინ მითხრა, ალცჰაიმერი აქვს და არაფერი ეშველებაო. არადა, ათი წლის წინ დაეწყო, იმ ავარიის მერე!..

არაფერი მომიკლია, მომვლელი ავიყვანე და ინვალიდის ეტლით დაგვყავდა ყველგან. 2 000 დოლარი დამიჯდა. წესით უფასოდ ეკუთვნოდა, იმიტომ, რომ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანია, მაგრამ, თქვეს – არ ეკუთვნისო.

პირველი მომვლელი ჯონ ჰალი იყო, მაღალი, მხარბეჭიანი... კვირაში 700 დოლარი მომთხოვა, დამოუკიდებელი იყო, თავისი თავის დაცვა არ ეშლებოდა და ვერც ვერაფერს გამოაპარებდი. კაი გაიძვერაც ბრძანდებოდა, ექიმი ვარო, გაიძახოდა, სინამდვილეში ვეტერინარი იყო. არაფერს აკეთებდა, დაჯდებოდა და მთელი დღე ტელევიზორს უყურებდა. რას მიჩერებიხარ მაგ ყუთს-მეთქი, რომ ვეტყოდი, აბა, რა ვქნა, მაიკლს სძინავს და სიზმარშიც ხომ არ ჩავყვებიო. ჯონი ჰალის მერე პიტერი მოვიყვანე. ევროპელი იყო. ხუთას სამოც დოლარს იღებდა და ყველაფერსაც აკეთებდა: სახლს ალაგებდა, ჭურჭელს რეცხავდა, ხალიჩები გარეთ გაჰქონდა და წმენდდა. თუ რამე გაფუჭდებოდა, შეაკეთებდა. მაიკლი რომ ყვირილს დაიწყებდა, გინდ ღამის 4 საათი ყოფილიყო, წამოვარდებოდა და მიხედავდა. ტელევიზორს სულ არ უყურებდა,

მაგრამ სულ წიგნებს კითხულობდა. სულ სიგარეტის წევაში იყო. ამდენს იმიტომ ვეწევი, რომ ბავშვები მენატრებაო. ექვს თვეში წავიდა. იმის ნაცვლად ლი მოვიყვანე. ესეც ევროპელია და ესეც დღე და ღამე წიგნებს კითხულობს. საერთოდ რაღაც უცნაურები არიან ეს ევროპელები. სულ რაღაც სისულელეებს იძახის. ერთხელ ტელევიზორში ძალიან ლამაზ სახლებს აჩვენებდნენ. ეს რა ქალაქია-მეთქი, ვკითხე. პარიზიაო. ეგ სადღაა-მეთქი. ევროპაშიო. არ მეგონა ევროპაში ასეთი ლამაზი სახლები თუ ჰქონდათ, ალბათ ჩვენგან გადაიღეს-მეთქი. რატომღაც გაბრაზდა. შენი ქვეყნის წლოვანების ხე მიდგას ეზოშიო. ასე იცოდა, თუ გაბრაზდებოდა, ოღონდ გაემწარებინე და ათას სისულელეს წამოროშავდა. მაგდენ წიგნს რომ კითხულობ, თავი სისულელეებით იმიტომ გაქვს გამოტენილი-მეთქი. მაგის თავის ტკივილიც და უძილობაც სულ წიგნების ბრალი იყო, მაგრამ არ სჯეროდა. პირიქით, უძილობის ბრალია ყველაფერიო, დაჩემებული ჰქონდა. აღარაფერს ვეუბნებოდი, რაც უნდა ის უქნია-მეთქი. სულ რაღაცას წერდა ხოლმე თავისთვის. პიტერი ამბობდა, ეკლესიების რესტავრატორი ვიყავიო, ხელფასს არ მიხდიდნენ და მაინც ვმუშაობდიო. არ ვიცი, რაში სჭირდებოდა ამის თქმა. ეს ლი კი სულ წერდა და წერდა, რაღაცას ვთარგმნიო, რამდენს გიხდიან-მეთქი, ადრე მიხდიდნენ და შემიწყვიტესო. აბა, რაღატომ აკეთებ-მეთქი. ისე, ჩემთვისო. რომ შემატყო არ დავუჯერე, ასე მითხრა, მინდა ეს წიგნი ჩემს ენაზეც იყოს თარგმნილიო. აი, ასეთ სისულელეებს იგონებდა. ეგონა, სხვა სამუშაოს კეთებას დავუშლიდი. მერე კიდევ რამოდენიმეჯერ ვკითხე გამოსატეხად. ხან რას იგონებდა, ხან რას: ფორმაში რომ ვიყო, იმიტომ ვწერო, რომ არ მომწყინდესო და რა ვიცი კიდე, რას აღარ ამბობდა. კარგა ხანს არაფერს ვეუბნებოდი, მაგრამ, ერთხელაც, ვერ მოვუთმინე და ვუთხარი, ისე, კაი ფულს კი დააგროვებ, ცალკე ჩემი 500 დოლარი და ცალკე იმ თარგმანის ფული-მეთქი. კიდევ არ გჯერაო, გაეცინა, ეგონა, უკვე დავიწყებული მექნებოდა. არა-მეთქი. ჰო, კარგი, რახან გინდა, გეტყვი – ფულს მიხდიანო. გამოვტეხე, როგორც იქნა.

მაიკლის გარდაცვალების მერე კიდევ ორი თვე დავიტოვე. მარტო ყოფნის მეშინოდა, თანაც თვალის ოპერაცია მქონდა გასაკეთებელი და მანამდე მჭირდებოდა. ეგეც არ იყოს, ამხელა სახლში რა უნდა ვაკეთო! დიდი სახლია ერთი კაცისთვის. ზემოთ მარტო ორი საძინებელია. დანარჩენი, ღია, შემინული ჭერია. ქვემოთ ცხრა ოთახია. სახლი ორას ორმოცი ათასი დამიჯდა, მაგრამ ერთი

ორმოცდაათი ათასი კიდევ დავახარჯე: იატაკები სულ გამოვცვალე, ახალი ლინოლიუმები დავაგე. მარტო დარაბებში ხუთი ათასი გადავიხადე. სამი სააბაზანო ოთახი გავაკეთე – ორი ქვემოთ, ერთიც ზემოთ. ერთი ოცი ათასიც ახალი ავეჯი დამიჯდა. ახალი ტელევიზორებიც ვიყიდე. კაბელი შემოვაყვანინე, ხუთასი არხი მაქვს. ტექნიკაც შევიძინე – ვიდეო, სიდი, დივიდი და ყველაფერი. აქ რომ გადმოვედით ორი წლის წინ, მაიკლი ჯერ კიდევ ფეხზე იდგა. მთელი ცხოვრება ამ სახლს შევწირე... მანამდე უილიამსთაუნში ვცხოვრობდით. ის სახლი უფრო პატარა იყო. პირველ სართულზე ხუთი ოთახი იყო, მეორეზე ოთხი. ასოცი ათასად გავყიდე. კიდევ ერთი სახლი გვქონდა ატლანტიკ-სითიში. ოცი წლის წინ გადავაგდე. გადაგდებაა, აბა რა არის, სულ ოცი ათასად გავყიდე. ზედ ოკეანის პირზე იყო. ახლა ის სახლი ნახევარი მილიონი ღირს. შევცდი, არ უნდა გამეყიდა, მაგრამ მაშინ არ ვფიქრობდი.

მაიკლის მერე ჩემი ძმა, რიჩარდიც წავიდა. ზუსტად ერთ კვირაში. თერთმეტი და-ძმიდან მარტო მე დავრჩი. მე ვუვლიდი იმ საწყალსაც, მოხუცებულთა სახლში იყო. მარტო მე მივდიოდი ხოლმე. რომ გარდაიცვალა, იმ დღეს ღესლიმ დარეკა, ჩემი ძმის, რეიმონდის შვილმა, უნდა მივიდე სანახავადო. მე ვუთხარი, მაიკლი გადაყოლილი იყო შენზე და იმის სანახავად არ მოსულხარ და რაღა რიჩარდზე გადაირიე-მეთქი. მართლა გადაყოლილი იყო მაიკლი მაგათზე. შაბათ-კვირას ძაღლს გვიტოვებდნენ და ჩვენ ვუვლიდით. ერთხელ მაიკლმა მთელი დარაბები თავისი ხელით გამოუცვალა.

მაიკლი რომ მოკვდა, ერთხელაც არ გამოჩენილა, არც დაურეკავს. არც ჯერი მოსულა, მაგის ქმარი, არადა გადაყოლილები ვიყავით მაგაზე მე და მაიკლი. მაგის შვილებს ისე არ გავუშვებდი, ათდოლარიანი არ ჩამედო ჯიბეში. ხანდახან ოცდოლარიანსაც ვჩუქნიდი, როცა ათდოლარიანი არ მქონდა.

მეყო ყველას თავხედობის ატანა. რაც მაიკლს ალცჰაიმერი დაემართა, იმის მერე ყველა დაიკარგა ნელ-ნელა. მარტო ბობ ბივერი აკითხავდა ბოლომდე. თავის შვილთან, სკოტთან ერთად მოდიოდა ხოლმე. მაგრამ მაგაზეც ნაწყენი ვარ. ჯერ ერთი, მაიკლს მასხრად იგდებდნენ. როგორც სულელს, ისე უღიმოდნენ. მაიკლს კი, გონება არასოდეს დაუკარგავს, მარტო მახსოვრობა და მეტყველება წაერთვა, ჭკუით კი, სრულ ჭკუაზე იყო. თუ რამე არ უნდოდა, ვერაფრით ჰოს ვერ ათქმევინებდი. ერთხელ, ლის დიდხანს ჰყავდა გარეთ და რომ დაბრუნდნენ, მთელი წინადადება თქვა. „ხელები გაყინული მაქვს!“ – ზუსტად ასე თქვა. ეგენი კიდევ მოვიდოდნენ და „ჰეი, ბიჭო, მაიკლ!“ ან „კაცურ კაცს ვახლავარ!“ ან „აბა კაცები, კაცური კაცები!..“ ასეთ რაღაცებს ეუბნებოდნენ და სულელებივით იკრიჭებოდნენ. მოკლედ, მასხრად იგდებდნენ, მაგრამ ვერაფერს ვეუბნებოდი. ეგენი მოდიოდნენ მაინც!.. თანაც ყველაფერში მეხმარებოდნენ. ნათურებს ცვლიდნენ, სარდაფს მალაგებინებდნენ და რა ვიცი, თუ რამე იყო სახლში გასაკეთებელი, მაგათ ვეძახდი. ოც დოლარს ვაძლევდი საათში ბობსაც და სკოტსაც. რაც მაიკლი მოკვდა, ეგენიც აღარ გამოჩენილან. მეც აღარ ვურეკავ. თუ დარეკავენ, თვითონ დარეკონ...

...ყველაზე ნაწყენი ვარ. აგერ რიტა, ჩემი მეგობარი. მთელი ცხოვრება ერთად ვიყავით, ახლა კი არაფრად მაგდებს. იცის, რომ როზანასთან ნაჩხუბარი ვარ, მაგრამ იმასაც ემეგობრება და მეც. არადა, მაგაზეც სულ გადამკვდარი ვიყავი, სულ რაღაცას ვჩუქნიდი. შარშანწინ, ფეხი რომ მოვიტეხე და მანქანით მაღაზიაში მატარებდა, თითო წაყვანაში ოთხმოც დოლარს ვუხდიდი. ეგ კიდევ სულ წუწუნებდა, ბენზინი არ მყოფნისო. ერთხელაც ვეღარ მოვითმინე და ვუთხარი, საკმარის ფულს გაძლევ იმისთვის, რომ ბენზინი ჩაასხა-მეთქი. გაჩუმდა და იმის მერე ხმა აღარ ამოუღია. თვითონ ვითომ მეხმარება, მაგრამ, ამ დროს, თავის საქმეს იკეთებს. იმ დღეს რაღაც თოჯინები მაყიდინა, თითო ოც დოლარად. ერთი კვირის მერე კი წამოსცდა, ჩემს შვილიშვილს დაავალეს სკოლაში იმ თოჯინების გაყიდვაო. ოთხი ცალი მაყიდინა. რა ჯანდაბად მინდოდა. ისევ ვინმეს უნდა ვაჩუქო. ნეიდინს ვაჩუქებ. სამაგიეროდ ფოლადის დრაკონს მომცემს. მაგას მაინც ერთი ცალი აქვს, ჩემს კოლექციას კი მოუხდება.

...ეჰ, მამაო კამდენ, მთელი ცხოვრება ყველაზე გადაყოლილი ვარ და ყველა მე მძარცვავს. გარაჟში რომ მაიკლის ღვინოები იყო, თითქმის სულ დაცლილია. მუშები რომ მოდიან, ისე არ წავლენ, ერთი მაინც არ გაქრეს. ვერავის დავაბრალებ, მაგრამ ერთზე მაქვს ეჭვი. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მგონია, რომ მაგას მიაქვს. რაღაცნაირია, არ მომწონს. სხვები სულ მეკითხებიან, ტეს, შეიძლება კოკა–კოლა ავიღოთო, ეგ კიდევ მოვა, პირდაპირ გამოაღებს მაცივარს და ისე აიღებს, არც შეგეკითხება. საჭმელზეც არასოდეს უარს არ იტყვის. ყველა მუშას უთქვამს უარი ერთხელ მაინც. ეგ კიდევ, სენდვიჩს რომ შესთავაზებ, ყოველთვის გართმევს. ასეა, ყველა წაგლეჯვაზეა. ბეწვის ქურქი ხომ მოიპარეს სარდაფიდან, დღემდე არ ვიცი, ვინ წაიღო. ხუთი ათასი მქონდა მიცემული. თანაც ნიუ-იორკიდან იყო გამოწერილი. დაზღვევის ხალხს რომ ვუთხარი, მოვიდნენ, მთელი სარდაფი გადააქოთეს, ყუთებით ტანსაცმელი ამოიტანეს და გარეთ გაიტანეს. მანქანაში აწყობდნენ. სულზე მივუსწარი. რას შვრებით-მეთქი. ძველია, უნდა გადავყაროთო. ძველი კი არა, სულ უხმარია-მეთქი – უკან შემოვატანინე. წაღება უნდოდათ. ვითომ გადაყრიდნენ, სინამდვილეში კი, გაყიდნენ.

ბობ ბივერის ბიჭსაც, სკოტსაც, გარაჟიდან ინსტრუმენტები მიაქვს და ყიდის. მოეწონება თუ არა რამე, იმწუთას მამამისს ეძახის: „მამა, ამაზე რას იტყვი?“ მერე კი მიაქვს და უკან აღარ აბრუნებს. არა, ცუდი ბიჭი არაა. რემონტების ბიზნესშია. ხანდახან მილიონიანი შეკვეთებიც აქვს... ჩემი ძმის, რიჩარდის სახლი უნდა გავარემონტებინო და გავყიდო. მილლიონებიდან სხვა აღარავინაა დარჩენილი, მე კი რად მინდა ორი ამხელა სახლი, მაგრამ, თუ არ გაარემონტე, კარგად არ გაიყიდება. ორას ორმოცდაათზე მეტს ვერ დაადებ, თანაც, გადმოფორმება რვა ათასი მიჯდება. გუშინ ვიყავი სწორედ ჩემს იურისტთან. სიცოცხლეშივე რომ გადმოეფორმებინა, ამდენი აღარ დაჭირდებოდაო. მოკლედ, ყველა წაგლეჯვაზეა. მაიკლის დაკრძალვა ოცდარვა ათასი დამიჯდა. გავიხედე და ერთ კვირაში რიჩარდი აღარაა. ეგეც შენი თოთხმეტი ათასი. ახლა მაიკლის საფლავის ქვაც იკითხე. ეგეც კიდევ თექვსმეტი ათასი. მაიკლის პენსია ხომ მომაკლდა, თითქოს ჯინაზე, თვალი გამიხდა საოპერაციო! მართალია, დაზღვევა იხდის, მაგრამ მერე ფასებს ისე აწევენ, მტრისას! არადა, უნდა გამეკეთებინა, სულ ვეღარ ვხედავდი. იმდენი საქმე დამიგროვდა... სამი წლის ჩეკები თავიდან მაქვს გადასაწერი. მანქანასაც ვეღარ ვატარებდი. იძულებული ვიყავი, ლისთვის ხელფასი მეხადა. არადა, ჩემი სამი ათასი ყველაფერს ხომ ვერ გაწვდება. ბანკის ფულს არ მინდა ხელი ვახლო. რა იცი, რა ხდება, თანაც პროცენტები ემატება. ბანკიც მე მატყუებს. მთელი ჩემი ფული ამოუღიათ ფულის ბაზრიდან და ცხრა თვე გაყინული ჰქონიათ. მე კი არ ვიცოდი. თანაც, მე, უმაღლესი კლასის ბუღალტერს, რაღაც ზღაპრებს მიყვებიან. თუმცა, ახლა რაღა აზრი აქვს დავას...

სულ მარტო ვარ, მამაო კამდენ! თერთმეტი და-ძმა ვიყავით და და მარტო მე დავრჩი. სულ მარტო!.. ძმისშვილებიდან არავის ვახსოვარ. ზოგი სად ცხოვრობს, ზოგი სად. არც მიცნობენ.

ერთი ბობი მირეკავს ორ თვეში ერთხელ და ისიც ათ წუთს ძლივს გაიმეტებს ხოლმე. მაგას ვუტოვებ ყველაფერს. ერთი მაიკლი მყავდა, იმას ვუყვარდი მხოლოდ და ისიც დავკარგე. ხელიდან გამომეცალა. კბილებით მეჭირა მისი თავი, ბოლომდე ფარ-ხმალი არ დამიყრია. დამხმარეები კი მყავდა, მაგრამ მე თვითონ ვუვლიდი, მე ვწმენდდი და ვბანდი, მე ვურეცხავდი. ბოლო ორი წელი აღარც ჭამა შეეძლო და ღარც ლაპარაკი. მხოლოდ კი-ს ან არა-ს თუ იტყოდა, ოღონდ ეს „კი“ არასოდეს ეშლებოდა – თუ უნდოდა რამე, კიო, გეტყოდა, თუ არ უნდოდა – არაო. თუ გაბრაზდებოდა, ხმას ვერ ამოაღებინებდი. ხომ ასეთ დღეში იყო, მაგრამ, ზოგჯერ ისე გულიანად გაიცინებდა, ასე მეგონა, ისევ ახალგაზრდები ვიყავით. ლამაზი სიცილი ჰქონდა, მაგრამ ბოლოს სულ დაძაბუნდა, ფეხზეც ვეღარ დგებოდა, მთელი დღე ეტლში იჯდა მოწყვეტილი და ერთ წერტილს იყო მიშტერებული. ზოგჯერ ვერ ისვენებდა, წრიალებდა და მე მეძახდა. ბოლომდე ვახსოვდი და ჩემი იმედი ჰქონდა. დღეში ერთი ოცჯერ მაინც დამიძახებდა: სადა ხარ, ტეს? ზოგჯერ გვერდით ვედექი და მაინც მეძახდა: ტეს, სადა ხარ, ტეს! ერთხელ კი, გარდაცვალებიდან ერთი დღით ადრე, თვალებში შემომხედა და ტეს, სადა ხარო, დამიძახა. რა გაყვირებს, ვერ ხედავ, აქა ვარ-მეთქი, მაგრამ თითქოს არც გაუგია, თვალებში მიყურებდა და ტეს, სადა ხარ, ტეს, სადა ხარო, გაიძახოდა!..

ყოველღამე ვლოცულობ. ღმერთს ველაპარაკები კიდეც. მაიკლი რომ კვდებოდა, მაშინაც ვლოცულობდი. ლიც ლოცულობდა თავის ენაზე. ყველაზე დიდი სანთელი შემოიტანა და თავთან დაუნთო. მაიკლმა ხელზე ხელი მომიჭირა და არ მიშვებდა, თვალებით მთხოვდა, არ მიმატოვოო. იმის მერე სულ ვლოცულობ. სანამ ლი აქ იყო, როგორღაც ვძლებდი, ახლა კი... დილას რომ ვიღვიძებ და სამზარეულოში გავდივარ, ისეთი სიჩუმე დგას, გული მიღონდება. რომ არ გავგიჟდე, ფოსტას ვხსნი და მთელ ჯანქ მეილს ვკითხულობ. მერე კაბინეტში შევდივარ და დავთრებს ვაწესრიგებ. მუშაობა მშველის, მაგრამ თვალები მალე მეღლება და ვისვენებ ხოლმე. სამუშაოს გამოვერთვები თუ არა, სიჩუმისგან ისევ გული მეკუმშება. ტელევიზორს ვრთავ და გვიანობამდე ვუყურებ, მაგრამ მაშინაც სიჩუმეში ვარ. ხანდახან ჩამეძინება და ძილშიც გული მეკუმშება და მეწვის. შუაღამეზე გამეღვიძება, ტელევიზორს გამოვრთავ და, რომ არ გავგიჟდე, ლოცვას ვიწყებ. ყველა ლოცვა ზეპირად ვისწავლე. ვლოცულობ, ვლოცულობ და თითქოს ჩემს თავს გვერდიდან ვხედავ. ვხედავ, რომ მარტო ვარ, სულ მარტო ამოდენა სახლში და შუაღამეა. ვლოცულობ, მაგრამ მაინც მესმის, რომ სიჩუმეა სახლში, მე კიდევ არავინ მყავს ქვეყანაზე. სულ არავინ... ტირილი ამივარდება ხოლმე და დილამდე ვერ ვჩერდები. საწოლში რომ ვწვები, მაშინაც ეს წყეული სიჩუმე მიდგას ყურებში და სულს მიხუთავს...

მამა კამდენი ჩაფიქრებული იჯდა და თვალები იატაკზე დაეშტერებინა. მერე რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ვერ გადაწყვიტა და მხოლოდ ისღა მოიფიქრა, რომ ტესს თავისი ბუნჩულა ტორი დაადო მხარზე.

უხერხულ დუმილს დროდადრო მისი ქვითინი არღვევდა. მამა კამდენს მოუსვენრობა დაეტყო. უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერაფრით მოეფიქრებინა რითი დაეწყო. ბოლოს, როგორც იქნა, გადაწყვიტა – მეორე ხელიც მხარზე დაადო, სახეში შეხედა და უთხრა:

– ყველაფერი ღმერთის ხელშია, ტეს! ჩვენ არ ვიცით, რატომ ვკარგავთ საყვარელ ადამიანებს. მარტო ღმერთმა იცის ვინ როდის წაიყვანოს. ჩვენ მხოლოდ ის უნდა გვწამდეს, რომ მან უკეთ იცის, რა სჯობია ჩვენთვის!

– ეჰ, მამაო კამდენ! ამოიოხრა ტერეზამ, – ვიცი, ვიცი. . .

მამა კამდენი ერთხანს ჩუმად იჯდა, შემდეგ საათზე დაიხედა.

– ჩემი წასვლის დროც მოსულა, – თქვა მან – შვიდ საათზე წირვა იწყება...

– ხომ მოხვალთ ხოლმე, მამაო კამდენ! – ვედრებით სავსე თვალები მიაპყრო ტერეზამ, – ხომ შემოივლით ხოლმე?

– რა თქმა უნდა, ეს ჩემი ვალია – მამა კამდენმა ოპტიმისტური ღიმილით გაუღიმა და კვლავ საათს დახედა, – აბა, დროებით!

ერთმანეთს გადაეხვივნენ. ერთხანს ასე იდგნენ.

– რა კარგი კაცი ხართ, მამაო კამდენ!

მანქანამდე მიაცილა. მამა კამდენი ვერცხლისფერ „ბიუიკში“ ჩაჯდა. წუთში მისი მანქანა გზაზე გაუჩინარდა.

ტერეზა უკან გამობრუნდა. პარმაღზე წამით შეჩერდა. იქვე დაგდებულ პატარა ცოცხს მოჰკრა თვალი. აიღო და ძირს დაცვენილი ნაძვის წიწვები გადახვეტა. შემდეგ სახლში შებრუნდა და კარი შიგნიდან გამოკეტა.

გალერეა

ნანუკა ჩიჩუა
"Thoughts on Paradise", კოლაჟი, პრინტი ქსოვილზე, 2010

მიხეილ ჯავახიშვილის საქმე

ავტორი ლაშა ბაქრაძე



ლიტერატურის მუზეუმში ინახება მიხეილ ჯავახიშვილის 1937 საქმის – N 9997, არქ. N 32 – ქსეროასლი. ეს დოკუმენტი, ერთადერთია, რომელიც ასლის სახით გადარჩა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ შეთითხნილი ქართველ მწერალთა საქმეებიდან.

საქმე კი ასე იყო:

ჯერ კიდევ 1990 წლის 28 ოქტომბრის პირველ მრავალპარტიულ არჩევნებამდე, ლიტერატურის მუზეუმის დირექტორმა იზა ორჯონიკიძემ 2 ოქტომბერს განმეორებით მიმართა საქართველოს სსრ უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ტარიელ ლორთქიფანიძეს და ითხოვა „სამუდამოდ დასაცავად ყველა იმ მასალის გადმოცემა, რომელიც პირდაპირ და არაპირდაპირ უკავშირდება ქართველ მწერლობას და საერთოდ ქართულ კულტურას“.

19 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის (და არა საქართველოს სსრ) უშიშროების კომიტეტმა მუზეუმს გადმოსცა 1924-1937 და მომდევნო წლებში რეპრესირებულ მწერალთა და კულტურის მოღვაწეთა საგამოძიებო საქმეები და სხვა მასალა, მათ შორის, ემიგრანტული ლიტერატურა.

მეორე დიდი გადმოცემა 1991 წლის 25 ივლისს შედგა. ამ დროს უშიშროების კომიტეტი არამხოლოდ სახელმწიფო მუზეუმებს ან არქივებს გადასცემდა მასალას, არამედ ზოგიერთ კერძო პირსაც კი, მაგალითად, 1983 წლის თვითმფრინავის გამტაცებელთა რამდენიმე საქმე მათი ოჯახის წევრებსაც კი მისცეს.

არქივიდან ამ პერიოდში, გარდა იმ მასალებისა, რომელიც რუსეთში წაიღეს (ზვიად გამსახურდიას მმართველობის დროს ნაწილობრივ უკან დაბრუნდა), უამრავი საქმე გაქრა. თუ როგორ ნაჩქარევად და უწესრიგოდ ხდებოდა უშიშროების არქივის მიერ მასალების გადაცემა-გასხვისება, კარგად ჩანს ლიტერატურის მუზეუმის ქაღალდებიდანაც, საიდანაც ირკვევა, რომ მოთხოვნილი დოკუმენტების გარდა კიდევ უამრავი სხვა მასალა გამოჰყვა მუზეუმისთვის გადმოცემულ ქაღალდებს. შვიდი დასახელების სტამბური მასალა, რომელიც მიღებულ დოკუმენტებში აღმოჩნდა, საერთოდ არაა გატარებული მიღება-ჩაბარების აქტში.

გადმოცემული მასალა დიდი მოცულობის იყო. მათ შორის-ალექსანდრე (სანდრო) ახმეტელის საქმის 10 ტომი, ლიდა გასვიანის 8 ტომი, მიხეილ ჯავახიშვილის, ტიციან ტაბიძის, ვახტან კოტეტიშვილის, ევგენი მიქელაძის, დიმიტრი შევარდნაძის, ოლღა ოკუჯავას, ბენიტო ბუაჩიძის, ბარონ ბიბინეიშვილის, მიხეილ ზანდუკელის, რაჟდენ კალაძის, ნიკოლო მიწიშვილის, ასევე, არაქართულენოვანი მწერლების – გევორქ მესიანის, არუთინ სურხატიანის, არშავირ მელიქიანის, სერგეი ღარიბოვის, მათეოზ დარბინიანის, ივანე პერებეინოსის, სამსონ ჭანბას, ალექსანდრე თიბილოვის და სხვათა და სხვათა, სულ 46 პირის საქმე. ასევე, 1942 წელს რეპრესირებულთა პირადი საბუთები, საქართველოს „კონტრრევოლუციური“ პარტიის აქტიურ წევრთა ფოტოსურათების ალბომი და მრავალი სხვა.

1991 წლის 25 ოქტომბერს ლიტერატურის მუზეუმში კულტურის მინისტრის მოადგილემ ჯულიეტა მილდიანმა მოიტანა კულტურის მინისტრის ედმონდ კალანდაძის ბრძანება, სადაც მინისტრი მოითხოვდა, რომ მასალები უშიშროების კომიტეტს დაბრუნებოდა.

დოკუმენტებით სავსე „რაფ“-ს ლიტერატურის მუზეუმის მიღება-დაკომპლექტების განყოფილების გამგე ნინო ვადაჭკორია და ხელნაწერთა გამგე ციალა გაგნიძე გაყვნენ, მაგრამ მათდა გასაკვირად, მანქანა არა უშიშროების კომიტეტში, არამედ პარლამენტის შენობაში, პრეზიდენტის კანცელარიაში მივიდა.

მათ კანცელარიაში თვითონ პრეზიდენტი გამსახურდია დახვდა. ლიტერატურის მუზეუმის გაოცებულ მუშაკებს მან აუხსნა, რომ ერთ-ერთ მუზეუმზე მოხდა თავდასხმა და დოკუმენტების უსაფრთხოებისთვის, მათი კანცელარიაში შენახვა სჯობდა. მუზეუმის თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ მათ უფლება არ ჰქონდათ, სხვა ორგანიზაციისთვის ჩაებარებინათ

მასალები, როცა კულტურის მინისტრის ბრძანებაში უშიშროების არქივი იყო მითითებული. ამის შემდეგ, კულტურის მინისტრის ბრძანება სასწრაფოდ შეიცვალა და პირველი ბრძანება უკვალოდ გაქრა. იმ დღეს პრეზიდენტი სამჯერ გამოვიდა კანცელარიაში მისულ მუზეუმის თანამშრომლებთან სასაუბროდ.

„საქართველოში შექმნილი რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გამო არის საშიშროება მუზეუმიდან მნიშვნელოვანი მასალების გატაცებისა. ამასთან დაკავშირებით, გიორგი ლეონიძის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში სუკ-ის მიერ გადმოცემული რეპრესირებულ ქართველ მწერალთა არქივები საქართველოს პრეზიდენტის მითითებით, გადაეცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარიას.

მინისტრი ე. კალანდაძე“.

როგორც ჩანს, ზვიად გამსახურდიასთვის ამ მასალებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

კანცელარიაში იმ დროისთვის დამახასიათებელი ქაოსი სუფევდა. არავინ იცოდა, ვის რაზე უნდა მოეწერა ხელი. კანცელარიას და მის ხელმძღვანელს მიხეილ კლიმიაშვილს მუზეუმის პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა უნდოდათ მიღება-ჩაბარების აქტზე. რადგან მუზეუმის დირექტორ იზა ორჯონიკიძეს ამ დროს შვებულება ჰქონდა, ამ აქტს მოგვიანებით ხელი მოაწერა დირექტორის მოადგილემ ციცი ბუქურაულმა.

დოკუმენტები მუზეუმის თანამშრომლების თვალწინ კანცელარიის ოთახში უზარმაზარ რკინის სეიფში შეინახეს.

მას შემდეგ, რაც 6 იანვარს ზვიად გამსახურდია საქართველოდან გაიქცა, ჯერ კიდევ ალმოდებულ პარლამენტის შენობაში მუზეუმის თანამშრომლებმა იმჟამინდელი დირექტორის – გურამ შარაძის ხელმძღვანელობით – ნახეს კანცელარიის ის ოთახი, სადაც 25 ოქტომბერს მასალები მათ თვალწინ შეინახეს. რკინის სეიფის კარადა გახსნილი, წაქცეული და სხვა ადგილას გადატანილი იყო. ამ დოკუმენტების, თუნდაც დამწვარის, კვალი არსად ჩანდა.

არსებობდა ეჭვი, რომ პრეზიდენტის ჩამოგდებამდე ეს ოქმები „კოლხურ კოშკში“ გადაიტანეს. 1992 წლის მარტში კოშკიც ხანძრის მსხვერპლი გახდა. იმ დროს იქაც ეძებდნენ ამ მასალების კვალს, მაგრამ უშედეგოდ.

მიუხედავად ლიტერატურის მუზეუმის, ასევე უშიშროების კომიტეტის არქივის მრავალგზის მცდელობისა, დღემდე არ არის გარკვეული, რა დაემართა 25 ოქტომბერს კანცელარიაში ჩაბარებულ მასალას. იმის თქმაც ძნელია, რომ ეს მასალები ნამდვილად განადგურდა და ჩვენი ისტორიის შესწავლისთვის ფასდაუდებელი დოკუმენტები სამუდამოდ დაკარგულია.

ერთადერთი, რომლის ასლიც ამ საქმეებიდან შემორჩა, არის მიხეილ ჯავახიშვილის საქმე, რომელიც გადმოცემამდე, სუკის არქივში შეადგინეს იზა ორჯონიკიძის თხოვნით, მწერლის 110 წლის იუბილის მზადების გამო. სამწუხაროდ, საქმეს პირველი 4 ფურცელი აკლია. ასევე, რამდენიმე გვერდის თავსა და ბოლოში არ იკითხება თითო-თითო სტრიქონი.

ლიტერატურის მუზეუმი გამოსაცემად ამზადებს მიხეილ ჯავახიშვილის საქმეს. ის ჯერჯერობით, ერთადერთი ხელმისაწვდომი დოკუმენტია ქართველი რეპრესირებული მწერლების საქმეებიდან, რომელიც საზოგადოებას წარმოდგენას შეუქმნის, თუ როგორ „იკერებოდა“ მსგავსი საქმეები.

ჯადოქარი

ერლომ ახვლედიანს

უცებ დავინახე:
კაცი მიდიოდა...
კაცი მიდიოდა ცოტადან ცოტასაკენ...
ცოტადან ცოტაცოტაცოტასაკენ...
ვუყურებდი...
არ მჯეროდა...

მერე უფრო დაუჯერებელი ვიხილე:
კაცი მიდიოდა...
კაცი მიდიოდა ბევრიდან ცოტასაკენ...
ბევრიბევრიდან ცოტაცოტასაკენ...
დავუყვირე.
გამოიხედა.
როდის მერე მიდიხარ ასე? – ვკითხე.

დიდი ხანია... – მიპასუხა კაცმა.
მერე დაფიქრდა.
იფიქრა.
იფიქრაიფიქრაიფიქრა...
ცოტა ხანია... – მითხრა.
განაგრძო გზა.

გავყურებდი.
ჯადოქარია... – ვფიქრობდი...
ვაგრძელებდი სვლას:
ცოტადან ბევრისაკენ,
ბევრიდან ბევრისაკენ,
ბევრიდან ბევრიბევრიბევრისაკენ...

ვოცნებობდი...

შოთა იათაშვილი, 2006 წელი



რას კითხულობს გიგო?

ავტორი ალექს ჩიღვინაძე

„დააყენეთ სამყარო თავდაყირა და არსებული ჭეშმარიტება სიცრუედ გადაიქცევა“

გი დებორი

ძალიან ეფექტურად გამოიყურება ყდები, რომლებზეც სხვადასხვა ობიექტი თავდაყირაა გამოსახული. მაგალითად, ამოტრიალებული სახლი, რომელიც ავტორის სახელსა და გვარზე მიანიშნებს. ბავშვის სათამაშოების თარო, ისიც პირქვე, როცა წესით, ჰაერი სათამაშოებით უნდა შეივსოს, ყდაზე კი წესრიგია, მერე რა, რომ უკუღმაა ყველაფერი. რატომღაც, ასეთ ყდებს რომ ვუყურებ, მგონია, რომ მათში შინაარსიც იგივე ბედს უნდა იზიარებდეს.

დაპაუზებული კადრი: გააფთრებული თხა გარბის გიგოსკენ...

რა წიგნი შეიძლება სჭეროდა გიგოს 2011 წელს? თუ გიგოს უჭირავს ბესტსელერი, მაშინ რისი სიმბოლო შეიძლება იყოს თხა? ეპატაჟის? ინტელექტუალური პროზის? საერთოდ, რა დამოკიდებულება აქვს ლიტერატურასა და კომერციას? პრუსტის წინადადებებივით გრძელი თემაა.

„ცხელი შოკოლადის“ გამოკითხვით, წელს, ყველაზე წარმატებით ეს წიგნები გაიყიდა:

1. ნიკო გომელაური – „ოცნებები მცნებებივით ირღვევიან“;
2. დათო ტურაშვილი – „ამერიკული ზღაპრები“;
3. დათო ტურაშვილი – „ჯინსების თაობა“;
4. მარიამ წიკლაური – „თეთრი ხბორები“;
5. ლალი მოროშკინა – „ყველა კაცი იდიოტი არ არის ანუ როგორ გავთხოვდეთ“;
6. თამთა მელაშვილი – „გათვლა“;
7. აკა მორჩილაძე – „მამლუქი“;
8. ზაზა ბურჭულაძე – „გასაბერი ანგელოზი“;
9. მიხო მოსულიშვილი – „ვაჟა-ფშაველა“;
10. გურამ დოჩანაშვილი – „სამოსელი პირველი“.

რა დასამალია და, ამ წიგნებიდან მხოლოდ სამი მაქვს წაკითხული. ჩემი დაკვირვებით, ხშირ შემთხვევაში, წიგნს სათაური ყიდის. ასე რომ, ტურაშვილის გარეშეც გასაგებია, რატომ არის „ჯინსების თაობა“ ამ სიაში – ქართული წიგნის ბაზარზე და ზოგადად, ქართულ კონტექსტში ხომ კარგად შეფუთული „კონტრკულტურის“, ახალგაზრდული ამბოხის თემის დეფიციტია. გასაგებია „მცნებებივით დარღვეული ოცნებების“ კომერციულობაც, „როგორ უნდა გავთხოვდეთ“ – ხომ ულაპარაკოდ (წარმოვიდგინე, როგორ შედის ავტორის აზრებივით ალესილი ჩანგალი ჩემს „არტილერიაში“). ამ სიიდან „გასაბერ ანგელოზს“ გამოვყოფდი – მაგიურ-რეალიზმობანა, სოც-კრიტიკა, „არაორგანულ ჟანრში სხვა ქვეყნის ლიტერატურული გმირების დუბლირება და მედიის მიერ რეალობის ფაბრიკაცია...“

რა შეიძლება გავიხსენო 2011 წლის მთელი მომაჯადოებელი კონცეპ-ტიტინიდან (ასე ვუწოდებ ლიტერატურაში იმას, რასაც ბარტი ენის ხმაურით გადაფარულ

Diefenbach

Cake Design and Baking

☎ **247 62 97**

facebook.com/Diefenbach.sakonditro







ფაქტებს დაუძახებდა). პირველ რიგში, ჰენრი დევიდ თოროს „უოლდენი ანუ ტყეში ცხოვრება“ მახსენდება, რომელიც შესანიშნავად თარგმნა ქეთი ქანთარიამ; გამომცემლობა „დიოგენემ“ უმბერტო ეკოს ვარდს დაარქვა სახელი; როლან ბარტის „მითოლოგიებიც“ გამოვიდა (5 წლის წინ საჯაროში ერთი თვის განმავლობაში ვკითხულობდი რუსულ თარგმანს) და მერაბ მამარდაშვილის „ცნობიერების ტოპოლოგია“, რომელიც არ შემხვდა, რადგან პრეზენტაციაზე დავაგვიანე; კიდევ, დათო ბარბაქაძის მთარგმნელობითი პროექტის „XX საუკუნის ავსტრიული ლირიკის“ მორიგი, მეთერთმეტე ტომი, რომელშიც პაულ ცელანის პოეზიის თარგმანებია თავმოყრილი.

ერთი თვის წინ, დაახლოებით ასე ვახასიათებდი გამომცემლობა „სიესტა“-ს შემოდგომა-ზამთრის კოლექციას: ზურაბ ქარუმიძე, პაატა ქურდაძე და გიორგი მაისურაძე: კოლექცია გვაოცებს ეთნიკური ტენდენციების ფსიქოდელიური ინტერპრეტაციებით. თბილისური მოდერნის კოლაჟებით, ექსპერიმენტული განცდებითა და ერთგვარი აპოკალიფტურობითაც კი. კოლექცია ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის ნაზავია და მხიარულ ფერებთან ერთად მუქ ფერებსაც მოიცავს. დომინირებს მხოლოდ ხარისხიანი, გემრიელი ლიტერატურული სტილი, რაც, როგორც მოგეხსენებათ, ყველა სეზონზე აქტუალურია...

სხვა გამომცემლობებზე რომ გადავერთოთ... ახლახან, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ გამოსცა „ლატერნა მაგიკა“ – ინგმარ ბერგმანის ავტობიოგრაფიული წიგნი. საუკეთესო ამერიკული მოთხრობების გვერდით კი, XXI საუკუნის ქართულ მოთხრობასაც (თანამედროვე ქართველი ავტორების მოთხრობების კრებულია) წააწყდებოდა წიგნის მაღაზიაში მოხვედრილი მკითხველი. წლის პროექტად კი გამომცემლობისთვის, ალბათ, მაინც „ვეფხისტყაოსანი“ ჩაითვლება. დათო მაჭავარიანის (კაკადუს) ილუსტრაციებით – ბევრი ჯაფა დაღვარა ამ კაკადუმ და მშვენიერი, თანამედროვედ დასურათებული ვეფხისტყაოსანიც მივიღეთ.

წლევანდელი ქართველი ავტორებიდან სანდრო ნავერიანის „არგენტინულ პიტბულსა“ და ანა კორძაია-სამადაშვილის „შუშანიკის შვილებს“ გამოვარჩევდი. ალბათ, ნავერიანის მოთხრობებში, სხვა ქართველი ავტორებისგან განსხვავებით, ყველაზე დიდი დოზით გვხვდება ზოგადად თანამედროვე პროზისთვის დამახასიათებელი კინემატოგრაფიულობა. „შუშანიკის შვილები“ კი ჩემს დაქალს მოსწონს. კიდევ გამოვყოფდი აკა მორჩილაძეს – მისი ახალი რომანი „ობოლე“ გამოიცემა მალე. რომანი დასავლურ ტენდენციებში დაკარგული ჯანსაღი ქართული ღირებულებების საკითხს ეხება, თან, მგონი, ვესტერნია; მაგრამ, მაინც, ჩემთვის წლის საუკეთესო ქართული რომანი ზურა ქარუმიძის „მელია-ტულეფია: Fox-Trot-ია.

საერთაშორისო ბესტსელერებიდან რაც მახსენდება, ითარგმნა „გოგონა დრაკონის ტატუთი“, რაღაც „სემიჩკა“ დეტექტივს ჰგავს, რომლის მიხედვითაც დევიდ ფინჩერმა ფილმი გადაიღო. ერიკ-ემანუელ შმიტის წიგნებზეც ვთქვათ – წელს გამოვიდა“ ულისე ბაღდადიდან“ და „პილატეს სახარება“. ფამუქის რომანებიც გადმოქართულდა და რამდენიმე სხვა ნობელიანტისაც (გამომცემლობა „ინტელექტი“-ს სერიაში). „სიესტამაც“ გამოსცა ჰერტა მიულერის „გულის მხეცი“. ასევე გოთიკური პროზის რიგიანად ილუსტრირებული სერიაც ვნახე თბილისურ წიგნის ფესტივალზე.

გამომცემლობა „პალიტრას“ წიგნებს ვინ მოსთვლის. ჟურნალსჩახუტებული „ჯერ დაიხოცნენ, მერე წაიკითხეს“ წიგნებიდან დაწყებული და დამთავრებული, საბავშვო წიგნების უსასრულო სიმრავლით. სადაც არ უნდა გაიხედო, წიგნის ამ სერიებს დაინახავ. დასავლეთში კი, მსგავს ტექსტებს (ვგულისხმობ, კლასიკურ ლიტერატურას „ქართული პროზის საგანძურის“ სახით), დიდი ხანია, Gutenberg-ის ინტერნეტბიბლიოთეკაში დაუდევს ბინა.

ალბათ, ერთ-ერთი ბოლო წიგნი, რომელიც 2011 წელს გამოვა, პაატა შამუგიას „დაუჯდომელი“ იქნება. სწორედ დღეს, 17 დეკემბერს, წააცუნცულა სტამბისკენ „მაკეტი“ („ასავალ-დასავალის“ სიტყვებით რომ ვთქვათ) მტარვალმა შამუგიამ.

ალბათ, უამრავი წიგნი გამომრჩა. კიდევ უამრავი წიგნი არ გამოქვეყნებულა. მაგალითად, ავტობუსში შემხვდა ერთი ბიჭი, რომელიც ბაზარში ყასაბი გახლდათ, თავისუფალ დროს კი, გარეუბნებში, ნაცრისფერი კორპუსების კედლებზე მორისონის ლექსებიდან წერდა ციტატებს, მაგრამ ამბობდა, გალაკტიონივით გოიმიაო მორისონი, მე უკეთ ვწერო. რას წერდა, არ ვიცი.

მკრთალი პარალელიც რომ მოვჭიმოთ, Amazon-ის ბესტსელერების უმოკლესი მიმოხილვა ასეთია: ლიდერობს სტივ ჯობსის ბიოგრაფია (უოლტერ აიზენსკის მიერ მოთხრობილი). ასევე პირველ პოზიციებზეა პულიცერის პრემიის ლაურეატი, ჯეფრი ევგენიდისი „საქორწინო შეთქმულება“ და ბუკერის პრემიის ლაურეატი, ჯულიან ბარნსი, წიგნით „დასასრულის შეგრძნება“. კიდევ, სტივენ კინგმა დაწერა ახალი რომანი – „11/22/63“, რომელიც ნომინირებული იყო ანტიპრემიაზე „სექსის სცენის ყველაზე ცუდი აღწერა ლიტერატურაში“ (როგორც ჩანს, კინგი ჩანგალს ისე მარჯვედ ვერ ხმარობს, როგორც „კალამს“). ჰო, მურაკამის გახმაურებული „1Q84“-იც არ უნდა დამავიწყდეს.

მოულოდნელად კადრი ისევ ამოძრავდა. გააფთრებული თხის რქები ჩანგალივით შეესო გიგოს. ხოლო, რა წიგნი დაუვარდა მას ხელიდან, ისევ ვერ შევამჩნიე.

FM 101.9
ქალაქი
WWW.RADIOKALAKI.GE
რადიოქალაქი წარმოგიდგენთ
ყოველ სამუშაო დღეს
17:30
გადაცემას
დღის ბიზნეს სტუმარი
მაია ჯავახიშვილთან ერთად
გადაცემას წარმოგიდგენთ
ელიტ ელექტრონიქსი
ELIT ELECTRONICS

DEKOM
VISUAL SOLUTIONS

versatile know-how

highly certified

low hierarchies

advisor

we implement individual scalable solutions

Our aim is to increase visual communication.

interdisciplinary

customer proximity

economic solid

direct reference persons

We life with our hearts and heads visual communication.

specialized manpower

we reclaim new technologies

And we are good in what we do.

experienced process quality

vendor neutral

international

we help you to create value

we integrate advantages in solutions

flexibility

creative ideas

transparent

www.dekom.com